

„კიდევაც დაიზრდებიან“... მომდევნო წიგნია „ჩვენი სამშობლოს“ სერიიდან.
წიგნის გმირები ამჯერად ეწვივნენ ქვემო ქართლს, სომხითს, თრიალეთს, ჯავახეთს. მოინახულეს ამ მხარის ისტორიული ძეგლები, წარსულიც გაიხსენეს და ბევრი რამ ახალიც ნახეს. ისინი სიამოვნებით გვიზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს და სჯერათ, რომ „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი...“

ბოლნისის ნათელი

ოცდაექვსი საუკუნის
წინათ ქმნიდნენ ქართულ ანბანს,
ხელნაწერნი განვლილ დროის
მოგვითხრობენ გმირთა ამბავს,

სუნთქვა ძველი წიგნებისა,
მშვენიერი ძველი ენა!
სული ქართლის ცხოვრებისა,
რუსთაველის აღმაფრენა
გალაკტიონი

კაი ყმა

ჯერ კარგად არ იყო ნარიჟრაჟევი, როცა თბილისში, ერთ-ერთი სახლის წინ, მანქანის ირგვლივ რამდენიმე ვაჟკაცი ტრიალებდა.
- მათი საუბრისთვის რომ ყური მიგეგდოთ, უეჭველად იცნობდით ჩვენს ძველ მეგობრებს.
- მოიტა, ეგეც მოიტა, დარში ნაბადს ნუ დააგდებ, ავდარში ქალამანსაო.
- ეგ მართალია, მაგრამ ისიც ხომ იცი, აქლემს საცერი დაადეს – დაწვაო, აიღეს და ადგაო, ზედმეტი ბარგი ხელს შეგვიშლის.
- მაინც ამ შუა ზაფხულში რად გვინდა ამდენი თბილეული.
- ბზეს დრონი გაჰყიდიანო, აღდგომა და ხვალეო.
- ვახტანგ, შენ ნუ უშლი ხელს, მინდიამ იცის, რაც უნდა. გზა რამ მოღალა და ბერიკაცმაო.
არა უშავს რა, ერეკლე, ხომ იცი, გიჟი მოზვერი კაი ხარი დადგება, – გაეღიმა მინდიას და ხილით სავსე კალათა მიაწოდა.
- გოგო, ლელა, სადა ხარ? – გასძახა ერეკლემ..
- ეხლავ, ხაჭაპურს ვაცხობ.
- სადაა მერე აქამდე? დედაბერი ბუქნას უვლიდა, არც მთა უმადლოდა და არცა ბარიო.
- ეს მაგაზეა ნათქვამი: ენამ მოჭამა სოფელი, არც აგრე ხმალმა ამოღებულმაო, – ჩამოსძახა კიბის თავიდან ლელამ, – პირზე მომდგარსა სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა! – როგორც ჩანდა, ლელამ იწყინა „დედაბერი“, შალვა კი უკვე მანქანაში იჯდა. თავისი საქმე მოეთავებინა.
- რა ვქნა! თქვენ მოდიხართ თუ ლექსაობთ?
- შალვა, თავის ადგილას ლექსიც კარგია, – შეეხმაურა მინდია.
- დროზე უნდა ავიდეთ, დმანისში ხომ გიორგი გვიცდის.
- გიორგიმ იცის თავის ბოკვრების ამბავი, რომ ყოველ ნანგრევს შემოუვლიან და დაგვიანება არ გაუკვირდება.
- მაგრამ, ისიც ხომ იცით, გზა კივის წარმავალისაო, – ჩაერია გივი, რომელიც მათი მოგზაურობის განუყრელი წევრი იყო.
უკვე ჩაბარგებული იყვნენ, როდესაც მახათას მთის წვერის გადაღმა ცაში სხივები აიჭრა.
- მზეო, ამოდი, ამოდი, – მთელი გულით შესძახა ერეკლემ.
- ნამდვილი მზის შვილია.
- უფრო მზის ნატეხია, – წაიდუდღუნა შალვამ.
მანქანა გასცდა განჯის კარს, აი, იმ ადგილს, სადაც ახლა სამასი არაგველის ობელისკი დგას კრწანისში. თაბორისა (ნადიკვარსაც უწოდებენ) და შავნაბადას პატარა ქედებს შორის მდებარეობს კრწანისი და ორთაჭალა; ხოლო ორთაჭალა მტკვრის ჭალაში, ესე იგი, გავაკებაზე, გაშენებული ბაღები იყო. აი, იმ ადგილიდან (მტკვრის ჭალებიდან) ამ ორ პატარა ქედშორის მოქცეული ფერდო თანდათანობით მაღლა იწევს და აღწევს სოფელ შინდისამდე, კოჯრის გზაზე რომ მდებარეობს; ესაა კრწანისი, ორთაჭალა კრწანისის ნაწილია.
დღეს ორთაჭალის ბაღების ნაშთიღაა შემორჩენილი. მათ მაგივრად ათსართულიანი სახლები და ქარხნებია. კრწანისის ზემო ნაწილში ბაღები კიდევ არის, მაგრამ ის აღარაა, თბილისს რომ მწვანილითა და ახალი ხილით ამარაგებდა.
ვახტანგი რის ვახტანგი იქნებოდა, რომ ლადო ასათიანი არ მოეგონებინა:
„ჰეი, თქვენ, არაგველებო,
გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და
მუხლის მოდრეკა მომინდა...“
ერეკლემ გააგრძელა.
- დავიცადოთ, სწორედ აქ მინდა ერთი წერილი მოვიგონოთ, რომელიც ამას წინათ დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. მას „უკანასკნელი არაგველის სადღეგრძელო“ ჰქვია. მხოლოდ ცოტას შევამცირებ და ერთ-ორ ფრაზას დავუმატებ, – თქვა ვახტანგმა, – თანახმა ხართ?
- იყოს ნება შენი.
- მაშ, მიგდეთ ყური:

„ამბობენ, არაგვის ხეობაში პირველად უკანასკნელი არაგველის სადღეგრძელოს დალევენ და შემდეგ სამასი არაგველისა და ყველა იმისას, ვინც სამშობლოს დიდებას თავი შესწირა. პირველად ეს რომ გავიგე, მეწყინა. განა ყველამ თავი არ დადო სამშობლოს დიდებისათვის? ვფიქრობდი. მაგრამ დავუკვირდი და დავრწმუნდი, რომ უკანასკნელი არაგველი ღირსია, რომ მისი სადღეგრძელო განსაკუთრებულად დაილიოს.
მართლაცდა, წარმოიდგინეთ გახურებული, სისხლისმღვრელი ომი, ირგვლივ ყველა შემოგიხოცეს და მარტო დარჩი, ჭრილობები შენც გაჩნევია, შუბლზე სისხლი ჩამოგდის, მაგრამ ნაბიჯს უკან არ დგამ, შენი ხმალი კვლავ წივის, ხედავ, მარტო ხარ, მაინც იბრძვი...
ალბათ აქ დაიბადა, ან ასეთი ბრძოლების შედეგად:
„მაღალი მთისა ვაჟკაცი გეზელ ქორივით ჰკიოდა,
ასი ნახმლევი შუბლს აჩნდა, მკერდს სისხლი ჩამოსდიოდა,
ორასზე მეტი მოეკლა, უვაჟკაცობას სჩიოდა...“
რა ძალა იყო ის ძალა, რომელიც უკანასკნელ არაგველს უკან არ ახევინებდა, ან რა ძალა იყო ის, რაც კამეჩის მეხრეს აიძულებდა, დიდად არაფრად ჩაეგდო ასზე მეტი მტრის მოკვლა.
- რა და – თავმდაბლობა, სამშობლოს სიყვარული; ის თავის შრომას არავის აყვედრიდა, თავს ვალდებულად თვლიდა, ქვეყნისთვის სარგებლობა მოეტანა.
კამეჩის მეხრე შემთხვევითი ლექსი არაა. ის ხალხის მსოფლმხედველობას გამოხატავს ადამიანის მოვალეობაზე.
არც ჩვენი ქალები ჩამორჩებიან ვაჟკაცებს:
„თუშის ქალმა სთქვა: შევირთავ
ბასრი ხმლის ამომღებელსა,
სულ უწინ ომში ჩამსვლელსა,
სახელის შინ მომღებელსა“.
სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენმა ხალხმა გულში ჩამწვდომი ლექსი უძღვნა ასეთ ქალებს:
„თამარსა ვაშლოვანელსა ვაშლი უდგია თავსაო,
რიგი მწიფს, რიგი ყვავილობს იმის საფლავის კარსაო“.
კაი ყმა ყოველთვის იდეალი იყო ჩვენი ხალხისა:
„სოფელს სტირიან ქალები, სოფელს კაი ყმა კვდებაო,
ღმერთო, ნუ მოჰკლავ კაი ყმას, სოფელი წაგიხდებაო“.
კაი ყმას
„ომში წინ წასვლა უყვარდა, ხელთ დაბღუჯული ხმალია,
არას დასდევდა სიკვდილსა, ოღომც არ შერცხვეს ჯარია“.
აი, სწორედ ეს იყო ძირითადი და მთავარი, „არას დასდევდა სიკვდილსა, ოღომც არ შერცხვეს ჯარია“. ის საქვეყნო საქმეზე, სამშობლოზე ფიქრობდა, „იგი ეხატა გულზედა“.
საქმე ის არის, რომ ქართველი კაცი კაი ყმობას მარტო ომში კი არ აფასებდა, კაი ყმა ყოველთვის და ყველგან კაი ყმა უნდა ყოფილიყო, კარშიც და სახლშიც. გამრჯე, ფაქიზი, თავაზიანი. ყველგან კაი ყმობის კვალი უნდა დაეტოვებინა, სულ ერთია, დიდი იყო იგი საქმე, თუ პატარა, დაუფასებელი არ რჩებოდა.
„კაი ყმის ნაბინავარში შეშანი დარჩებიანო,
ცუდაის ნაბინავარში თაგვნი ნაცარსა ჰყრიანო“.
ამავე დროს, ჩვენი ხალხი ცხოვრებას დიდ პრეტენზიას არ უყენებდა.
„ქართველი კაცის ცხოვრებას ბევრი არ უნდა ხრიალი,
უღელი ხარი ეყოფა, ორიოდ ძროხა რქიანი...
.....
ცოლი შეირთოს მშრომელი, პატიოსანი, ზნიანი, —
თვითონაც იყოს მუშაკი, ცოლშვილ-მოყვარე, ჭკვიანი,
მეზობელ-ნათესავებთან ხათრიან-თავაზიანი...“
აქ ხალხური ლექსების განხილვას და შეფასებას არ ვაპირებ, ესენი, ასე ვთქვათ, მოწმედ გამოვიყენე. არც ერთ ისტორიულ ძეგლში, თუ დაწერილ მატეანეში, ისე ნათლად არ ჩანს ხალხის მრწამსი, იდეალი, როგორც ხალხური შემოქმედების ნიმუშებში. ხალხური ლექსი თუ თქმულება საუკუნეთა მანძილზე იხვეწებოდა, ყოველივე ზედმეტი სცილდებოდა, რჩებოდა ხალასი და სწორედ ამ ლექსებში ჩანს, თუ რა მიაჩნდა ჩვენს ხალხს კაცობრიობისა და ადამიანობის იდეალად – ეს იყო კაცი, თავდადებული მებრძოლი თავისი ერის გადასარჩენად და საკეთილდღეოდ.
და როდესაც მტერი გვეხვია ირგვლივ, ყველაზე დიდი მოვალეობა იყო სწორედ ბრძოლა ხალხის გადასარჩენად, მისი დიდების შესანარჩუნებლად.

„თქვენი ჯერია, ახლებო,
ხელის დადება ხმალზედა,
ყორნები დასუქებულან
მამების ნაომარზედა“.

დღეს, მშვიდობიანი მშენებლობის დროს, კაი ყმას სხვა მოთხოვნილებას ვუყენებთ, თუმცა მეორე სამამულო ომმა გვიჩვენა, რომ ძველებურ კაი ყმობას თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. მრავალმა ქართველმა ვაჟკაცმა ოქროს ასოებით ჩაწერა თავისი სახელი სამშობლოს სადიდებელ მატიანეში; ამ ვაჟკაცებიდან ვინც ცოცხალი დაბრუნდა, მათ ცხოვრებას რომ თვალი გადავავლოთ, დავრწმუნდებით, მშვიდობიან პირობებშიც მთელი მათი სიცოცხლე მხოლოდ კაი ყმობა, შემოქმედებითი შრომაა საკუთარი ხალხის საკეთილდღეოდ. ზოგი მათგანი უკვე პროფესორია, მეცნიერების დოქტორი და ყოველთვის იბრძვის სიკეთისათვის, სადაც საჭიროა და სადაც ხმა მიუწვდება, თუმც შეიძლება ეს ბრძოლა „პროფესორის კოდექსში“ არც ეწეროს; იცავს ჩვენი ერის დიდ მემკვიდრეობას, კულტურის ძეგლებს, სიტყვით და საქმით იღებს მონაწილეობას კულტურის ახალი ძეგლების შექმნაში.

დღეს ხომ ერეკლეს დრო არ არის, ან დიდი თურქობა, რომ ყოველდღე ხმალი ამოღებული გვეჭიროს. ომი უკვე ოცდაათი წელია მოთავდა, მაგრამ ასეთი ომი რომ აღარ მოხდეს, სწორედ იმიტომ გვჭირდება კაი ყმობა, თანაც ყველაზე მეტად ჩვენ, ქართველებს, გვჭირდება – ჩვენ ხომ ისედაც ცოტანი ვართ და მხოლოდ ქერჩის ტრაგედია რად ღირს ჩვენთვის!

თანამედროვე კაი ყმა უნდა იყოს მშრომელი, ალალ-მართალი, პირდაპირი (თუმც „ვაჟკაცი წყნარი სჯობიან, რო გაჭირდება, მჭეხარი“), არ უნდა შეუშინდეს სოფლის ავყიობას. ძველადაც იყო კაი ყმის აუგად ხსენება, ახლანდელი მოგონილი როდია!

„კარგ ყმასა ჰშურობს სოფელი,
იტყვიან კარგი რად არი?
საქმე რო გაუჭირდებათ,
ყველა იბარებს, სად არი?“

აი, ესაა გამარჯვება ადამიანისა. როცა გაუჭირდათ, მოიკითხეს. ასეთი სახელისათვის არ უნდა დაერიდოს ვაჟკაცი არც ჯაფას, არც ღამის გატეხას შრომაში.

ბევრი გვყავს კაი ყმა, მაგრამ გული კაცისა მაინც ხარბია კაიკაცობაშიც და, ამიტომ მინდა, რომ ჩვენს ქვეყანას ასეთები უფრო ბევრი ჰყავდეს.



მთაწმინდა 1870 წელს

დღეს ცხოვრება ფრიად მრავალფეროვანია, ყველაფერს ვერ მოასწრებს კაცი, მაგრამ ერთი ადამიანური თვისება მაინც ყველასათვის სავალდებულოა. ესაა ადამიანის გულის სიკეთე, გულისხმიერება. თუ კაცს უჭირს, მყისვე მის გვერდით უნდა გაჩნდე, მხარში ამოუდგე, თუ საქმით არა, ტკბილი სიტყვით გული უნდა გაუმხნევო. ღობე ქაცვითა, კაცი კაცითაო, – იტყოდნენ ჩვენი ძველები და ეს არც დღეს უნდა დავივიწყოთ, თორემ რაღაც უცნაურობა დაგვჩემდა:

გულისხმიერება სააუგოდ მიგვაჩნია, ვაითუ ვინმემ სხვანაირად გაიგოსო. ერთმანეთის მოკითხვა, თუნდ რაიმე პატარა ნობათით, განა აუგია? ძველად მეგობარი რომ მეგობართან წავიდოდა, ან ნათესავი ნათესავთან, უეჭველად გაიყოლებდა რამე ნუგბარს: მეგობრის საყვარელ ნივთს (ქისას), რაიმე ხილს (ახლად შემოსულ ბალს, ყურძენს), ერთ ფიჩხაურა განსაკუთრებულად დაყენებულ ღვინოს, ტკბილს და სხვ. ეს ჩვეულებრივი ყოფა იყო ჩვენი ხალხისა და ჩვენი ცხოვრებისა. დამხვდურებიც სამაგიეროთი პასუხობდნენ და იყო ტკბილი, მეგობრული სიხარულით სავსე საუბარი. აი, ეს გულისხმიერება, ურთიერთის სიყვარული დღესაც გვჭირდება.

დაფიქრებით უნდა აირჩიო დარგი, მაგრამ რა დარგსაც აირჩევ, იქ უნდა იყო პირველი, სხვებისათვის მაგალითის მიმცემი. მართალია, მჯობნის მჯობნი არ დაელევა, მაგრამ, მაინც უნდა ეცადო, დღეს პირველი იყო შენს საქმეში; ხვალ სხვა იქნება და არ უნდა გეწყინოს, რადგან მისი პირველობა შენი პირველობის განვითარებაა და, რაც მთავარია, ქვეყნისათვის გამოსადეგი.

არც ერთი საქმე უბრალოდ და ადვილად არ მოდის, ყოველ პროფესიას სჭირდება შრომა, არა მარტო დიდი შრომა, არამედ გონიერი, ყოველმხრივ გეგმაშეწონილი, გაანგარიშებული.

ყველას გვახარებს თუნდაც რომელიმე ჩვენი სპორტსმენის გამარჯვება.

ყოველი მათი გამარჯვება მრავალ ათას ადამიანს სიხარულსა და სიამოვნებას ჰგვრის, ეს კი უდიდესი დამსახურებაა ერის წინაშე, რადგან ყოველი სიხარული თავდებია სიცოცხლის რაღაცა ნაწილის გაგრძელებისა. მოხიბლეს მსოფლიო ჩვენმა მუსიკოსმა ქალებმა, მოჭადრაკეებმა, ახალგაზრდა მეცნიერებმა, კოლმეურნეობის მუშაკებმა, მეფოლადეებმა და სხვებმა. შემიძლია, ასობით გვარი ჩამოვწერო და ცნობარში არც ჩავიხედო. ეს იმას ნიშნავს, რომ კაიყმობა დღესაც დამახასიათებელია ჩვენი ცოხვრებისათვის. ესაა სიცოცხლე ერისა, ესაა უკვდავება ხალხისა, ესაა დღევანდელი სამშობლო და, როდესაც მათ სახელებს ვიმეორებ, მე მინდა, რომ ყველა თუ არა, ჩვენი ახალგაზრდობის დიდი უმეტესობა ასეთი იყოს.



მთაწმინდა, სამხრეთ ფერდო, 1959 წ.



მთაწმინდა, სამხრეთ ფერდო, 1975 წ.

ხალხის გარეშე არც სამშობლო არსებობს.

სამშობლო კი ყოველმხრივ დამშვენებული უნდა იყოს, პირველ რიგში, ხალხით. ყველა დანარჩენს თვით ხალხი გააკეთებს, თავის სამშობლოს საჭირო იერსა და პეწს მისცემს.

ქართველები ვამაყობთ პეტრე იბერით, გიორგი მთაწმინდელით, პეტრიწით, რუსთაველით, გურამიშვილით, სულხან-საბათი, ვახუშტით, ნიკოლოზ ბარათაშვილით, ვაჟათი, დავით აღმაშენებლით, გიორგი ბრწყინვალით და სხვათა სახელებით; აბა, წარმოიდგინეთ, რა ვიქნებოდით, ან რა იქნებოდა ჩვენი წარსული, იმ დიდ გზას, რომელიც გამოვიარეთ, მათი სახელები რომ არ ამშვენებდეს, რომ არ ბრწყინავდეს ისინი, როგორც ჩაუქრობელი სანთლები. იქნებოდა ჩვენი ისტორია? შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ ფრიად უფერული და უხალისო.

მე ვერ მივიღებ იმ ახალგაზრდის სადღეგრძელოს სამშობლოზე, რომელსაც ჯერ არაფერი გაუკეთებია; თქვენ იტყვით, დაგვაცადეთ, ახალგაზრდები ვართო! ჯერ ერთი, ამ ბოლო დროს, ზოგიერთი წინდაუხედავი მშობლის წყალობით, ცნება „ახალგაზრდობის პერიოდი“ ფრიად გახანგრძლივდა და ნებას არ აძლევენ „ახალგაზრდას“ დამოუკიდებელი ცხოვრებისას; მოვალეობის გრძნობა სკოლის მერხიდანვე უნდა გამოუმუშავდეს მოზარდ თაობას. მოწაფე ხარ? ბრწყინვალე მოწაფე უნდა იყო – შრომით მიაღწევ ამას. სტუდენტი ხარ? უნდა იყო ბრწყინვალე სტუდენტი. ეს ბრწყინვალება ის კი არ არის, რომ აუცილებლად ციდან ვარსკვლავებს კრეფდე, არა, – საკმარისია, შენი მოვალეობა წმინდად, ზუსტად და კარგად შეასრულო, განა ამას დავა უნდა? დღეს შენ ეს

გევალება და ეს უნდა გააკეთო; თუ გინდა, კარგი შენობა ააგო, კარგი საძირკველიც უნდა დაუდო. სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი ისაა, სადაც შენს კაცობას მაგარი საძირკველი უნდა ჩაეყაროს.
განა ამას თმაში ჭაღარა უნდა? არა, არ სჭირდება; უნდა გესმოდეს, რომ შენ გამგრძელებელი ხარ დიდი ტრადიციისა, მამულის დიდი სიყვარულისა. ჩვენმა ძველებმა ჩვენი ქვეყანა დღემდე მოიტანეს და ჩვენც ასევე, ოღონდ უფრო ბრწყინვალე, მომავალ თაობებს უნდა გადავცეთ.



ქართული ზამბახი წითელ ხიდთან

სამასი არაგველი რომ კრწანისის ველზე იბრძოდა და უთანასწორო ბრძოლაში დაეცა, ისინი სწორედ თავისი ქვეყნის ჩაუქრობელ კერაზე ფიქრობდნენ.
ამ გმირ სამას არაგველში სწორედ უკანასკნელია გმირთა-გმირი, მარტო დარჩა და ფეხი მაინც წინ წადგა, მრავალგან დაჭრილმა, სისხლისგან დაცლილმა, მაინც ხმალი მოიქნია. აი, რისთვის სვამენ უკანასკნელი არაგველის სადღეგრძელოს“.
- ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ ხომ არ გავიწყდებათ, რომ 80 წლის სარდალი აქ, არაგველების მხარდამხარ იბრძოდა, მას ამ დროს გარს ეხვია შვილები და შვილიშვილები, მტერშემორტყმული მოხუცი პაპა ორმა შვილიშვილმა გამოიხსნა. ერთმა მარცხენა ხელით მისი ბედაურის აღვირი ჩაბღუჯა და მარჯვენათი ხმალს იქნევდა. მეორე შვილიშვილმა კი არაერთ ყიზილბაშს გააგდებინა თავი.
- ევალებოდათ.
- რამდენს ევალება, მაგრამ არ აკეთებს.
- ასეთები არც არავის ახსოვს.
- დობროლიუბოვი 23 წლის იყო, რომ მოკვდა და დიდი მემკვიდრეობა დატოვა.
- 19 წლის იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი, როდესაც „ბედი ქართლისა“ დაწერა.
„რა ნახეს ქართველთ, გაჭირდა საქმე,
მყის აიკეცეს ჩოხები თურმე,
ხმალს ხელი იკრეს მამაპაპურად
და დაერივნენ თავისებურად“.
მოიგონა ერთი ტაეპი ვახტანგმა.
- რატომ „აიკეცეს ჩოხები“? განა „ჩაიკეცეს ქუდები არ არის?“
- ყოჩაღ, ლელა, „ჩოხები“ სჯობს, ნიკოლოზ ბარათაშვილს „შეუსწორე“..
- მინდიამ ისარგებლა იმით, ბარათაშვილზე რომ ჩამოვარდა ლაპარაკი და მოინდომა საუბარი ახალ არხში გადაეგდო.
- თქვენ იცით, რომ მელიტონ ბარათაშვილის სახლი შინდისში იყო. აი, ამ კრწანისის თავზე?

რამდენი მარაბდა დავიტირო?

„...თორემ მტრებს ისიც კი შეაშინებს,
ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ – მარაბდა!“
ლ. ასათიანი

ფონის ჭალამდე ჯერ არ იყვნენ მისულები, რომ მანქანა კვლავ გააჩერეს.
„ფონიჭალა“ ხმარებაში უკანასკნელ წლებში გაჩნდა სოღანლუღის ნაცვლად. ძველ წყაროებში ამ ადგილს ყურყუთა და საყალტუთნი ეწოდებოდა (ვახუშტი), ხოლო ჩვენი მეცხვარეები ამ ადგილს ფონიჭალას უწოდებენ დღესაც. მართლაც, მტკვარი აქ გადაშლილია ტოტებად და ადვილად გადასასვლელია. თრიალეთიდან დაბრუნებული მეცხვარეები, მტკვარი თუ ადიდებული არ იყო, აქ გადადიოდნენ, მით უმეტეს, ამ ადგილთან საკმაოდ მარჯვეა ჯეირანჭალა, სამგორი, გარეჯის უდაბნო.
მინდიამ თავისი მგზავრები მტკვრის კბოდეზე გადაახედა.
აი, ამ საქაჩავ სადგურს წყალი თელეთ-კუმისის მინდვრებში გადაჰყავს, უკან მიიხედეს და დაინახეს, რომ თელეთის ქედის ზურგზე სამი უზარმაზარი მილი აზიდულიყო.
თამარ დედოფლის დიდ ღვაწლად ხალხმა ლექსში მოიხსენია:
„უწყალოს წყალი ადინაო“,
განა ეს მეტი არაა? ალბათ, ჩვენს დროზე ოდესმე ლექსი გამოითქმება და იტყვიან:
„წყალი მთებს გადაატარაო“...
- კარგია! სწორედ ეგრეა, – მოუწონა მინდიამ.
- ამ წყალმა გააცოცხლა დიდი მინდორი. მტკვრის წყალი ზამთარში კუმისის ტბაში გროვდება. ამგვარად იქმნება საკმაოდ დიდი მარაგი, რომელიც ზაფხულში იხარჯება მინდვრების მოსარწყავად. კუმისი, მოგეხსენებათ, მლაშე ტბა იყო, მტკვრის წყალმა გაამტკნარა და ამან გააადვილა თევზის მოშენებაც, მაგრამ ამაზე შემდეგ.
აქ მტკვრი რამდენიმე ტოტადაა დაშლილი და კუნძულები გამოუჩენია. ოთხი-ხუთი პატარა კუნძული დაფარულია ვერხვის ჩქოლებით, დიდ კუნძულზე კი კარგი ვერხვნარი ჩანს.
- აბა, რამდენი წლის იქნება? – იკითხა შალვამ.
გივიმ კუნძულის ხეებს გახედა.
- არაგვის ჭალის კვალობაზე თუ ვილაპარაკებთ, 40-45 წლის უნდა იყოს.
- მართალია, ჩემო გივი, ეს კუნძული ასეთივე ვერხვნარით იყო დაფარული, მაგრამ სწორედ 45 წლის წინანდელმა წყალდიდობამ წალეკა, მოგლეჯილი ხეები წაიღო და წითელი ხიდის მიდამოებში გარიყა. ზოგი ყაზახში ჩაიტანა, აქაური ვერხვების ნარიყით გაივსო რიყე და ნაპირი, ნაწილი ჭალის ხეებზე იყო შეგდებული, ზოგი აყირავებულიყო. შემდეგ ამ ადგილას ისევ მორიყა ქვიშა და ლამი, ღორღი და ქვა. დღეს კი ისევ ვერხვიანი შრიალებს, მხოლოდ წინათ თუ თეთრი ვერხვი ჭარბობდა, დღეს აქ გაბატონდა ოფი, შავ ვერხვს რომ უწოდებენ.
- რახან თქმაა, ესეც ითქვას: თელეთის ქედზე ცხრაასიან წლებში პირველად დაიწყეს ცდები ჩვენი მთების გატყევებისთვის. ამ საქმეს მაშინ სათავეში ედგა მეტყევე ივანე როშჩინი, შემდეგში სასოფლო – სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი, ბოლოს – მეტყევე გერმოგენ ბრეგაძე.
- ელდარის ფიჭვი ასეთი ხრიოკი ადგილების გასამწვანებლად პირველად როშჩინმა გამოიყენა.
- აი, მამადავითის ქედი ამ 80 წლის წინ.
გადაუშალა უკვე მანქანაში ერთი წიგნი, – ეს სურათი გადაიღო ცნობილმა ფოტოგრაფმა ერმაკოვმა და ხედავთ, სად გამოგვადგა!
- როგორ, მაშინ სულ მოტიტვლებული იყო?
- როგორც ხედავთ.
სანამ ფონიჭალაში მივიდოდნენ, მეგობირი დახვდათ. ერთი გზა სამხრეთით მიდიოდა რუსთავისაკენ. ფონიჭალიდან (სოღანლუღიდან) რუსთავისაკენ თითქმის 15 კილომეტრი ლარივით იყო გაჭიმული; ლომთა გორის[1] ჩრდილო-აღმოსავლეთის ფერდის ძირში გრძელი გზა პირდაპირ მტკვრისაკენ ეშვებოდა და რუსთავში შედიოდა, მეორე კი აზერბაიჯანისკენ მიემართებოდა, გადაკვეთდა ქციაზე წითელ ხიდს, ანუ გატეხილ ხიდს[2] და გადადიოდა აზერბაიჯანში, ყაზახში.
- დღეს ვერ მოვასწრებთ, მაგრამ, როდესაც შემოვბრუნდებით, გატეხილ ხიდისკენ წავიდეთ.
ფონიჭალას გასცდები თუ არა, გზა ე. წ. შორეულ მინდვრებში გადის. როგორც ჩანს, ის მტკვრის ერთ-ერთი ტერასა უნდა იყოს. ეს ადგილი XIX საუკუნეში იმდენად დაჭაობებული ყოფილა, რომ 1828 წელს, თბილისიდან გასულ რუსის ჯარის კავალერიის ერთ პოლკს ვერ გადაულახავს. ამის შესახებ ცნობები შემოგვინახა ბურნაშოვმა. „შორეული“ იმ მინდვრის, უფრო სწორად, ვაკის სახელწოდებაა, რომელიც ლომთაგორის და

მტკვრის ჭალებს შორის მდებარეობს. ამ მინდორში კრწანისის საბჭოთა მეურნეობის ფერმები და სათბურებია. სათბურების აშენების დროს აჩქარებულან და დაუმუშავებულ მიწაზე აუშენებიათ.
ეს ადგილი მლაშნარია, სათბურის აშენებამდე მიწიდან მარილები უნდა ჩაერეცხათ, ასე ვთქვათ, ნიადაგი „გაემტკნარებინათ“, ახლა ეს სამუშაო სათბურის შიგნით ჩატარდება, ცოტა გაძნელდება, მაგრამ მეტი გზა არაა.
ზოგი ახლა „კრწანისს“ ამ ადგილს უწოდებს. საერთოდ, სახელწოდებათა გადანაცვლებას ცოტა უდიერად ვეკიდებით. ამ უდიერობის ბრალია, რომ მაგალითად, თბილისის მიდამოებში ტოპონიმმა „დიღომმა“ გორაკებიდან მტკვრის პირას ჩამოივაკა, „სამგორმა“ ოცი კილომეტრით გადმოინაცვლა და სხვ. საქართველოში ლამაზ სიტყვას რა დალევს, თუ მაინცდამაინც მოსანათლია ახალი, უსახელო ადგილი, გამონახე შესაფერისი ლამაზი სიტყვა და ის დაარქვი.
თემურმა გეზი სამხრეთისაკენ აიღო, შავნაბადას კუდზე გაჭრილ გზას დაადგა.
ეს აღმართი სწორედ ის ადგილი იყო, სადაც 1795 წელს, აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს, ერეკლეს რაზმს სახუნდარები ჰქონდა გამართული. კარგად იბრძოდნენ, აღა-მაჰმად ხანი რომ დარწმუნდა, ამ ადგილს ვერ აიღებდა, მტკვარს გაღმა გავიდა. რა იხილეს, სახუნდარს მნიშვნელობა დაეკარგა, ჩვენებმაც თაბორის მთაზე გადმოინაცვლეს.
მანქანამ აათავა თუ არა პატარა აღმართი, თელეთის მინდორზე გაივაკა, შავნაბადას ქედს სამხრეთ-აღმოსავლეთით მოექცა. შუა ქედზე გუმბათივით იყო ამომართული მწვერვლი, რომელიც მიწის გულიდან ამონთხეული ვულკანური ქანებისგან შედგება. შორს, ასეთივე ქანზე ნაგები, აზეულა, ანუ კოჯრის ციხე, ჩანდა. ეს კონუსები კრატერები არ არის.
მხარმარცხნივ ლომთა გორა მოჩანდა. დღეს სოღანლუღს, როგორც ვთქვი, ფონიჭალას უწოდებენ, სოღანლუღი თურქულად „ხახვიანს“ ნიშნავს ისე, როგორც ნავთლუღ–ნავთიანს. თანამედროვე აზერბაიჯანელებში ახლაც გავრცელებულია ხახვის ჯიში „სოღა“ და ის ისედაც ხახვს ნიშნავს. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ ის ერთი ფრინველის, სონღულის სახელისგან არის ნაწარმოები, მაგრამ ეს მოსაზრება სწორი არ უნდა იყოს, მაშინ ან სონღულისი იქნებოდა (საორბისი) ან სასონღულე (საშევარდნე). შავნაბადას სამხრეთისაკენ მიქცეულ ფერდობზე შეფენილიყვნენ ქვემო თელეთი, ახალწყარო, ზემო თელეთი, მუხრან თელეთი, წალასკური და ჩადაბლებებზე – დიდი სოფელი კუმისი.
გზა აღმართიდან ამოვიდა თუ არა, ახალწყაროსთან მანქანა ახლად ნაკეთებ შარას დაადგა; სანამ ცივი ხევის ხიდს გადაკვეთდნენ (ცივი ხევიც ხევხმელია[3]), მინდიამ მხარმარჯვნივ, ხრიოკებზე მიუთითა, ეს „საჯაგეებიაო“[4]. საჯაგეებს აქაურები ძეძვიანს უწოდებენ, სადაც ჯალჯის ღობისათვის ძეძვს ჩეხავდნენ, კაფავდნენ.
თითქმის ახალწყაროსა და ქვემო თელეთის პიდაპირ, მინდვრებზე. ე. წ. „ნადელების“ ალაგზე და „ქოროღლის წილში“, ამ ბოლო დროს დაარსდა მერძევეობის შესანიშნავად მოწყობილი ფერმა.
ამ 15 წლის წინ ამ მინდვრებზე ზაფხულში ყველაფერი გადამხმარი იყო, დღეს კი მწვანედ გააქვს ღაღანი, ახალი ფერმის მინდვრები მხოლოდ წვიმებით ირწყვება.
- რამდენადაც მახსოვს, ერთხელ აგვიხსენი, რით იყვნენ ეს სოფლები სახელმოხვეჭილი, – კუმისი – ლეღვით, წალასყური – ტარხუნით. თელეთში კი დღეობა იცოდნენ, თელეთობა, აურზაურიანი, მთელი მილეთის ხალხი ირეოდა თურმე.
- ალბათ, ამიტომაა ნათქვამი – „თელეთობა ხომ არ არისო“, როცა უთავბოლო აურზაურია.
- სწორედ ასეა, – დაუდასტურა მინდიამ, – იყო გამოთქმა „თელეთის გლახაც“, რადგან აქ, ამ დღეს, თავს იყრიდნენ გლახები. აგერ, ახლა თელეთის წმინდა გიორგის ქვემოთ საშუალო სკოლის კოხტა შენობა დგას.
მტკვრის წყალმა მილებით გადმოიარა შავნაბადას (თელეთის) ქედი, გაზარდა კუმისის ტბა, გაამტკნარა, შიგ თევზები მოაშენეს და ასე ირწყვება ეს უზარმაზარი მინდორი.
კუმისის ტბა ერთი დიდი ტბის ნაშთი ჩანს, მლაშე იყო, მაგრამ შიგ აუარებელი წყლის კუ ცხოვრობდა. 1941-45 წლებში ვიღაც საქმოსნებმა გახსნეს სასაუზმე, სადაც კუს ხორცსა და წვენს სთავაზობდნენ. გამოჩნდნენ თბილისში ამ კერძის მოყვარულებიც, ორ წელიწადში წყლის კუ ტბიდან მთლიანად ამოხიწნეს და ამოწყდა კიდეც.
- გარდა ამისა, – განაგრძო მინდიამ, ტბის ტალახი არჩენდა ქარებს, აქვე იყო თავისებური შავი ტალახი, რომელსაც „ტაროს“ უწოდებდნენ, აბანოში ხმარობდნენ, ტანზე წაისვამდნენ და ბალანს აყრევინებდა მთლიანად...
- ესეც თქვენი კუმისი! – თქვა თემურმა და მანქანა ხევის პირას გააჩერა.
ესეც ხევხმელია, სამების ხევსაც ეძახიან. ძირს, მინდორზე კი – ნაგუბის წყალს. წყალი წვიმისა და თოვლის დნობის დროს მოწანწკარებს ხოლმე. კუმისს ზურგიდან უცბად ჩამოკვეთილი და ჩამოხრიოკებული თელეთის ქედის გვერდის ძირი აქვს მიდგმული.

ეს გვერდის ძირი სამხრეთისაკენ არის მიქცეული და ზაფხულის თვეებში მეტისმეტად ხურდება, საერთოდ, ამავე მიზეზით აქ ზამთარიც კი თბილი იცის. აქაური შავი ლეღვი, თბილისში „კუმური ლეღვის“ სახელით ცნობილი, საკმაოდ სახელიანი იყო.
ამ დროს ორღობიდან რამდენიმე ბიჭი გამოვარდა და ჯამებით გუდალეღვი მოარბენინეს.
კუმისში თავისი სიცოცხლის ბოლო წლებს ხშირად ატარებდა ჩვენი პოეტი გრიგოლ ორბელიანი, ხან ტაბახმელაში, ან კუმისში. აგერ, სოფლის თავზე, ხრიოკებს შორის მწვანიანი ჩანს, იქ პატარა ტაძარია, „წმინდა სამება“, ორბელიანთა საძვალე, იქ არის დასაფლავებული უკანასკნელი ორბელიანიც.
- ქაშუეთიც მაგათი საძვალეა, ბეთანიაც, ფიტარეთიც, – გაიკვირვა ლელამ.
- რას იზამ, თავის დროზე დიდი ფეოდალები იყვნენ, თანაც საკმაოდ ბევრნი.
- ცოტა შევიცადოთ, – სთხოვა ვახტანგმა, – აკაკი გაწერელიამ გრიგოლ ორბელიანის წერილები გადმომცა. ერთი წერილი ამ მხარეს შეეხება. წაგიკითხავთ? ჩანთიდან წერილების ტომი ამოაძვრინა და დაიწყო კითხვა:

წერილი გრიგოლ ორბელიანისა ყაფლან ორბელიანისადმი
„ჩემო ბატონო, ძმაო ყაფლან!
მერე: გუშინ ჩემი მოურავი გეუა ჩამოვიდა ჩემს სანახავად. და აი ჩვენი ლაპარაკი, შენ გაიგე გაგვასამართლე:
ყაფლანი როგორ ბრძანდება?
- კარგად არის, მაგრამ მე კი არ მინახავს, – მიპასუხა გეუამ.
მერე ვკითხე, გალეწე ბიჭო?
- ჯერ მარტო ქერი გავლეწე, შენი ჭირიმე.
დიახ კარგი! რამდენი კოდი გამოვიდა?
- ორმოცი კოდი გამოვიდა, მეტი არ გამოვიდა, თქვენი რისხვა არა მქონდეს.
კარგი! მაგრამ ექვს დღიურში, რომელშიც დაითესა თორმეტი კოდი, მხოლოდ ორმოცი კოდი უნდა გამოვიდეს? და რაღა სწორედ ორმოცია, რომ არც დააკლდა ერთი ლიტრა ორმოცსა და არცა გადაამეტა?
- რა ვჰქნა, ბატონო, ახლა ეგ გამოვიდა და რა ვუყო?
(გრიგოლ) მაშ ბიჭო, როგორ დავიჯერო რომ ერთმა კოდმა დათესილმა მხოლოდ სამი კოდის მეტი არ მოიყვანოს?
- ბატონო, ღმერთმან იცის, და კაცმა იცის, რომ მე არ მომიპარავს და რა უყო, შე დალოცვილო, რომ მაგაზე მეტი არ გამოვიდა?
(გრიგოლ) მახლას, ბევრი ვიჩხავლე, მაგრამ ჩვენს ქერს არა მოემატა რა ამით.
ახლა, ჩემო ბატონო ყაფლან, შენ გეხვეწები, ერთი შემიტყო, ერთის დღიურიდამ, რამდენი გამოდის ქერი კოდას ანუ კუმისს? – ვეჟო, ქვეყანა იძახდა, რომ კუმისში გრიგოლ ყაფლანისშვილის ყანები სწორედ ზღვა არისო! და აბა სადაური ზღვა არის, როდესაც თორმეტმა კოდმა მომცა მხოლოდ ორმოცი, ესე იგი მხოლოდ ერთი სამად და არა ათად, ანუ ოცად?
შენ თვითონ დაელაპარაკე ამ გეუას და შეაგონე, რომ ეს ვინა მპარავს ამდენ გამოსავალსა, რომ ეგებ ყური უგდოს და იპოვნოს ქურდი!
მე მივდივარ ხუთშაბათს, ღმერთი იყოს შენი მფარველი, ძალუა[5] სიყვარულით მომიკითხე, აგრეთვე დედოფალი ბაბალე და ალექსანდრე.
აბა, მაგათაც ჰკითხე, რამდენიდამ რამდენი გამოუვიდათ ქერი ან პური.
შენი გრიგოლ ორბელიანი.
27 ივლისი 1859. თბილისი“.

აი ეს წერილი ამტკიცებს, ჯერ ერთი, გრიგოლის გულუბრყვილობას: გეუას ავალებს, ქურდი მიპოვეო; მეორე, გვიხასიათებს იმ მხარის ბუნებრივ პირობებს.
ურწყავში ერთ დღიურზე ქერი ათი კოდი[6] მაინც უნდა გამოსულიყო, ე. ი. ექვსი დღიურიდან 60 კოდი, რასაკვირველია მცირეა, ასე რომ, გეუას გრიგოლისათვის არც ისე ბევრი მოუპარავს, – დაასკვნა მინდიამ და ყველამ გულიანად გაიცინა.



ქციის მარცხენა ნაპირი წითელ ხიდთან, ზამბახი



ბირთვისები

ამ საუბარში მანქანამ აღმართი აიარა და სოფელ კოდას ხეივანს გაჰყვა.
- სანამ გვკითხავდე, მინდია ბატონო, გეტყვი, რომ კოდელია ვასილ ბარნოვი, აი, მხარმარცხნივ მისი ძეგლია, მართლა კარგი ბიუსტია; გარდა ამისა, ამ ცოტა ხნის წინათ სახელგანთქმული ყოფილა კოდელი ნინო – მკითხავი, – გაიღიმა ერეკლემ.
კიდევ, კიდევ?
- კოდა მებოძირიცაა, აქედან ერთი გზა თეთრიწყაროსკენ მიდის, გაივლის მუხათს და მხარმარცხნივ კოჯრის მთების, ე. წ. დიდი ქედის ბოლოებზე შეფენილ სოფლებს ბორბალოს, ღოუბანს, ერტისსა და ვაშლოვანს მხარმარჯვნივ იტოვებს. რასაკვირველია, გახედეს თუ არა ვაშლოვანს, თამარის ლექსი წაიღიღინეს ერეკლემ და ვახტანგმა.
- აგერ, ქედზე ვაშლოვანია, მის თავზე, გადაღმა ტაბახმელა, წავკისი და შინდისია, მოშორებით წყნეთია. აქაური ქალები ხმალამოღებული ებრძოდნენ ბატონსა და მტერს. მანქანამ გეზი მარნეულისაკენ აიღო.
- აქ, სადღაც, მარაბდაა, – თითქოს იკითხაო, ისე თქვა ლელამ.
- მაშ, თემურ, გადაუხვიე ამ მინდვრის გზას და ავალთ მარაბდაში.
ვახტანგმა აბგიდან პატარა წიგნი ამოიღო, მონიშნულზე გადაშალა და ჩუმად კითხულობდა.
- ამოიღე ხმა.
- არა, ცხრა საფლავთან რომ მივალთ, მაშინ!
გაიარეს ახალი მარაბდა და ძველი მარაბდის განაპირა ეკლესიის ახლოს გაჩერდნენ. რვა საფლავის ქვა ჩანდა ერთად, ისინიც თითქოს მიწის პირზე, ნახევრად კორდით იყო დაფარული.
მეცხრე? – წამოიძახა ლელამ.
- ისიც მანდ არის, ბალახმა გადაუარა, – შეეხმაურა ბავშვი.
აი აქ ვახტანგმა ვეღარ მოითმინა და ხმამაღლა წაიკითხა ლადო ასათიანის „ცხრა ძმა ხერხეულიძე“
„ ეს გაფრენილი ფაფარი, თუ მშობლიური ნისლია?
ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული ვისია?
.....
ფოლადის ბეგთარიანებს ბნელში ამაოდ დაეძებთ:
ისინი მამულისათვის მარაბდის ველზე დაეცნენ“!
- განა ამათ არ უნდა ობელისკი?
- უეჭველად გააკეთებენ.
- ესეც კარგად არის ნათქვამი!

ნამდვილად ეს ამბავი ასე ყოფილა: მარტყოფის ომის შემდეგ შაჰ-აბასმა ყორჩიბაშის მეთაურობით დიდი ჯარი გამოგზავნა. უბრძანა: ქართლ-კახეთი ძირფესვიანად მოთხარეთო. ყორჩიბაშის გარდა შაჰ-აბასის მითითებით საქართველოსკენ დაიძრნენ შირვანის, ყაზახის, ერევნის და აზერბაიჯანის მმართველი ხანები. მტრის ჯარი 1625 წლის 1 ივლისისთვის მოადგა სოფელ მარაბდის მინდორს და დაბანაკდა.

ქართველთა ჯარი კოჯორსა და ტაბახმელაზე იდგა. აქ იყო თეიმურაზ პირველი, ქართლ-კახეთის მეფე, თითქმის ყველა დიდი ფეოდალი და ეპისკოპოსები. სამხედრო თათბირზე გადაწყდა, ომი დილით დაეწყოთ, ქართველთა ჯარი ჩამოსულიყო ძირს და დასცემოდა ირანელთა ბანაკს. ასეთი ომის დიდი წინააღმდეგი იყო სააკაძე. ძირს ქართველებს გაუჭირდებათ ბრძოლა, დიდი სიცხეებია, დიდ სიცხეში კი სპარსელები უკეთ იბრძვიანო. გარდა ამისა, მაღლობი უკეთესი პოზიციაა, ხევ-ხუვებში ირანელები ვერ გაიშლებიან და ადვილად დავამარცხებთო. მოგეხსენებათ, თავადთა უმრავლესობა გიორგის აშკარად თუ ფარულად მტრობდა. ამ გეგმის წინააღმდეგ წავიდნენ და თეიმურაზი დაარწმუნეს, ძირს ჩასულიყვნენ. მთავარი უბედურება მაინც ის იყო, რომ სარდლობა თეიმურაზმა იკისრა, გიორგი სააკაძე კი გარიყული დარჩა. მართალია, ქართველებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, სიკვდილამდე ებრძოლათ, მგრამ ამ გადაწყვეტილებისათვის ჭკუაც უნდა დაეყოლებინათ. ბრძოლა დაიწყო 1 ივლისს. ირანელები კარგად იყვნენ შეიარაღებულები თოფ-ზარბაზნებით. მარტო მეთოფური ჰყოლიათ 12 ათასი. ირანის ბანაკი წინა დღეებშივე აკლებული ჰყავდა ქართველ გმირებს, დავით ჯანდიერისა და აღათანგ ხერხეულიძის პარტიზანულ რაზმებს. დავითიცა და აღათანგიც გმირულად დაეცნენ ამ უთანასწორო ბრძოლაში, გახსოვთ ალბათ:

„მაინც ეს ერთი თეთრონი რა გულსაკლავად ჭიხვინებს,
ბედშავო, ვისაც ეძახი, ვაი, რომ ველარ იხილე!
.....
აღარ გყავს შენი პატრონი, ხერხეულიძე აღათანგ“.

იერიშზე მისულ ქართველ ჯარს 12 ათასი თოფისა და ზარბაზნის ბათქი დაახვედრეს, მაგრამ ამან ვერ შეანელა იერიში: ქართველთა ცხენოსნები შეიჭრნენ ირანელთა რაზმში, პირველ რიგში მეთოფენი მიჟუჟეს და გაფანტეს. ყველა ერთგულად იბრძოდა, მათ შორის თეიმურაზიც, ყველა ეპისკოპოსი და სხვა სასულიერო პირები. გიორგი სააკაძე გამძვინარებულ ლომს ჰგავდა თურმე – სადაც მივარდა, მტერი ირგვლივ შემოიფანტა. ამ ბრძოლაში თოფით ცხენი მოუკლეს, ეს დაინახა ლომი ჩრდილელმა და სწრაფად თავისი ცხენი მიართვა. გიორგი დაედევნა მეთოფურს, აკუწა და მისი ცხენი ჩრდილელს გადასცა.

როდესაც გამარჯვება უკვე ახლოს იყო, მტერს ჩამოეშველა აზერბაიჯანის ხანი თავისი ჯარით. ამ დროისათვის ქართველთა ჯარი შესუსტდა იმითაც, რომ მათი ორი რაზმი ავთანდილ სააკაძისა და დავით ერისთვის მეთაურობით, ირანელთა ლტოლვილ რაზმებს დაედევნა და ბრძოლის ველზე არ იყვნენ. მათ ეგონათ, უკვე გავიმარჯვეთო. ჩამოცხა კიდეც, ქართველთა ჯარი დაიქანცა, განსაკუთრებით ქვეითები და დამარცხდა, უკან დაიხია. ამ ბრძოლაში ქართველებმა 10 ათასი მეომარი დაკარგეს, ყიზილბაშებმა – 14 ათასი. როდესაც დამარცხებული ლაშქარი და მათი სარდლები კოჯრის თავს მოგროვდნენ, ამბობენ, გიორგი სააკაძემ თეიმურაზის წინაშე ხმალი გადატეხა და თქვა: „ასე გადატყდეს მისი ბედი, ვინც დღეს საქართველოს ბედი გადატეხაო“; გაერიდა მთავარ ბანაკს, მაგრამ ბრძოლაზე ხელი არ აუღია.



ბოლნისის სიონი

ბოლნისის ეზოში

მტერი შიდა ქართლში ლამობდა შეჭრას, მაგრამ გიორგი სააკაძემ პატარ-პატარა რაზმები შექმნა და მტერს მოსვენებას არ აძლევდა, შიდა ქართლში არ შეუშვა. ყორჩიბაშმა 12 ათასი მეომარი გამოყო არშის ციხიდან (ხევი) თავისი სიძის, ანდუყაფარ ამილახვრისა და შვილის გამოსახსნელად.
ზურაბ არაგვის ერისთავი, გაუდგა სააკაძეს – ყორჩიბაშს გზა მისცა: გიორგი სააკაძე წიწამურში დახვდა, დიდად აზარალა. მიუხედავად ამისა, ირანელთა ჯარი გადავიდა ხევში და გაანთავისუფლა ამილახვარი; უკან ქსნის ხეობით ბრუნდებოდა და სწორედ აქ დახვდა გიორგი სააკაძე თავისი მომხრეებით. ირანელთა ჯარი მთლიანად გაანადგურეს, სარდლები აკაფეს, გარდა ხოსრო მირზასი, რომელიც მცირე რაზმით და ამილახვრითურთ ბრუნდებოდა თბილისში.
ქართლი და კახეთი გადარჩა მთლიანად განადგურებას.
მარაბდის ბრძოლაში ბევრი გმირი დაიღუპა. ცხრა ძმა ხერხეულიძის გარდა, ამბობენ,რომ აქ გმირულად დაეცა ცხრა ძმა მაჩაბელი და შვიდი ძმა ჩოლოყაშვილი, ასევე ორი ეპისკოპოსიც, ხმლით ხელში, რუსთაველი და ხარჭაშნელი; აღათანგ ხერხეულიძე, დავით ჯანდიერი, ბაადურ ციციშვილი და, ვინ იცის, კიდევ რამდენი. აი, ეს ბალახიც მათ სისხლზეა ამოსული, – დაამთავრა ვახტანგმა. – ამიტომ გაუფრთხილდით ხესაც და ბალახსაც.
- და მაიც, მარქაფა ჯარი არ გამოიყვანა თეიმურაზმაო, რადა?
- რომ ჰყოლოდა, გამოიყვანდა.
ხმა აღარ ამოუღიათ ამაზე.
- არსენაც აქაურია, მარაბდელი...
- ეს მხარე არსენებით არის განთქმული, აგერ, ამ ქედების გადაღმა, სოფელი ჯორჯიაშვილია; ეგ არსენა ჯორჯიაშვილის სახელობის სოფელია, ყუმბარა რომ ესროლა მეფის სატრაპს გრიაზნოვს.
- მე მაგ არსენას შესახებ ერთი ლეგენდა მაქვს გაგონილი: ყუმბარა მაგას, ჯორჯიაშვილს, არ უსვრია, იგი იქ შესწრებია და ნამდვილი მსროლელი რომ გადაერჩინა, თავისთავზე დაუბრალებია, მე ვესროლეო.
- ვითომ რადაო?
- ის რომ გადაერჩინა!
- თვითონ ხომ იღუპებოდა?
- ლეგენდის სილამაზეც სწორედ ესაა.
- ვითომ ეგრე იყო?
- მე ხომ ვთქვი, ლეგენდაა მეთქი. ხალხს უყვარს კეთილშობილი გმირები.
- უჰ, აზეულავ და კოჯრის[7] ციხევ! – გაიხედა ვახტანგმა დიდი ქედისკენ, – „ბევრი გინახავთ, ბევრი გაგიგონიათ, მაგრამ ხართ უტყვნი“, – თქვა და გამოსწიეს თავის გზაზე.

ბოლნისის ნათელი

„ერთხელ კი ჩვენაც ვყოფილვართ,
კაცნი და გულნიც გვდებია,
ღირსეულ შვილთა უთელავთ
სამშობლოს მინდორ-მთებია“.

ვაჟა

- ესეც ნახიდური, ვახუშტი ხომ ამბობს, „ქცია ეძანს დახრამდებისო“... „ხოლო ნახიდურს ქვევით დის ქცია გაშლით მინდორსა ზედა“... სწორედ ეს ადგილია.
- აი, ხედავთ, ქვევით ხეობა დაცემული მინდორია.

მდინარე ქცია ეძანიდან ყველაგან ვიწრო ხრამს კი არ ქმნის, ზოგან ხეობის მაგვარად ოდნავ გაშლილია. ამ ადგილისათვის იგივე ვახუშტი ფრიად საინტერესო ცნობას გვაწვდის.
„ხოლო სამშვილდეს ქვევით ქციის ხრამი ნახიდურამდე უმეტეს განიერი, აქ ნაყოფიერებს სხვა ადგილთაგან მეტად ბროწეული, ლეღვი, ზეთისხილი და სხვანი ხილნი“.
„განაღამცა ზამთარი არს თბილი და გაზაფხული ფრიად ცხელი, რამეთუ ზამთარს შეშა არა უხმს“... ამ ადგილებს ცოტა ხანში უფრო ახლოს ვნახავთ კიდევ, – დაჰპირდა მინდია.
- ზეთი ხილი ახლა არის?
- ამჟამად ამ ხეობაში არც ზეთისხილია, არც ბროწეულის ბაღები. ორი რამ შეიძლება იყოს ამის მიზეზი, იყო ოდესმე, ალბათ, ფრიად მკაცრი ზამთარი, გაყინა და მერე აღარ გაავრცელეს, აღარ დარგეს. მეორე მთავარი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ XVIII საუკუნეში თურქთა და ლეკთა თარეშმა ხალხი ამოწყვიტა, გაპარტახდა მხარე. მართალია, ერთგან ელები დასახლდნენ, მაგრამ ელები უფრო მომთაბარე ხალხი იყო, მესაქონლე, ჩვენი ტრადიციებისა მათ არა გაეგებოდათ რა, ხეხილზე მაინცა და მაინც გული არ მისდიოდათ. ეს მხარე ვენახებით ძველთაგანვე იყო ცნობილი, სოფელს „რატევანი“ ტყუილად ხომ არ ჰქვია, აქაური ვაზი განსაკუთრებით მსხვილმარცვლიან დიდ მტევნებს ისხამს, „რატევანიც“ უთუოდ იმიტომ დაერქვა სოფელს. ღვინოც კარგი იცის, კარგი დგება აქაური ღვინის სპირტისგან კონიაკიც.
ძველი სიგელ-გუჯრები, წიგნები და სხვა დოკუმენტები რომ გადაათვალიეროს კაცმა, ძალიან მალე აღდგება სია იმ კულტურული მცენარეებისა, რომლებიც ქვემო ქართლისთვის იყო დამახასიათებელი.
ეს გახლავთ მშრალი სუბტროპიკული მცენარეების მხარე; აქ აშენებდნენ და მოჰყავდათ: ზეთისხილი, ბროწეული, ლეღვი, ფსტა, ნუში, გარგარი, ყაისი, ჭერამი, ალიბუხარი, ყველანაირი ქლიავი, ბალი, ალუბალი, ზღმარტლი, ატამი, ვაშლატამი, ვაშლი, ხომანდული, მსხალი, კომში, ყურძენი მრავალნაირი. მინდორში ითესებოდა ბრინჯი, ბამბა; ხორბლეულიდან უმეტესად: თავთუხი, შავფხა, წითელი დოლი, თეთრი დოლი; მთისკენ: ქერი, დიკა, ასლი, ორმარცვალა ასლი, შვრია, ფეტვი, ჭადი. გარდა ამისა, აქაურ კაცს მოჰყავდა ოსპი, მუხუდო, ბარდა, ცულისპირა, ცერცვი, უგრეხელი, ლობიო; ბოსტანში – ხახვი, ნიორი, პრასი, კომბოსტო, კეჟერა, ისპანახი, ჭარხალი, თვის ბოლოკი, წლის ბოლოკი, თალგამი, ქინძი, კამა, ოხრახუში, ნიახური, ქონდარი, რეჰანი, ტარხუნა. ჭალებში, ე. წ. ბაღებში, ეთესა ნესვ-საზამთრო, გოგრა; XVIII საუკუნიდან – სიმინდი, პომიდორი, ბადრიჯანი; ღობეებზე აშვებული იყო აყირო, ბოსტანში ნახავდით ინას, ხაშხაშს, ზაფრანას, წიწაკას (სამშვილდე და მისი მიდგმა სოფლები სახელგანთქმულია წიწაკით, შემოდგომის პირზე სოფელში რომ ჩაივლი, აივნები წითლადაა აყვავებული, გეგონებათ წითელი დროშები გამოუკიდიათო)... ვენახი ხომ დიდი განძი იყო ქართველი კაცისათვის, ამის შესახებ არაერთხელ გვითქვამს. ვენახიანი გლეხისათვის გაყრისა თუ სხვა საქმეზე კანონი სხვანაირად მსჯელობდა: ვახტანგის კანონთა მე-100 მუხლი აი, რას ამბობს:
„§ 100. გაყრაში ეს ოთხი არის: საუფროსო, გასამყრელო, საუმცროსო და საშუალო, საუფროსო ასრე არის და ასრე უნდა: რისაც ან აზნაურისა, ან გლეხისა პატრონნი იყვნენ, უმამულოს ბოგანოს გარდაისად, ყველა ივანს აანუსხვინონ, იანგარიშონ. რამდენი კომლიც დადგეს, ოც კომლზე ერთ უკეთესს, რომელიც უნდა, უფროსი გამოირჩევს და ერთს უარესს სხვა ძმები, რომელიც იმათ უნდა, იმას მისცემენ და რამდენიც ოცი კომლი ეყოლების ყველაზე ასე იქმნენ. დარჩების ბოგანო და იმაზედაც ასრე უნდა იქნას. (მაგრამ ბოგანო იმას ქვიან, რომ ვენახი არა ქონდეს და თვით სახლი და რჩომის ალაგი ექნების და მიწა ან ექნების და ან არა. ამგვარი ბოგანო იმ ზეითს გლეხებში არ ჩაითვლების), ამაზე ცალკე ააღებინონ. (ვენახის მქონე გლეხს ბოგანო არა ქვიან, რაგინდ სხვა მამულანაკლებ ქონდეს)“.
ამ ბოლო დროს ბაღები კვლავ აღდგა, მაგრამ ლეღვის, ზეთისხილისა და ბროწეულის ბაღები ჯერ არ ჩანს. არ ჩანს ფსტაც. გარდა ამისა, ძველად ფართოდ იყო გამოყენებული ველური ბუნებრივი საწარმოო ძალები. სულხან-საბა ორბელიანის ძმის, ვახუშტის (რომელიც სპარსეთში გარდაიცვალა 1711 წელს) წერილი არსებობს, რომელშიც აღწერს, რომ მის ქარავანს, რომელსაც სპარსეთში ენდრო მიჰქონდა, მეკობრეები დაეცნენ და გაძარცვეს. მაშასადამე, ენდრო საექსპორტო ნედლეული ყოფილა. ველურად ამ მხარეებში ბევრი იზრდება, განსაკუთრებით იქ, სადაც ძეძვია გავრცელებული. ძეძვიანებში დიდი რაოდენობით კრეფდნენ წითელ სატაცურს, ჭალებში თეთრს ანუ ლამურ სატაცურს. სატაცური ღირსეულ ფხალად ითვლებოდა. ლამური სატაცური, ზოგან, ბაღებში, ნესვ-საზამთროს მინდორში მოშინაურების გზასაც კი ადგა.
ველური ხილეულიც ბევრგან გვხვდება; მთის ფერდოთა ტყეებში ცოტა არაა მაჟალო, პანტა, ტყემალი, ზღმარტლი, კვრინჩხი, გარდა ამისა, ჭალებში ბევრია ქაცვი.
ქაცვი ჩვეულებრივად გამოყენებული იყო ჯალჯის ღობედ. „კაცი კაცითა, ღობე ქაცვითაო“. ქაცვი ეკალსაც ნიშნავს, გარდა ამისა, ქაცვს იყენებდნენ ცოცხალ ღობედაც. უკანასკნელ ხანში ყურადღება მიექცა მის ნაყოფსაც, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს სხვადასხვა ვიტამინს, წნევის დამწევიც არის, ამზადებენ წვენს, მურაბას, ჯემს. შორს არ არის ის დრო, როდესაც ჭალებში, რიყეებზე, გავაშენებთ ქაცვის ბაღებს.



ქვეშის ციხე

გვირილა კიანეთში

შვინდისაგან კეთდება მურაბა, წვენი, კერკი, ჩურჩა.
ვაკის ტყეები აღარ არის; მათ ნაცვლად ბაღ-ვენახია, სახნავ-სათესი; ფოლადაურის, ალგეთის, ქციის ნაპირებზე ჭალის ტყე ახლაცაა, მაგრამ ფრიად შემცირებული (გრძელყუნწა მუხა, ხვალო, ოფი, ტირიფი), მთის ფერდობზე კი – ქართული მუხა, რცხილა და ზევით, მთაში – წიფელი, ამ ტყეებში შერეულია იფანი, ცაცხვი, თელადუმა, თამელი და მისთანები. ხრიოკებზე და ცხელ ადგილებში კი შირაქის ნათელი ტყეების წარმომადგენლებია: საკმლის ხე, ქართული ნეკერჩხალი, აკაკი, ბროწეული, ლეღვი...
რაკი აქა ვართ, ორი რამეც უნდა ვთქვათ, – გააგრძელა მინდიამ, – აი, ხედავთ, ნახიდურის ზევით, ქციის მარცხენა ნაპირიდან, ვახტანგ VI გამოიყვანა დიდი არხი ქვემო ქართლის მინდვრების მოსარწყავად. ეს არხი წითელ ხიდამდე ჩადის, წინათ მას ქართველების არხი ერქვა, ელებმა „გიაურ არხი“ – „ურჯულოების არხი“ უწოდეს, დღეს შეიძლება ვახტანგის არხი ეწოდოს.
ძველადაც არხების მშენებლობას სახელმწიფო ედგა სათავეში. წყლის მეურნეობის საკითხები კანონმდებლობით იყო მოგვარებული.
„წყალი ასრე, რომე სადაც ხელმწიფე წყლისა და რუს გატანას მოინდომებს, ქვეყნის შენობისა და პურის მოსავლისათვის იქს, რომე კოდის პური არ დააკლდეს, და სადაც ეპრიანების, რუს თავს ვერავინ დაუშლის, სადაც რუ მოიხდენს; ვენახი თუ ხოდაბუნი რაც დახვდების, გასჭრის და გაატარებს, რომელს სოფელსაც უბოძებს და დააჩემებს იმ წყალს, ერთი მეორეს ვერ შეეცილება, მას უკან სათავის კეთება და რუს ამოწმენდა არავისგან დაიშლება (§170)“.
აი ვახტანგ VI კანონთა კრებულის კიდევ ერთი მუხლი:
„რუს გამოღებისას რომ შუაში სხვისი მამული ედვას, იმ შუა მამულის პატრონს არა გაუკეთდება რა, ფასი უნდა მიეცეს და იმასაც გაუკეთდება რამე, და კარგად შერიგდნენ“.
სწორედ ამიტომ იყო, რომ არხების კეთება მეფის ოჯახის წევრების ზედამხედველობით ხდებოდა.
ეს წესი სარწყავი რუს კეთებისა, როგორც ადათი, ოქტომბრის რევოლუციამდე დარჩა. როდესაც დიდი ლიახვიდან თორტიზელებმა სარწყავი არხი გაიყვანეს, მემამულეები იძულებულნი იყვნენ, დაეთმოთ და არხი გაეტარებინათ.
- ზოგი მერე მოვყვეთ, თორემ ერთად მოგწყინდებათ, – თქვა მინდიამ, მანქანა უკან შემოაბრუნებინა და ქციის მარცხენა ნაპირით, იქვე უზარმაზარ ციხე-გალავანთან დააყენებინა.
- ეს ციხე-გალავანი ბევრითაა საინტერესო, თუნდაც იმით, რომ დარეჯან დედოფლის, ერეკლე II მეუღლის აშენებულია 1788-1798 წლებში. ეს ციხე-გალავანი უმთავრესად მოსახლეობის თავშესაფარი იყო მარბიელი ჯარის გამოჩენის დროს. რადგან მას რამდენიმე ჰექტარი ფართობი უჭირავს, აქ შეიძლებოდა შემორეკილიყო „ხვასტაგი, არვე და რემა“; ციხის გალავანი ორსაფეხურიანია, პირველი საფეხური სქელია, ზედ აშენებულია

მეორე საფეხური სათვალთვალოებითა და ქონგურებით; მის წინ პირველი საფეხურის კედელი იმდენად განიერია, რომ ზედ ურემიც გაივლის; ნავარაუდევია ზარბაზანი და, სწორედ ამიტომ, საზარბაზნე ქონგურებიც არის დატანებული: კუთხეებში კუთხის კოშკებია. კედლებში კი ამოყვანილია კედლის მრგვალი კოშკები (სამხრეთით და ჩრდილოეთით 5-5, აღმოსავლეთით და დასავლეთით 4-4).

ეს ციხე-გალავანი, მართალია, დარეჯანმა ააშენებინა, მაგრამ ადგილი მეფის რჩევით უნდა იყოს არჩეული, რადგან ის გზას უღობავს სამხრეთიდან წამოსულ მტერს. ასე ფიქრობენ ჩვენი ისტორიკოსები, ერეკლე სამხრეთს უყურადღებოდ მაინც არ ტოვებდაო.

წყალი ქციისაკენ გაყვანილი გვირაბით შემოჰქონდათ ალბათ; შემთხვევით არ არის აგებული მდინარის პირას. გარდა ამისა, ციხეში გათხრილ ჭაშიც წყალი უკლებლივ იქნებოდა.

- საერთოდ, – განაგრძო მინდიამ, – ქცია ბევრი რამით იყო სასარგებლო ძველადაც და ახლაც; უპირველეს ყოვლისა, მდიდარი იყო თევზით. ლურჯა, ფიჩხული, ხრამული, მურწა, ციმორი, ჭანარი, ქაშაყი, სათავეებში – კალმახი ულევად იყო. ტოფობის დროს ორაგულიც ამოდიოდა კასპიის ზღვიდან. ქცია მტკვარს წითელი ხიდის ქვევით უერთდება, აქ კი ის საზღვარია აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის (ყაზახი, – ძველად ცნობილი თარაქამული საქონლით, – აქ იწყება).

მარნეულის ქვევით ბაიდარია, სადაც ერეკლე მეორე, შვილების დახმარებით ცდილობდა, არხი გაეყვანა, შემდეგ გიორგი XII გააგრძელა; იულონ ბატონიშვილი, ერთ-ერთი შვილი ირაკლისა, გიორგი XII მეფობის უკანასკნელ წელს სწერს იოსებ მიშკარბაშს[8]:

„ამ ბაიდარელებს ვის ამწყრალებ, რომ ერთხელ იქ არ გაივლი და იქაურობაზედ თვალი არ გიჭირამს? თუ ჩვენ გვამწყრალებ? ახლა შენ ბაიდარში უნდა ჩახვიდე და არხი აამუშავებინო. ჩვენც ბატონის მეფისთვის წიგნი მიგვიწერია და მაგ არხის სამუშაოთ გატეხილ ხიდის ზევით მუშა ვთხოვეთ, ღვთით იმედიცა გვაქვს, რომ გვიბოძებს და ჩვენის ძმის ალექსანდრესთვის წიგნი მიგვიწერია, რომ შულავერიდამ მუშას მოგვახმარებს. ახლა, როგორითაც შენის ერთგულებისაგან ვიცოდეთ, ისე ბეჯითათ უნდა მოიქცე და ეგ არხი გამოატანინო. ჩვენ აქ ცოტა რამ სამუშაო საქმეები გვაქვს და ამას რომ მოვრჩებით, ღვთის მოწყალებით, ჩვენც მაინთ წამოვალთ.

„შენ ჩვენს ჩამოსვლას ნუ მოუცდი, რაც შეძლო, არხი ამუშავებინე. დააშურე დროზედა“[9].

ძნელბედობის დროსაც კი არხზე ზრუნავდნენ.

მიაქციეთ ყურადღება „იოსებ მიშკარბაშს“. მიშკარბაში მონადირეთა უხუცესია.

ბაიდარშია, ესე იგი იქ, სადაც რამდენიმე მდინარის შესაყარია, ფოლადაურის, ქციის, ალგეთისა და მტკვრისა. ეს ადგილები ზამთარშიც ფრიად ზომიერ ჰავიანია. აი, ეს ადგილები წარსულში როგორი იყო: „ქალაქი ქართლოს, პირველი ეწოდა მტკვრის ციხე. შემდგომად ხუნანი, და აწ მოჰმადიანნი უხმობენ ქალისციხე-ყიზყალას, დაბის გამო. პირველმა მეფემან ფარნაოზ ჰყო საერისთაოდ, ვინათგან იყო ქალაქი და ნაპირი ადგილი. შემდგომად ყრუსა მოოხრდა ქალაქი, და ციხე იყო აქამომდე. აქა არს ნახიდვარი. 200(ს) აღაშენა მეფემან როსტომ ხიდი ქვითკირისა, დიდშვენიერი, რომლისა სვეტსა შინა არს სახლი შვენიერი, მჭვრეტი ამიერ და იმიერ მდინარისა. სივრცე ხიდისა 10 მხარი. აქა და იქით ქციის კიდესა ზედა ფუნდუკნი დიდნი და კეთილნი, თლილის ქვისანი. ხუნანი ველსა შინა არა იყო ნაყოფი უწყლობით. – მეფემან ვახტანგ გაიტანა რუ ქციისა ნახიდურის ბოლოდამ და აღაშენა დაბნები, და ნაყოფიერად ფრიად.

„ხოლო ადგილთა ამას პირველ ეწოდებოდა წყალთა შუა და აწ ბაიდარი[10]. არამედ არს ფრიად ნაყოფიერი ადგილი ესე, ნაყოფიერებს ყოველნი მარცვლოვანი თესლთა, ხილნი წალკოტთა დ მტილთა უცთური და მრავალი. აბრეშუმი, ბამბა მრავალი. პირუტყვნი აქლემიდან თხამდე ყოველნი, ფრინველნი გარეულ-შინაურნი ყოველნი აურაცხელნი, და ფრინველით სანადირო წარჩინებული ყოველთაგან“.

აი, რატომ იყო იოსებ მიშკარბაში სწორედ ბაიდარსა და მის მახლობლად. აქ, როგორც ვთქვი, თავშესაყარია რამოდენიმე მდინარის, რომლებიც მდიდარია მრავალნაირი თევზით. გადაფრენის დროს აქ თავს იყრის აუარებელი ფრინველი (წერო, ყანჩა, ბატი, მრავალნაირი იხვი), შემოდგომით, უკან რომ ბრუნდებიან, აქ დიდხანს ჩერდებიან და ზოგი გუნდი ზამთარსაც აქ ატარებს.

ამიტომ იყო ეს ადგილები „სანადირონი კეთილნი“ და ამიტომაც იყო აქ მონადირეთუხუცესი; ამ მიშკარბაშს სანადირო მხარის მოვლა-პატრონობა და მოურავობაც ეკისრებოდა.

გატეხილი ხიდი შესანიშნავია იმითაც, რომ საზღვარი აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის მასზე გადის. გატეხილ ხიდთან, მეორე ტერასაზე, იზრდება ქართული ზამბახი. საქართველოში დღეს ყველაზე მდიდარი ადგილსამყოფელი ესაა. თბილისის მიდამოებიც მდიდარი იყო, მაგრამ აქ თითო-ოროლაღა დარჩა. ქციის მარჯვენა ნაპირზე მრავალნაირი ზამბახი გვხვდება.

მინდია გაერთო თავის საყვარელ მცენარეზე საუბრით, თემურს კი გეზი ბოლნისისკენ ჰქონდა აღებული და ეს ამბები იქამდე ეყო კიდეც.

ბოლნისი კარგად მოწყობილი რაიონული ცენტრია, ადმინისტრაციული სახლის წინ სულხან-საბა ორბელიანის ძეგლი დგას. ბიჭებს მოეწონათ. ლელას ნახიდურამდე მოკრეფილი ყვავილების თაიგული ეჭირა, აათვალიერ-ჩაათვალიერა, გადმოხტა მანქანიდან და ძეგლს ფერხთით დაუდო.
გასული საუკუნის 50-იან წლებში სოფ. რატევანის მახლობლად დაასახლეს გერმანელები. დიდხანს ამ დასახლებასაც „რატევანს“ უწოდებდნენ, შემდეგ კი ეკატერინეფელდი დარქვეს. ეკატერინეფელდი ლუქსემბურგმა შეცვალა, შემდეგ კი, 1953 წლიდან, ბოლნისი ეწოდა
მთავარი ქუჩის ნახევარი რომ გაიარეს, მხარმარცხნივ ჩაუხვიეს, გავიდნენ მაშავერას ჭალაზე და მდინარე ხიდით გადაჭრეს. გზა პატარ-პატარა გორაკებსა და მთის კალთებშორის მიდიოდა, რომელიც ძეძვით იყო დაფარული, ზოგ კონუსისებრ გორაკზე კოშკიც იყო აღმართული.
- აქაც იღვრებოდა დიდი სისხლი...
- ბიჭო, მეწინავე დროშა ტყუილად როდი იყო!
მანქანა მალე ქვემო ბოლნისში შევიდა და გაჩერდა უზარმაზარი ბაზილიკის გალავანთან. მანქანიდან საჩქაროდ გადმოვიდნენ.
აღფრთოვანებით შესცქეროდნენ უზარმაზარ შენობას, აოცებდათ კედლები, ლაჟვარდოვან– ზურმუხტისფერი, თანაბარი, ლამაზი, თვალს რომ არ ღლის და მოუწოდებს მნახველს: ღრმად ჩამხედე, ჩემი სილამაზე სიღრმეშიაო.
ბოლნისის სიონი სამნავიანი ბაზილიკაა.
საერთოდ, შენობა უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს გრანდიოზულობით. ის 20 წელი უშენებიათ, 478 წლიდან 498 წლამდე.
ეს ძეგლი ჩვენთვის საინტერესოა იმითაც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე უძველესი წარწერა აქაა შემორჩენილი, მრგვლოვანი ასომთავრულით ნაწერი.
ამ ოციოდე წლის წინ პირველობა წაართვა იერუსალიმის ტაძრის ნანგრევებში იატაკზე აღმოჩენილმა მოზაიკურმა წარწერამ, რომელიც რამდენიმე ათეული წლით უსწრებს ბოლნისის წარწერას.
- მაშ, მაშთოცის თეორია იერუსალიმმა დაამარცხა.
- რასაკვირველია, როცა იერუსალიმის წარწერა იწერებოდა, მაშთოცი სულ ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, ისეთ თვითმყოფად ანბანს, როგორიც ქართული და სომხური ანბანია, ერთი ხელის დაკვრით ერთი კაცი ვერ შექმნის. ასეთი ანბანი საუკუნეთა მანძილზე ყალიბდება და იქმნება, მთ შორის სომხურიცა და ქართული დამწერლობაც.
- მოდით, აქ, მოდით, ნახეთ.
- აი, ლომებს მოუმწყვდევიათ ჯიხვი, მერე კი მოუკლავთ. ერეკლე მიუთითებდა ერთ ნაქანდაკევზე, რომელიც სვეტის თავზე იყო ამოკვეთილი.
- ბოლნისია ის ტაძარი,სადაც პირველადაა გამოყენებული კედლის სამკაულები. აქაური ჯვარი ისეთი ორიგინალური და თავისებურია, რომ მას „ბოლნური“ ეწოდა.
ერეკლე და ვახტანგი, ქვაზე ჩამომსხდარები, მიწას დასცქეროდნენ.
- თქვენ რა, მოათავეთ?
- რა მოვათავეთ, დგას ერთი ტაძარი განმარტოებით, ქრისტიანობაც რომ აღდგეს, კაცი მლოცველი არავინ შევა, ქართველი კაცი ირგვლივ არ ჩანს.
- ამ ფაქტს დიდი პროცესი უსწრებდა წინ.
მინდია შეფიქრიანდა. თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა. ბოლოს თქვა:
- ეს მხარე ლორე-ბამბაკიანად სომხითად იწოდებოდა. აქაური კაცი სომეხი იყო. ისე, როგორც ქართლიდან – ქართლელი, კახეთიდან – კახელი და სხვა. ახლანდელ სომხურ ენაში (და ძველშიც) სიტყვა სომეხი არ არის. სომხები თავის თავს არმენებს უწოდებენ, თავის სამშობლოს კი – არმენიას ან ჰაიასტანს. მას შემდეგ, რაც მუსულმანური ქვეყნები ამხედრდნენ და ჩრდილოეთისაკენ მოიწევდნენ, სომხებმაც დაიწყეს მიგრაცია და ნელა, მაგრამ მაინც დაიჭირეს ლორ-ბამბაკი, მაშავერას ხეობა და ადგილობრივი მცხოვრებნი, სომხები – აქაური ქართველები – შეცვალეს. თანამედროვე სომხითში მცხოვრებლებს ქართველები მაინც სომხებს უწოდებდნენ და ეს ადგილობრივი სახელწოდება გადაიზარდა არმენების ქართულ სახელწოდებად. შემდეგში, განსაკუთრებით XVI საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც შაჰ-ბასმა რამდენჯერმე აიკლო და გაატიალა აღმოსავლეთ საქართველო, დიდი ჯაფა დაადგა სომხითს, მეწინავე სადროშოს, ქვემო ქართლს; ის მრავალ ურდოთა სათარეშო გახდა. ერთი მხრივ სპარსელები, თურქები, მორე მხრივ – ლეკები. ერეკლემ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო, განსაკუთრებით სომხითი იყო გატიალებული, ხალხი თუ იყო, იმალებოდა მაშავერას, ფოლადაურის, ალგეთისა და ქციის ხრამის კანიონებში არსებულ გამოქვაბულებში. XVIII საუკუნის ორმოციან წლებში ერეკლე II თურმე ბრძანება გამოსცა:

- „ვინც სომხითში დასახლდება, ათი წლით ყოველგვარი გადასახადისგან ვათავისუფლებო“.
ხალხის დასახლების მესვეურობა ერეკლეს მეუღლემ, დარეჯანმა, იკისრა. ის ხომ დიდი კომერსანტი ჩანს, სამღებროების მონოპოლიაც მას ჰქონდა, მეფის სიცოცხლეში მრავალ ვენახს „დარეჯანის ვენახი“ ეწოდებოდა, ყოველივე ამას თვითონ უძღვებოდა თავისი მოურავებით.
და აი, 1788-1798 წლებში მან ააშენა ქციის მარცხენა ნაპირას, ნახიდურთან, ქოლაგირის ციხე, რომელიც დღეს ნახეთ. მტრის თარეშის დროს ხალხი თავისი საქონლით თავს აქ აფარებდა. ციხე დიდია, მაგარი. ის დაიტევდა რამდენიმე ათას კაცს და მრავალ პირუტყვს. დარეჯანმა, პირველ რიგში, ელები და სომხები დაასახლა და შეუქმნა სოფლები; ქართველობაც გამოვიდა სამალავიდან, მაგრამ საქმე ისაა, რომ, ჯერ ერთი, ცოტანიღა იყვნენ, მეორეც, საქართველოს სახელმწიფო გაუქმდა. ამ დროისათვის ეს მხარე კვლავ გატიალებული იყო. ერეკლესა და დარეჯანის ღონისძიებამ შედეგი ვერ გამოიღო და მეფის სარდალმა პასკევიჩმა 1828-30 წწ. თურქეთიდან ლტოლვილი ბერძნები და სომხები დაასახლა ქართველთა ნაოხარზე სომხითში და ჯავახეთში.
ერეკლემ ახედა ტაძარს და მიუბრუნდა თანამგზავრებს:
- იცით, აი, ახლა რა მომეჩვენა?
-?!
- ბნელი, ბნელი ღამე იყო, ამ ბნელ ღამეში, 15 საუკუნის მიღმა, იდგა ეს ტაძარი და ანათებდა ბრდღვიალა ნათელი სხივებით...
- ასეა ჩვენი ისტორია, ჩვენს გრძელ გზაზე ხან ბოლნისი ანათებს, ხან ჯვარი, ხან დავითი, ხან რუსთაველი და საბა, ხან კიდევ ვაჟა და...
- ძნელი და მძიმე იყო ამ მხარის ისტორია, მაგრამ XIX საუკუნეში ამ მხარემაც მოგვცა ადამიანი, რომელიც საბასავით ბრწყინავს.
- ვინ? – იკითხა ერეკლემ.
- ნიკოლოზ ბარათაშვილი, ბიჭო...
- რა ვიცი, ის თბილისელი მგონია.
- აქაურ ორბელიანთა შტოა; ბარათა ბარათაშვილისა.
- გარდა ამისა, აქაც იბადებოდნენ არსენები.
- ჯორჯიაშვილი?
- მარტო ის რადა, მისი წინამორბედი არსენა ოძელაშვილი? ტყუილად არავის უმღერებს ხალხი:
„აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“.
ამ საუბრით და დანანებით მოსცილდნენ ბოლნისის ეზო-ყურეს. რასაკვირველია, ამ მხრიდან ისე ვერ წავიდოდნენ, რომ წუღრუღაშენის ეკლესიაც არ ენახათ. მდინარის მარჯვენა ნაპირას, მთის ფერდობზე ყელმოღერებულმა ეკლესიამ აღტაცებაში მოიყვანა ახალგაზრდები.
- ხუროთმოძღვარს გრძელკისერა ქალები ჰყვარებია, – თქვა ვახტანგმა.
-??
- ვერ ხედავთ, გუმბათს ყელი როგორ წაგრძელებია, გეგონებათ, ცაში უნდა მისი ატყორცნა.
- მართლაც, ასეთი გრძელყელიანი გუმბათი, ისნის საყდრის გარდა, არსად მახსოვს, – დაეთანხმა ერეკლე.
- ფიტარეთსა და ბეთანიას ჰგავს.
- მათზე ცოტა პატარაა, – შეეშველა მინდია.
ეწყინათ, რომ გზის მშენებლებს ანგარიში არ გაუწევიათ ამ ძეგლისათვის და კლდის ანაფეთქი ლოდები ეზოშიც კი ეყარა, არც ძეგლთა დაცვის წარწერა ჩნდა სადმე.
აღფრთოვანდნენ ტაძრის გარეგანი მორთულობით და ჩუქურთმებით.



გვირილა კიანეთის მინდორში



გვირილა ახლადგაშენებულ ტყის ზოლში

დასავლეთის ფასადს ორი სარკმელი ამშვენებს, რომეთაც ორხაზოვანი დეკორაციული თაღი აქვს გადავლებული და მთლიანად მოჩუქურთმებულია; ჩუქურთმის ხვეულები ერთმანეთისგან განსხვავდება. ეს შინაგანი ასიმეტრია გარეგან სიმეტრიულობას მაინც ქმნის. ორი სარკმლის შუა აღმართულია გრძელი, ჩუქურთმად ქცეული ჯვარი, რომელსაც კედლის სიმაღლის ნახევარზე მეტი უჭირავს. ფიტარეთის და ბეთანიის მსგავსად, ესეც მეცამეტე საუკუნით თარიღდება. აგებულია 1213-1222 წლებში.
ტაძარს შეკეთება სჭირდება, კედლები ბევრგან დაბზარულია.
- ეჰ, ჩემო ვახტანგ, რომელი არ არის შესაკეთებელი, მაგრამ ჯერ ყველგან ხელი არ მიგვიწვდება.
- არა, მაინც არ ვიყენებთ ყველაფერს.
ცოტა არ იყოს, დაღონებულებმა ამოჭრეს მდინარის ნაპირიდან მთავარი გზისკენ და მინდიამ აქაც გადაუხვია გზიდან.

საბას ნასახლარი

დიდო მოხუცო, სამშობლოსათვის
იბრძოდი სულის ამოხდომამდი.
გ. ლეონიძე

სანამ ქვეშში შევიდოდნენ, მთავარი გზა გადაკვეთეს და ლუკუნის ქედის გვერდით ძირით სასოფლო გზას აჰყვნენ, გაუარეს ძველ ქვეშს და სულხან-საბა ობელიანის მშობლიურ სოფელ ტანძიაში შევიდნენ.
პატარა ბაზილიკასთან საბას მარმარილოს ძეგლის წინ მოიხადეს ქუდი და ერთხელ კიდევ პატივი სცეს წარსულის დიდ მოჭირნახულეს, მოამაგეს, მუხლჩაუხრელ მოღვაწეს, საქართველოს მამად წოდებულ მოქალაქეს.
- ხომ გვყავდა მრავალი დიდი მოღვაწე, საბასთანა თუ იყო ვინმე?
- რომ გადაავლო თვალი ჩვენს წარსულს, უეჭველად ნახავ. ყველას თავისი დრო აქვს.
- იცით რა, ბიჭებო! დავით გურამიშვილიც უდიდეს მოქალაქედ მიმაჩნია. წარმოგიდგენიათ, ორმოც წელზე მეტი იცხოვრა უცხოეთში, არც სამშობლო დაივიწყა, არც ქართული ენა, პირიქით, გაამდიდრა ის, განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა და სამშობლოს დაუტოვა შეუდარებელი დავითიანნი.
- ვაჟა ტყუილად არ იტყოდა:
შენ ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო...
.....
მიშველეთ შენ და შოთამ,
მგოსნობა გამიძრახაო...
.....
დაჩოქილი ვარ თვენ წინა,
ვით ერთი ვინმე გლახაო.
არ აცლიდნენ ერთმანეთს.
შალვამ მინდიას გადახედა.
- ბიჭებო, კმარა, წავიდეთ.
მინდიას მითითებით, სოფლის ორღობიდან თემურმა მანქანა ჩრდილოეთით გაიყვანა, გორის ფხაზე დადგა. აქედან ქციის ხეობა დაინახეს. მინდია შეჰპირდა, სამუშაოს რომ მოამთავრებდნენ, ამ გზით დაბრუნდებოდნენ.

აქვე იყო ხულუტის ციხე და ორბელიანთა ერთ-ერთი საძვალე, შეუდარებელი ფიტარეთი, რომელიც ქციის აღმა, აქედან ხუთ კილომეტრზეა.
სოფელ დარბაზზე ჩამოივლის გეტის ხევი და სოფელ ქვეშთან ერთვის მაშავერას. მოვუსმინოთ ვახუშტის:
„დბანის ქვეით არს ჩრდილოთ კერძ ხინწის–ხევი, მას ქვეით დაბა აბულმუგი. აქ ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაჟვარდისა[11]; ამას ქვეით, სამხრეთიდამ მაშავერს ერთვის ბალიჭის ხევი, ლოქიდამ გამომდინარე; არს ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა ნაყოფიერი, არამედ ლოქის კერძოთ ვითარცა დბანის ხევი. მას ქვეით ერთვის გეტის–ხევი და ქვეშის ხევი; გამოსდის ლუკუნს, ერთვის ჩრდილოდამ მაშავერს, ეგრეთვე ნაყოფიერებითა. ქვეშის ციხე არს მაღალს კლდესა ზედა მდგომი, ჰავითა და თვალთათვის მშვენი, წყარო კეთილი. მას ქვემოთ ხეობა კაზრეთისა, სამხრიდამ მიერთვის მაშავერს, გამომდინარე ლოქისავე, ესეცა ეგრეთივე, ვითარცა ხეობა ბალიჭისა“...
- აგერ, კაზრეთი, მაშავერს გაღმა, ეხლა მას ვეღარც იცნობთ. იქ უკვე აშენდა სპილენძის საბადოს გამამდიდრებელი ქარხანა, იქმნება ახალი ინდუსტრიული ცენტრი. მისი ისტორია ათიოდე წლის წინ დაიწყო.
ამ მხარის დღევანდელი საფარი ფრიად საინტერესოა. იმ ლავებმა, რომლითაც დაფარულია ზურტაკეტი და წალკა, აქაც ჩამოაღწია.
მაშავერის ხეობით ბალიჭებამდე ჩამოსულია ანდეზიტისა და ბაზალტის ლავური ნაკადი; მეორე ასეთი ლავური ნაკადი, თრიალეთიდან წამოსული, ქვემო ქართლის ჩრდილოეთით მდებარეობს და ქციის ორივე ნაპირით ვაკემდე უწევს, ამ ლავებითაა შექმნილი თაფანისა და დურნუკ-წინწყაროს პლატოები. ქვემო დუმანის სამხრეთით (გორა-შახნაზარ-ყარაბულაღი) გვხვდება ქვიშაქვები, კონგლომერატები და კირქვები. ცენტრალურ ნაწილში გავრცელებულია ზედა ცარცი (კირქვა, მერგელი, ტუფი, ტუფო-ქვა-ქვიშა).
მდინარის ხეობებში და გავაკებულ ადგილებში ჩვეულებრივია მეოთხეულის და თანამედროვე ნალექები. ვაკეზე გავრცელებულია ალუვიური ნიადაგები. ზოგან ბიცობი და მლაშობიც შეიძლება შეგვხვდეს. გვერდის ძირისკენ მას ენაცვლება წაბლა ნიადაგები, მთების შუა სარტყელში კი ტყის სხვადასხვა ტიპია გავრცელებული, უმთავრესად ყომრალი. ზეგნებზე დეგრადირებული შავმიწა ნიადაგებია, მთის მწვერვალებზე კი – ალპური ხირხატიანი და ნახევრად ტორფიანი ნიდაგები.
აქ აღარ დაყოვნებულან, წამოვიდნენ ქვევით, მთავარ გზაზე გამოვიდნენ თუ არა, მათ წინ ქვეშის ციხე აიმართა, რომელიც მიწიდან ამოზიდულ კლდეზეა აშენებული. ეს კლდე თავისებური მთის ქანია, კვარციანი ალბიტოფირული ქანი, მოწითალო, სამხრეთით სრულიად შვეულად დაკიდებული კლდე.

თეთრი გვირილა

ალავერდამ[12] დაიძახა:
გავაჩერებ გუთანსაო,
კამეჩებმა გამოსძახეს,
ჩვენ გიტირებთ დედასაო.
ხალხური

სოფელ ქვეშში მანქანა ერთი კაკლის ჩრდილში დააყენეს. მაღაზიის წინ რამდენიმე უქმადმყოფი იდგა და წყნარად საუბრობდა, სამი თუ ოთხი დედაკაცი კოკებით ხევისკენ მიდიოდა.
- თქვენ რა, წყარო ისევ ხევში გაქვთ? – შეეკითხა, ცოტა არ იყოს მკვახედ, მინდია იქვე მდგომთ.
- არა, რადა? ხევიდან ზევით ამოვიყვანეთ!
- მერე სოფელში ვერ გაიყვანეთ?
- ხომ მოგეხსენებათ, ჩვენს დროში მზაჭამია კაცი ცოტა არ არი, „მე თუ შენაობა“ ჯერ ვერ მოვიშალეთ, წყარო კი ისევ მაინც ძირს დარჩა. სოფელი რამ მოინარიკლა და მზაჭამიამო. ეხლა კაცი მგელიფლითე უნდა იყოს, რომ იოლად მაინც გავიდეს.
- ნუ იცი, კაცო, მკვახე ლაპარაკი, – შეუტია ახალგაზრდამ.
- რადა, კაცო, ცოტაა, რომ მარტო მუცელს ჩასტირის?
- იქნება არის, ვინ ამბობს და ისიც ხომ ბევრია, ვისაც ნამუსის ქუდი კიდევ ხურავს.
- კიდევ კარგი, – თქვა მინდიამ და გაიღიმა.
- შენ სოსანა არა ხარ? – მიმართა საფეთქელგათეთრებულ იმედიან კაცს.
- განა არა, გიცქერდი და არ მჯეროდა, მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს უეჭველადო. მინდია ბრძანდებით, გამარჯობათ. კიდევ ბალახებს ეძებთ?
- ასე გამოდის, ჩემო სოსანა!
- კაცო, ისე არსად უნდა ჩაიმუხლო, ძმა და მეგობარი არ ნახო? – წამოიძახა ერეკლემ.

- ასეა, შვილის სწორო, კარგ კაცობა ასი წელიწადი ქვაზე რომ იდოს, არც დაჭკნება და არც ფერს დაკარგავს, – უპასუხა სოსანამ მინდიას მაგივრად, – თქვენზე ნანატრი სტუმარი ვიღა მეყოლება. წამობრძანდით, შინ ვისაუბროთ.
- თქვენს სახლს ვეღარ ვხედავ.
- აგერ, ისაა ჩემი სახლი, – მიუთითა ორსართულიან სახლზე, – ძმამ კი ხევისკენ აიშენა.
- ჩემო სოსანა, დღეს ვერ გეწვევი, აი, ბიჭებს და ლელას მამა ელის დმანისში... ისე კი ციხეზე ავივლით.
- თქვენ რომ აქ ჩამობრძანდით, 12-13 წლის ბიჭი ვიქნებოდი, თქვენ მაშინ დაღვინებული ვაჭკაცი იყავით და დღესაც ისევ მგლის მუხლი შეგრჩენიათ... მაგრამ მაინც უნდა მეწვიოთ, გულადსა კაცზე პურადი, სამას გაქცევით მეტიაო.
- არც შენა გაქვს დასამდურავი, – შეათვალიერა მინდიამ, მაგრამ უცებ წყენის ღრუბელმა გადაუარა სახეზე. ეხლაღა შეამჩნია, რომ სოსანას მარცხენა ხელზე სამი თითი აკლდა, სოსანა მიხვდა და გაეღიმა.
- რას იზამთ, ბატონო მინდია, ომმა ბევრი ცოდო-ბრალი დაატრიალა, მარტო ჩვენს სოფელში ასამდე ვაჭკაცი არ დაბრუნებულა, მაგრამ იცოცხლეთ, უკრაინიდან რომ დავბარით, მწევარგამოკიდებული კურდღლებივით მოცოცხეს. მადლობა ღმერთს, ცოცხალი დავბრუნდი. მაკლია თითები, მაგრამ არა უშავს რა, ვმუშაობ.
სახლს რომ გაუსწორდნენ, სოსანა შედგა.
- არა, უნდა შემობრძანდეთ!... – თორემ ისე გამოვა, მაღალი არ მოდრკა, დაბალი ვერ შესწვდაო.
- სოსანა, ვერ შევძლებთ. დიდი მადლობა!
- პელო!.. – გასძახა აივნისკენ. სანდომიანი პირისახის ქალი გამოვიდა, სოსანა ჩქარი ნაბიჯით გაემართა მისკენ, რაღაც უთხრა და გამობრუნდა წინ წასულებისაკენ.
- მინდიავ, ნუ იცი ასეთი გულითადი ხალხის გაწბილება!
- ერეკლე, მე რომ ყველა ნაცნობთან თითო საათი მაინც გავჩერდე, გუგულის თოვლიც კი მომეწევა, სანამ შეხვიდოდე, გამოსვლაზე უნდა იფიქრო.
- შენ არც გუგული გამოგელევა და არც ტოროლა... – თითქოს საყვედურით ჩაერია ვახტანგი, – სალამი მტერსაც არ დაეჭირება!..
ორბელიანთა ქვეშის ციხეში შევიდნენ. საქონელი ჰყოლიათ შიგ. ბიჭებმა შუბლი შეიკრეს და სოსანამ, თითქოს ბოდიშობსო, ისე დაიწყო:
- ბუზს ერიდებიან, თორემ, კაცმა რომ თქვას, ხელუხლებლივ უნდა შევინახოთ, მამა-პაპათა სისხლითაა ნაბანი, მაშინაც ამბობდი, მაგრამ რა გამოვიდა?
სამხრეთით იშლებოდა დაცემული დიდი მინდორი, იქვე სოფელი კიანეთი, ლამის ხელისგულზე იყო. კიანეთის გადაღმა უზარმაზარი თეთრი მინდორი მოჩანდა. თითქოს თოვლი მოსულაო.
- ეს რა, თოვლია? – იკითხა გივიმ.
- თოვლი კი არა, ჯანდაბაა, – ვერ მოითმინა სოსანამ, – შარშანწინ კიანეთელებმა ესპარცეტი დათესეს. შარშან ცოტა გამოერია; გვირილაა, გვირილა! წელს კი ისე მოედო, რომ ესპარცეტი აღარ ჩანს... აქეთაც მოიწევს, მაგრამ მაგის წამალი თოხია, მიწამ ცოტა თუ დაიმაყარა, მორჩა. არ ვიცი, რა ქარმა გადმოაგდო, თორემ, მანდ ისეთი ყანები იცოდა, მტრის თვალს არ ენახვებოდა.
- ეს მართლა არ არის კარგი საქმე. ეგ ალბათ დმანისური გვირილაა.
- სწორედ ისაა. აი, ეხლა იმ მინდორზე ერთ ბულულ თივას ვერ გათიბავენ.
უკან წამოსვლისას, სახლთან რომ მივიდნენ, სოსანა შედგა და მინდიას შეხედა.
ერეკლემ აღარ დააცადა და სოსანას მიმართა:
- შეგვიძეხ, მაგრამ ფეხზევე დავილოცებით, ისე, ნეფე რომ გაინადირებს[13] ხოლმე.
- მაშინ ნეფე ვინა ხართ...
- ყველა სანეფოა, ესეც სადედოფლო, მაგრამ არც პატარძალი და არც სიძე! – ჩაერია მინდია, – შვილიშვილებია, სოსანა ჩემო.
- გიცოცხლოთ და გიბედნიეროთ!
აივანზე სახელდახელო სუფრა იყო გაშლილი: ფიჩხაურით ღვინო იდგა, ახალი კიტრი, მწვანილი, პური, ყველი. დიასახლისს თავაზიანად მიესალმნენ.
- რძალო და დაო, ნატვრისთვალი ხომ არ გქონდა, სუფრა ასე აგიყვავებია!
- ცოტა რომ შეგესვენათ, ნატვრისთვალი იქნებ მართლა მეპოვა, ჩემო ბატონო, – უპასუხა დიასახლისმა.
პური გატეხეს, დაილოცნენ.
- რატომ არ ამბობ, მინდიავ ბატონო, ბერი კაცი თვრესო, ბიჭებს ერთი ხვდესო?
მინდიას გაეცინა.
- მინდოდა, აქაური ღვინო გაგესინჯათ. ხომ კარგია?!

- შესანიშნავი!
- რომ არ შემოსულიყავით, მთელი ღამე ნაკვერცხალზე დავიწვებოდი...
- იცოცხლე ჩემო სოსანავ, მაშინვე გეტყობოდა, რომ კაი ვაჟკაცი დადგებოდი. შვილები?
- შვილები? ეხლანდელი შვილი ხომ დედ-მამისა არაა; მყვანან, კარგები არიან, მაგრამ „სხვასა ჰყვანან“, ერთი ქალაქს არის, ინჟინერია, მეორე რუსთავშია, გოგო გათხოვილია, ჩემთან მაინც დარჩა ერთი, სკოლაში ასწავლის. როგორ ინანებს, რომ იყავი და ვერ გნახა. შორიდან გიცნობს. შენი წიგნები უყვარს. აგერ, იქ ულაგია, – და კარადისკენ გაახედა.
სიყვარულით დაცილდნენ.
მანქანამ აირბინა გეტის ხევი და კიანეთის გვირილიან მინდორთან გაჩერდა.
მავთულხლართი გადალახეს და გვირილიან ნათესში გადავიდნენ. თუმცა გვირილიანი კი არ იყო, ისე მოსდებოდა, ნათესი აღარ ჩანდა.
- ეს წმინდა გვირილა არაა, მას ლეუკანთემუმს უწოდებენ, – აუხსნა ბიჭებს შალვამ.
დღეს პირველად გაიგეს ამ მცენარის სახელწოდება.
- მთაბორჩალო, ზურტაკეტი, დღევანდელი დმანისის რაიონის დიდი ნაწილიც, ორბელიანებს ეკუთვნოდათ. სწორედ აქაური ორბელიანები აღმოჩნდნენ ბედოვლათები. მთელი მიწა-წყალი ჩალის ფასად გადაყარეს. დმანისელი დუხობორი მიამბობდა: „ერთხელ საშიკო ორბელიანი ხუთი ეტლით ამოვიდა. ერთში წაღები ეწყო, მეორეში ქუდი, ერთში თვითონ იჯდა, წინ ეტლი მიუძღოდა მეზურნეებით, უკან კი ჩაჩნები ისხდნენო, თევზი მონდომებია. სწორედ ყარაბულაღის კალმახი. ეს გასეირნება ორასი დესეტინა[14] დაუჯდა. დესეტინა მანეთად მისცა თავის თბილისელ მევახშეს, თურმე. ასეთი ბედოვლათობის შედეგად მთელი მამულები დაკარგეს.
სწორედ ამ ადგილს დაადგა თვალი კუჩენბახმა და მამუდლოში ჯერ იჯარით აიღო 2500 ჰა სათიბ-საძოვარი, შემდეგ იყიდა კიდეც.
- ხომ არ დაიღალეთ?..
- რა დროს დაღლაა?
- მაშ, გინდათ მოისმინოთ, როგორ გაჩნდნენ ამ მხარეში გრაფი კუჩენბახი, ამეტერები და სხვები?
- უეჭველად.

ყორნები დასუქებულან

„ჯერი თქვენია, ახლებო, ხელისდადება ხმალზედა,
ყორნები დასუქებულან პაპათა ნაომარზედა“.
ხალხური

კუჩენბახი პირველ ხანებში 60-80 ცენტნერ ყველს ხარშავდა, შემდგომში კი უკვე სამასზე მეტს.
პირველად საკუთარი ფერმისთვის ადგილობრივი ჯიშის ძროხა შეიძინა (ოსური, ხევსურული, თარაქამული). შემდეგში ძირითადად მეტისები ჰყავდა. შვეიცარიიდან გამოიწერა შვეიცის ჯიშის მწარმოებელნი და მალე მთელი ნახირი მეტისებით შეცვალა, რაღაც თავისებური ჯიში ჩამოყალიბდა. ბევრი მისი ძროხა 400 კილოგრამამდე იწონიდა. ზოგი 4000 ლიტრამდე რძეს იძლეოდა. ეს იმხანად კარგი წველადობა იყო.
კუჩენბახი საკმაოდ უკმეხი კაცი ჩანს. თავის მეურნეობაში, მწყემსების გარდა, ადგილობრივ მოსახლეობას არ უშვებდა, ძაღლებიც კი ისე ჰყავდა გაწვრთნილი, მის კარ-მიდამოზე ადგილობრივ მოსახლეს დაინახავდნენ თუ არა, დაესეოდნენ და, თუ არ გაეცლებოდნენ, შეიძლება სიკვდილის პირამდეც კი მიეყვანათ. ერთხელ ვორონცოვკელი (ლორელი) მოლოკნები მისულან მასთან, რომ გასცნობოდნენ მეურნეობას, კუჩენბახს ისინი კინწისკვრით გამოურეკია. მასთან მომუშავე შვეიცარიელ ყველისმკეთებელ ოსტატებს ხელშეკრულებაში უწერდა, მუშაობის ვადის გასვლის შემდეგ აუცილებლად შვეიცარიაში დაბრუნებულიყვნენ. წუნდებულ ხბორებს ადგილობრივ მოსახლეობას არ შეასყიდებდა, პირდაპირ სასაკლაოში აბარებდა, მაგრამ ლორელი მოლოკნებიც და ბორჩალოელებიც სწორედ სასაკლაოში ყიდულობდნენ და ასე გაიჩინეს კუჩენბახის მეტისური ძროხები.
საქმე, თუ საკეთილოა, ის თავისთავს მაინც გაიტანს. 1872 წელს შავწყალზე (ყარაბულახი) თბილისელმა ხუდადოვმა გამართა ყველის სახარში მანქანა, რძეს მოსახლეობისგან ყიდულობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, წარმოებამ იზარალა და გაყიდა. 1879 წელს შავწყალზე უკვე გამოჩნდნენ შვეიცარიული ყველის მწარმოებელი ძმები ამეტერები – ქრისტიანე და პეტერი. ეს ამეტერები სწორედ კუჩენბახის ყველის მხარშავები იყვნენ; მათ არ შეასრულეს კუჩენბახის მითითება, წასულიყვნენ საქართველოდან, 1929 წლამდე აქ დარჩნენ და შექმნეს დიდი ფერმა, სადაც 500-600 მეწველი ფური ჰყავდათ. ქრისტიან ამეტერი ყარაბულახში დარჩა, მეორე ძმა, პეტერი კი – მუსაკალაში დამკვიდრდა, სადაც უმთავრესად სემენტალის მეტისი ძროხები ჰყავდა.

სემენტალიც შვეიცარული ჯიშია, მაგრამ ამ მხარეში ვერც მათ გაძლეს; ამიტომ მუსაკალაშ ამეტერმაც მეტისებს მიმართა; სემენტალების მწარმოებლის და ადგილობრივი ძროხის მეტისი მიიღო.
თუ ყარაბულაღში ფერმა 80-იანი წლებიდან ჰქონდათ, მუსაკალელი ამეტერი აქ გვიან დასახლებულა.
წინათ ეს ფერმა ნიკოლოზ კეზელს ეკუთვნოდა.
აი, რას წერს ერთი ჩვენი ხალხოსანი მწერალი, ზაქარია გულისაშვილი, 1900 წელს:
„დაბა ყარაბულაღს ზევიდან არის მუსა ყალას ციხე, აშენებული საკვირველ მთაზე, რომლის კონწოხზე[15], შუაგულ ციხისა, ამოჩუხჩუხებს მშვენიერი წყარო. ეხლა ციხე მინგრეულ-მონგრეულია. ვახუშტის დროს კი მთელი იყო თურმე. წყარო უწესურად არის, ახალი პატრონი ამ ისტორიულ ნაშთისა, ნ. კეზელი, უპირებს ამ ალაგს გამშვენიერებასა და წყაროს შეკეთებას... როცა ამ ციხის ნანგრევებს და მის სანგლებს[16] ათვალიერებ, პირდაპირ უმზერ მაღლობ თრიალეთის ფერდობებს და გრძნობ, რომ იქიდან დაწყებულსა და ამ სიმაღლეზე ამოსულს წყაროს გაძლევს იმ ფერდობებიდან შადრევანის კანონის[17] მსგავსი ძალა და მანქანა აწარმოებს“.
საქმე ისაა, რომ 1894 წელს ნიკოლოზ კეზელმა გოტლიბ გრაფთან ერთად აქ დაარსა ფერმა. შემდეგ, როგორც ჩანს, ეს ფერმა ერთ-ერთ ამატერს შეუძენია. ხოლო ორთაშუაში ნ. კეზელს ახალი ფერმა მოუწყვია, რომელიც საბოლოოდ მეცხვარე გუგუტიშვილის ხელში ჩანს.
საერთოდ კი, შვეიცარიული ყველის სახარში ქარხნები ოთხმოცდაათიანი წლებიდან მომრავლდა. შვეიცარიული ყველის ხარშვა ისწავლეს ლორელმა[18] მოლოკნებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ. შვეიცარიული ყველის სახარში ქარხნები და ახალი ტიპის ფერმები დაარსდა ლორეში, ჯავახეთში, ყარსის ოლქში, ართვინში და სხვაგან.
1913 წლისათვის ამიერკავკასიაში უკვე 81 შვეიცარიული ყველის სახარში ქარხანა არსებობდა. აქაური ყველი იგზავნებოდა მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში და ეწოდებოდა „კავკასიური შვეიცარიული ყველი“, ის ფრიად მაღალხარისხიანი იყო და ექიშპებოდა შვეიცარუილს. ასეთი ამბავიც კი მოხდა: კუჩენბახმა 1888 წ. მოსკოვის გამოფენაზე წარადგინა მამუდლოს ქარხნის ყველი. საექსპორტო კომისიამ არ დაიჯერა, რომ ასეთი მაღალხარისხიანი ყველი შეიძლებოდა დაემზადებინათ მამუდლოში და კუჩენბახს მოსთხოვა, თუ მეორე ასეთივე კვერს[19] წარმოადგენთ, ოქროს მედლით დაჯილდოვდებითო.



ბეთანიის მიდამო თეთრი ახო გვირილით დაფარული

ცხვრის დიდი მადლი

ცხვარმა ღარიბი კაცის სახლში შეიხედა და
სიღარიბეს შეუტია, კარში გადი, მე უნდა დავდგეო.
ხალხური

- ჩვენებური კეზელის მეტი არავინ გამოჩნდა?
- როგორ არა, აკი გითხარით, კეზელის ქარხანა და ფერმა ბოლო დროს გუგუთიშვილის ხელში ჩანს.

ცოტა თავისებურ კაცს ამბობენ ამ გუგუთიშვილს. ფშაველი ყოფილა, ერწოს მაგრანეთელი, უბირი[20] მეცხვარე. 15 000-მდე ცხვარი ჰყოლია. ასე ამბობენ ძველი მეცხვარეები, თორემ მე არ შევხვედრივარ.

- მთელი მისი ბუღალტერია ერთი უზნის[21] ჯოხი ყოფილა. ზედ ჰქონდა რაღაც ნიშნები. დახედავდა ჯოხს, გადაატრიალ-გადმოატრიალებდა და იტყოდა, სად რამდენი ცხვარი ეყენა, ვის რა ემართა, ან ვისი რა ევალებოდა. პატარა კაცმა დიდი გორი გადიარაო. გულუხვი იყო, არა, გულუხვი კი არა, საზრიანი, ანგარიშიანი. მეპურეს ერთი პურით მეტი მიეცი და კაი პური გამოაცხობინეო, იტყოდა ხშირად. მწყემსს არ მოამშევდა, კოხტად უნდა სცმოდა, – ერთი შეხედვით უნდა თქვან, გუგუთიშვილისაო. მისი ცხვარი თურმე შამბიანზე ძოვდა, ფარები უკვე ერთი კვირის წასული იყო ბარისკენ, ბაშკიჩეთელი დუხობორები ხედავენ, რომ ერთი კაი დიდი ნოტო[22] ცხვარი საღამოს ბინისაკენ მოდის, დილით საძოვარზე გადის. გაგზავნეს ცხენოსნები და რას ხედავენ: 250 ცხვრის მეცხვარე უზარმაზარი თოლიაა. ცხადი იყო, დარჩენოდათ ცხვარი. უხუცესების მითითებით ახალგაზრდებმა გაირეკეს ეს ცხვარი და თბილისის მიდამოებში დაეწივნენ, ჯეირან მინდოზე, იქ, სადაც თრიალეთის მეცხვარეები ჩაიმუხლებოდნენ ხოლმე, გასაყიდ ცხვარს არჩევდნენ, დანარჩენებს პარსავდნენ.

- შვილებო! რად შეწუხდით? იპოვეთ! ალალი იყვეს, მაგრამ რაკი ჩამორეკეთ, მოვიქცეთ ძველი წესით, ნახევარი მპოვნელს, ნახევარი დამკარგველსო. მაგრამ დამკარგავმა გადაიხადოს საპოვნელაც[23] და ათი ცხვარი ჩემი წილიდან ფეშქაში!

კიდევ ბევრს ამბობენ, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ფერმა, 1929 წელს რომ ამოვედი, მაშინ ჩააბარა კოლმეურნეობას.

- დაიცათ, ერთიც მე უნდა გიამბოთ, – დაიწყო შალვამ, – ძველად მამაჩემი ერწოში მსახურობდა, ჩვენ, ე. ი. ოჯახი, გარეკახეთში ვცხოვრობდით. მაინც და მაინც არ მანებივრებდა ხოლმე მამაჩემი, არსად დავყავდი და ერთ დღეს მეუბნება, ერწოში წავიდეთო. გამოიყვანა თავისი ბეხრეკი და კარგი უნაგირი დაადგა.

- კაცო, სად გაგონილა ბერი კაცის ჭრელი უნაგირი, – გამოსძახა დედაჩემმა..

- ქალო, შენ რა იცი, ვინ ჯდება მაგ ცხენზე.

შებრუნდა თავლაში და ჩვენი ახლად გახედნილი საღარი გამოიყვანა.

გადააფარა თოქალთო, მოუჭირა მოსართავი, უნაგირიან ცხელს ხილით სავსე ხურჯინი აჰკიდა და მომიბრუნდა.

- შეჯექი მაგ ბედაურზე, ამ კვიცს კი მე მოვუვლიო.

პირველი მსოფლიო ომი ახალი დაწყებული იყო, ასე თხუთმეტიოდე წლის ვიყავი და ცხენზე ჯდომა არ მეჩოთირა.

ხაშმის პირდაპირ გავიარეთ, ვერხვ-ტირიფიანი ჭალა, მაშინ იორზე კარგი აყრილი ჭალები იყო, გამოვტოპეთ იორი; ერთი კი დამაბორიალა, ცხენს მკერდზე დაჰკრა წყალმა და ტალღას დავუწყე ცქერა.

- ასწიე თავი მაღლა! – დამჭექა მამამ და მეც სწრაფად გავხედე მუხროვანის მთას. მამამ ცხენს აღვირში ჩასჭიდა ხელი, ცხენმაც მალე დაიქნია თავი და წინა ფეხები რიყიან ნაპირს გადაჰკრა.

- წყალს თავის დღეში არ უნდა უყურო, ეგ იცოდე ჩემგან...

მე თავი დავუქნიე, მეტი რა მეთქმოდა. გავუარეთ მუხროვანის სამარილეებს აქ, ივრის მარჯვენა ნაპირას, წალმიანის ჩრილოეთით, ხაშმის პირდაპირ, სამი პატარა ტბაა, ნაპირები თეთრადაა დაფარული, ეს სოდაა. მაშინ სწორედ ამ მარილს აგროვებდნენ და ამუშავებდნენ.

გავყევით მუხროვანის გვერდის ძირს, გავიარეთ უჯარმა და მალე სოფ. პალდოსთან ისევ ივრის ჭალებში მოვხვდით, კვლავ გავიარეთ იორი და სოფ. სასადილოსთან გადავუხვიეთ თიანეთის გზაზე. ტყის პირას ჩამოვხტით, ცხენებს მოსართავები მოვუშვით, აღვირები წავყარეთ, თოკები დავუგრძელეთ და მივუშვით ბალახზე. მშვენიერ წყაროზე ხელ-პირი დავიბანეთ და ცოტა წავისაუზმეთ.

სად დადგამ ფეხს ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში, რომ წარსული, ისტორია თავზე არ დაგვცქეროდეს.

პალდომდე უჯარმის დიდი ციხე-ქალაქი მოსდგომია გზას. გზიდან თითქოს არაფერი, მაგრამ საკმარისია აიარო ფერდო, შეხვიდე გალავანში, რომ შენს წინაშე გადაიშლება გრანდიოზული ქალაქის ნანგრევები, რომლებიც ივრის პირამდე ჩადის. ამბობენ, ვახტანგ გორგასალი სამგორის ბრძოლაში შინაყმის ღალატით რომ დაჭრეს, აქ მოუყვანიათ, აქ გარდაცვლილა.

ჩრდილოეთით, ჩვენ წინ, ლამაზ მწვერვალზე აღიმართა არანაკლებ სახელოვანი ციხე-ქალაქი ბოჭორმა; ესეც ვახტანგის სახელთან არის დაკავშირებული.

გზადაგზა სამზერი კოშკები გვხვდებოდა, სოფელ სიონის ქვემოთ იორი გადაშლილიყო და მამაჩემმა სწორედ ის აირჩია, – ზევით ჩქერიანია და ვაითუ შენმა მერანმა ვერ გაუძლოსო.

მალე გავედით თქვენთვის ნაცნობ ერწოს დაბლობზე.

გავიარეთ სოფ. დორეულები და გეზი სოფ. მაგრანეთისაკენ ავიღეთ.

- აქ ერთი ძმაკაცი მყავს, გუგუთაანთ გიგო, აი ეს კვიცი იმას უნდა დავუტოვოთ, – მითხრა მამაჩემმა, როდესაც მაგრანეთს მივუახლოვდით. ეს რომ მითხრა, გული გადამიქანდა, ჩემი ქურანა, ასე ვეძახდი კვიცს, ხელიდან გამომეცალა. ვოცნებობდი, როგორ დავადგამდი უნაგირს, შევჯდებოდი და თავს მოვიწონებდი, მაგრამ ღარიბ კაცს ეგრე ადვილად როდის ახდენია ნატვრა.
გრძელი ფშაური სახლები იყო, კრამიტით დახურული. ერთ დიდ, ორსართულიან სახლს მივაშურეთ. დიდი ეზოა ტყრუშულით შემოღობილი. ცხენიდან მთელი ეზო ხელისგულივით ჩანს, გამაოცა ძაღლების სიმრავლემ, თოლია, ყურშა, მურა სულ აქ იყო მოგროვილი, ერთი ოცამდე მაინც იქნებოდა.



ბაზილიკის ნანგრევი

ზოგმა კი მოიხედა ჩვენკენ და თავი ისევ ზანტად მიიბრუნა, მხოლოდ ერთი თოლია გამოენთო ყეფით.
ჭარმაგი მოხუცი გადმოდგა აივანზე.
- ასარა, იყუჩე! – ისე დაიგრუხუნა, გეგონებოდა, ცა ელვამ გააპო.
- მობრძანდი, გიორგი! – და კიბე ჩამოირბინა. მალე ჩვენ წინ აიმართა ტყაპუჭიანი, ხანშიშესული ვაჟკაცი, წვერი წმინდად ჰქონდა მოპარსული; მის გრძელსა და ხშირ ულვაშებში ვერცხლის ძაფები გაბმულიყო, ხშირი წარბები მკვირცხლსა და ცოცხალ თვალებს ჩარდახივით გადმოხურვოდა. სახე მზით დამწვარი ჰქონდა, გეგონებოდა, მთლიანად სპილენძისგან არის ჩამოსხმულიო.
- ძაან კი მომისწარ, დილით თრიალეთზე უნდა წავსულიყავ.
- კაცო, ხომ მოგესწრო ძმა და ძმისწული. ისევ შენ დადიხარ?
მასპინძელს გაეღიმა.
- აქლემმა თქვა: ორმოცი კოზაკი გავზარდე, მაგრამ ტვირთი არავინ ჩამომხადაო. ჩემი საქმე მაინც ასეა, ერთი არის მთოხნელიო, ოცდახუთი მცოხნელიო.
ლექსაობდა, თან ჭიშკარს აღებდა. ცხენებს სწვდა და წინ გაუძღვა.
- ეს კაი ულაყია, გიორგი!
- მოგეწონა და მოგიყვანე კიდეც. შემოდგომაზე იმდენი ცხვარი მომიგდე კარზე, რამდენადაც ეგ ულაყი ეღირება.
გუგუთიშვილი შედგა, კვიცი აათვალიერ-ჩაათვალიერა, კბილი გაუსინჯა, გაეღიმა.
- ხათრიჯანად იყავი, სახლში მოტანილი ქვაც ქადააო, კარზე მოყვანილი ასეთი კვიცი ხომ მერანთა მერანია, იცოცხლე!
- ვიცი, კაი ცხენი გიყვარს და იმიტომ გამოვწიე შენკენ.
- ჩემო გიორგი, პატარა თუ არ გაიზარდა, დიდი როგორ იქნება.
ძაღლები კი იწვნენ და ყურადღებას არ გვაქცევდნენ. მე გაკვირვებული გავცქეროდი.
- რაო, შვილის ტოლო, გიკვირს? ეგენი პენსიაზე გავიყვანე, კარგად იმსახურეს და ხომ არ დავხოცავდი? ერთი რძალი ყოველ დღე სალაფავს უკეთებს და ეგენიც ითვლიან ამ წუთისოფლის დღეებს.
ცხენები ბალღს გადააბარა, – ბზე და ქერი დაუყარეთო, – დაავალა.
ღამე კარგად მოგვასვენა. რომ გამოვედით, სამი ცხენი ება, ერთი ჩვენი და ორი კარგად გამართული, აღვირ-უნაგირით, ვერცხლის მოსართავებით დამშვენებული.
- ჩვენი ბიჭი ჩამოგყვება სოფლამდე და აბა შენ იცი, ხურჯინით ხილი კიდევ გამოატანე.

ეხლა შევხედე ჩვენს ხურჯინს, გაჭიკნული იყო, კვერის თავები იხატებოდა შიგ.
ეს იყო ის გუგუთაშვილი, რომლის ცხვარიცა სძოვდა შამბიანზე.
- ძაან კაცი ყოფილა! – მოიწონა ვახტანგმა.
- ამაზე დიდი მეცხვარე იყო ვინმე?
- იყო, ისიც ამას ჰგავდა. ჭყოპიშვილს ამბობდნენ, გიამბოთ?
- ჭყოპიშვილი გუგუთიშვილზე ნაკლები არა ყოფილა, – დაიწყო შალვამ, – გუგუთაშვილი თუ თრიალეთზე აძოვებდა, ჭყოპიშვილი – მთა-თუშეთში.
ერთი კარზე მოხეტებული მწყემსი ჰყავდა. გაურიგდა: წელიწადში ოცი ცხვარიო, ამის ნამატიც შენაო, ჩაგაცმევ და ქუმელსაც[24] არ მოგაკლებო. პირველად ბატკანში ჰყავდა, როცა ნახა, კარგი სარისტიანი ბიჭი იყო, მეწველ ცხვარში გადმოიყვანა.
გადავიდა შვიდი თუ რვა წელიწადი, ჭყოპიშვილმა დაუძახა ამ ბიჭს და ეკითხება:
- იცი, რამდენი ცხვარი გყავს?
- აბა, რა ვიცი.
- დაიცა, შვილო, შვიდი წელია, ჩემთან ხარ. აი, ჯოხი რას ამბობს (ჯოხზე ჰქონდა ჭდეულები, ჯოხი იყო მისი საბუღალტრო წიგნები). პირველ წელს 20 ცხვარი გადაგიკვეთე. წლის ბოლოს 30, გასულს მეორე წლის შემოდგომისათვის 45 გახდა, მესამე – 68, მეოთხე წელს 102 გახდა. ყოველ წელს შენ თავნს ნახევარი ემატებოდა და შვიდი წლის ბოლოს 460 —500-ია თითქმის და მერვე წლის ბოლოს 700-მდე გახდება.
- რა თავში ვიხლი მაგდენსა?
ჭყოპიშვილს გაეცინა:
დაიბარა სარქალი და დაავალა: ჩადი ახმეტას, მიიკითხ-მოიკითხეთ, თუ არის ვინმე ობოლი გოგო შიგ ახმეტაში, ან ბაბანეურში, ან სხვაგან ახლო-მახლო; წაასხით ერთი ორასი ცხვარი, ორი თვალი წაბლის სახლი დადგან შემოდგომამდე; ქალი დანიშნეთ, ნიშნის მაგივრად ორმოცი ცხვარი დაუტოვეთ; გაპარსონ, მტყლით ლოგინები გააკეთონ, ცხვარი გაყიდონ, თეთრეული და სხვა ჩითეულობა იყიდონ, ჯამ-ჭურჭელი, დანარჩენს მერე უყიდით.
მართლაც, ახმეტაში ნახეს ერთი ობოლი, მამიდასთან შეხიზნული შეღერებული გოგო. კარ-მიდამოც ჰქონდა. დანიშნეს. მოურიგდნენ ხუროებს, რომ მარიამობა დღისათვის (მაშინ აგვისტოს 15-16) ორი გამართული ოთახი დაეხვედრებინათ.
გოგოს მამიდა სულ დაფრინავდა თურმე სიხარულით, ჩემი გაზრდილი ბედს ეწიაო.
სანამ ცხვარი ბარისკენ დაიძროდა, ჭყოპიშვილმა სარქალი და ეს მწყემსი თელავში გამოგზავნა. ორი ხელი ტანისამოსი შეუკერეთ, გაპარსეთ, აბანოში აბანავეთ (აბანო იმ დროს იმ მხარეში მარტო თელავში იყო), მორთეთ, მოკაზმეთ და ბირკიანში დაგვხვდითო. მართლაც, დაიწყო ჭყოპიშვილის ცხვარმა მთიდან ბარად ჩამოსვლა, მოდიოდა და აღარ თავდებოდა, ალაზანივით.
ახმეტაში უკვე მექორწილეები ტრიალებდნენ, ცხვარზე იყიდეს ღვინო, პური, მწვანილი და სხვა ხორაგი. ერთ კვირა დღეს ჭყოპიშვილის მეთაურობით მაყრიონმა ახმეტაში სიმღერით კინაღამ ცა ახსნა.
სანეფე ჭყოპიშვილის გვერდით თამამ ულაყზე იჯდა და ერეკლეს მეომარსა ჰგავდა. ბიჭი, ჩანდა, მტრის თვალს არ ენახვებოდა. ჭყოპიშვილი მალიმალ მიიწევდა თავის მწყემსისაკენ და ყურში რაღაცას უჩურჩულებდა მაჰმადის მტრედივით[25]. ბიჭსაც მეზვრის ყურები ჰქონდა გამობმული, ოდნავი ჩურჩულიც კი ესმოდა.
- რა ვქნა, რომ მარტოხელა ბიჭი ხარ, სამაგიეროდ ალალი და მართალი. შენი 600 ცხვრიდან 400-500 სახლსა, ლოგინსა და ქორწილს მოუნდა, ასზე მეტი კიდევ გყავს... ერთ-ორ წელიწადში ისევ იმრავლებს. ობლის კვერი ხომ იცი, გვიან ცხვება, მაგრამ ერთხელ თუ გამოცხვა, კარგად გამოცხვება.
ერთი სიტყვით, კაი ქორწილი გადაიხადეს, პატარძალსაც მოეწონა ჯანიანი ნეფე და ნეფე ხომ ცხრა ნაბადზე ხტოდა.
ლხინი რომ გაიმართა და ტაშ-ფანდური გაჩაღდა, დედოფლის მაყრები ატყდნენ, ნეფემ ითამაშოსო.
ნეფემ ჯერ ფეხი უკან გადადგა, მაგრამ, რომ ჩამოუარა, მის ამხანაგებსაც გაუკვირდათ, სულ ცაში დაფრინავდა და კინაღამ პატარძალიც აიტაცა.
- შეგერგოს, ძმაო, კაი ვაჟკაცი ყოფილხარ, – თქვეს ახალმა ნათესავებმა.
- ბიჭო, სად ისწავლე ასეთი კარგი თამაშობა? – ეკითხებოდნენ ამხანაგები.
- ცხვარი რომ იცოხნიდა, მე ლეკურსა და ჩაჩნურს ჩამოვუვლიდი ხოლმე, – გაიცინა ნეფემ.
- კარგი, მაგრამ ეგ ქართული? – არ შეიმჩნიეს გადაკრული ლაპარაკი.
- ქართული? ქართველი ვარ და მაგას რაღა სწავლა უნდაო.
- აჰა, ღმერთო ჩემო, ჩვენ დღემდე არა გვცნობიხარ და ეგაა.
- რომ გცნობოდით, ცოლსაც ხომ ადრე შემრთავდითო, – უპასუხა.

- ასე კი იყო ეს ამბავი, – დაამთავრა შალვამ.
- ეხლა თუა ცოცხალი.
- როგორ არა, ახმეტაშია, კარგი ჭარმაგი მოხუცია, ხუთი წელია, მთაში სიარულისთვის დაუნებებია თავი. სამაგიეროდ...
- რა? – ვეღარ მოითმინა ვახტანგმა.
- მისი შვილია ბრიგადირი, უმაღლესი დაუმთავრებია, სავეტერინარო. მეორე ბიჭი ექიმი ყოფილა.
- ესეც შენი მოჯამაგირე.
- ბარემ ისიც გვითხარი, ჩვენში სად იყო უფრო მეცხვარეობა.
- მაგას რა ბევრი ლარი და ხაზი უნდა. ნამდვილი პროფესიონალი მეცხვარეები იყვნენ თუშები, ზემო და ქვემო ალვნელები: ბუქარაულები, ცისკარიშვილები, აბაშიძეები, თხელიშვილები... კარგი მეცხვარეები იყვნენ ქიზიყელები – მაჩხაანელები, ბოდბელები, ბოდბისხევლები. ქართლში კარგი მეცხვარის სახელი ჰქონდათ წყნეთელებს, როგორც დაინახეთ, ფშავლები, ქსნელები, მოხევეები, ოსები კარგი მეცხვარეები ყოფილან. მაშინ იმდენი ცხვარი ჰყოლიათ, რომ როგორც ახლა, არც ზაფხულის საძოვარი ჰყოფნიდათ და, განსაკუთრებით, არც ზამთრისა. ზამთარში ჩვენი ცხვარი შირვანსა და სალიანს უწევდა. ზაფხულში არტაანისა და არტანუჯის მთებშიც ძოვდა. ამ გზაზე მხოლოდ გამბედავი ხალხი დადიოდა, კარგი ვაჟკაცები, ამიტომ მწყემსს ყველთვის პატივისცემით ეპყრობოდნენ.
ამ გრძელმა გზამ ცხვარიც თავისებური დააყენა, მაგარი, გამძლე, ჩლიქმაგარი თუშური ცხვარი, მას თან ახლდა კარგი თუშური ცხენიც, ბარგის მზიდველი, ფეხმაგარი.
ცხვარი ხელს უწყობდა ერის ერთიანობასაც, თუშის ცხვარს მთიდან კახეთი და ქიზიყი უნდა გაევლო, ან ქართლი, თრიალეთი, ჯავახეთი, მესხეთი და ისე უნდა ჩასულიყო არტაანისა და არტანუჯის მთებში. გზადაგზა ეცნობოდნენ ერთმანეთს, ადგილობრივებს გზა უნდა დაეთმოთ, შეღავათი მიეცათ. ეკონომიკური ერთიანობის საფუძველი იქმნებოდა.
მესაქონლეები, მეცხვარეები, როგორც ჩანს, პიონერები იყვნენ ტომთა შორის ძმობისა, სიყვარულისა და ეროვნული ერთიანობის თვითშეგნებისა.
ძველი ქართული კანონმდებლობა მეცხვარე-მესაქონლის ინტერესს იცავდა, რადგან მასში ხედავდა სახელმწიფოს ეკონომიკის ერთ-ერთ ბურჯს. აი, ეს როგორ არის გამოხატული ვახტანგ მეექვსის კანონებში:
„ქვეყანაზედ ეს სამი არ დაეჭირვის კაცსა და ხელმწიფისა არის: წყალი, შეშა და ბალახი (§169)“. შემდეგი მუხლები იძლევიან თითქმის ამომწურავ განმარტებას:
„ბალახი მთასა და ბარსა კაცს კაცისგან იმიტომ არ დაეჭირვის, რომ ხელმწიფეს[26] ცხვრის საბალახე ეძლევის და ძროხის ნახირის თავი; და თუ ერთი მეორეს ბალახს დაუჭერს, ესეები ხელმწიფეს დააკლდების (171).“



ძველი დმანისი, გიორგი ლაშასდროინდელი მინაშენი

„მთა და შეშა ამისათვის არ დაეჭირვის, თუ ბარის კაცი არ ააშენებს და შეშით არ დარჩების, ქვეყანაზე შენობა მოაკლდების და ხელმწიფეს ლაშქარ-ნადირობა დააკლდების, მაგრამ იქნების, მთის პატრონს ერთი სანადირო ალაგი ყორუღად ქონდეს და იქ არ ამოაჭრევინოს (§ 172)“.
სახელმწიფოს ჰყავდა თანამდებობის პირები, ვინც თვალყურს ადევნებდნენ ტყეს – მეტყევენი (დავით აღმაშენებლის სიგელი), მეყორუღენი(სვიმონ მეფის დროს) მებალახენი და სხვ[27].
- მაშ, სახელმწიფო მეურნეობის საქმიანობაში აქტიურად ერეოდა?
- მაშ როგორ?

ორი დარდი

„წავა-წამოვა ღრუბელი,
თავთაქვე დაეკიდება,

რაც კაცი თავის თავს უზამს
მტერი არ მოეკიდება“.
ხალხური

მამუდლოელი კუჩენბახი, საერთოდ, კომერსანტი ყოფილა, ქვევით, ფინეზაურის ნაპირას, შუშის ქარხანაც აუშენებია.
ამით არ დაკმაყოფილდა და მოინდომა სხვა შემოსავალიც გაეჩინა. მიწა ბევრი ჰქონდა და განიზრახა სამკურნალო მცენარეების თესვა-მოყვანა. გამოიწერა სამკურნალო გვირილა, როგორც ამბობენ, დალმაციური გვირილა. დათესა, აღმოცენდა და გამოდგა ლეუკანთემუმი[28] და არა ის გვირილა, რაც გამოიწერა. არავინ იცის, მეთესლეობის ფირმას შეეშალა თუ განზრახ გამოუგზავნა. ამ ცრუ გვირილამ მალე დაასარევლიანა ჯერ მინდორი და მერე სათიბ-საძოვარი, მალე გაიჭრა ნაკვეთებს გარეთ, ახლომახლო მდელოებზე. XX საუკუნის ოციანი წლებისათვის რამდენიმე ათასი ჰექტარი მდელო ჰქონდა დასარეველიანებული, 1925 წელს პროფესორმა ნიკოლოზ ტროიცკიმ გამოაქვეყნა წერილი „ბორჩალოს მაზრის სათიბ-საძოვრების კატასტროფული დასარეველიანება“.
წერილში მითითებული იყო ამ მცენარის დიდი მავნებლობა, ბიოლოგია და აგრეთვე მასთან ბრძოლის ღონისძიებები.
მაშინ ეს ამბავი ყურად არავინ იღო.
შემდეგ, 1935 წელშიც დაიწერა, მაგრამ არა გამოვიდა რა.
და, აი, დღეს ეს მოუსვენარი მტერი ბარშიც ჩამოსულა და ბევრი ყამირი ადგილი დაუჭერია. ასევეა ბეთანიის მიდამოებში, ქართლისკენ გაჭრილა და ჭერათხევით კორბოულისაკენ, ზემო იმერეთისაკენ, აპირებს გადასვლას.
- ავიდეთ მთაში, მამათქვენი იქაა, ამ საქმეს დასდევს, ჩვენც მივეშველებით და მეტსაც გავიგებთ.
- ისე კი, უნდა ვთქვა, – დაუმატა მინდიამ, – ესეც ისეთივე მტერია ხალხისა, როგორც შემოსული ურდო, რომელიც ქუდზე კაცის გამოსვლას მოითხოვს. მტერიც ლუკმას ართმევდა ხალხს და ესეც. ესეც ისე იავარყოფს მთასა და ბარს, ვით იავარყვეს დმანისის ციხე და ქალაქი, აგერ, შორს რომ მოჩანს, – ხელი გაიშვირა მინდიამ სამხრეთისაკენ.
ზემო ყანის პირიდან ვახტანგი კიოდა.
- ამოდით აქ, ჩქარა...
ყველა იქითკენ გაეშურა.
ვახტანგი გაუძღვა, ბუჩქებში გაატარა და უცბად მათ თვალწინ აიმართა ერთნავიანი ბაზილიკა, მაგრამ გაძარცული; თლილი ქვის პერანგი მთლიანად ჩამოცლილი ჰქონდა, მხოლოდ დუღაბი ჩანდა, გარეთა მორთულობიდან კარების შესანიშნავად მოჩუქურთმებული ქვებიღა დარჩენილიყო აღმოსავლეთიდან და პერანგის ორად-ორი ქვა.
- აი, უყურადღებობის იშვიათი ნიმუში.
- თბილისიდან 79-ე კილომეტრზე ისტორიული ძეგლის ასეთი განადგურება?!
მალე სოფელ დიდ დმანისში (დუმანისში) იყვნენ, მებოძირზე თემურმა მინდიას შეხედა, საითო?
- აგერ, ის მანქანა რაღაც მეცნობა! – თქვა თვალებგაბრწყინებულმა ლელამ.
მართლაც, სოფლისაკენ, გზის პირას მანქანა იდგა, რომლიდანაც გაღიმებული გიორგი გადმოვიდა.
- სადა ხართ აქამდე, აგერ გუთნის გამოშვების[29] ხანია უკვე!
ლელა ყელზე ჩამოეკიდა.
- დმანისის ნანგრევები არ ვნახოთ?
- მაშ, უმაგისობა როგორ იქნება? შაქრო, – მიმართა მძღოლს, – ადი ზევით, დმანისში, ჩემი და შენი საძილე ტომარა წამოიღე. აქ გავათენებთ, თან სამწვადეებიც გამოიყოლე, ამათთვის რომ გვქონდა.
- ამაზე უკეთესს სოლომონ ბრძენიც ვერ მოიფიქრებდა.
- მაშავერას დაყამირებულ რიყეზე ლეუკანთემუმი გაბატონებულიყო, გზის პირზეც ცოტა არ იყო. ვახტანგმა რამდენიმე მოწყვიტა.
- ისაა, – მიმართა მინდიამ.
- კიანეთის ესპარცეტის ნათესი გინახავთ, – თქვა გიორგიმ, – მაგაზე მერე.
გადაჭრეს მჩქეფარე მაშავერას ხიდი და ფინეზაურის ხრამში შევიდნენ. ხრამი, რომელიც შექმნილია მეოთხეულის ლავებისაგან, მალე დამთავრდა და ქვემო დუმანისთან ხეობა ისევ გაგანიერდა. ფოლადაურის მარჯვენა მხარეს, ორი ქედის უბეში ამართულია ისეთივე კლდე, როგორც ქვეშის ციხის კლდეა და ზედ

აგებულია ბერდიკის ციხე. ბერდიკის ციხეს ეს სახელი ეწოდა იმ სოფლის მიხედვით, რომელიც აქ იყო; დღეს კი მის მახლობლად სოფელი ფოლადაურია.
ფოლადაურის ხეობით ლორესკენ მგლის ზეკარით უმოკლესი გზა გადადიოდა და სწორედ ამ გზას დარაჯობდა ის. ამ კლდის ფერდოები მუხითა და აკაკით არის დაფარული, აკაკი სჭარბობს. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი ჩამონგრეულია, ჩამონგრეულია გორაკის ფერდოც და საკმაოდ მაღალ ალესილს ქმნის; მაღლა, სოფელ გორას მიდამოებში, ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია თაღოვანი ხიდი, რომელიც არქიტექტურით უახლოვდება რკონის და აჭარისწყლის ხიდებს. პატარა სოფლის პირდაპირ მანქანამ მხარმარჯვნივ აუხვია და აჰყვა ღირღალიან გზას. გახსნეს ლასტისგან გაკეთებული გალავნის კარი და დმანისის ნაქალაქარში აღმოჩნდნენ.
ჩანდა, იყო ქალაქი, ყვაოდა, ცოცხლობდა, იყო ლოცვებიც დიდ ტაძარში და მცირე ტაძრებშიც, დღეობა – ტაძრის წინა მოედანზე.
ყოფილა სასახლეებიც, მაგრამ დღეს იავარქმნილია. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ჩანს. არა, თუმცა ნათიბია, ბულულები დგას. ეს ალბათ ტაძრის დარაჯმა გათიბა.
ისე წყნარად, ისე ჩუმად და დაფიქრებულები ადგამდნენ ფეხს, გეგონებოდათ, დიდი ადამიანის ცხედრის საპატივცემულოდ ყოფილიყვნენ მოსულები.
ეზოში ჭაღაროსანი, წმინდად გაპარსული და სუფთად ჩაცმული კაცი დახვდათ.
- ტაძრის მცველი გახლავართ, გვარად მაღრაძე, – გაეცნო გიორგის და მინდიას.
- მაღრაძე! სადაური?
- აქაური, აგერ ფინეზაურის პირას რომ პატარა სოფელია, იქაური. ჩვენც მოსულები ვართ, პაპის პაპა გადმოსულა იმერეთიდან. ჩვენი სოფელიც ამ ციხე-ქალაქს ეკუთვნის. მობრძანდით! – და კბოდისაკენ გასწია, ფინეზაურისკენ გადაახედა. – აგერ, წყლის პირას, ნანგრევებია, ეგენი აბანოებია. ახლა აქეთ მობრძანდით, – და წაიყვანა მაშავერის კბოდისაკენ.
მათ წინაშე, ლუკუნის მთის (2225 მ. სიმაღლის) დაფენილ კალთაზე, გაღმა მხარის სოფლები გადაიშალა. პირდაპირ დმანისი, ვარდისუბანი, ბოსლები, განთიადი, მიჯა, მთისკენ კაკლიანი, ქვევით, მაშავერის მარჯვენა ნაპირზე ბალიჭი, კაზრეთი, სწორედ „საამო იყო საცქერლად“.
- აგერ, მაშავერის ნაპირს რომ აჰყვეთ, ნახავთ წყაროებს, რომლებიც მუწუკებს არჩენს.
- თქვენ ბრძანეთ, რომ პატარა დუმანისელი ხართ. ხომ არ გაგიგონიათ, სად იყო შუშის ქარხანა.
- როგორ არ გამიგონია, ჩვენი სოფლიდან 5-6 კილომეტრით ზევით... ახლა ნანგრევებიც კი არ ჩანს, ისე კი იტყვიან ამ ალაგზე „შუშის ქარხანაო“.
- ერთიც, ქვახვრეტილს რომელ ადილს უწოდებენ?
- სოფ. კიანეთის ზემოთ არის ერთი ადგილი, წისქვილის ქვებს აკეთებდნენ. ახლა კი ამის ოსტატი აღარავინ ჩანს...
ამის შემდეგ ჩამავალი მზის სხივებზე დათვალიერეს ციხე-ქალაქი.
ეზოში, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს ორი ტაძარი, დიდი ბაზილიკა, სიონი და მომცრო, მარინეს ეკლესია.
სიონი სამნავიანი ბაზილიკაა და ჩვენი მეცნიერები მას VII საუკუნის ძეგლად მიიჩნევენ, თუმცა თორმეტი საუკუნის გრძელ გზაზე ბევრჯერ დანგრეულა და გადაუკეთებიათ. კედლების ამოსაყვანად ნახმარია ნამსხვრევი[30] კლდე, ქართული აგური, რიყის ქვა.
კედლებზე მრავლად არის ამოსული ბალახი, განსაკუთრებით მლაშობის ჯიჯილაყა.
კედლებში რამდენიმე ბოლნისური ჯვარია დატანებული.
დასავლეთის მხრიდან სიონს მიშენებული აქვს არქიტექტურულად სრულიად განსხვავებული კარიბჭე. ერთი შეხედვითვე თვალში ეცემა კაცს, რომ კარიბჭე ამ ტაძარს არ შეეფერება, კედლები, მართალია, ნაშენია ნამსხვრევი ქვით, მაგრამ სამაგიეროდ, კარიბჭის ყველა ნაწილი, სვეტი და კედლები მოპირკეთებულია ღია ფერის მომწვანო ფიქალით. ეს ქანი დმანისამდე გზის პირასაც კარგად ჩანს და, ეტყობა, „ქვაც იქიდან უზიდიათ“.
გარედან მთელი კარიბჭე მორთულია XII-XIII საუკუნის ტაძრისათვის დამახასიათებელი ჩუქურთმებით (ბეთანია, ფიტარეთი), კედელზე არსებული წარწერებით ირკვევა, რომ ის აშენებულია ლაშას-გიორგის მეფობის დროს. ხშირად მის აშენებას ლაშა-გიორგის მიაწერენ.
სიონზე მიდგმულ სამრეკლოზე კიბე ასდევს, რომელიც მალე კარგად ნაგებ თაღში გადადის. მშენებლობის მიხედვით ის იმ თაღოვან ხიდებს წააგავს, რომლებიც ამ მხარეში იშვიათი არ არის. გარდა სიონისა და მარინეს ეკლესიისა, ეზოში კიდევ ორი პატარა ეკლესიის ნანგრევია, მაგრამ რას ვამბობ, განა მარტო ეკლესიისა!



დმანისის ტაძრის თაღი

გაგაკვირვებს აბანოთა სიმრავლე, რომლებიც კარგად ნაგები და მოწყობილია, გვხვდება გალავნის შიგნითაც. იქნებ ამ აბანოებში იყო გამოყვანილი სამკურნალო წყაროები, რომელთა შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი თავის გეოგრაფიაში წერს: „ხოლო დმანისს უდის ჩრდილოთ მაშავერი, სამხრით ფინეზაური. არს აქა წყარო, რომელი ჰკურნებს მუწუკთა. აქვე არს წყარო, რომელი დაამსხვრევს ქვასა შირიმისასა[31] და დააყრევინებს სმითა“.

გივი წააწყდა მარნებს, სადაც 30-მდე ქვევრი დაითვალა, ეს შემთხვევითი არ იყო, თითქმის 40 წლის წინ, რუსთაველის იუბილეს მოახლოების გამო, დაიწყეს აქ გათხრები. მას ხელმძღვანელობდა შესანიშნავი ადამიანი და ღრმად განათლებული ლევან მუსხელიშვილი.

დმანისს თვიდან ბედი არ ეწერა, ჯერ კიდევ 853 წელს ბუღა-თურქმა მოაოხრა ქვემო ქართლი, „დარიელით გამოიყვანა ოვსნი, ვითარ სახლი სამი ათასი და დასხნა დმანისს“. XI საუკუნეში დმანისი არაბთა ამირებს უჭირავთ. რაკი დიდ გზაზე მდებარეობდა, ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრიც ყოფილა. XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა თვალი დაადგა და 1123 წელს აიღო კიდეც. დმანისი თავიდანვე ჭრელი მოსახლეობით ყოფილა სავსე, ეს სიჭრელე შემდეგაც არ შემცირებულა. თამარისა და ლაშა-გიორგის დროს დმანისის განვითარებას თითქოს არაფერი უშლიდა ხელს და მისი ცხოვრებაც, ერთი შეხედვით, კარგად მიდიოდა, მაგრამ მალე, ჯერ XII საუკუნის დამლევს, თემურ-ლენგმა დალაშქრა საქართველო, პირველ რიგში, გზად დახვედრილი ქართველების პირველი დიდი ქალაქი, დმანისი.

- უჰ, აღარ მინდა... წამოიძახა ვახტანგმა და ჩრდილოეთის კედლისკენ გასწია.

- რა აღარ გინდა, ბიჭო? – დაედევნა ერეკლე.

- რა და სულ გვანგრევენ , გვიკლებენ, არ გვასვენებენ...

- შენც რა გარსევანის წვადივით აიჩემე[32] გვანგრევენ, გვანგრევენო. გაიგე, ეს წარსულში იყო, – უთხრა და გასწია ჩრდილოეთისაკენ. ძირს ღრმა ხევში მშვენიერი მაშავერა მიიკლაკნებოდა.

- ვახტანგ, გვირაბი! – გამოსძახა ლელამ, რომელიც მართლა გვირაბის ზემო კართან იდგა. გვირაბს კიბე ჩასდევდა, ნაშენი მაგარი ქვითკირით; საშენად ნახმარია დიდრონი ლოდები. სიგანე ორ მეტრს უდრის, სიმაღლეც ისეთია, რომ კაცი კარგად გაიმართება. ხრამი დაკიდულია, ძნელად მისადგომი, არც გარედან ემჩნევა და გინდ შეემჩნიათ და განეზრახათ მისკენ წასვლა, ციხის მოისარნი არ გაუშვებდნენ ცოცხალს.

გვირაბს ზევიდან ჩახედეს.

- მგლისაგან შეშინებული ტურას ერიდებოდაო, – თქვა მინდიამ, რომელიც მიუახლოვდა მათ და ამით თითქოს უფლისციხე მოაგონა.

- არა, სადაც არა სჯობს, გაცლა ჯობს.

ერთხელ კიდევ დატკბნენ ლუკუნისა და ლოქის მთებზე შეფენილი სოფლებით და გასწიეს ბანაკისაკენ.

ლაშა-გიორგის კარიბჭის წინ თემურს და შაქროს კარვები გაეშალათ, შორიახლო ცეცხლიც ენთო.

- ეს რა დამემართა, კაცო, აქ რა გინდათ, ჩამობრძანდით სოფელში, კარგად მოგასვენებთ.

- ნაჩვევები ვართ, არა გვიშავს რა.

და მოეწყვნენ ძირს, გაშლილ ნაბდებზე.

ყვავილი ფერით სპეტაკი

„ვახტანგ მეექვსემ ერთხელ ერთ ხევში
სუმბული ნახა თეთრი და წმინდა.
მოთხარა, ფრთხილად აიღო ხელში,
რომ სავარდეში მიეცა ბინა“.

ლ. ასათიანი

მყეფარის გლოვა

დილაადრიან გზა გააგრძელეს. აღმართი სოფლის პირშივე იწყებოდა, აათავეს თუ არა დიდი დმანისი (დუმანისი), გზა შესწორდა და დაიწყო ახალი სოფელი ვარდისუბანი. გზა პურის ყანებში მიდიოდა, ყანას კაი პირი უჩანდა. ადგილ-ადგილ სისხლის წვეთებივით ენთო ყაყაჩოს ყვავილი. ზოგან ჩანდა თეთრი ნარით დაჩაგრული ყანაც. თეთრი ნარის გვერდით გამოჩნდა მინდვრის ნარიც, რომელიც თეთრი ნარისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ფოთლის ქვედა მხარეც მწვანეა. თეთრი ნარის ფოთოლი ქვევიდან თეთრი ქეჩისებრი ბურუსითაა დაფარული. ჩვენში მინდვრის ნარი თეთრ ნარს მთაში ცვლის 1000-1200 მეტრიდან და ისეთივე მავნე სარეველაა.

მანქანა განთიადში შევიდა, ძველად რომ ყალამშა ეწოდებოდა.

უცნაური ბედი აქვს ამ სამ-ოთხ სოფელს: ვარდისუბანს, განთიადს, მიჯას, მაშავერას. ჯავახეთში შუა ოსმალეთიდან გადმოსახლებული ლტოლვილები როცა მკვიდრდებოდნენ, თვითონ ჯავახები, ზოგი სოფლიდან, სადაც კიდევ იყო შემორჩენილი ქართული მოსახლეობა, აყრილან და მაშავერის ხეობის ნასოფლარებში გადასახლებულან.

- სოფელ ჯავახის სახელწოდებაც ამაზე არ მეტყველებს?

- სწორედ. ვახუშტის სიაში სოფელი ჯავახი ნახსენები არ არის, – უპასუხა გიორგიმ.

მანქანა განთიადის სწორი გზით მიდიოდა. მათი ანეროიდი 1100 მეტრს უჩვენებდა. სახლების წინ და გვერდით ბაღ-ბოსტნებიიყო გამართული. ბაღში ჭერამიც ჩანდა, კაკლებიც იდგა, მაგრამ წვერები წამხმარი ჰქონდა; მაშ ეს ამ მხარისათვის თავისებური საზღვარია. აქამდე ყველა არა, მაგრამ ზოგი ვაზიც კარგად ხარობს. მთელი ამ დიდი ზეგანისათვის ხომ შესაძლებელია შეირჩეს აუარებელი კურკოვანი ხილი (ბალი, ალუბალი, ქლიავი, ჭანჭური, ტყემალი), თესლოვანები (განსაკუთრებით ვაშლები).

სანამ დმანისში შევიდოდნენ, მანქანა დააყენეს. ავიდნენ პატარა ბორცვზე, გაშალეს ვახუშტის წიგნი და მხარის აღწერილობა წაიკითხეს.

- აგერ ემლიკლი, არყიანი, შამბიანი, გულთოვლის მთები, შორს დალი-დაღი, არა?

- აბა, რას გვეტყვის ვახუშტი.

- გვინდა ამ ნაწილის მთლიანად წაკითხვა? – ეჭვი გამოთქვა ერეკლემ, – გზადაგზა ხომ ვიმოწმებთ?

- გაგეგონებათ, გამეორება ცოდნის დედააო, – თქვა გიორგიმ და თვითონვე გაეცინა ამ ცხრაჯერ ნათქვამ „სიბრძნეზე“.

ვახტანგმა გადაშალა წიგნი და თითქმის ათი გვერდი წაიკითხა.

დროდადრო ისვენებდა და რუკებს სინჯავდნენ.

ირგვლივ მთის მშრალი მდელო იყო საკმაოდ ქსეროფიტული მცენარეებით დაფარული.

- შენ აქ მუშაობდი, ხომ? – მიმართა ვახტანგმა მინდიას.

- კი.

- აბა, გვიამბე რამე, რაც იმ დროიდან დაგამახსოვრდა.

- ეე! 40 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ... მაგრამ ცოტა რამეს მაინც გეტყვით. მაშინ დიდი ექსპედიცია გვქონდა. 12-15 ვიყავით. შუადღე იყო, როდესაც ბაშკიჩეთში (ეხლანდელი რაიონის ცენტრი – დმანისი) ამოვედით. ამ ხარეში პირველად ვიყავი და ამიტომ ჯერ აღმასკომის თავჯდომარეს მივმართე.

გაკვირვებით ამათვალ-ჩამათვალიერა. „ეს რა ჩიტი მოფრენილაო“, – გაივლო ალბათ გუნებაში და შემეკითხა:

- ვინა ხარ და რა გინდა?

მე ამოვიღე რუკა, ჩემი მანდატი და წინ დავუდე.

- დავალებული მაქვს ამ მხარის გამოკვლევა, სათიბ-საძოვრების შესწავლა და მინდა აი, აქ, ამ მხარის ცენტრში, დავბანაკდე, ყარაბულახში!

- არ გამოვა.

- რატომ?

- თბილისში უნდა დაბრუნდეთ.

- რად?

- ეე... რად, რად?.. იმიტომ, რომ უნდა დაბრუნდე!

- ვისი განკარგულებაა?
- ჩემი.
ცოტა გული მომეცა.
- რა საფუძვლით?
- იცი, ამხანაგო, ჩვენს რაიონში ყაჩაღია, ჩოფურ-ალი, მოგკლავს დ პასუხი მე უნდა ვაგო.
მე გამეღიმა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ უცნაური აქცენტით ლაპარაკობდა. ადგილობრივი მცხოვრები, მუსულმანი[33] იყო, მეორეც იმიტომ, რომ თუ ყაჩაღი ჩოფურ-ალი მომკლავდა, პასუხს ის რად აგებდა. – ჰო, რას იცინი, ეგრეა! – თითქოს გაჯავრდა კიდეც.
- შენ ნუ გეშინია, მე არავინ მომკლავს, ახლა 15 კაცს უკან ვერ წავიყვან. რა ვუთხრა? ყაჩაღები არიან და ვერ ვიმუშავებთ-მეთქი? შენ ერთი ისეთი კაცი მოგვეცი, ყაჩაღობისათვის და ქურდობისათვის ციხეში რომ იყოს ნაჯდომი და მერე მე ვიცი.
სახე გაუნათდა.
- ეგეთი კაცი სწორედ ყარაბულახშია. იქ წადით, ფერმაზე იცხოვრეთ. გაგატან გამყოლს, ფერმაზეც ის მიგიყვანთ და იმ კაცსაც გაჩვენებთ...
მართლაც, ერთი საათის შემდეგ ჩემი ორი ფორნით ყარაბულახისკენ მივდიოდით, მთის მდელოზე გაკვერილი გზით. ეს ადგილი ზღვის დონიდან 1400-1500 მეტრია. გაზაფხული იყო, მაისის ბოლო.
„გაზაფხულ იყო მაშინა,
ახლად ყოოდნენ იანი;
მწვანის ქათიბით კოხტაობს
მთების კალთები ტყიანი;
ბექ-ბუქში თოვლი დამდნარა;
მიწა გამხდარა წვნიანი“...
მომაგონდა ვაჟას მადლიანი სტრიქონები. მართლაც, ახლად აბიბინებული იყო მდელო, საღამოვდებოდა, მზე შამბიანის და გულთოვლის მთებისკენ ეშვებოდა.
დაღლილები ვიყავით და ჯერ მთლიანად ვერ ვგრძნობდით ზურტაკეტის დიდი მინდვრის მშვენიერებას, მით უმეტეს, რომ აღმასკომის თავმჯდომარემაც, ცოტა არ იყოს, შეგვაფიქრიანა, „უნდა დაბრუნდეთო“ რომ გვითხრა. ყველანი ფიქრმა წაგვიღო და ვერც კი შევნიშნეთ, როგორ შევედით სოფელში.
ბაშკიჩეთელი გამყოლის მითითებით ფორნები დავაყენეთ სოფლის თავში, შვეიცარიის მთის სოფლებისათვის დამახასიათებელი სახლების წინ. უსეინი, ასე ერქვა ჩვენს თანმხლებს, სადღაც წავიდა და ათიოდე წუთის შემდეგ მოიყვანა ხანშიშესული გერმანელი. კოპებშეკრულმა დაგვიქნია თავი. ერთი გადარაზული კარი გაგვიღო და მომმართა: „ეს თქვენ“... ჩვენ წინ ანკარა წყალი ჩამოდიოდა, ოთხთვალიან წისქვილს დაატრიალებდა; ხის ხიდი გადაიარა, სამი ასეთივე სახლის კარი გააღო და, „ესენიც თქვენ“-ო გვითხრა. კართან ძაღლი იწვა, ვეება, მეცხვარული, იმასაც წაულაპარაკა, მერე აგვიწია ხელი და წავიდა.
- აბა, ბიჭებო!...
და დავიწყეთ ბარგის შეზიდვა.
ყოველი სახლი რვა ბინისგან შედგებოდა, ოთხი ცალ მხარეს, ოთხი – მეორეს. თვით ბინაში ერთი დიდი ოთახი და სამზარეულო იყო, ოთახში სამზარეულოს გავლით შეხვიდოდი. სამზარეულოდან კიბე სხვენზე ადიოდა. ბარგი რომ შევზიდეთ, ჩვენი გამყოლი დაგვემშვიდობა, „თქვენ რომ კაცი გინდათ, ის ხვალ დილით მოვა, დღეს შინდლიარზე წასულაო“.
ჩვენს კარებთან უზარმაზარი ძაღლი იწვა. მურა-მეთქი, შევეხმიანე და ხბოსოდენა დადგა ფეხზე. ეს იყო ნამდვილი მეცხვარული ძაღლი, ჩვენებური ქართული ცხვრის ზაღლი. ხშირად ვჩივით, ცხვარი გადაშენდა, თუშური ცხენიც, მეგრული ძროხა და აბა თუ ვინმემ კრინტი დაძრას მეცხვარულ ძაღლზე! სამწუხაროდ, ესეც გადაშენების გზაზეა შემდგარი, ამასაც მიხედვა უნდა.
უწყინარი მეგონა, მაგრამ წყალგაღმა „თათრის“ ბიჭი დაინახა და კისერი აეჯაგრა, წინა თათები ხიდზე შედგა და ისე დაიღრინა, რომ შემეშინდა, თუ გადაუხტა, დაგლეჯს-მეთქი, – ვიფიქრე. შემდეგ მითხრეს, ეზოს გარეთ არავის ერჩის, ეზოში არავის შემოუშვებს, განსაკუთრებით „თათარს“, ევროპულად ჩაცმულს ეზოში შემოუშვებს, მაგრამ სახლში ცხვირს არც იმას შეაყოფინებს, მაშინვე პატრონს გააგებინებს ყეფით, გარეთ გამოიხედეო. თუ მომსვლელს პატრონი მეგობრულად შეხვდა, ძაღლიც აღარას ერჩისო.
თითო ასეთი ძაღლი ყველა სახლის წინ იწვა.
ჩვენი ოთახების პატრონები, ქრისტიან ამეტერის უფროსი შვილები, კანადაში ყოფილან წასულები. თურმე იქ ეძებდნენ მიწას. როცა შეიძენენ და შეატყობინებენ, ესენიც გაყიდიან, რაც გაუყიდავი დარჩათ, მთელი თავისი

ავლადიდებიანად წავლენ ბათუმში და გემით გაემგზავრებიან კანადაში. ჩანს, ჩვენში დარჩენა არ ინდომეს. შვეიცარიელი გერმანელები არიან; შვეიცარიაში აღარაფერი აქვთ და დასასახლებლად კანადა არჩეს.
ჩვენი ბინა იყო სოფელ შავწყაროზე, ახლა რომ ყარაბულახს ეძახიან. ჩვენ კარწინ ისეთი წყალუხვი ნაკადული მიდიოდა და მიჩქეფდა, ოთხ თვალს დაატრიალებდა.
„ხოლო არს დაბა ველსა ზედა შავი-წყარო – ყარაბულახი, ამიერ და იმიერ უდის წყაროსაგან მდინარენი სავსე კალმახითა, არამედ სამხრეთის კალმახი არს შავი და ჩრდილოსი თეთრი, და უკეთუ ჩასვა ჩრდილოსი სამხრით, გაშავდების და სამხრეთის ჩრდილოთ ჩასმული განსპეტაკდებისო“[34], – ამბობს ვახუშტი.

დმანისი ტაძრის ეზოში

რკონის ხიდი

ამაში მეორე დღესვე დავრწმუნდით. დილით ხუთიოდე ბიჭი მოგვადგა კარს: „თევზი თუ გინდათ, დავიჭერთო“, თანხმობა მივეცით თუ არა, ჩახტნენ წყალში და დაიწყეს ხელაობა; მცირე ხნის შემდეგ ნაპირზე მსხვილი მოშავო კალმახები ფართხალებდნენ. დილა იყო და მთის სუსხი ჯერ საკმაოდ ძლიერი იყო, ბიჭები გალურჯდნენ. ვთხოვე, გეყოფათ-მეთქი და, არაო, ჩვენ ასე ვიცითო. ამოხტნენ წყლიდან, დაიწყეს სირბილი. ამის შემდეგ სამი ბიჭი მეორე მდინარისაკენ გავგზავნე და, მართლაც, მალე მომირბენინეს თითქმის თეთრი კალმახები. ერთი მხრივ კირქვებია და მეორე მხრივ ბაზალტები და მიმიკრიის კანონი თავის საქმეს აკეთებს. ბიჭებს შევუთანხმდი, ყოველ დილით მოეტანათ 20-30 კალმახი. მეძვირეები იყვნენ, მაგრამ ცოცხალი კალმახიც არ იყო ცუდი! ხელაობის ასეთი წესი წინათაც მენახა თუშეთში. ბარად კი ჩვეულებრივად ხელაობენ – ხელით იჭერენ, მაშინ, როდესაც მდინარეს ან მის ტოტს დაწყვეტენ და კალაპოტში წყალი მცირეღა მიედინება.
ის იყო ვისაუზმეთ, რომ წყალგაღმიდან ძახილი შემოგვესმა, იქვე კართან კი ჩვენი მურა იღრინებოდა. გამოვიხედე კარში, ხიდთან ხანში შესული ხეხელა კაცი იდგა. მივხვდი, რომ ეს ჩემი მომავალი მეგზური იყო.
- ოჰ, სალამ ალეიქუმ მამედ–ალი![35].
- საიდან ჩემი სახელი?
- ალაჰმა მითხრა.

გაიცინა, გადმოვიდა. მორზე ჩამოვსხედით, მალე მოვრიგდით. სიამოვნებით იკისრა მეგზურობა, მით უმეტეს, რომ იმ დროისათვის საკმაოდ კარგი ჯამაგირი დავუნიშნე. ცოტა ქართული იცოდა, სულ ცოტა რუსული, მეც – ორიოდე თურქული სიტყვა, შემდეგ მას კიდევ მივუმატე და გავდიოდით იოლად.
დავავალე, ხვალისათვის ექვსი ცხენი ეშოვა, მომავალი კვლევის ადგილების დავლა მინდოდა ექსპედიციის ზოგ წევრთან ერთად.
- ჩოხ იახშიო[36], – მითხრა. ერთი სიტყვით, მე და მამედ-ალი დავმეგობრდით. ხშირად ჩვენ შორის ალაჰსაც კი გზავნიდა მოციქულად.
ერთხელ მე და მამედ-ალი ცხენებით წავედით გულთოვლის მთებისაკენ. დავიბარე, ცხვარს, რომ დავბრუნდებით, მამედ-ალი დაკლავს-მეთქი (მუსულმანები სხვის დაკლულს არ ჭამენ). საკმაოდ შეგვაგვიანდა და, რომ დავბრუნდით, ცხვარი დაკლული დაგვხვდა.
ცოტა არ იყოს უკმეხად ვიკითხე, რად დაკალით-მეთქი; თავი იმართლეს, დაიგვიანეთ და გვინდოდა მშივრებისათვის სადილი დაგვეხვედრებინაო. ვგონებ კი, მამედ-ალის უჯიბრეს. მამედ-ალის სახე ჩამოსტიროდა, წელში მოიხარა. მოხადა უნაგირები, დააბინავა ცხენები და გაქრა.
ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა.
- ბაშ დოხტურ![37] მოლა ალაჰს შეეკითხა და ალაჰმა უთხრა, მინდია გულით სთავაზობს ცხვრის ხორცს მამედ-ალის და შეუძლია შეექცესო.
იცოცხლეთ, მოულხინა. ხუმრობა ხომ არ იყო, „ალაჰმა დართო ნება“. სამაგიეროდ, ახლა დაკვლის ინიციატორს ჩამოსტიროდა სახე.
არც ერთი ამეტერი არ მოგვეკარა. დადიოდნენ დაღვრემილები. რვაასი ძროხიდან მცირეღა ჰყავდათ, ყიდდნენ. თავისებური მეტისები იყვნენ, შვიცის ჯიშის ნაჯვარი ადგილობრივთან. თითქმის 60 წელი აუმჯობესებდნენ. ზოგი ფური 400 კგ-მდე იწონიდა. ჰყიდდნენ 100-150 მანეთად. მენანებოდა, იფანტებოდა დიდი ხნის ნაღვაწი; სასწრაფოდ ჩამოვედი თბილისში, კომისარიატში მივედი; კომისართან შემიყვანეს, მოვახსენე, იქნებ მაგარი სიტყვებიც ვიხმარე. კოპები შეიკრა და მოკლედ მიპასუხა: შენ შენი საქმე აკეთე, მაგას ჩვენ მოვუვლითო. ვიგრძენი, რომ ეს საქმე მასაც აწუხებდა.
დავბრუნდი დაღონებული. საქმე ისაა, რომ მეორე ფერმაც მუსაკალში, სადაც სემენტალის ჯიშის მეტისები იდგა, იყიდებოდა. მიწსახკომმა კუჩენბახის მეურნეობა მთლიანად დაიტოვა, მაგრამ ამეტერების ფერმებიდან სულადობის მცირე ნაწილი შეიძინა, რადგან ამეტერები შვეიცარიის ქვეშევრდომები იყვნენ და მათგან პირუტყვის შესაძენად ვალუტა იყო საჭირო. ამდენი ვალუტა კი მაშინ ძნელი საშოვარი იყო.
ივნისის შუა რიცხვებამდე სულ მიყიდ-მოყიდეს, გარდა 20-30 ცხენისა.
ივნისის ერთ დილას დიდი და პატარა (თუმცა პატარა აღარავინ ჰყავდათ, რადგან წინათ რძალიც შვეიცარიიდან მოჰყავდათ. ქალსაც მხოლოდ წმინდა გერმანელს აძლევდნენ, ჩვენებურ გერმანელებს – შვაბებს, ისინი გერმანელებად არ თვლიდნენ და მსოფლიო ომის გამო, 1914 წლიდან, ქალებიც გაუთხოვარი დარჩათ, ვაჟებიც – უცოლშვილო. იმ დროს ქრისტიან ამეტერის ოჯახში 40 კაცამდე იყო; მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა – 35 წლისა, ყველაზე მოხუცი კი, თვითონ ქრისტიან ამეტერი, 80-90 წლისა. 70 წლის განმავლობაში სამი დაკარგეს: უფროსის მეუღლე, პატარა შვილი და შვილიშვილი.) სასაფლაოზე ავიდნენ, იგალობეს დაახლოებით ერთი საათი, საფლავებს დააყარეს მინდვრის ყვავილები და ჩუმად დაეშვნენ სოფლისკენ.
ვიდექი სოფლის გარეთ, მთის ღიღილოებით მოხატულ მდელოზე და გავცქეროდი სასაფლაოს, სადაც ორმოცი ადამიანი უკანასკნელად იდგა და ეთხოვებოდა თავის მიცვალებულებს, იმ მიწა-წყალს, სადაც დაიბადნენ და დაბერდნენ.
უფროს ამეტერს მხრებში სიყრმის შვილები შესდგომოდნენ და ისე მოჰყავდათ. ჩამოვიდნენ ფორნებთან, რომლებზეც ბარგი უკვე დაეწყოთ, ცხენები შეებათ.
სახლში აღარ შესულან, ერთი ხუთი წუთი იდგნენ. ქრისტიანს მივუახლოვდი, ხელი გავუწოდე; მანაც გამომიწოდა, თუმცა გაუჭირდა.
დაიძრნენ ფორნები. აიარეს აღმართი და თვალს მიეფარნენ. ორი ძაღლი წამოვარდა, გაიქცა გზისკენ, მაგრამ უმალვე გაბრუნდნენ და დაწვნენ კართან.
სწორედ ამ დროს გაისმა გულშემზარავი გაბმული ყმუილი; არა, ეს ყმუილი არ იყო, ეს იყო ტირილი დაკარგულ პატრონზე. მე დღესაც მესმის ამ ძაღლების ეს უცნაური გლოვა. მას შემდეგ სახლის კარიდან ფეხი არ მოუცვლიათ. სახლები ყარაბულახის ახალგაზრდა კოლმეურნეობამ გამოიყენა. ძაღლებიც თავის ბედს შეურიგდნენ.



ბერდიკის ციხე

ბაშ დოხტურ!

„კაცი უნდა ხერხი იყოს,
გაჰქონდეს და გამოჰქონდეს.
კაცი განა ეჩო არის,
სულ თავისკენ მიითლიდეს“.

ხალხური

- ძაან ადიუტანტი გყოლია ეგ მამედ-ალი.
- უჰ, ნუღარ იტყვი! როგორ ამეხსნა, რად ვაგროვებდით ბალახებს? ძირფესვიანად მოვთხარე კატაბალახა, გავსრისე ერთი ფესვი და ვასუნებინე, შემდეგ ჯიბიდან ამოვიღე პატარა შუშით ვალერიანის წვეთები და ისიც ვასუნებინე. თვალები გაუბრწყინდა, გაიქცა ბუჩქისკენ, მონახა კატაბალახა და ამოთხარა. სუნავდა და იძახოდა „ბაშ დოხტურო“, ე. ი. მთავარი ექიმი ხარო; მით უმეტეს, რომ თან წამოღებული მქონდა საკმაოდ დიდი საველე აფთიაქი და პირველი დახმარების წამლები ბევრი მქონდა; ერთს გატეხილი თავი მოვბანე, იოდი წავუსვი და შევუხვიე, მეორეს ნაღრძობი ფეხი ჩავუდგი თავის ალაგას და სხვა.

მამედ-ალი შემეხვეწა და პატარა შუშით ვალერიანის წვეთები გამომართვა. იმ დღეს დამეკარგა, მთელი ყარაბულახი კარდაკარ მოიარა თურმე, ყველას აჩვენებდა თავის „ბაშ დოხტურის“ წამალს, ორთაშუაშიც კი ასულიყო.

მეორე დღეს სოფელში უფრო მოწიწებით მიცქეროდნენ. საღამოს, როდესაც სამუშაოდან ჩამოვედით, კარზე სამი ავადმყოფი დამხვდა.

ორს მუცელი სტკიოდა, ინოზემცევის წვეთები დავალევინეთ. მეორეს – თვალები. ცივი წყლით დავბანე, სუფთა ტილოთი შევუხვიე და ორ დღეს მზეზე ნუ გამოხვალ-მეთქი, სამივე მორჩა თურმე. ჩვენს ინოზემცევის წვეთებს ბალახის თიბვის დროს დაედო ფასი; მთიბავებად საბჭოთა მეურნეობამ წალკელი ბერძნები ჩამოიყვანა. დალოცვილებს დღეში 3-4 კილოგრამი პური არ ჰყოფნიდათ. საკმარისი იყო, ინოზემცევის წვეთები მიგვეცა, რომ სიამოვნებით დაისვამდნენ მუცელზე ხელს „აღარა მტკივაო“, მაგრამ გამოილია წვეთები; მოვიდა ხუთი მთიბავი, ვეუბნები, „არ არის“, მაგრამ არ მიდიან, უცბად ჩვენი კვიმატი ამხანაგი მეუბნება: „ერთი ბოთლი კიდევ არისო“; შევიდა ოთახში და გამოიტანა სავსე ბოთლი, ჩაუწვეთა რაც საჭირო იყო და დაალევინა ხუთივეს, ჩვენი პაციენტები ნასიამოვნები წავიდნენ.

- ეგ რა არის?
- ნუ გეშინია, არ დახოცავს. ჩაის ნაყენია.
- ეგ როგორ შეიძლება?
- ხომ მორჩნენ და წამალს მეტიც არ მოეთხოვება.

გამივარდა ექიმის სახელი. მართლაც, ვისაც რა ასტკივდა, წამალი მივაწოდე, დავარიგე და ყველა მორჩა.

საქმე ისაა, რომ იმ დროს ამ სოფლებში ექიმები არ იყვნენ. პატარა საავადმყოფო იყო ბაშკიჩეთში. ამ მხარეში ვეტექიმს უფრო ადვილად ნახავდი, ვიდრე ექიმს.

სადაც მივდიოდით, მამედ-ალი პირველად წარმადგენდა ხოლმე, როგორც „ბაშ დოხტურს“... შამბიანზე ერთ ბინაზე მივედით. ეს მამედ-ალის ტრადიცია იყო, ბინას გვერდს ვერ აუვლიდა, მაწვნით უმასპინძლდებოდნენ და როგორ აიცდენდა!
ამ ბინაზე ჩემი ყურადღება უნებურად მიიპყრო ერთმა ჩასკვნილმა, სახედაკენკილმა კაცმა, რომელიც თვალებს ქორივით ატრიალებდა. იგი წინათაც შემხვედრია, ისევ ბინაზე, მაგრამ მაშინ გულისყურში არ ჩავვარდნილვარ. გამომცდელი თვალით შევხედე, მან თვალი ამარიდა. მამედ-ალის რაღაც უთხრა.
- იოხ, ბაშ დოხტურ, იახში, ჩოხ იახში[38].
სოფელში და ბაშკიჩეთში რამდენჯერმე იკითხეს, ჩოფურ-ალი ხომ არ გინახავთო. რა მეთქვა? არც ერთხელ არ უთქვამთ, ეს ჩოფურ-ალიაო. ის იყო თუ არა, ვერ ვიტყოდი, არც ნამდვილად მიცვნია.
საღამოობით ავადმყოფები ისევ მოდიოდნენ, ამას ჯერ ანგარიშს არ ვუწევდი, მაგრამ ერთ დღეს სოფ. ახადან ურმით რომ მძიმე ავადმყოფი მომიყვანეს, შევფიქრიანდი. ძლივს დავარწმუნე, რომ ექიმი არ ვიყავი.
- რა ვი? დიდ-პატარა კი იმას ამბობს, დიდი ექიმიაო... მითხრა ავადმყოფის პატრონმა.

ქვახიდა მდინარე ზურტაკეტზე

გამეცინა.
წერილი დავწერე ბაშკიჩეთის საავადმყოფოს ექიმთან და გავატანე. ისე კი, ის დრო კარგად მაგონდება.
- ჰო, ბებერი მოგონებითა, ჭაბუკი მოლოდინითა, – არ დააყოვნა ვახტანგმა. ლელამ კი თავში წამოუცაცუნა.
- გამოცდილება კაი საქმეა, ახალგაზრდობით მოგებული, სიბერის დროს ხმალიაო.
თქვა გიორგიმ და ტბის ნაპირისაკენ წავიდა. ერთ ნესტიან მდელოზე გაიარ-გამოიარა და რაღაც მცენარე მოთხარა.

დაკარგული თოვლი

„მეც სუმბულივით დავიგოლვები
და მეც გამახმობს უცხო ზმანება,
თუ საქართველოს ლურჯი გორები
დროზე არ ნახა ჩემმა თვალებმა“.

ლ. ასათიანი

ეკლიანი სუმბული

გიორგიმ ღერომოკლე, სპილოსძვლისფერ ყვავილებიანი, გრძელი და ფოთოლეკლიანი მცენარე მოიტანა.
- აბა, უსუნეთ!
- მართლაც, შესანიშნავია!
- ვიცი, რაც არის, – აყვირდა ვახტანგი.

„აქ არს ყვავილი სუმბული, ფერით სპეტაკი, მგზავსი ნარისა, და მიწასა ზედა გართხმული, სურნელი ვითარცა ამბარი, და უმეტეს ფშოსანი და ეკლოვანი, მეფემან ვახტანგ მოიღო სავარდესა შინა, არამედ არა ჰყო ნაყოფი“.
- „მგზავსი ნარისაო“, ეს მართლაც ნარია, რომელსაც „ცირზიუმ ესკულენტუმს“ უწოდებენ, მაგრამ, რასაკვირველია, სუმბული არაა, თუმცა სუნი კი სუმბულისა აქვს.
აქ საინტერესოა „მოიღო სავარდესა შინა“; ესაა თავისივე ქვეყნის მცენარეების ინტროდუქცია, გადმონერგვა. ვახტანგის სავარდე იყო იქ, სადაც დღეს ბოტანიკური ბაღია, ვახტანგ მეექვსესთანა განათლებული, მშრომელი მეფე ბევრი არ გვყოლია. იგი იყო პოეტიც, ისტორიკოსიც, მთარგმნელიც, რჯულმდებელიც, ქიმიკოსიც, მათემატიკოსიც, მესტამბეც და მეფე-მოღვაწეც.
ქიმიის ერთ-ერთ ტრაქტატში წერს: მე მივიღე ქაფური ორნაირი, ხსნარი და კრისტალურიო, ამის ხე მე მაქვს, ბაღში, ინდოეთში მოდისო. ამოიღო წიგნაკი და ჩახედა. თუმცა, დავუგდოთ ყური თვით ვახტანგს „სამედიცინო პარაგრაფების“ მიხედვით:

ქაფურის ამბავი
„ქაფური ხის ფისია. თვითონ ამისი ხე მეც მქონდა, რომ ზედ ესხა, ინდოეთიდამ მოვა, ორი რიგის მეტი არ იქნება, ერთი, წამალში რომ ხმარობენ, ის არის, ჯოვდანას ეძახიან, უფრო ბევრია, მარილის თვალსავით გასჭვირს, წვრილი იქნება“.
ეს პარაგრაფები მოთავსებულია წიგნში, რომელიც თავის მეფობის დროს დაუწერია, 1711 წლის შემდეგ, ალბათ, მოსკოვ-პეტერბურგში, წიგნს ეწოდება „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნისა შეკრებილი მეფის ვახტანგისაგან“. ამით დასტურდება, რომ ინტროდუქცია შორეული ქვეყნებიდანაც ხდებოდა. მაშასადამე, დღევანდელი ბოტანიკური ბაღი ვახტანგ VI დროსაც (1705-1724) ბოტანიკური ბაღი ყოფილა. მარტო ამ დროიდანაც კი, რომ ვიანგარიშოთ, თბილისის ბოტანიკური ბაღი 266 წლისაა, მაშასადამე, უხუცესია საბჭოთა კავშირში; მით უმეტეს, იგი ვახტანგამდეც არსებობდა. ვახტანგი ხომ თავის ცნობილ ტრაქტატში წერს, ქაფურის ხე ჩემს ბაღში მსხმოიარე იყოო. ე. ი. ეს ბაღი ვახტანგის დროს უკვე ბოტანიკური ბაღი ყოფილა; მასში ინდოეთიდან მოტანილი მცენარეებიც კი ჰქონია.
ეს ადამიანი ერთი წუთით არ ისვენებდა, ირანის შაჰს რომ ჰყავდა ტყვედ, მაშინ ქილილა და დამანას თარგმნიდა, სარდალი იყო ჯარში და ხელში წიგნები ეჭირა. გარდა იმისა, რომ შექმნა კომისია ქართლის ცხოვრების ხელნაწერთა შესაჯერებლად, ასეთივე განათლებულ ხალხს დაავალა კარაბადინების შეჯერება და გამართვა „ჩამომავალთათის კეთილ სახმარად“.
ირანიდან საქართველოში შემობრუნდა ჯერ მმართველად, შემდეგ მეფედ, დააარსა სტამბა; კომენტარებით გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“; შეადგინა სამართლის კოდექსი, რომელიც, იმ დროის კვალობაზე, საკმაოდ პროგრესულია სხვა ასეთ კრებულებთან შედარებით; გაიყვანა არხები, „დაატრიალა წისქვილი“ და გაამაგრა საზღვრები, განსაკუთრებით ოსმალეთისაკენ.
- მაინც დიდი შეცდომა დაუშვა.
-!!?
- დატოვა საქართველო და დაცარიელა, ჭკვიანი და გამოცდილი ხალხი თან წაიყვანა.
- ზოგი შეცდომა კაცს უნდა შევუნდოთ.
- მე კი, მაგრამ ისტორია?
მზე რომ კეჩუთის ქედს დაუახლოვდა, შინისკენ მაშინ გამოსწიეს.
დაღმართზე რომ მოდიოდნენ, ერეკლემ თქვა:
- რა ესუმბულებოდა იმ მძიმე დროში?
- საქმეც სწორედ ისაა, კაცმა ყოველ დროს ყველაფერს საჭირო ადგილი მიუჩინოს.

საწყალი მინდია

ერთ დღეს, სამუშაოდან რომ დავბრუნდით, ჩვენი „ნანადირევი“ მივალაგ-მოვალაგეთ.
- ხვალ გომარეთში მივდივართ მე და მამედ-ალი, საღამომდე დავრჩებით, – გამოვუცხადე ჩემს დიასახლისს, ბებიათქვენს.
- მაშ, იცი რას ვიზამ? დღეს სტეფანესთან ერთ ხუთ კილო ნაღებს ავიღებ, კვერცხიც მაქვს და ბისკვიტს გამოგიცხობთ.
საქმე ისაა, რომ ამეტერების ნამოსახლარზე საბჭოთა მეურნეობა ჩამოყალიბდა, წყალგაღმა ყველის ქარხანა იყო, სადაც ოსტატად ლორელი მოლოკანი სტეფანე მუშაობდა. შვეიცარიულ ყველს ხარშავდნენ, თითო თავი ყველი 80 კილოგრამი მაინც იქნებოდა. უზარმაზარი ქვაბი იდგა, 700-800 ლიტრი რძე ჩადიოდა. ყველი რომ ძალიან მსუქანი არ გამოსულიყო, შეთბობის დროს თავზე მოგდებულ ნაღებს ხდიდნენ და მისგან კარაქს დღვებავდნენ.

ჩვენ რძეს პირდაპირ ქარხანაში ვყიდულობდით და სტეფანე რძის ნაცვლად სწორედ ამ ნაღებს გვაძლევდა. ირგვლივ „თათრები“ იყვნენ, ხმას ვერ სცემდა, ჩვენ კი დავმეგობრდით, კვირაში ორჯერ ბოლნისში ჩვენი ცხენოსანი ჩადიოდა და ამოჰქონდა ხილი და ბოსტნეული, რასაკვირველია, სტეფანესა და მის მართასაც ვუწილადებდით ხოლმე.



ყარაბულახელები

სამაგიეროს გადახდა მოინდომა. საუზმეზე დაგვპატიჟა. სუფრის თავში იდგა უზარმაზარი სამოვარი, მართას დაეცხო ბლინები და ყველიანები. ჩვენ მუხლებზე დიდი პირსახოცი გადაგვაფარეს, ოფლის მოსაწმენდად. დაიწყო ჩაის სმა, დალიეს ერთი, ორი, სამი, ოთხი, ოფლად იღვრებოდნენ და იწმენდდნენ პირსახოცით, დავლიე მეორე და შემომთავაზეს მესამე, მადლობა შევღაღადე, არა გამოვიდა რა —აი, ჩვენ მერვეს ვსვამთო. ვგონებ ათ-ათი ჭიქა მაინც დალიეს. „ჩვენი ღვინო ესაო“, – იცინოდა სტეფანე. მოლოკნები სპირტიანს არ ხმარობენ.

გამოცხვა ერთი სამკილოიანი ბისკვიტი, რომელიც ჩავდე ხურჯინში, დავუმატე ცოტაოდენი ხილი, კიტრი, ყველი, პური. შევსხედით მე და მამედ-ალი ცხენებზე და გავწიეთ გომარეთისკენ. დანარჩენები შამბიანზე უნდა წასულიყვნენ, მდელოს მოსავლიანობაზე დასაკვირვებლად და ნიმუშების ასაღებად.

გომარეთის მინდორი უზარმაზარია, კარგმოსავლიანი, ყანები ახლად იყო შემოსული და ხორბლის ნიმუშები უნდა ამეღო.

საქმე ისაა, რომ ითესებოდა მრავალნაირი ხორბალი, რაც მთავარია, – ასლები, უმთავრესად, ორმარცვალა ასლი, თეთრიც და წითელიც. იშვიათი იყო ოჯახი, რომ ცოტაოდენი ასლი არ ჰქონოდა დათესილი. საქმე ის გახლავთ, რომ რაჭა-ლეჩხუმში ზანდურს სახაჭაპურედ თესდნენ; აქ ასლი საკორკოტედ ითესებოდა, მარცვალი თეთრი, მსხვილი და ლამაზი აქვს და კორკოტიც ლამაზი გამოდის. კორკოტი კი, სელის ან კაკლის ზეთით, კარგი სამარხვო საკვები იყო, თუ წვნიანი სისირის შეჭამანდიც ჰქონდათ, მაგას რაღა ჯობდა; ამიტომ მინდორში ბევრგან ეთესა სისირისი, მუხუდო, ოსპი, ბარდა, ცერცვი. ხედავთ, ხუთნაირი ცერცვოვანია; ხალხის კვებისათვის ყველა მათგანს დიდი მნიშვნელობა აქვს; სამწუხაროდ, დღეს, გაუგებრობის გამო, ნაკლები ყურადღება ექცევა ცერცვოვნებს.

ხორბლეულიდან მაინც ძირითადი იყო დოლის პური, ფხიანი თეთრი დოლი, ფხიანი წითელი დოლი, ხულუგო, წითელი დიკა, თეთრი დიკა, შავი დიკა, ჩოქელა ხორბალი. ყველა ამ პურში გამოერეოდა ხოლმე თითო-ოროლა თავთუხი, ჭვავი და სხვ. ქერიც გვხვდებოდა, მაგრამ შედარებით ცოტა.

მზე კარგა მაღლა იყო წამოსული, როდესაც გომარეთის გაშლილ მინდორზე ჩამოვედით; ჩამოვხტი ცხენიდან, აღვირი მამედ-ალის მივეცი და მინდვრების შესწავლას შევუდექი. ყველა ოდნავ განსხვავებულ თავთავს ვაგროვდები. დიდი მრავალფეროვნება იყო, ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო დოლისა და ჩოქელას ნარევმა ნათესმა.

დიყი

მდელო

თეთრი დოლი მაღალია, აქ 1 მ. 20 სმ. იქნება. ჩოქელა კი 50-70 სმ. სიმაღლისაა, ე. ი. მეორე იარუსშია მოქცეული. ასეთ კომბინირებულ ნათესს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ქვენა ქარი თუ ზედა იარუსს ფიტავდა, მეორეს ვერას აკლებდა, ის დაფარული იყო დოლის პურის პირველი იარუსით. რასაკვირველია, ყანის კონსტრუქციის ასეთი ტიპი საუკუნეთა მანძილზე დამუშავდა და აქაური ბუნებრივი პირობებით იყო ნაკარნახევი.
არც მრავალსახეობა და მრავალჯიშობა იყო უგულვებელყოფილი იმ დროისათვის. ერთი ჯიში თუ არ მოვიდოდა, მეორე მოვიდოდა. აი, ჩვენი მინდვრის ეს თავისებური სტრუქტურაა, ალბათ, ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ჩვენში დიდი შიმშილობა იშვიათი იყო.
- რატომ ეგრე თამამად დაიარები – შემომესმა უცბად, – გამარჯობა! – დაატტანა.
- თამამად კი არა, ძლივს ვადგამ ფეხს. გაგიმარჯოს!
- აქაური მეველე ვარ. თქვენმა თათარმა მითხრა, ვინცა ხართ, შველა ხომ არ გინდათ რა?
- გმადლობთ, შენი ჭირიმე. კარგი მოსავალი კია, ღვთის თვალი ტრიალებს შიგ.
- თქვენ აგაშენათ ღმერთმა, როდის აქეთია, ეგეთი ქართული თქვენისთანა კაცისგან არ გამიგია! კარგია, კარგი, დიდი თოვლი იყო და იმიტომ, დიდ ზამთარს დიდი მოსავალი მოსდევს, „მარტი იცინოდეს, კაცი ტიროდესო“.
გამიძღვა და შავი დიკას წმინდა ნათესთან მიმიყვანა. ყანა იყო, მტრის თვალს არ ენახვებოდა.
- ყველაფერი დრომ იცის, დროზე მოიხნა, დროზე დაიფარცხა და დაითესა. ხომ იცით, „ხბო უნდა თებერვალისა, ციკანი-რავი მარტისა, თუ რამ სადმე გაიზრდება, ტახი იანვარისაო“, ყველას თავისი დრო აქვს.
როდესაც ვუთხარი, ცოტა ნარი მოსდებია-მეთქი, მიპასუხა:
- ეკალი ნაქებარია ცეცხლის მოსაკიდებლად, მაგრამ არ ვარგა უბეში ჩასადებად, არც ყანაში და არც ბოსტანშიო.
ამ დროს ქვევიდან ძახილი შემომესმა: „თანდილაა“!
- უეჭველია, დემურბალაღელების საქონელი გადმოსულა... ეს თქვა, „კარგად მენახეო“, და მოუსვა ქვევითკენ. რაც უნდოდა ეთქვა და ვერა თქვა, მე ის დამენანა.
ვაგროვებდი თავთავებს, ვკრავდი ლამაზ კონებად და ვაბარებდი მამედ-ალის. მზე უკვე დაგორებაზე იყო, როდესაც მინდორი გადავიარეთ და ქციის ხრამს მივადექით. კანიონი მცენარეებით იყო დაფარული, ნაწილი ვაკეზე ამოდიოდა; ჩავუბით ცხენებს ფეხი, მოვუშვით მოსართავი და გავუშვით საძოვარზე. ხურჯინი ხრამის პირას მდგომ მუხის ძირას მივიტანე, გავშალე სუფრა, ამოვიღე ბისკვიტი, გავტეხე შუაზე, ერთი მამედ-ალის დავუდე წინ, გავანაწილე ხილიც. ამ დროს თვალი წამიცდა ხრამის პირისკენ და დავინახე ისეთი მცენარე, რომელიც, ჩემი აზრით, აქ არ უნდა ყოფილიყო. წამოვხტი და მოვტეხე ტოტი, დავაკვირდი, თითქოს არის და არც არის. ჩავედი ძირს, მეორეც ვნახე. არ ვიკმარე და საკმაოდ ღრმად ჩავყევი; ვისაც ამ კანიონზე უვლია, კარგად იცის, რას ნიშნავს ეს, ჩასვლით ჩახვალ, მაგრამ ამოსვლით? ამოხვალ, მაგრამ გაგიჭირდება; საქმე ისაა, რომ კანიონი ვულკანური ქანებისგან შედგება: ბაზალტები და ანდეზიტებია; კანიონიც ხშირად შვეულია. ასე იყო თუ ისე, ოფლში გაწურული ამოვედი, მაგრამ არ ვნანობ. ჯერ ერთი ამ კანიონის ხე-მცენარეების სია

შევადგინე: აღმოსავლური მუხა ქვევითაც ჩანს, ე. ი. 1200 მ. სიმაღლეზე ჩამოდის, მის ქვემოთ ქართული მუხაა, ჯაგრცხილა, თამელი, კიდობანა, ჭანჭყატა, თელა, კუნელი, ზღმარტლი, შვინდი, შვინდანწლა, ჯახველი... ამ ფხოკიალის დროს მუხებიდან აფრინდა ქედანი, გვრიტი, მტრედი, გვიძინი[39], ხეკაკუნა, ჩხიკვი. ბუჩქნარებში ისკუპა შველმა. უეჭველად იქნებოდა კვერნა, თრითინა, მელა; სადაც შველია, იქ მგელს რა გამოლევს, მგელთან კი – ტურას! როგორც დიდი კაცის ირგვლივ ტრიალებს თითო-ოროლა უმაქნისი, ისე მგელთან შორიახლო იმყოფება ტურა.

ჩვენი სუფრიდან საკმაოდ მოშორებით ამოვედი. დაღლილი, მაგრამ ნასიამოვნები, რომ ბევრი რამ ვნახე, გავწიე ჩვენი „ბინისკენ“, მშია და მწყურია. ბისკვიტი კი არა, ამ დროს ჭადის კუტიც ნაზუქად მოგეჩვენება. მივედი, სუფრა ალაგებულია. მამედ-ალი გამოთაყვანებული ზის, თვალებში აზრის ნატამალი არ უჩანს.



ტყის უკანდახევა

ამომხედა.

- საწყალი მინდია! – თქვა და დაასლოკინა.

- რადა, მამედ-ალი?

- სულ შევჭამე... და კვლავ დაასლოკინა. დავაცქერდი და გული გამისკდა. ორი მუცელი ეტყობოდა – ქამარს ზევით და ქამარს ქვევით. მაშინვე დავიხარე და ძლივს გავუხსენი ქამარი. ერთი ისეთი ამოისუნთქა, რომ კინაღამ სული ამოაყოლა. რაღაც წაილუღლუღა: ძლივს გავარჩიე. „გელანი გალასინ, ყალანი ყალასინ“[40]. მაშინ ვერ გავიგე, რისი თქმა უნდოდა, მაგრამ როცა „გავიგე“, მაშინაც ვერ მივხვდი, რის თქმა უნდოდა. უნაგირს ჩავხსენი ნაბადი, გავშალე და წამოვაწვინე, მე მეშინოდა, ადგილიდან არ დაძრულიყო, არა ამოსვლოდა რა. ხუთ კილომდე შეჭამა ნამცხვარი, კიტრი და ხილი, ყველი და პურიც კი.

შიმშილის ჭია მაინც უნდა მომეკლა. ნაგვიანევი ყანა მოვნახე, ოდოშღერი[41] იყო, ეხლა რომ ზოგი სანთლის სიმწიფეს უწოდებს, მოვაგროვე ერთი კარგი ხელეური. ხმელი ბალახის კაჭაჭი დავგლიჯე, ავანთე ცეცხლი და თავთავები კარგად მოვხუხე, გამოვფხვენი, გავანიავე და მთელი მუჭა კარგად დახლილი მარცვალი დაგროვდა. გემრიელად გეახელით. რუისელი გოგოსი არ იყოს, თუ ქარელში გამათხოვებენ, ხომ კარგი, თუ არა და ეს ურბნისი ხომ აქ არისო. მეტი რა გზა მქონდა.

მამედ-ალიმ დაიძინა.

მე კი ისევ ყანებს შევერიე და სარეველა მცენარეების სია შევადგინე.

მზე გადაიხარა, როცა შინისკენ წამოვედით.

გრძელ გზასაც ბოლო აქვსო და მალე ჩამოვედით.

სახლში ბევრი იცინეს, იცინოდა მამედ-ალიც და ბებიათქვენს უთხრა: ეგეთი გემრიელი ნამცხვარი სხვა დროს აღარ გაგვატანო, თორემ მინდია მშიერი დარჩებაო.

უცნაური ყორღანები

„და მიჰხედეს და იხილეს, რამეთუ
გარდაგორვებულ იყო ლოდი დიდ ფრიად“.
ოთხთავი

მეორე დღეს ადრიანად, ნასაუზმევს, გიორგიმ თავისი ახალი „მაშველი ჯარი“ ორ რაზმად გაყო: შალვა, ერეკლე და ვახტანგი; მინდია, ლელა და გივი. მისცა დეტალური რუკები და დაუსახა ამოცანა; შალვამ მაშავერის სადევარი გამოიკვლიოს მარცხენა ნაპირზე, მინდიამ დმანისისკენ მოქცეული შინდლდარის მთის კალთები, მე და შაქრო მაშავერიდან მარჯვნივ ვიმუშავებთო. რუკაზე შემლებისდაგვარად ზუსტად აღნიშნეთ ის ადგილები, სადაც მინდვრის გვირილა ისეა მოდებული, რომ სხვა დანარჩენს ფარავდეს. გავრცელების კონტურის შიგნითაა ადგილები წითელი ფანქრით შეღებეთ, თუ სანახევროდაა სხვებთან, ეს ადგილები ყვითლად შეიღებოს; ერთი მესამედი როცაა, ის ადგილი – ლურჯით. ერთ-ერთ რუკაზე, უფრო სწორად, რუკის მიხედვით სუფთა ქაღალდზე, თვითონვე აჩვენა აღნიშვნის წესი.

არც ამით დაკმაყოფილდა. სამუშაოდ რომ გამოვიდნენ, შალვას ჯგუფს გამოჰყვა და იქვე, ერთ მდელოზე, ყველაფერი აჩვენა. ორი დუხობორი ცხენს აძოვებდა და ყურიც არ შეიბერტყეს.

- ჭირისუფალი თუ არა ტირის, მოსამძიმრეს რა ატირებსო, გიორგი ბატონო, – ღიმილით მიმართა ვახტანგმა მამას.

- შენ ეგ ანდაზისთვისა თქვი, თორემ ამ ქვეყნის ჭირისუფალი ერთი და ორი კაცი არაა. ჭირისუფალი ისაა, ვისაც ქვეყნის ავ-კარგი ესმის, ვინცა სიბრძნით მეტია, რათ ჰკითხავ, ვინცა რეტია, – უპასუხა მამამ ღიმილითვე.

- უჰ, ეგ რამდენი სიბრძნე მითხარი ერთად, მაგრამ, ვისაც ზურგი მივუშვირე, ყველამ თითო ქვა დამადოო. ყველამ თავისი საქმე აკეთოს.

- ქვეყნის მესვეურმა გზა უნდა აჩვენოს და ასწავლოს, რომ ყველაფერს დროზე უნდა გაკეთება.

– „ზაფხულობით თუ არ იმკის, ზამთარში სად რა იშოვოს,
უცეცხლოდ მაინც შესცივა, რაგინდ სულ ცოტა ითოვოს“.

- კარგი, გეყოფა, შეუდექით თქვენს საქმეს – და გიორგიმ ხელი ასწია.

- დაიცა, თუ გინდა, ჩვენს საქმეს მადლი ჰქონდეს, მითხარი, რატომ ვაკეთებთ ამას.

- საქმის გასაადვილებლად; ქიმიას გამოვიყენებთ, ჰერბიციდებს[42]. შევწამლით ქიმიური ნივთიერებებით და მოვსპობთ გვირილას.

- ავს კარგიც რომ გავაყოლოთ?

- სწორედ მაგიტომ მინდა ვიცოდეთ, სად როგორ არის გავრცელებული, მაშავერის მარცხენა ნაპირზე ყველგან თანაბრად არ არის, ნესტით შედარებით მდიდარ ადგილებში მეტია.

აგერ, – მიუთითა ადგილ-ადგილ 2-3 ჰექტარიანი აკვეთები, უკვე ამ გვირილით იყო დაფარული.

- ჰერბიციდები სწორედ ასეთ ადგილს მოუხდება, – დაასკვნა შალვამ.

ვახტანგი და ერეკლე ძალიან გულმოდგინედ მუშაობდნენ და ცდილობდნენ, ზუსტად გადაეტანათ რუკაზე დასარევლიანებული ადგილის კონტურები.

- გოგოს ნაკეთი სამხარი და ბიჭის მომკილი ყანაო, – თქვა შალვამ.

- რაზედ ამბობ მაგას?

შალვამ არა უპასუხა რა და გაჰყვა მდელოს.

საღამოს გვიან დაბრუნდნენ. გიორგი ნამუშევარით ნასიამოვნები იყო.

მეოთხე დღის საღამოს ვახტანგი და ერეკლე თავზე დაადგნენ გიორგის: ხვალ ჩვენთან ერთად წამოდი, სიფიქლის ხევამდე, შამბიანის გვერდის ძირობას რაღაც კონუსებია, 2-3 გათხრილი ჩანს, ოთარ ჯაფარიძის ყორღანები ხომ არ არისო.

მეორე დღეს მთელი ჯგუფი გიორგის მეთაურობით გაჰყვა შამბიანის გვერდის ძირს. ამაზე უკეთეს დროს ვერც ნახავდა ბიჭების ნამუშევრის შესამოწმებლად.

მართლაც, შამბიანის კალთების ჩრდილო ნაწილში, მთის გვერდის ძირზე და ორთაშუას გავაკებაზე კარგად ჩანს უცნაური ყორღანები; თავის დროზე ის ზოგს ვულკანის სასულე ეგონა, საიდანაც მიწის წიაღი ვულკანურ ყუმბარებს ისროდა, მაგრამ ჯერ პროფესორმა ბორის კუფტინმა გათხარა ყორღანების ნაწილი თრიალეთში, საპიტიახშოზე, და ამით მსოფლიოს აჩვენა ე. წ. დღევანდლამდე უცნობი თრიალეთის კულტურა. დაანახა და დაარწმუნა, რომ III-II ათასწლეულებში თრიალეთზე მოსახლეობდა ხალხი, შუა და გვიან ბრინჯაოს ეპოქათა გზაგასაყარზე. შემდეგ ოთარ ჯაფარიძემ თრიალეთისა და ზურტაკეტის გათხრებით დაადასტურა, რომ ამ ხანებში აქ უნდა ეცხოვრათ იბერიულ-ზანურ ტომებს, რომელთაგან ერთი ნაწილი (ზანური) შემდეგში

ინაცვლებს კოლხეთში, იბერიული კი ქართლში რჩება. ამ გათხრებმა დაადასტურა სამხრეთ საქართველოს პლატოებზე (ჯავახეთი, თრიალეთი, ზურტაკეტი, ლორე) სამარხების ინვენტარის ერთობლიობა და მსგავსება.
ეს მსგავსება შორს წავიდა: ბევრი ნივთი არმაზის სამარხებში აღმოჩენილი ნივთების მსგავსია. გასაკვირი არაა: არმაზის ხევიდან, ნიჩბისიდან, უმოკლესი გზაა თრიალეთ-ზურტაკეტამდე (ნიჩბისი ხომ არმაზს ზედ აკრავს), იქიდან გზა გადადის დიდგორზე, დიდგორიდან მდ. სკვირეთის (ვერეს) ხეობით მანგლისში ავალთ და აქედან თრიალეთი ერთი ხელის გაწვდენაა. შესაძლებელია მაშინ, როდესაც მესაქონლეობა ძირითადი დარგი იყო მეურნეობისა, ვაკის მცხოვრებნიც უშუალოდ იყვნენ წალკა-ზურტაკეტთან დაკავშირებულნი.
ამას ოთარ ჯაფარიძეც ადასტურებს, რასაკვირველია, იმ ინვენტარზე დაყრდნობით, რომელიც სამარხებში აღმოჩნდა.
„ძვ.წ. მესამე ათასწლეულის ბოლოს, მტკვარ-არაქსის კულტურის დასასრულს, აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლე მიწათმოქმედი საზოგადოება გარკვეულ კრიზისს განიცდის. თანდათანობით იცვლება მეურნეობის ხასიათი. იზრდება მესაქონლეობის, განსაკუთრებით მეცხვარეობის როლი, იქმნება პირობები საზოგადოების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლისათვის“.

წყაროები ბაზალტის ფენის ქვეშ

მართლაც, მესაქონლეობა ერის ცხოვრებაში დიდი ფენომენია. ის მთიდან ბარად უნდა დეშვას (ზამთარში), ბარიდან მთაში ავიდეს (ზაფხულში), გზად უნდა გაიაროს მეზობელი ტომების მიწა-წყალზე. როგორც ვიცით, აქ უკვე ისახება მჭიდრო ურთიერთობა, გაერთიანება, ურთიერთგავლენა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ თრიალეთის სამარხებში აღმოჩენილი განძეული ერთგვარად ენათესავება მცხეთა-არმაზის განძეულს. თრიალეთის განძეულში დიდი რაოდენობითაა ბრინჯაო, ვერცხლი, ოქრო... ოქროცაა და ოქროც, – თასები მოჩუქურთმებულია და ძვირფასი თვლებით, ლალ-ბადახშით შემკული, ვერცხლის სათლზე კი ნაქანდაკევია მრავალნაირი პირუტყვი. ასევე დიდი გემოვნებითაა ნაკეთები თიხის ჭურჭელი: სურები, დოქები, გოზაურები, ქილები, ქვევრები და სხვ.
ბორის კუფტინის მონაპოვარი დაადასტურა ოთარ ჯაფარიძემაც, რომელმაც ტაბისყურში შესანიშნავი ოთხთვალა ურემიც აღმოაჩინა.
ზურტაკეტის ყორღანებიდან გაითხარა შვიდი ყორღანი. ზოგის დიამეტრი 40 მეტრს უდრის, სიმაღლე 8 მეტრამდეა, ზოგის დიამეტრი კი 100 მეტრია, სიმაღლე 8 მეტრი, ფართობი ერთ ჰექტარამდე უჭირავს. ამ ყორღანზე დიდი აქ არ არის, მცირე კი მრავალია; ჩვეულებრივ, ეს ყორღანები ქვაყრილებს წარმოადგენდნენ, სადაც ვულკანური ქანებით შექმნილია საკმაოდ სიმეტრიული კონუსი. ზოგიერთ ყორღანში ქვას მიწაც ენაცვლება.
აი, მაგალითად, ყარაბულაღიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ყორღანი 40 მეტრის სიგანისაა, სიმაღლე 2-3 მეტრია. ყორღანის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია დასაკრძალი დარბაზი, დარბაზის კედლები ყორის ტიპისაა, ხოლო ქვა შერჩეულია ბრტყელი, დარბაზის ფართობი დაახლოებით 120-130 კვ. მეტრია.
- როგორც ჩანს, ნორმა არ ყოფილა დაწესებული, – ჩართო სიტყვა ვახტანგმა.
- მართლაც, რად უნდოდათ ამოდენა? – არ შეიმჩნიეს ვახტანგის ხუმრობა.
- ზოგან ხომ ოთხთვალა ურემია ჩატანებული და სხვა ინვენტარიც.

სამწუხაროდ, ზურტაკეტის ყველა გათხრილი ყორღანი გაძარცვული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, მაინც ნაპოვნია ოქროსა და ვერცხლის მძივები, სერდოლიკი, ბრინჯაო, თიხის ნამტვრევები, რომლებითაც მრავალნაირი ჭურჭელი აღადგინეს.
დიდი ყორღანის დასაკრძალი დარბაზი 6 მეტრის სიმაღლისაა, სიგრძე კი 24 მეტრია. დარბაზის ფართობი 150 კვ. მეტრს უდრის.
- სამწუხაროა, რომ ზურტაკეტი ასე ნაძარცვი.
- მერე, ვინ გაძარცვა?
- ჩვენს ერამდე 3-4 ათასწლეულის წინ, არა? ე. ი. ხუთი ათასი წლის წინათ...
- ჰოდა, ვინ არ გადმოიარა ჩვენი ქვეყანა! რა საქმე ჰქონდათ მომთაბარე ტომებს? მათი ჯოგები ძოვდნენ შამბიანის, არყიანის, ემლიკლის ფერდობებზე; მათ ორი-სამი მწყემსი ეყოფოდა. დანარჩენები? უსაქმურობა რომ მოსწყინდებოდათ, თხრიდნენ ამ ყორღანებს. განძის მაძიებლობა, როგორც ჩანს, ძველთაძველი საქმიანობაა.
- არმაზის ხევში XIX საუკუნეშიც კი იყვნენ ასეთი განძის მაძიებლები...
- ინვენტარით ერთი რამ დასტურდება: ძველად მცხოვრები ტომები ამ მხარეში დაკავშირებული არიან იბერიელებთან და კოლხებთან.
- ეს ოთხთვალა ურემი რაღაა. ისეთი თვლებია და ისეა ნაშენები, რომ ამ ღადა-ღუდა გზაზე ივლიდა?
- მართალია, – ჩაერია მინდია, – არ ძალუძთ ხეთა ხენეშთა ტკბილთა ნაყოფთა მოსხმაო. თვლები ფიჭვისაა, ხელნები წიფლისა, მაშინ, როდესაც ამ ხეების გვერდით იმ დროს უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც რცხილა, იფანი, თელა, მუხა, ყოველ შემთხვევაში , აქ – მაღალმთის მუხა (ეს ურემ-გუთნის საშენად საუკეთესო ხე-ტყეა); ჩვენი ეთნოგრაფები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ასეთი ეტლები დასაფლავების ინვენტარია... შემდეგში სხვასაც ვნახავთ.
ვახტანგი ქვაყრილის ბოლოსკენ იცქირებოდა.
- მოდით აქ, – ჩურჩულით უთხრა, – აგერ, რაა, თალათინივით[43] რომ იგრიხება?
მართლაც, ქვაყრილის ბოლოზე თრითინა[44] დახტოდა, ხან ქვებში ჩაძვრებოდა, ხან ისევ მზის სინათლეზე ამოვიდოდა.
- დაიღალეთ, არა? – თითქოს უსაყვედურა მინდიამ.
- ვინც ერდო მოხნა, ისიც მოკვდაო, – ღიმილით ჰკადრა გივიმ.
- ერთი კი გახსოვდეს, გივი, ახალგაზრდობით მოგებული სიბერეში ხმალიაო.
- დიახ, მართალია, – და სიწითლემ გადაჰკრა.
აკრიფეს გუდა-ნაბადი და გასწიეს ყარაბულახისკენ.
- ცოტაოდენი ვიანკესოთ და გავუდგეთ გზას, – გიორგიმ მაღლა მთას ახედა, – ამის იქით, ხომ იცით, ტბა ფარავანია.
- ვიცით.
- ჰოდა, ეგ თქვენი არჩივია. მე და მინდია ვეღარ გამოგყვებით.
- როდისთვის?
- ჯერ გომარეთში ჩავიდეთ და შემდეგ იქით წადით.
- გიშველა ღმერთმა, – დაატანა ერეკლემ.
თევზაობის შემდეგ, სიმართლე გითხრათ, გაუჭირდებოდათ დმანისში ასვლა, ორთაშუაში თემური რომ არ დახვედროდათ მანქანით.

უტეხი ვარ

„აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი
რომე აჩეჩოს მარტო მიწანი,
და არ მოსთხიდეს ძირით იმ ბალახს,
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას“.
ილია

„ყარაბულახს ქვევით ზურტაკეტას ერთვის საფიქლის-ხევი, გამოსდის ქარვასლის ხევსა, მოერთვის აქ ზურტაკეტას. შესაყარს ერთვის მეორე საფიქლის-ხევი. აქა არს დაბა დიდი გომარეთი, ვითარცა მცირე ქალაქი“.
ჩრდილოეთით კვირიკეთის მთა საზღვრავს, რომლის კალთებზეა დიდი და პატარა გომარეთი, მათ წინ, სამხრეთით, დაცემულია უზარმაზარი ზეგანი, შემოზღუდული ჩრდ. აღმოსავლეთით ქციის ხრამით, სამხრეთით შავი წყლითა და დასავლეთით საფიქლის-ხევით.

ამ პლატოს შუაგულში ამ 40 წლის წინ დიდი ჭაობი იყო, ახლა გომარელებს არხები გაუყვანიათ და დაუშრიათ. ასეთივე ჭაობი იყო ახასა და ერგიშაანთ სოფელს შუა, რომელსაც ამჟამად ველისპირს უწოდებენ, დემურბულახს კი – სარკინეთს. ყველა ეს სოფელი გვერდის ძირზეა განლაგებული.

დიდ გომარეთში, 1896 წ., ე. თაყაიშვილის მოწმობით, 130 კომლი იყო, ყველა ქართველი, 1930 წელს – 800 კომლამდე, 60-იან წლებში 1000 გადააჭარბა, მაგრამ 70-იან წლებში დაიწყო მიგრაცია და თბილისში ჩასახლდა 500 კომლამდე. ამჟამად სოფელში 450-მდე კომლია.

გომარელები მაგარი ხალხია, ჯანიანი. ჩვენი ავბედობის დროს მათ გაუძლეს ოსმალთა თარეშსაც და ლეკების მარბიელ რაზმებსაც.

ძირითადად, მხვნელ-მთესველი და მეცხვარე-მესაქონლენი იყვნენ და ეს პროფესია XX საუკუნემდე შემოინახეს. გომარეთის მიდამოთა ნამარხები ადასტურებს, რომ III-IV ათასწლეულებში ჩვენს ერამდე ამ მხარეში მცხოვრებნი, საფლავში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით, მესაქონლეებად, მეცხვარეებად ჩანან, ასეა XIX საუკუნეშიც.

თქვენ უკვე იცით, რომ მეცხვარე ვაჟკაცი უნდა ყოფილიყო, გამძლე, უშიშარი, გულგაუტეხელი.

გომარეთში რამდენიმე ტაძარია, ყველა ძველი. მის მიდამოებში ხომ – აუარებელი. როგორც ჩანს, სოფლები მოისპო და ტაძრები დარჩა. ყველაზე მეტად ახალგაზრდები გააკვირვა სასაფლაოებმა. აი, თუნდაც ზემო სასაფლაო, რომლის ცენტრში წმინდა გიორგის სახელობის ერთნავიანი ბაზილიკა დგას.

ტაძრები აშენებულია რამდენიმე ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავის დროს.

ერთ-ერთი წარწერა ექვთიმე თაყაიშვილმა ასე წაიკითხა:

„სახელითა ღმრთისაითა მას ჯამსა ოდეს ძრიელმან და უძლეველმან გიორგი აფხაზთა მეფემან შეიპყრა ზვიად მარუშიანი, მაშინ ესე ბალავარი დვა ხელითა ცოდვილითა მიქელ ხუც (ეს) – გალატოზისათა“.

ზურტაკეტის ხეობა. ბაზალტის ნაჭუჭისებრი დანაწევრება



პირღებულის მღვიმე

ე. თაყაიშვილის აზრით, გიორგი II დროს (1072-1089 წ.) შეიძლებოდა ყოფილიყო ლიპარიტ I.

სხვაგან სხვა წარწერებიც ნახეს: „მე მზისთვალამან თანამეცხედრემ ლიპარიტისამ ავაგე ტაძარი ესე საოხად სულისა ჩემისა“.

მეორე ტაძრის ნანგრევებზეც ლიპარიტია მოხსენებული.

მასასადამე, ამ მაღალი მთის სოფლიდან X-XI საუკუნე იმზირება. არის ტაძრები ლიპარიტ II და III წარწერებით.

- არ მიყვარს ლიპარიტები...

- არც რატი, – გაეხმაურა ლელა, – დავითს ებრძოდნენ.

- ძნელია, ბიჭებო, ცხრაასი წლის შემდეგ სწორად გადაჭრათ სამართალი, – ჩაერია მინდია.
- მეორე და მესამე ლიპარიტსაც აი, ეს მირჩევნია, მოდით, ნახეთ რა არის, – სასაფლაოს ჩრდილოეთის მხრიდან იძახდა ერეკლე.
მართლაც, უნიკალური საფლავის ქვა იდო. ზემოთ ვაჟკაცის ბარელიეფია, იშვიათი ხელოვნებით ნაკეთები, მის ფერხთით წევს მეცხვარული ძაღლი. გვერდით, მარცხნივ, – დუქარდი[45], ჯამი; მარჯვნივ – მეცხვარის ჯოხი, დამბაჩა, თოფი, ფიჩხაურა, ყანწი. საფლავის ქვის სამხრეთ გვერდზე გამოქანდაკებული შეკაზმული ცხენი საფლავის ქვიდან გამოყოფილ ხელს უჭირავს. მოქანდაკეს თითქოს უნდოდა ეთქვა, აქ დამარხული დღესაც ცოცხალიაო. ყოფილა ვაჟკაცი, ჰყოლია ცხვარი (დუქარდი, ჯოხი), უცხოვრია და სახელიც დაუტოვებია, მაგრამ, რაც მთავარია, ქვისმთლელი ნამდვილი ხელოვანი ყოფილა.
ამის შემდეგ ბიჭებმა დაათვალიერეს საფლავის ქვები.
- აი, აკვანი, პატარა ბავშვით, – გულამოსკვნით ამბობს ლელა, – გვერდით დედა წევს.
- აი, ნეფე-პატარძალი...
- კირითხურო;
- მჭედელი;
- ფეიქარი;
- გუთნისდედა;
- კიდევ მეცხვარე...
ისმოდა აქეთ-იქით ხმები და ფოტოაპარატის ჩხაკუნი. აგერ, საფლავის ქვად გამოქანდაკებული ცხენი. ამ საფლავში ჩასვენებული იქნებოდა სამშობლოსათვის თავდადებული მხედარი, არა?
სამხრეთ საქართველო, ქვემო ქართლი სწორედ ასეთი საფლავის ქვებით არის ცნობილი.
- რა უბრალოა, მაგრამ რა დიდებული!
- ამის შესახებ წერილიც იყო. ყური მიგდეთ... და ვახტანგმა თავის უძირო ჩანთიდან ამოიღო რვეული, რომელშიც ჩაკერებული იყო გაზეთის სვეტები:
„საფლავის ქვის უბრალოებამ და ამავე დროს სიდიადემ ათქმევინა პოეტს:
„ფეხი დამადგით,
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,
წყალობა ჰყავით...
საქართველოის ყოვლის მყრობელმან
ვისურვე, დავით...“[46]
და ეს ქვაზეც აწერია.
უბრალოება, ყოველ საქმეში, ლხინშიც და ჭირშიც, ხომ უდიდესი სილამაზეა. სიწმინდე გულის და სიმაღლე სულისა. მთელი საქართველო დამივლია ფეხით და გზად შეხვედრილ სასაფლაოებისათვის გვერდი არ ამივლია. ყოველი ქვა თავისებური, უბრალო და მრავლისმთქმელია. სოფელ გომარეთში რამდენიმე სასაფლაოა. ერთ სასაფლაოზე 11 პროფესია ამოვიკითხე: აი, მეცხვარე, გუთნისდედა, კირითხურო, ფეიქარი, მჭედელი, დურგალი, ნალბანდი და სხვ. ყველა ეს საფლავის ქვაზეა გამოსახული. აი, თუნდაც მწყემსი: ცხენი, ცხვარი, მეცხვარის ჯოხი, დუქარდი.
რა უბრალოდ და მკაფიოდ.
რად დავივიწყეთ ეს ლამაზი, დიდებული სისადავე? მოიარეთ საქართველო, ნახეთ ეს ძველი სასაფლაოები და თუ სადმე თვალს ეჩოთიროს რაიმე! გრძნობ, რომ აქ არის საუკუნო განსასვენებელი და სწორედ ამიტომაც ივსება უნებლიეთ გული დიდი პატივისცემით წინაპრებისადმი.
საიდან იფეთქა ამ ვულგარულმა ფუფუნებამ, რომელიც უკანასკნელ ხანს ჩვენს სასაფლაოებზე გაჩნდა? მარმარილო, ლაბრადორი, გრანიტი, ათასნაირი ვარაყი. მათ მიღმა ადამიანი დაკარგულია, აღარ ჩანს იგი.
ერთი საფლავის ქვაზე, თეძამის ხეობაში, რკონის ციხის ეზოში, ლოდზე წერია: „წამკითხველო შენდობას გთხოვთ გოდერძი მიგრიაული“ და ამოკვეთილია ერთი ხმალი. უამრავ რამეს გეუბნებათ ეს უბრალოება. იყო ვაჟკაცი და იბრძოდა თავის ქვეყნის სადიდებლად, როგორ არ ეტყვით შენდობას? ეტყვით. მოგაგონდებათ კრწანისის გმირები და იტყვით ლადოს სიტყვებს.
მანგლისის ახლოს ბზის წყლის ხევია. იქაც მრავალი ნანგრევია. ერთი საფლავის ქვაზე ამოკვეთილია დიდი გუთნის ჯილღა და მარჯვენა, რომელსაც მშვილდი მოუზიდავს. აი, ძველადაც ყოფილა თქმა, ცალ ხელში „ხმალი ეჭირათ, მეორეში გუთანიო“.
არაგველების საფლავზე უბრალო ლოდიც არაა, ცხრა ძმა ხერხეულიძის საფლავზე თითო ლოდია, მაგრამ განა ამ უბრალოებამ დაფარა მათი ბრწყინვალება?

ადამიანი უნდა გამოაჩინოს თავისმა საქმემ და არა გარეგნულმა ბრწყინვალებამ, უკვე დრო არის, ჩავუფიქრდეთ, რანი ვიყავით და მოვაცილოთ ის ქაფი ჩვენი სიცოცხლის ნადუღს, რომელიც თავზე მოგდებულია, როგორც ზედმეტი, როგორც ჭუჭყი!
ამბობენ, თუ სადმე მიცვალებულია, ან ქორწილს აპირებენ, მათ ოჯახში უმალ გაჩნდება ვიღაც უცნაური ხალხი, მათსა და ოჯახის წევრთა შორის იმართება დიალოგი:
- ხალხის მოპატიჟებას აპირებთ?
- კი!
- რამდენის?
- ერთი 100-200.
- კი, ბატონო, დაუძახეთ ორასს. დანარჩენს ჩვენ დავუძახებთ. ხარჯს ჩვენ გავწევთ. შემოსავლიდან ამდენსა და ამდენს თქვენ მოგართმევთ, დანარჩენი ჩვენია.
ეს ხომ მიცვალებულით ვაჭრობაა! წარმოუდგენელია!
სოფელში ვცხოვრობდი: იყო ჭირიც და იყო ლხინიც, მაგრამ არ მახსოვს, მოსამძიმრეები დამთვრალიყვნენ: მოიგონებდნენ გარდაცვლილის საქმიანობას, მის კარგ კაცობას, ჭირისუფალს ეტყოდნენ სანუგეშოს, დალევდნენ 3-4 ჭიქას და ხალხი მწუხარევე იშლებოდა; არც ქელეხში, არც ქორწილში კაცი ნებისმიერად არ წავიდოდა. უეჭველად „მობრძანდის კაცი“ უნდა ხლებოდა. ჭირის სუფრა თუ იყო, იტყოდა: „მავანმა და მავანმა გთხოვათ, ცრემლი დაგვაყარეთო“. თუ სასიხარულო სუფრა იყო: „თქვენი მობრძანებით სახლი დაგვიმშვენეთო“. თუ ძალიან ახლობელი არ იყო დამპატიჟებელი, ოჯახიდან წავიდოდა ყველაზე დარბაისელი; აკი იყო თქმაც: „ორი კაცი ერთად ოჯახიდან ქორწილშიც კი არ წავაო“.
კაცი ისე არ დათვრებოდა, თავგზა დაეკარგა. დღეს ხშირია ასეთი სუფრის შემდეგ აყალმაყალი, ჩხუბი, მკვლელობა. ზოგი ამართლებს კიდეც, რა ვუყოთ, მთვრალი იყოო. ძველად კანონი სიმთვრალით ჩადენილ ბოროტებას შეღავათს არ აძლევდა. აი, ვახტანგ VI კანონებში რა წერია:
„ღვინოში რომ კაცმან მოკლას, ან დაჭრას თუ რაც იყოს, მთელ სისხლზე თუ არ მეტი, ნაკლები არ მიეცემების, იმისთვის, რომ ის რომ იცის, ღვინოში აჩქარებული არის, რატომ დალევს ამდენს, რომ ამგვარ საქმეს აქნევინებს“.
აი, ხედავთ, როგორ უცქერდა სიმთვრალეს ძველი სამართლის წიგნი. კანონი კი დაწერილია იმ ტრადიციების მიხედვით, რომლებიც ჩვენში არსებობდა.
ყოველივე ამას, ქორწილში მისვლას თუ დასაფლავების დასწრებას, თავისი წესი ჰქონდა, სადარბაისლე ახლდა, თავდაჭერილობა. ის, რაც დღეს ამ შემთხვევაში ხდება, ყოველგვარ ზომასაა გადაცილებული, შემოსავლის წყაროდ გაუხდიათ ზოგსა და ზოგს.
ამ წესებში არაფერი ჩვენებური არ არის: ესაა ქარის მოტანილი, ჩვენთვის უცხო და ნუ ვყიდით ჩვენს სიდარბაისლეს, კეთილშობილებას, რაინდობას, გულუხვობას, რამდენიმე მანეთად.
- ჰოდა, ქარის მოტანილს ქარი წაიღებს.
- მოიცა, – შეუტია ვახტანგმა, – დამამთავრებინე! – და განაგრძო.
- დღეს ზოგ ქორწილში პატიოსან კაცს არ შეესვლება. ხელში უცქერიან. თუ გაუწყრა ღმერთი და დიდი რამ ვერ გაიღო, საქვეყნოდ აცხადებენ, სასაცილოდ ხდიან... განა ესაა ჩვენი ხასიათი? ქორწილში კაცს მიუხაროდა, ოჯახი მოსულს კეთილი ღიმილითა და სიხარულით ხვდებოდა.

ქციის ხეობა, თეთრი კლდეები



პირღებულის მღვიმე

დროა, ძმებო, დავიბრუნოთ ჩვენი სახე და წესები, იერი კეთილშობილებისა, რომლითაც გამოვიარეთ მთელი ჩვენი ისტორია.

გავამრავლოთ ჩვენი, თანამედროვე დღეობები, არსებობს უკვე ილიაობა, შოთაობა, ვაჟაობა და სხვა, მაგრამ ძველად განა „წმინდა გიორგობა“ ერთ სოფელში არსებობდა? რატომ არ შეიძლება, შოთაობა 20 და 100 სოფელში იყოს. რამდენი ხანია, ვაჟა გასცდა ჩარგალს, საქართველოს, დღეობას კი მარტო ჩარგალში ვიხდით. რა დააშავა საქართველოს სხვა კუთხემ. რატომ არ უნდა ვზეიმობდეთ სვანეთში, რაჭაში, იმერეთში, აფხაზეთში, გურია-სამეგრელოში, ქართლ-კახეთში, აჭარაში და სხვაგან? გარდა ამისა, ჩვენ მრავლად გვყავს ისეთი ხალხი, რომლის სახელობის დღეობა შეიძლება დავაწესოთ: აკაკი, საბა, დავითი და სხვა მრავალი. მაგალითად, ალვანელებმა ზეზვაობა დააწესეს, რატომ არ შეიძლება კავთისხველებმა თევდორობა იდღესასწაულონ? ოსმალთა ჯარს რომ გზა აურია...

ყოველ კუთხეს ასეთი გმირი ერთი და ორი მაინც ჰყავს. მარაბდაში – ცხრა ძმა ხერხეულიძე, ბაზალეთში – ლომი ჩრდილელი, კახეთში – დავით ჯანდიერი და სხვ.

ასევე აღსანიშნია მოსავლის დღე და სხვა ათასი ჩვენი დღევანდელი ყოფის ამსახველი ტრადიცია. ძველი დღეობებიდან გადმოვიტანოთ, რაც სასრგებლოა და კარგი: ჭიდაობა, დოღი, ლხინი, დავუმატოთ ახალიც, ჩვენი ახალი ყოფიდან. გამოფენები: მეთუნეების, მხატვრების, მოქანდაკეების. გავმართოთ შეჯიბრება სიმღერაში, ცეკვაში, ხვნაში, საქონლის მოვლაში, დავამშვენოთ ის. მისვლა-მოსვლა საჭიროა, აუცილებელია, გავუხსნათ გული ერთმანეთს, გავიცინოთ და ვიმხიარულოთ წმინდა გულით“.

- ვიმხიარულოთ წმინდა გულით, – თქვა ვახტანგმა და დახურა რვეული.
- კიდევაც რომ, – დაუმატა ლელამ.

გომარელ ბავშვებს, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ უცხო ხალხი. ვახტანგი რომ კითხულობდა, ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ და განაბულები ყურს უგდებდნენ...

- ჭიდაობა ეხლაც ვიცით! – თქვა ერთმა შავტუხამ.
- აგერ, გვერდზე, იქით, – გაიშვირა ხელი შავთვალწარბამ, – თამარ დედოფლის აშენებული საყდარიცაა.
- როგორ თამარ დედოფლის?
- კი, თამარ დედოფლის, აწერია.
- რად გიკვირს, გივი, აკი ექვთიმეც იხსენიებს.

გომარეთიდან ორ კილომეტრზე, ჭოჭიანის მიდამოებში, პატარა ტაძარია და აღმოსავლეთის კედლის ერთ ქვაზე წარწერაა:

„თამარ ღმრთისა სწორის სამლოცველო“.

ალბათ თამარი მობრძანდა ზურტაკეტს. ღამე ათია. დილით უნდა ელოცა და დაახვედრეს სალოცავად ტაძარი ძმებმა შიომ, პეტრემ და სვიმონმა. ესენიც იხსენიებიან წარწერაში. ასეთი სამლოცველოს აგება ერთ დღეს კი შეიძლებოდა.

ერთ ტაძარზე კი ამოიკითხეს „ესე ტაძარი დანგრეულ იყო და აღადგინა მეუნარგიამ“...

- მეუნარგიას აქ რაღა უნდა?
- XVIII საუკუნეში აქ ჩამოსახლდა სამეგრელოდან ლარაძე, აგერ, შუა მინდორზე დააარსა სოფელი ეგრისი.

„ციხე-ქვაბ ქვემოთ მოჩანს მდ. რადანბრანდის ქარაფზე ნანგრევები მეორე სოფლისა ეგრისისა. ლარაძეები ლუარსაბ მეფის მიერ სამეგრელოდან გადმოყვანილი აზნაურები არიან. ამ გვარიდან პეტრე ლარაძე ოსტატი, ელჩი და დამწერი „დილარჯიანისა“ საკმაოდ ცნობილია ჩვენში. ეგრისის ნანგრევებს დღესაც მათი სასახლე შერჩენია. სასახლის გარშემო სამი თლილი ქვის ეკლესია არის. ეკლესიის ცოტა მოშორებით კვირიკეს მთის

ძირშია გამწკრივებული ხუთი ქართული (ახა, ველისძირი, განათლება, სარკინეთი, დიდი გომარეთი, პატარა გომარეთი) და სამი ბერძნული სოფელი“. ასე აღწერს ზ. გულისაშვილი ლარაძეების სახლ-კარს ამ 80 წლის წინათ. ხოლო უნდა ითქვას, რომ ერთი ეგრისი მდინარის ქარაფზე დგას, ვახუშტით მას ეგრი ეწოდება. მეორე კი, როგორც ჩანს, ძირითადი, – გომარეთის შუა მინდორზე. „ნანგრევებს... სასახლე შერჩენიათ“. დღეს არ ჩანს, თუ ცხოვრობს ვინმე. ლარაძე სამეგრელოდან გადმოსახლდა და გასაკვირი არ არის, რომ თავის ახალ სოფელს ეგრისი უწოდა. ეს სავსებით კანონზომიერია, მაგრამ „ქარაფზე“ რომ სოფელი გააშენა, იმასაც ეგრი უწოდა?! ეს უკვე საეჭვოა. ხომ არ დახვდა მას ეს ტოპონიმი (რაც არცთუ იშვიათია). ლაზურ-ჭანურ-ზანურ-სვანური ტოპონიმები აღმოსავლეთ საქართველოში უხვადაა. ყოველ შემთხვევაში, ეს და მრავალი ასეთი საკითხი მოითხოვს ძალიან ღრმა კვლევას, პირველ რიგში კი მასალის დაგროვებას.

რაც შეეხება ამ მხარისათვის თითქოს სხვა გვარებს, ეგეც ისეთივე მოვლენის შედეგია, როგორიც იყო ზემო ქართლში, ქვემო ქართლში, ტაბარუკობა, ახალი მოსახლეობის გადასვლ-გადმოსვლა.

თრიალეთი XIX საუკუნის დასასრულს მოიარა ექვთიმე თაყაიშვილმა, ინახულა გომარეთიც და, რასაკვირველია ეგრისიც. ნაშთებითღა ჩანს, რომ ეგრისი (1896-1900) დიდი სოფელი ყოფილა, ჩემი იქ მისვლისას ცხოვრობდა მარიამ შალიკაშვილი, ლარაძის ქალი, 1970 წელს კი აქ სოფლის ნაშთებიც არ ეტყობოდა, გარდა მარად უკვდავი და წარსულის მოწმე ტაძრებისა. ჩვენს მგზავრებს ლარაძის ეგრისში აღარც ერთი მოსახლე აღარ დახვედრიათ. 900-იან წლებში გარდაიცვალა აქაურ ლარაძეთა უკანასკნელი წარმომადგენელი და მათი მამულ-დედული გომარელებს შეუძენიათ.

მარიამ შალიკაშვილის – ლარაძის ქალის ოჯახში ექვთიმე თაყაიშვილს რამდენიმე საყურადღებო ნივთი უნახავს. ცნობილ პოეტ პეტრე ლარაძის ხელით გადაწერილი ლოცვანი, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, კიდევ ლოცვანი; ამ ლოცვანის ბოლოს არის წარწერები – ლარაძეთა ოჯახის წევრების გარდაცვალების თარიღები; ასე, მაგალითად:

„კურთხეული დავით ლარაძე, პროტოიერეი[47], გვირგვინი იგი მღვდელთა, იერუსალიმს მიმავალი, მიიცვალა, წელსა 1794 თვესა ნოემბერსა, აღების ღამეს. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი ამინ“.

და ასე...

არის ჩანაწერი თვით პეტრეს შესახებ:

„კაცი იგი ყარიბი პეტრე ლარაძე გარდაიცვალა 1837 წელსა, აპრილის სამს დღესა, ესე იგი პარასკევს. შეიწყალე, უფალო“.

უკანასკნელი ჩანაწერი იოანე ლარაძის გარდაცვალებისა 1892 წელსაა და ამით ამოიწურა ლარაძეთა გვარიც.

გიორგის შვილებიდან (პეტრე, დავით, ივანე, იოსები) სახელი დატოვა მხოლოდ პეტრე ლარაძემ. იგი დაახლოვებია სამეფო კარს, წიგნსაცავის გამგებლობაც მიუღია. ცნობილია, რომ ეს წიგნთსაცავი 1795 წელს აღა მაჰმად-ხანის შემოსევის დროს განადგურდა. პეტრე ლარაძე დაახლოებული ყოფილა ბატონიშვილებთან (ერეკლესა და გიორგი XII-ს შვილებთან). თეიმურაზ ბატონიშვილი წინააღმდეგი იყო რუსების ჩამოსახლებისა და ეწინააღმდეგებოდა მათ. 1801 თუ 1803 წ. სპარსეთში გადაიხვეწა. მისი ჩამოყვანა რუსის მმართველობამ პეტრეს დაავალა, რაც მან შეასრულა კიდეც, მაგრამ თვით თეიმურაზი ვერ შეურიგდა ამას და პეტრე ლარაძე შეიძულა. როდესაც გენერალმა ტომასოვმა თეიმურაზი პეტერბურგს გაამგზავრა, თეიმურაზმა პეტრე ლარაძეც თან წაიყვანა, თუმცა პეტრე ამის დიდი წინააღმდეგი იყო.

პეტრე ლარაძე პეტერბურგში დაუახლოვდა სხვა ბატონიშვილებსაც და, ასე ვთქვათ, მათი კარის პოეტი გახდა.

საქართველოში ხშირად ჩამოდიოდა. წერდა ლექსებს, პოემებს; დაწერა დიდი პოემა „დილარიანი“.

საერთოდ, ცნობილია, რომ „დალარგეთ სარგის თმოგველსა მისთვის ცრემლშეუშრობელსა“ დაუწერია, თამარის დროს, მაგრამ დაკარგულა; ბატონიშვილთა წრემ პეტრე პეტრე ლარაძეს დაავალა, რომ „დილარგეთიანი“ აღედგინა – დაეწერა, რაც მან შეასრულა კიდეც.

გარდა ამისა, იგი ავტორია გალექსილი ქართლის ცხოვრებისა, მრავალი ლირიკული ლექსისა და უმუშავია აგრეთვე ლექსიკონის შედგენაზეც.

გარდაიცვალა 1837 წელს.

აი, ასეთი იყო პეტრე ლარაძე, რომლის ნასახლარზე ჭინჭარი და ღოლო ამოსულიყო, მის გვერდით კი ყანები ღაღანებდნენ.

წუთია სფელი.

რასაკვირველია, სამეგრელოდან ლარაძეები მარტო არ გადმოვიდოდნენ. მათ, როგორც ჩანს, გადმოჰყვნენ აზნაურებიცა და გლეხებიც. ექვთიმე თაყაიშვილს, აღწერს რა გომარეთის მეხუთე ტაძარს, მოჰყავს მისი წარწერა. საყდარი დაქცეული იყო და მე აღვადგინე მეუნარგი შავლამაო. „მეუნარგი, ანუ მეუნარგია მეგრული გვარია,– განაგრძობს ჩვენი დიდი მკვლევარი, – გომარეთში ალბათ ის გაჩნდა მაშინ, როდესაც სამეგრელოდან

ლარაძეები ჩამოვიდნენ, გომარეთის მახლობლად დასახლდნენ და თავის დასახლებას უწოდეს ეგრისი. წარწერა, ალბათ XVIII საუკუნისაა“.
დღევანდელ გომარეთში ცხოვრობნენ აფაქიძეები, დღეს აქ ოთხი კომლიღაა. მათ იციან, რომ მამა-პაპანი სამეგრელოდან არიან წამოსული, სხვა არაფერი მეგრულისა არა სცხიათ რა.
და, საერთოდ, წარსულში განა საქართველოში ჩვეულებრივი არ იყო ტაბაკურობა?

სამხრეთ საქართველოს მთიანეთს ერთი თავისებურება სჭირს დღესაც და სჭირდა წარსულშიც. აკი ვახუშტიც აღწერს:
„ხოლო ესე თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შვენიერი ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი...
ვენახი, ხილიანი და მტილოვანნი არარაი არს აქა, და მთის ხილნი მრავალნი, ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩაასხამენ აქა და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი“...
ისე, ვით მთიულეთში.
ამავე დროს აქ, გომარეთის ვაკეზე, შეიძლება მრავალი ხილეულის გაშენება: ვაშლის, მსხლის, ბლის, ქლიავების, ტყემლებისა და სხვათა.
რასაკვირველია, უხილოდ მაინც არ რჩებოდნენ. ძირს, ქციის ნაპირებზე, განსაკუთრებით დმანისელები, ვარდისუბნელები, ყალამშიელები ასენებდნენ ბაღ-ბოსტნებს და ყოველი გოჯი მიწისა გამოყენებული იყო. ყორეზე აშვებული იყო გოგრა, ყორის ძირში ჩარიგებული – ჭანჭური, დამასხი, ქლიავი. მათ ქვეშ ჯონჯოლი, ღოღონოშო. თვით ბაღ-ბოსტანში – ატამი, ვაზი, ბოსტნეული და სხვა. ეს იყო 4-5 სართულიანი ბაღი, ისეთივე, როგორც არაგვის ხეობაზე, ესაა ბრძნული გამოყენება ბუნებრივი საწარმო ძალებისა.

ქციის ხრამი



სამშვილდე, საფლავის ქვა

გახსოვთ, არაგვის ხეობაზე, ძია პავლეს ბაღი? იქ ეს კარგად ჩანდა.
გივი მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ჩანდა. უცბად გამოცხადდა, გაწითლებული იყო.
- ჯიშთა გამოცდის სადგურზე ვიყავი; თქვენ რომ ჩამოგრჩით, აგრონომი შემხვდა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ერთად ვიყავით, აი, აქ სადგური 15 წლის წინ დაარსებულა. მრავალი ხილი იცდება. ვაშლი 50 ჯიშისაა, 9 ჰექტარზეა დარგული, 4 ჰექტარზე მეტი უჭირავს 28 ჯიშის მსხალს, ორ ჰექტარ ნახევარი – 16 ჯიშის ქლიავს, ერთ ჰექტარამდე – ექვსნაირ ჯიშის კომშს, ერთ ჰექტარზე მეტი უჭირავს ექვსნაირ ბალსა და ექვსნაირ ალუბალს; ხუნწებიც არის თხუთმეტნაირი. სამწუხარო ისაა, რომ აქ მინდვრის მცენარეები არ იცდება, არც ბოსტნის, თქვენ კი ასე მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ ცერცვოვანები. აგრონომმა გთხოვათ, მობრძანდით, გვინახულეთო.
- ფარავანს რომ მოივლით, მაშინ.

- ჯერ გასამრავლებლად გასცეს რამე?
- ჯერ არა, მაგრამ სამიოდე წლის შემდეგ შესაძლებელი გახდება, ზოგიერთი ჯიში გავამრავლოთო.
- ეს დიდი სიკეთეა, – თქვა მინდიამ, – ხუმრობა ხომ არ არის, თითქმის 150 მცენარე იცდება. როგორც უკვე ვიცით, ვახუშტი ბატონიშვილის დროს გომარეთი იყო „დაბა, ვითარცა მცირე ქალაქი“, ძველთაგანვე იგი მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა.
გომარეთს ქართველი მოწინავე ინტელიგენცია თავიდანვე აქცევდა ყურადღებას. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1888 წელს გომარეთში გახსნა სკოლა, სადაც მასწავლებლობდა ერთი ქართველი ხალხოსანთაგანი, ზაქარია გულისაშვილი, რომელმაც დაგვიტოვა თრიალეთის შესანიშნავი აღწერილობა. 1935 წელს სკოლა საშუალო სკოლად გადაკეთდა და პირველი გამოშვება 1938 წელს იყო. დირექტორად უკვე 25 წელია, მუშაობს გომარელივე, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ვასილ მუჯირიშვილი. ამჟამად გომარეთის სკოლაში 500-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს.
200-მდე გომარელმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის 20 ინჟინერია, 6 აგრონომი, 7 ისტორიკოსი, 8 მათემატიკოსი, 6 ფიზიკოსი, 11 ეკონომისტი, 8 ექიმი, 1 ზოოტექნიკოსი და ვეტერინარი, 6 ბიოლოგი და სხვა მრავალი; ამჟამად ამ სოფლიდან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 50 ახალგაზრდა.
თვით გომარეთში უმაღლეს სწავლამიღებული 40 კაცი მუშაობს.
თბილისში ჩასახლებულები მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნებში და სხვა სამრეწველო დაწესებულებებში. მშენებლობის ბრიგადირმა ვალერიან ჭელიძემ ასახელა თავისი სოფელი, მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი.
1975 წლის თებერვალში გომარეთის, მამუდლოსა და სარკინეთის კოლმეურნეობათა ბაზაზე შეიქმნა მესაქონლეობისა და მემინდვრეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გამოცდილი მუსაკი, კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე, აგრონომი ვასილ ჭელიძე, რომელიც გომარეთშია დაბადებული და გაზრდილი.
გომარელები ძველთაგანვე გამრჯე, მშრომელი ხალხი იყო. გარდა ძირითადი საქმიანობისა (ხვნა-თესვისა და მესაქონლეობისა), დამხმარე, სხვა საქმიანობაც ეხერხებოდათ, განსაკუთრებით, ხეზე მუაშაობა. ვასილ მუჯირის მიერ შეკრებილი ცნობებით, ხეზე მუშაობა მურჯიკნელებს უყვართ: „ზალიკა დედაბოძს ისე დაკაზმავდა, რომ თვალი ზედ დაგრჩებოდა“. ყველაზე უკეთეს გუთანს თედო თეთრაძე აკეთებდა. კარგ კოკა-კუტალებს აბელ აფაქიძე და გიგა სიხუაშვილი თლიდნენ. აკეთებდნენ სუფრაზე სანოვაგის მისართმევად ხონჩა-ტაბაკებს, ვარცლებს, ჯამებს და სხვა ჭურჭეულობას.სხვადასხვა ჭურჭელს სხვადასხვა ხისგან აკეთებდნენ: ვარცლს – ნეკერჩხლისგან, როდინს – კუნელისა და პანტისგან, სადღვებელს – ცაცხვისგან, კოვზებს – შინდისგან. ქალები ხელმარჯვეობდნენ ქარგვა-ქსოვაში. ქსოვდნენ ხალიჩებს, ფარდაგებს, ყაბალახებს, ჭრელ-ჭრელ წინდებს, ამ ხელოსნობის განვითარებას ხელს უწყობდა გრძელი ზამთარიც. აქ ხომ ზამთარი დიდი იცის.
ხშირად ვჩივით, ურბანიზაციამ სოფელი დააცარიელაო. რატომ დააცარიელა? მექანიზაციამ მუშახელი გამოათავისუფლა. საჭიროა მისი დასაქმება. გომარეთში შეიძლება ისეთი ქარხნის შექმნა, სადაც მოქსოვენ ხალიჩებს, ფარდაგებს, ყაბალახებს, ქართულ ქუდებს და სხვ. შეიძლება ხის დამმუშავებელი სახელოსნოც გაიმართოს, სადაც დაამზადებენ ხის ჯამ-ჭურჭელს, სუვენირებს, ხის სათამაშოებს და სხვ.
სასაფლაოს ქვებზეც სწორედ ეს ხელობებია ასახული.
თავის ახლო-მახლო გომარელები ნებას არ აძლევდნენ, სხვა ტომი ჩამოსახლებულიყო. თავად საგინაშვილს ქციის ხრამის ქარაფზე სოფ. სალემალეიქუმელი მუსულმანები დაუსახლებია. გომარელებს ახალმოსულები გაურეკიათ და იქ ედიშერაშვილები დასახლებულან. ამ ბოლო ხანებში ედიშერაშვილებს ლიპარიტის უბანში (კაკლიანში) გადაუნაცვლებიათ.
ყველა სოფელში იყო სოფლისათვის თავდადებული კაცი; ასეთი კაცი ყოფილა მაქსიმე მჭედლიძე, კარგი, ძლიერი ვაჟკაცი; გაქცეულ ცხენს ფეხდაფეხ ეწეოდაო. სოფელს მისთვის „თეთრი მგელი“ შეურქმევია. ერთი მამასახლისი უსამართლოდ აწუხებდა სოფელს. მაქსიმეს გაუფრთხილებია, მოჭკვიანდიო, მას არ დაუშლია თავისი და მაქსიმესაც მოუცილებია სოფლისათვის.
ჩვენი ყოველი სოფლის შესახებ დაუსრულებლად შეიძლება საგულისხმო ამბების მოყოლა და, მით უმეტეს, გომარეთზე.
კარგად იყო მოსაღამოებული, როდესაც ჩვენმა მგზავრებმა თქვეს: „ჩიტმაც იცის თავის ბუდეო“ და დაადგნენ თავის გზას, მაგრამ მათ თავს დასტრიალებდა აჩრდილები რატი ბაღვაშისა და ლიპარიტისა, თეთრი მგლისა და ვალერიან ჭელიძისა, აგრონომ ვასილ ჭელიძისა და მასწავლებელ ვასილ მუჯირიშვილისა.
ძველებმა გადაიქუხეს, ახლები კი მათ თვალწინ ახალ ცხოვრებას ქმნიან.
დათქვეს, კიდევ ჩამოვიდეთო.

ირმის ცრემლი

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

ილია

შამბ-ბალახი

გომარეთიდან მობრუნებულები მეორე დღეს მამუდლოს მინდვრებზე და მდელოებზე წავიდნენ, ორ ჯგუფად გაიყვნენ: ერთთან საუფროსოდ მინდია იყო, მეორესთან – გიორგი. ლეუკანთემუმის გავრცელების და მის მიერ მიყენებული ზარალის დასადგენად კიდევ ერთი საბუთი იყო საჭირო. ბალახნარში რა მონაწილეობას იღებდა და რას იწონიდა ის სხვებთან შედარებით.

ერთმა ჯგუფმა ორმოზანის მდელოებზე აიღო სინჯი. ამისთვის ორივე ჯგუფს ჰქონდა ხის ჩარჩო, რომელიც მიწაზე დაგდებისას ჩარჩოს შიგნით ზუსტად ერთ კვადრატულ მეტრს გამოყოფდა. შეიძლებოდა მეტრის მეოთხედის აღებაც, ამისათვის კვადრატის ოთხივე მხარე ნახევარი მეტრი უნდა ყოფილიყო, მაგრამ პირველი ამჯობინეს, რადგან ცდომილება ასეთი დიდი ჩარჩოს ნიმუშში უფრო ნაკლები ექნებოდა.

მეორე ჯგუფი კი, გიორგის ხელმძღვანელობით, კუჩენბახისეული ძველი სათიბ-საძოვრებისკენ წავიდა.

მინდიას ჯგუფის მონაწილემ, ერეკლემ, თავისი კვადრატი დააგდო მდელოს იმ ნაწილში, სადაც გვირილა შედარებით თანაბრად იყო გავრცელლებული. ჩარჩოს შიგნით ბალახი აჭრა დუქარდით, დაახლოებით იმ სიმაღლეზე, რა სიმაღლეზეც ცელი იღებს. ანაჭერი მთლიანად აიღეს, ძირს არც ერთი ღერო არ დაუტოვებიათ. ამ მდელოზე კიდევ გამოყვეს ორი კვადრატული მეტრი, იქაც აიღეს სინჯი.

შემდეგ სხვა მდელოზე გადაინაცვლეს, სამხრეთის ფერდობზე და იქაც სამი სინჯი აიღეს. ჩრდილოეთის ფერდობზეც – ამდენივე.

- ხალხოო! მოდით აქ, ეს რაღაა? – ლელამ მიუთითა ბალახნარში სრულიად ტიტველ ადგილზე, რომელიც ორი-სამი ტაშის დადება იყო.

- რატომ მიაქციე ყურადღება, ლელა?

- იმიტომ,რომ ეგეთი შიშველი ადგილი რამდენიმე ვნახე.

- აბა, უცქირეთ, რა არის! – და მინდიამ ბარულა გამოართვა ერეკლეს, დაკრა და ამოაბრუნა. ამოაბრუნა და აუარებელი პაწაწინა ბოსტანა გამოჩნდა.

- აი, დიდიც, ბოსტანა ანუ მახრა, მდელოების საკმაოდ დიდი მტერია. ბალახის ფესვებს ჭრის და მცენარეს ახმობს. ზოგიერთ სათიბზე ისეა მოდებული, რომ ბალახის 10-20% მისგან იღუპება.

ბოსტანა მიწაში მცხოვრები მწერია, ჭრიჭინას ერთ ჯგუფს მიეკუთვნება; წინა ფეხები მთხრელები აქვს. მიწაში აკეთებს ხვრელებს, ბუდეებს. ბუდეში დებს აუარებელ კვერცხს, რომლიდანაც იჩეკება მატლები და ვითარდება მთელი წლის განმავლობაში. იკვებებიან მცენარის ღეროთი, ფესვით, სხვა მწერის მატლებით, ჭიაყელებით. ის დიდი მავნებელია ტყეშიც, ბოსტანშიც, სათიბებშიც და მინდორშიც.

- ეს მატლებია, ხომ? ძალიან წააგვანან დიდ ბოსტანას.

კარგად გასინჯეს.

- მომეცით ეხლა ეს ბარულა მე, – გამოაცხადა ლელამ და სადაც შიშველი ადგილი ნახა, ამოაბრუნა. ერთ საათში ორმოცამდე ბოსტანას ბუდე დაშალა და მოსპო.

- 40 ბუდე მოვსპე, – გამოუცხადა მინდიას, რომელიც ახალ კვადრატს იღებდა.

- შენ აქაურ კოლმეურნეობას უნდა მიგამაგროთ.

- რატომ არ ავუხსნათ, მართლაც, აქაურებს? ვასწავლოთ...

სამშვილდე, გალავნის ბურჯი



სამშვილდე. დიდი ტაძარი

- ძალიან კარგი იქნება და ეგ შენ და ვახტანგმა იკისრეთ.
ასე გადაწყვიტეს და ლელამ შემდეგში ეს პირნათლად შეასრულა.
- ავიღოთ კიდევ? – შეეკითხა ლელა მინდიას.
- აღებით შეიძლება ავიღოთ, მაგრამ გარჩევას ვერ მოვასწრებთ. ხვალაც ამ თვისაა.
ყოველი კვადრატის ბადე ცალკე იყო შეხვეული და სახლში რომ დაბრუნდნენ, მაშინვე შეუდგნენ მუშაობას.
გახსნეს ყველა შეკვრა და ცალ-ცალკე გაშალეს. ამის შემდეგ ჯერ ერთი კვადრატის ბალახის ფრაქციებაად დანაწილება დაიწყეს: ესე იგი, გადაალაგეს „გვირილა“ ცალკე, ცალ-ცალკე გადააწყვეს მარცვლოვნები, პარკოსნები, ყველა დანარჩენი – ორლებნიანი, შხამიანები და ნაგავი (ნაგავში გულისხმობდნენ უდროოდ დამჭკნარ მცენარის ნაწილებს).
ერთ მეტრზე აღებულის გარჩევა რომ მოათავეს, მინდიამ დაიწყო ცალ-ცალკე ფრაქციის აწონა და რვეულში ჩაწერა.
- ლელა, შენ ჩადი და დიასახლისს მიეშველე, სადილი დროზე მოასწროს, – დაასაქმა ლელა და მაგიდაზე დადო მეორე კვადრატის ბალახი. ლელამ მალე ამოირბინა
- უკვე მზადაა და ჩვენი მგლები არ მოიმშევიან!
მესამე კვადრატი რომ მოათავეს, მოგროვდა კიდეც ყველა.ნასადილევს უხმოდ შეუდგნენ გარჩევა-აწონვას, ფრთხილად გაშალეს გასაშრობად.
ორი დღე იღებდნენ კიდევ ნიმუშებს და საბოლოოდ ოთხ დღეში 50 კვადრატამდე გაარჩიეს. ცოტა გულისგამაწვრილებელი სამუშაო იყო, მაგრამ მუშაობა მუშაობაა.
მეხუთე თუ მეექვე დღეს გიორგიმ შეაჯამა სამი-ოთხი დღის ნამუშევარი და აი, რა გამოვიდა – ერთ კვადრატულ მეტრზე იზრდებოდა და იყო:

ლეუკანთემუმი – 300გრ.
ნაირბალახები – 40 გრ.
მარცვლოვანები – 20 გრ.

პარკოსნები – 11 გრ.
შხამიანი – 5 გრ.
ნაგავი – 5 გრ.

სულ – 381 გრ.

ე. ი. ჰექტარზე ყოფილა 381 გრ. X 10.000 = 381.000 გრ., ანუ 3810 კგ., ანუ 3.81 ტ. აქედან 3 ტ. ლეუკანთემუმია. ყველა დანარჩენი – 810 კგ. აქედან შხამიანია 50 კგ., მაგრამ საქმე ისაა, რომ ლეუკანთემუმი იმდენია (75%), რომ ასეთი თივა სრულიად გამოუყენებელია. ეს ანალიზი იმ 50 კვადრატის საშუალო მაჩვენებელია, რომელიც გაარჩიეს. იყო ნაკვეთები, სადაც ლეუკანთემუმი ჰექტარზე 5 ტონაც კი იქნებოდა. კიანეთის ნიმუშში 5 ტონაზე მეტიც კი იყო ერთ ჰექტარზე, თუმცა სხვა ბალახებიც ერთ ტონამდე მოდიოდა, მაგრამ ეს მხოლოდ 20%-ია.
ერთ დღეს სამუშაოდან ადრე დაბრუნდნენ. ჩაალაგეს მცენარეები, ჩასაწერი ჩაწერეს, დაავლეს ნაბდებს ხელი და სოფლის პირას მდელოზე გაშალეს. წამოწვნენ და თვალები კამკამა ცას მიაპყრეს.
მზე შამბიანისკენ იყო გადაწვერილი.
ყველა ნებივრობდა ერეკლეს გარდა, მას კი რაღაცა აწუხებდა.
- რასა ტოკავ, ბიჭო, არაბული ცხენივითა? – მიმართა მინდიამ ერეკლეს, რომელსაც დურბინდი ეჭირა და შამბიანს გასქეროდა.
- ტოკვით არა ვტოკავ, მაგრამ ვახუშტის გეოგრაფიით: „ არამდე არს მთა ესე მაღალი ვრცელი, ჩრდილოდამ სამხრით და მდებარეობს მარადის თოვლი“. აი, ივლისია ჯერ, მაშ ზაფხული ჯერ არ მიწურულა და თოვლი კი არ ჩანს.
- ეგ მართალია.
- მაგის მეტს ვერაფერს ამჩნევ?
- „მთასა ამას შანბიანი ეწოდების შამბალახ-სიმაღლისაგან, რამეთუ ცხენოსანი კაცი და რქოსანი ირემი არ გამოჩნდების“.
- მერე? – იკითხა მინდიამ.
- მერე ისა, რომ როგორც შენ წერ „შამბ-ბალახი“, თანამედროვე მაღალი ბალახეულობაა, ასეთი რამ კი ნესტიანი მხარისათვის არის დამახასიათებელი, ჩვენ რომ შარშანწინ ბახმარო-საყორნეზე ვნახეთ.
- ბიჭოს! – გაიკვირვა მინდიამ.
- ჰოდა აქ შამბ-ბალახი აღარსად არის, მშრალი მთის მდელოა, ზოგან ველის მცენარეც ურევია, ხომ? მაშასადამე, სამხრეთ თრიალეთში კლიმატი შეცვლილია, არც მარადი თოვლია და არც ნესტიანი მხარის ბალახეულობა.
- კარგი კი იქნება, გულთოვლის მთები მოიჩხრიკოს, არის თოვლი თუ არა? – გამოთქვა სურვილი გიორგიმ.
- რა იქნება, რომ ეს ხუთნი წავიდეთ და მოვინახულოთ.
გამოთქვა ყველას აზრი ვახტანგმა.
- ვინ ხუთნი?
- შალვა, გივი, ერეკლე, ლელა და მე.
- ეს როგორ მოგივიდა, რომ ლელაც ჩართე.
- ერთხელ, გახსოვს, არ ჩავრთე და კინაღამ გადამასახლა.
ლელა წამოფრინდა და თავში წაუცაცუნა.
- არ იქნება ურიგო.
ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, ასე სწრაფად დათანხმება გაუკვირდათ, მაგრამ ლელას საკითხი მაინც გადასაწყვეტად მიაჩნდათ.
- რაკი წახვალთ, სამი-ოთხი დღე მაინც მოუნდებით. ჯავახეთშიც გადაიხედეთ, თავფარავნის ტბაც მოინახულეთ. სოფ. თავფარავანში ჩემი ერთი ძმაკაცია, იმასთან მიდით, დუხობორია.
- მართალს ამბობ?
- ერთ კაცს უთხრეს: „შვილი მოგიკლა, თუ სიცრუე გათქმევინოო“, „შვილი მომიკალიო“; ტყუილს რად მათქმევინებ?
ითათბირეს და გამოირკვა, რომ ხვალინდელი დღე სამზადისს მოუნდებოდნენ. გუდები კარგად გამართეს, ქადები და ხაჭაპურები დააცხეს (ლელა ტრიალებდა).
- მოდი, რაკი ლელა ასე შრომობს, ეგეც წავიყვანოთ, – თქვა საღამოხანს ვახტანგმა.
- შენი გამზრდელი ეშმაკი ჩემი გაზრდილია და ტყუილად ნუ იხარჯები, – ისე მტკიცედ უპასუხა ლელამ, რომ ვახტანგს პაექრობის ხალისი დაეკარგა.

- ჩემმა დაჭედილმა ჯორმა, პირველი წიხლი ისევ მე მკრაო, – ესღა თქვა, ვითომ ჩემი ნასწავლი ანდაზები ისევ მე დამიბრუნაო და ერთი 10-15 წუთი ხმა აღარ ამოუღია, სანამ ისევ ლელამ არ გაახალისა.
- რწყილს ნესტარი ჰკრეს და ჭირადაც ეყო და ლხინადაცო; შენ რწყილი ხომ არა ხარ?
- კაცო, შენი არ მიკვირს, ლელა გვიმზადებს ყველაფერს და შენ კი ლელას ექიშპები, ხომ იცი „ჯერ არ ვარგა ნავში ჯდომა, მერმე მენავესთან ჩხუბიო...“
- აღარ ვიღებ ხმას...
- ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, რომ შერიგების დროს შეგრცხვეს.
- აბა მოათავეთ! ხვალ უთენია მიდიხართ...
- ეხლავე, ეს ჯოხებიც გავმართოთ.
- ჯოხი რაღად გინდათ?
- ცხვრის ფარები დაგვხვდება, სანამ მწყემსი გადმოგვეშველება, ხომ უნდა მოვიგერიოთ.
- რაღა მე მერგო მოკლე, – ჩიოდა ვახტანგი.
- ხმალსა რას უშლის სიმოკლე, ფეხი წინ წაადგი, გასწვდება, – წაუმღერა გივიმ.
ვახტანგს გაეცინა და ჯოხის გვერდით წერაყინაც დადო.
დილით მტრედისფრად იყო ნარიჟრაჟევი, რომ ოთხი ვაჟკაცი და ლელა შამბიანის მთას შეუდგნენ. ეს კია, მანქანამ ყარაბულახამდე მიიყვანა. შამბიანი მაღალი მწვერვალი არაა, მისი სიმაღლე სულ 2870 მეტრია, მაგრამ მანძილიანია, ფერდო თანდათანობით ეშვება შავწყაროსკენ. არსად ქმნის არც ფლატეებს და არც წმინდა კლდოვანებს. მთელი ფერდო მშვენიერი კორდოვანი მდელოთია დაფარული. ხანდახან მიწიდან ამოსულია ლოდი, მაგრამ უფრო ხშირად მიწის პირზე. ძირის კალთები, სოფლის ახლოს, შემოღობილია კარგად ნაგები ყორით. ყორის ქვა აქვეა აკრეფილი. მაშასადამე, ორი კურდღელი დაუჭერიათ: სათიბიც გაუწმენდიათ და ყორეც გაუკეთებიათ, მდელო სათიბად დაუტოვებიათ.
შემოღობილი საკმაოდ დიდი მინდორია, ბალახი კარგია, ჭრბობს მარცვლოვნები, რომელიც მუხლს ზევით სცემს კაცს. დაფიქრებულები მიდიოდნენ და მეწინავეს, ერეკლეს, ფეხებშუა უცბად ორი მწყერი აუფრინდა, ერთი მარცხნივ გაჰყვა კურკურით, მეორე მარჯვნივ. ერეკლე შეხტა, მაგრამ მალე ჩადგა გული საგულეს და მხიარულად გაეცინა.



ნატაძრალი



საფლავის ქვა, გომარეთი

მხარმარჯვნივ ხევი ჩადიოდა, რომლის ძირზეც შამბიანის წყალი მიწანწკარებდა. ერთი-ორჯერ შეისვენეს. ამ დროს შალვამ შამბიანის წარსულიც უამბო. არა, შამბიანის ამბავი კი არა, მთელი სამხრეთ საქართველოს ზეგნებისა. ამ მხარეშია ჯავახეთის დიდი ზეგანი, თრიალეთისა და ზურტაკეტისა. სამივე ეს ზეგანი ვულკანური წარმოშობისაა, სამხრეთ საქართველოს ვულკანებიდან (აბული, თავკვეთილი, შავნაბადა, გოდორები, შამბიანი, ემლიკლი და სხვ.) წამოსულ გაშლილ ლავაზე თანდათან წარმოიშვა ნიადაგი და შემდეგში ტყეც. ამ ზეგანთა დიდი ნაწილი ისტორიულ წარსულშიც ტყით იყო დაფარული.

ეს სამი ზეგანი – ჯავახეთისა, თრიალეთისა და ზურტაკეტისა განსხვავდება ერთმანეთისგან. ჯერ ერთი, თრიალეთი და ზურტაკეტი ჯავახეთისგან გამოყოფილია კეჩუთის ქედით, გოდორებით. მეორე – ზურტაკეტი გაცილებით დაბალია (საშუალო სიმაღლე 1400-1500 მ.). სამწუხაროდ, ზოგმა ეს მხარე ერთი სახელწოდებით გამოყო ჯავახეთის ზეგნად, რაც არასწორი უნდა იყოს.

- ვახუშტი ხომ ამბობს, უტყეოა, ხევებშია არყნარიო.

- ეს ისაა, რაც ვახუშტიმ ნახა. ეს ტყეები ვახუშტიმდეც ნადგურდებოდა.

აქ რომ ტყეები იყო, ამის საბუთი ბევრია. აბა, გაიხედეთ სამხრეთით, ტყე პირდაპირ მოსდგომია ამ მხარეს. ტყე აქ ზღვის დონიდან 1800-2000 მ. სიმაღლეზე გვხვდება. ესე იგი, აქაურ დღევანდელ მშრალ მდელოს ტყის ზონა უჭირავს. ტყის ნაშთები აქ ბევრგანაა, აგერ საფიქლის ხევში მუხნარია, მაღალმთის მუხისგან შექმნილი, ორთაშუაში რამდენიმე პანტა დგას, მამუდლოში პანტებიცაა და აღმოსავლეთის მუხაც, აქვეა „არმუდლოც“– ანუ პანტიანი. გახსოვთ, აბულსამსარზე ტყეც ვნახეთ, ტაძრის წარწერაც, ეს საყდარი ისეთ ტყეში ავაშენეთ, რომ ის არა ჩანდაო; ნიადაგი ტყის დეგრადირებული ნიადაგია, ბალახებს შორის თითო-ოროლა ტყის ბალახიც შემორჩენილა. კლიმატიც ისეთია, რომ ტყის კლიმატის ნაშთს ჰგავს, თუ ხელოვნურად ხელი არ შეეშალა, ტყე აღდგება. ჯავახეთში ხომ ნახეთ ასეთი ამბავი.

- რამ მოსპო?

- გაუფრთხილებლობამ, უდიერმა მოპყრობამ, გადაჭარბებულმა ძოვებამ, მრავალ მტერთა შემოსევამ. ჯერ კიდევ ოსმალთა ხელისუფალნი, როდესაც მათ მესხეთ-ჯავახეთი დაიპყრეს, ჯავახეთს ორ ნაწილად ყოფდნენ: „ტყიანი და უტყეო ჯავახეთიო“ (1630-1650 წწ.) ეხლა მთელი ჯავახეთია უტყეო, ე. ი. 350 წლის წინ ჯავახეთის ნახევარზე მეტი ტყიანი ყოფილა.

კლიმატიც, როგორც ჩანს, უარესობისკენ შეიცვალა, სწორედ ამიტომაა, რომ მაღალი ბალახეულობა აქ აღარ არის და თოვლის საძებნელად წამოვედით, აქ რომ მარადი თოვლი იყოს, განა შორიდანვე ვერ დავინახავდით?!

მაღალი ბალახი?

- არის, როგორ არ არის, აგერ, ნაკადულის პირას ტაშის ოდენა ადგილი უჭირავს.

მართლაც, პატარა ნაკადულის პირას ამოზრდილიყო: ტილჭირი, ლაშქარა, მთის სოსანი, მზიურა, დიყი, ძირხვენა, მაგრამ ასეთი პაწაწინა ნაკვეთები ამ მხარეს იერს ვერ მისცემენ და ვერც „რქიანი ირემი დაიმალება“.

ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ, მთაში სიარულს ნაჩვევები იყვნენ.

უცბად ხუთივე ერთად შემოტრიალდა, გეგონებოდათ, ვიღაცამ უბრძანაო. თურმე მზის პირველი სხივი ამოიჭრა ლუკუნის მთების გადაღმიდან და გააპო ცის ლაჟვარდი. ცოტაც და მზის ყველა სხივი ცას იყო აკრული. ბალახს მოდებული ნამი ისე აელვარდა, ვით ანუკა ბატონიშვილის მზითევში გატანებული ქუდის 15 ათასი ხოშორი მარგალიტი.

შამბიანის ხევს აჰყვნენ და კლდეში წყარო შენიშნეს. არა, კი არ შენიშნეს, თვითონ წყარომ გამოსძახა: „საით მიდიხართ, ვერა ხედავთ, რა ანკარა ვარო“?

- აი, კარგი წყაროც და დროც არის...

- კიდევაც...

- ვისაუზმოთ, თორემ რა ყანდის[48] კეთილს მომართმევ, რა ყანდის შაქარს?

- იცი, რა გითხრა? თუ ეგრეა, არაფერსაც არ გაჭმევ, – შეუტია ლელამ, – არ იცი, როცა გშიან, ზაქარია, ცივი ჭადიც შაქარია?

- სამი დღე სულ ქადა და ხაჭაპური?

- ბიჭო და ჯერ ხომ არც გიჭამია; ის მაინც არ გაგიგია, ერთმა ქვრივმა რომ დაიჩივლა: „სიმინდის ფაფამ და ღორის ქონმა შვილებს გულის ძმარვა აუტეხაო. კიდევ გაქვსო? ბეჩავს ისიც გამომელიაო. ჰოდა, აბა, გულის ძმარვა ახლა ნახეო“.

ამასობაში გივიმ სუფრა გაშალა. თითო ჭიქა ყავაც დააყოლეს ხაჭაპურსა და ქადას. შემდეგ ცივი წყაროთი გულიც გაიგრილეს და კვლავ დაწალიკდნენ.

უნდოდათ, ლელასთვის ბარგი შეემსუბუქებინათ, მაგრამ შეუტია: „თქვენზე ნაკლები თხა მგელმა შეჭამოსო“.

მთის მდელოზე მიდიოდნენ და ფეხის დადგმა უმძიმდათ, იმდენი თვალჟუჟუნა ყვავილი ხვდებოდათ წინ. შენახული საძოვარი იყო. მთავარი ჯოგები ჯერ არყიანზე ძოვდნენ. არყიანის მთაც შამბიანის მთას წააგავს. ეს მწვერვალი შამბიანის მწვერვალზე ასი მეტრითაა მაღალი, 2968 მეტრია.

ჯერ კიდევ დილა იქნებოდა, როცა შამბიანს მწვერვალზე მოექცნენ. მწვერვალის ძირში ნაზვავი თოვლის ნაალაგევი ცანდა. მის შუა ნაწილში მიწიდან ამოეხეთქა თითო-ოროლა მცენარეს, ნაპირებზე კი ახლადგაშლილი გულწითელა, ფურისულა, ფრინტა, ცხენისკბილა, ენძელა იყო. თითქოს ამ შუა ზაფხულში გაზაფხული მოუტანიათ და აი, აქ, შამბიანზე დაუდვიათო. შალვამ ყველა მოინიშნა, აიღო, აბგაში ჩაალაგა. ერეკლეს შენიშვნაზე, რომ ჩამოვივლით, მაშინ აიღეო, დინჯად უპასუხა:

- რომ ჩამოვივლით, სამი-ოთხი დღე იქნება გასული. მაშინ აქ სხვებიც იქნება გაშლილი: პირველად შეხვედრილი უნდა აიღო. ვაითუ, შემდეგ ვერც ნახო და სანანებელი გაგიხდეს.
აბგიდან ამოიღო ერთი მცენარე და გაუწოდა.
- თუ მეტყვით, რა არის?
- რა არის და იონჯაა!
- იონჯა კია, მაგრამ რით განსხვავდება, ქვევით, თბილისის ახლოს რომ იონჯა იზრდება, იმისგან?
-!??
- მართალია, ვერ იტყვით, იმ იონჯის ცერცვი ორჯერაა შემოხვეული სპირალივით, ამის ცერცვი კი მხოლოდ ხვეულის ნახევარსა ქმნის. აი, ეს იონჯა ამ მთაში ცვლის ველის იონჯას, სხვა ნიშნებით თითქმის არ განსხვავდება. ჯავახეთში სხვა იონჯას გაჩვენებთ. ლელავ, შენ მომაგონე, – და აჰყვა მწვერვალისაკენ, მაგრამ ლელას შეძახილმა შეაჩერა.
- ამაზე ხომ არ ბრძანებთ, ბატონო შალვა? – და ყვითელყვავილა იონჯა გაუწოდა.
- სად ნახე, ლელავ? სწორედ ეგაა! ხედავთ, ესეც იონჯაა, მხოლოდ ოქროსფერყვავილა, მიწაზეა გართხმული. ეგ ჯავახური იონჯაა. ამ მხარეში იზრდება მხოლოდ. უფრო ხშირია ჯავახეთში. იყო ერთი კიეველი ბოტანიკოსი, ბორძილოვსკი, ცალფეხა, მარჯვენა ფეხი ძირში ჰქონდა მოჭრილი. ფორანს წინა თვლებს ჩახსნიდა ხოლმე, ზედ დაამაგრებდა ზურგიან სკამს და დადიოდა ამ მთებში, ეგ იონჯა ამ 40-60 წლის წინ სწორედ ბაძილოვსკიმ აღწერა. რახან ასეეა და დამასწარი, საღამოს ტბასთან მომაგონე კიდევ ბორძილოვსკი, მის აღწერილ მცენარეს გაჩვენებთ, ისიც ენდემია. ცალფეხა იყო, მაგრამ ბევრ ორფეხას სჯობდა. მარტო ჯავახეთში მეცნიერებისათვის 20-ზე მეტი ახალი მცენარე აღწერა. ჯავახური იონჯის გარდა, ჯავახეთის სახელი დაარქვა ერთ ასტრაგალუსს – გვლერძას – ჯავახური გვლერძა. ერთ ქერიფქლას უწოდა ახალქალაქური ქერიფქლა და სხვა. უყვარდა მეცნიერება, ბოტანიკა, უყვარდა ჯავახეთი. მინდია კარგად იცნობდა, ბევრ რამეს ისიც გიამბობთ.
მწვერვალი უკვე ალპური მცენარეებით იყო დაფარული. აქ ჩანდა ძირმაგარა, ალპური ნაღველა, ალპური ბარბაცა, აჭარული შვრიელა, კეწეწურა და სხვა მრავალი.
დაყარეს ზურგჩანთები და ჩამოსხდნენ, მზე მაღლიდან დასცქეროდა. ცა იყო უღრუბლო და კამკამა, წინ გადაშლილი იყო ზურტაკეტის ხეობა, გომარეთის ვაკე, მარცხნივ – თრიალეთის ზეგანი. მხარმარჯვნივ – ლორეს ვაკე.
- რამდენი სისხლია აქ დაქცეული!
- მგონი მტკაველი არაა ისეთი, სადაც სისხლი არ იყოს დაღვრილი.
- შენა, ლელამ და გივიმ მწვერვალის აღმოსავლეთით იარეთ, არყიანის ხევები მოინახულეთ, – მიმართა შალვამ ერეკლეს, მე და ვახტანგი შამბიანის სათავეებს და გულთოვლის მთებს ვნახავთ. ნახეთ საათები. ორია. შეასწორეთ. ექვსზე უკლებლივ აქ ვიყოთ...



მეცხვარის საფლავის ქვა, გომარეთი

დურგლის საფლავის ქვა, გომარეთი

ყველა თავის საქმეს შეუდგა.
ბევრი იფხოკიალეს, მაგრამ მარადი თოვლი ვერ ნახეს, ერეკლე ხევში ორგან კი წააწყდა მიწაგადაყრილ თოვლს, რომლის ქვეშიდან ნაკადული მოწანწკარებდა, მაგრამ ეს იყო მარადი თოვლი? აგვისტომდე ესეც დადნებოდა. ასეთი ნაზვავი თოვლი ორ ხევში კიდევ იყო, მაგრამ, ისიც ვერ გაძლებდა აგვისტოს ბოლომდე.
- კაცო, მარიამობისთვის ბოლოს ხომ თოვლი ისედაც მოვა! – შენიშნა გივიმ.
ყოველ ასეთ ნაზვავთან პირველი გაზაფხულის მაყრიონს ჩაება ფერხული.
უკვე შეყრის დრო იყო და ერეკლეც აჰყვა შამბიანის სამხრეთის ფერდოს. ის იყო აათავეს აღმართი, რომ მეორე მხრიდან შალვა და ვახტანგიც გამოჩნდნენ.
- რასაკვირველია, არც ჩვენ მხარეზეა „თოვლი მარადი“...
- ვნახოთ სხვაგანაც, გულთოვლის მთები უფრო გულიანად მოვჩხრიკოთ.
- შამბიანის გადაღმა ვათიოთ ღამე, – დაამატა შალვამ.
- საძილე ტომრებში არ შეგვცივა?!
წაიხემსეს. კეჩუთის ქედის ჯვარის ზეკარისკენ გადავიდნენ. აქ ძველი გზა გადიოდა, ქვემო ქართლიდან ზურტაკეტს გაივლიდა და ფარავანზე ჩადიოდა. ძველ დროს ეს გზა კარგად მოწყობილი უნდა ყოფილიყო, ქედის აღმოსავლეთით დიდი ქარვასლა იყო, „აქ არს ფუნდუკი, თამარ მეფისგან აღშენებული ზამთარ მოგზაურთათვის“. ასეთივე ფუნდუკის ნანგრევებია სოფ. ფრავანთან.

ირმის ცრემლი

„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს...
.....
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას.
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს,
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს“.

ილია

„ამ მთასა შინა არს ირემთა სიმრავლე ჯოგ-ჯოგათ და ხროთ და სხვათა ნადირთაც; მოინადირა მაფემან ვახტანგ, და მოკლა დღესა ერთსა 160“...
- ამ ჭკვიანმა მეფემ ეს როგორ ჩაიდინა? ან რად უნდოდა? – ვერ მოითმინა ლელამ.
- სწორედ რომ ჭკვიანია და იმან მოაკვლევინა, – უთხრა ერეკლემ.
როცა დაისვენეს და ღამის სათევად მოეწყვნენ, ისევ ლელამ წამოიწყო ეს საუბარი.
- იცით, ბიჭებო, რა გითხრათ? მე დავწერე ვახტანგ მეექვსის და ვახუშტის ნადირობა. შევაჯერე დოკუმენტებთან. დავწერე ისე, როგორც უნდა ყოფილიყო. წავიკითხო?
ერეკლემ შალვას გადახედა.
- ჰო, წაიკითხოს, – დათანხმდა შალვა და ვახტანგმაც ჩანთიდან რვეული ამოიღო.
- „აი, რასაც ხედავთ, ეს ძველი სომხითია, ქვემო ქართლი, მეწინავე სადროშო, საორბელიანო და საბარათიანო. ჩვენ უკან კი ჯავახეთია. ვახტანგ მეექვსის დროს ჯავახეთში უკვე თითქმის ასი წელი თურქები ბატონობდნენ. მათ აიკლეს და იავარყვეს მესხეთ-ჯავახეთი.
- მოგეხსენებათ თურქების პოლიტიკა, ძველადაც არ ისვენებდნენ, მოთარეშე რაზმები მეზობელ მხარეში ხშირად იჭრებოდნენ. იმხანად სამხრეთის სადროშოების გამგებლად ვახტანგის უნიჭიერესი შვილი, ვახუშტი იყო. იგი დაბანაკებული იყო ეძანში, უფრო სწორად თრიალეთის ახალქალაქში, იქ, სადაც ვახუშტის ენითვე რომ ვთქვათ, „ქცია... გამოსდის შავრაშეთის მთასა... და მარადის დის აღმოსავლეთად და თრიალეთს მოდის მდორედ, ხოლო ეძანს დახრამდების. და არს იმერ და ამიერ კლდე ქარაფი და მაღალი“. მას კარგი შეკრული რაზმი ახლდა თან და შემოჭრილ მარბიელს ხშირად ცუდ დღეს აყრიდა.
ამ შესავალის შემდეგ გადაშალა გვერდი და დაიწყო:
„მტერი არა ცხრებოდა და, ცხადია, ვახუშტის უძნელდებოდა საზღვრის დაცვა.
ერთ მშვენიერ დღეს ამალით გამოცხადდა თბილისში. ამალაში ძმასავით შეზრდილი ნათესავები და მეგობრები, აბაშიძეებიც, იყვნენ, რომელნიც ვახუშტის სანადიროდ მოეწვია. ერთი მათგანი, ბრგე და ახოვანი, ვახუშტი ბატონიშვილის სეხნია, ვახუშტი გიორგის ძე აბაშიძე იყო, მისი ნათესავების მოგვარე. ჭაბუკები ერთმანეთს სჯობდნენ ჩაცმულობით, იარაღით თუ შეხედულებით.

სასახლეში ფრიად გაიხარეს. განსაკუთრებით გაიხარა მემკვიდრემ, ჭკვიანმა და კარგმა ვაჟკაცმა, ბაქარმა. მამამ, ვახტანგ VI, ისე, როგორც ვახუშტი, ისიც ადრე ჩააბა საქვეყნო საქმეებში. ბაქარმა ძმა და ტოლები რომ დაინახა, გაიხარა, ცოტაოდენს ვიმხიარულებთო, თორემ მომკლა ამდენმა გარიგება-შერიგებამო. საქმე ის იყო, რომ ვახტანგმა იგი მეფედ აკურთხებინა და საქვეყნო საქმე ბაქარსაც მხრებზე დააწვა.
მამას ღრეობისთვის არა სცალოდა, მაგრამ საყვარელი შვილის წვევის გამო და მის მეგობართა პატივსაცემად შინაური პურობა მაინც ბრძანა.
- შენ, შვილო, შემთხვევით არ მიატოვებდი შენს ეძანს... მიმართა მამამ შვილს, როდესაც დაიმარტოხელა.
- რასაკვირველია, ოსმალნი არ ისვენებენ, გავწყდით წელში მათი მარბიელი გუნდების დევნით. მოგეხსენებათ, შევარდენის ბუდესთან მტრედი ვერ გაიხარებს.
- შენ შორს იჭერ საქმეს, ახლა მათთან საომრად წელი არ მოგვდგამს.
- გკადრებთ კიდევ, როცა ჯოხი არ გიჭირავს, მყეფარს ლუკმა გადაუგდეო.
- იქნებ ნადირობა გავმართოთ კეჩუთის მთებში, საუკეთესო რაზმები წავიყვანოთ, მათი მზირები ამ მთებში ნახავენ ჩვენს მონადირეებს და შეფიქრიანდებიან.
ვახუშტის თვალები გაუბრწყინდა.
- როდის, მამავ ბატონო?
- დღემეხვალიე კაცსაო, თოვლი მოუვა კარსაო, – უთხრა მამამ და გაუძღვა დარბაზისაკენ, – სად არის შენი სეხნია, კაი ვაჟკაცი დამდგარა. მგონი პატარაობისას კაცხში თუ სურამში მინახავს.
ვახუშტი დასცილდა მამას და წავიდა აბაშიძის საძებნელად, – რადგან მამამ იკითხა, საჭირო იყო წარედგინა.
ვახუშტი ბატონიშვილმა აბაშიძე ბაქართან და სხვა ტოლებთან კარის ბაღში ნახა, ბაქარი მხიარულ ამბავს ჰყვებოდა.
მამის სურვილი რომ გადასცა, ვახუშტი აბაშიძე შეკრთა, – მეფეს ესე უბრალოდ როგორ ვეახლოო?
- ორივე ამოგიდგებით მხარში და რაღა გაფიქრებს? – გაამხნევა ბაქარმა და მეგობრულად მოხვია ხელი.
ის-ის იყო მეფე გაემართა თავისი საუფროსო ადგილისაკენ, რომ ორმა ძმამ მიჰგვარა ახალგაზრდა აბაშიძე: ფერი წასვლოდა და ტუჩი უთრთოდა.
- ხომ არ დაიღალე, შვილო, ფერკმრთალი ჩანხარ.
- არა მეფევ ბატონო... და თვალი ქალთა მარაქისკენ გაექცა.
ეს ვახუშტი ბატონიშვილს არ გამოჰპარვია და გაიღიმა.
- ამის დაღლილობასაც ეშველება, მამავ ბატონო!
პურობა იყო დიდებული, მხიარული; მოილხინა ბატონიშვილმა ბაქარმაც. ვახუშტი მისი ნახევარძმა იყო, ჯვარდაუწერელი ქალისგან ნაყოლი, მაგრამ ღვიძლ ძმასავით უყვარდა. მამას ყოველთვის ხინჯად ჰქონდა გულში, ვაითუ მემკვიდრემ, ბაქარმა, აითვალწუნოს თავისი ნახევარძმაო, მაგრამ რომ ხედავდა მათ ასე მხიარულად, ერთმანეთის მოსიყვარულედ, უხაროდა. მისი საყვარელი ქალიშვილი, 17 წლის ანუკაც, ძმებთან ერთად მხიარულობდა და ცდილობდა, სტუმრები აეყოლიებინა, მაგრამ ვახუშტი აბაშიძეს თავი მაღლა ვერ აეღო.
- თავი მაღლა, ვახუშტი, ვეფხისა არ გეშინიან და ქურციკმა როგორ შეგაფიქრიანა!
- ბატონიშვილო, ქურციკი არ შემაფიქრიანებს, მაგრამ „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“, – ეს მაფიქრებს.
ბაქარი ახლა ჩავარდა გულისყურში და მხიარულად გაეცინა.
ძმებმა დას გახედეს და თვალებით რაღაც ანიშნეს. ანუკამ იგრძნო რაღაც, უცბად აუძგერდა გული, გაწითლდა, დახარა თვალები და დედის კალთას შეაფარა თავი. არც მამას გამოჰპარვია ეს ამბავი. „რა ვქნა? ყველას თავისი დრო აქვს“, – გაიფიქრა და ამოიოხრა.
საერთო პურობის მერე მეფე, მემკვიდრე და ვახუშტი განაპირდნენ , მცირედ ითათბირის და დათქვეს, რომ ათიოდე დღის შემდეგ ვახტანგი ზემო ქართლის და ქვემო ქართლის სადროშოების რჩეული რაზმებით ამოვიდოდა ზურტაკეტს და დადგებოდა შავწყაროზე. სანადიროდ შამბიანი კარგი იქნებაო, ჯავახეთის ფაშას რაზმებიც არყიანის თავზე იქნებიანო.
- ბაქარმა მეფის სპას უსარდლოს, უამისობა არ იქნება.
ბაქარს ეშინოდა, თბილისში არ დამტოვოსო და ეს რომ გაიგონა, თვალი გაუბრწყინდა.
- მაშ მალემსრბოლებს ჩავაყენებ კუმისს, ნახიდურს, ბოლნისს, დმანისს და მუსის ციხეს, შავწყალზე, ბარიდან ამბავი დაუყოვნებლივ ამოვა.
- კარგია, – მოუწონა მამამ.
- ვახუშტი აბაშიძეც თან იყოლიე, არ გაუშვა; მართალია, მზეს ეთამაშება, მზის შვილსა ჰგავს, მაგრამ ვნახოთ ნადირობაშიც, თვალი და მკლავი როგორ უჭრის, საზრიანობა როგორი აქვს.

- მაგაზე კარგს ვერც ნახავ, მამავ ბატონო, – თითქოს მიხვდაო, რა სურდა ვახტანგს, დაუდასტურა შვილმა.
- მაგას რაღა სჯობს, შვილო. ეს მითხარი, შენი საქმე როგორღა მიდის, შეაჯერე ქართლის ცხოვრების ის წიგნი, რომელიც გამოგიგზავნე, თუ არა?
- ყოველთვის მახსოვს. ცხენზე თუ არა ვზივარ, ის მიჭირავს ხელში.
- მარჯვენა შეგრჩეს, შვილო. ბევრი უნდა მოვასწროთ... და ვახტანგმა ამოიოხრა. გული თან ამოატანა.
ვახუშტი თავის ამალით უთენია გაუდგა კოჯრის გზას ტრიალეთისაკენ.
ათი დღის შემდეგ შავწყაროს მიდამოები აივსო ჯარით და რა ჯარით! – ვაჟკაცები ერთმანეთს სჯობდნენ, რა ჩაცმა-დახურვით და რა ცხენ-უნაგირით. მზით გაუმაძღრებსა ჰგვანდნენ, ეს მზის ნატეხი ვაჟკაცები. ყველას მგლის მუხლი ება და არწივის თვალი ჰქონდა. დიდ ამბავში იყო ვახუშტი ბატონიშვილი. ის მასპინძლად გრძნობდა თავს და ცდილობდა, არავის დაჰკლებოდა ზრუნვა. ბაქარი თავის როქის ჯარით, რომელშიც ქართლის რვაასამდე ვაჟკაცი იყო, ორთაშუაში დადგა, კარვები იქ გამართა. გომარეთელი მეთევზეები გამოიწვია ვახუშტიმ და უბრძანა, როქის სპისათვის კალმახი არ მოეკლოთ.
მუსის ციხესთან ქართლის სადროშო მოეწყო, მას დუმანისი და მისი ზემო სოფლები უვლიდნენ, მაშავერის კალმახს არ აკლებდნენ.
კვირიკეთის მთის კალთებზე მოწინავე სადროშო დადგა, შავწყაროზე მეფის და მისი ამალის ბანაკი იყო დაცემული. მაშავერაზე კი არაგველები და ქსნელები დაბანაკდნენ.
მარეკობა გომარელებს, ახელებს, ლიპარიტის უბნელებს და ერგიშაანთ სოფლელებს ჰქონდა დავალებული, რომელთაც ამ მთებისა და ხევების საქმე კარგად იცოდნენ. იყვნენ სომხითარებიც, უმთავრესად ფინეზაურისხეველები, რომელთაც ის ადგილი უნდა გაემაგრებინათ, სადაც გაჭირდებოდა. საფიქლის ხევიდან გამორეკავდნენ ირემთა არვეს შამბიანისკენ და სომხითარები მას მაშავერის ხევზე არ გაუშვებდნენ, უკან გამოაბრუნებდნენ. შამბიანის მწვერვალისკენ ორი რაზმი გაჩერდებოდა: ერთი ზემო ქართლისა, ერთი ქვემოსი; დანარჩენი რაზმები კი შამბიანის კალთებით ქვემოდან შეუტევდნენ. მზის ამოსვლამდე ორი რაზმი მწვერვალისაკენ გაემართა და, როდესაც მზემ კვირიკეთის მთის თავზე ერთი გუთნის გაშლაზე წამოიწია, მაშინ ატყდა ბუკ-ნაღარის ცემა, ძროხაკუდის ბღავილი, ძაღლის ყეფა.
ტყუილად კი არ რქმევია ამ მთას შამბიანი, „შამბ-ბალახ სიმაღლისაგან“.
ნადირი რომ მორბოდა, ბალახს ზევით მხოლოდ რქები ჩანდა და ცხენოსანი კაცისა მხოლოდ ჩაჩქანი ელავდა, მზი სხივით განათებული. მაღალბალახიანების გარდა იყო მდელოებიც დაბალი ბალახით და, როდესაც ნადირი ასეთ მდელოზე გამოდიოდა, აქ ჩანდა ვაჟკაცთა ჯომარდობა.
მამის მითითებით, ვახუშტი თავისი სტუმრებით მამის შორიახლო ნადირობდა, თუმცა სუყველას ბაქარისკენ მიუწევდა გული, რომელიც ამ დროს ორ სადროშოს შორის იმყოფებოდა და თადარიგს იჭერდა მზირების ხელში ჩასაგდებად. მეფის ამალის წევრები ერთმანეთს სჯობნიდნენ. ხანში შესულმა იორამ ამილახვარმა ერთ ხარირემს ცხენდაცხენ ხმალი გადაუქნია დ ძირს დასცა. ამ დროს ვახუშტი აბაშიძემ ფურირემს ისარი ჰკრა და ჩააჩოქა, ანაზდად ერთი უზარმაზარი ხარირემი უკანა ფეხებზე შედგა, თავზე ოცტოტიანი ჯიღა ედგა; უცბად დაიხარა და ზედმისულ ვახუშტის ცხენს აძგერა რქები. ვახუშტი არ დაიბნა, ელვის სისწრაფით იაზრა, უნაგირს ასხლიტა გურზი და მთელის სიძლიერით ჩასცხო თავში. გაისმა ჭახანი და ხარირემმაც ჩაიჩოქა, ჩაიჩოქა და გადმოაგდო ენა. აბაშიძე გადმოხტა და ცხენს წინიდან მოექცა; მკერდზე ცხენს ტყავი ჰქონდა ჩამოსერილი, ვახტანგი და ვახუშტი ხედავდნენ ამას.
- შაბაშ შენს მარჯვენას, ვაჟკაცო!.. აღმოხდა ვახტანგს ქების ნიშნად და მამა-შვილი ცხენდაცხენ მიიჭრნენ ვახუშტი აბაშიძესთან.
- ხომ არა ივნე რა, შვილო?
- მე არაფერი, მეფევ ბატონო, ცხენი დამიჭრა მხოლოდ.
- მარქაფი!... – ბრძანა ვახტანგმა და მეფის კარისკაცებმა აბაშიძეს გვერდით წაბლა ულაყი ამოუყენეს.
- მამა ბატონო, თქვენ ნუ ყოვნდებით, წაბრძანდით; შევკაზმავთ თუ არა, დაგეწევით.
- ვახუშტი, დღეს შენ მგონი ორი ირემი მოკალ ერთად, – უჩურჩულა ყურში ბატონიშვილმა.
- რას ამბობ, ბატონიშვილო, ეს მეხუთე იყო.
- არა, მე ქურციკზე გელაპარაკები.
- ქურციკზე?.. და გაწითლდა, ჩავარდა გულისხმაში.
ნადირობა გრძელდებოდა.

* * *

ამ დროს შამბიანიდან წამოსული რაზმები დაეშვნენ და ფერდოს ნახევრამდე ორი მწკრივი გაშალეს; ქვემოდან ფერდოსკენ ასეთივე მწკრივი წავიდა და შეიკრა დასავლეთის მხარე, სამხრეთიდან კი სომხითარები იდგნენ თავის მგელჭამია ძაღლებით.
- აგერ, აგერ, მამი... – ვერ მოითმინა ვახუშტიმ და არყიანის ფერდოსკენ მიუთითა, სადაც თითქოს ცხენოსანთა რაზმი ჩანდა.
- ვინ არიან?
- ფაშას მზირებია!
ვახტანგმა კოპები შეიკრა, მიშკარბაშს გასძახა.
- რამდენია?
- ასამდეა.
- გაგრძელდეს ნადირობა.
თანაც მალემსრბოლი აფრინა: „ყველა კარი მჭიდროდ შეიკრასო“.
სულ მალე რაზმები ისე გადალაგ-გადმოლაგდნენ, თითქოს ერთი სხეულიაო. ვახტანგს სიამის იერმა გადაჰკრა.
- მეფევ ბატონო, მე და ბატონი ვახუშტი იმ მზირებს ჩავუქროლებთ!
- აჰყევით ფერდსა, გულთოვლის მთა შეჰკარით, რაზმები კვლავ გაიშალონ. შვილო, ვახუშტი, ერთი ასიოდე გაიყოლე მეწინავე სადროშოდან. თავაზიანად მოეპყარით, უფროსები მოიპატიჟეთ! დანარჩენი შენ იცი!
სწრაფად მიეფარნენ თვალს, შამბიანის ფერდოს სამხრეთის გვერდს აჰყვნენ. აქ ისე ავიდოდნენ მწვერვალისაკენ, მზირები, რომელნიც არყიანის ფერდსა და შამბიანს შუა იდგნენ, ვერ შეამჩნევდნენ. მართლაც, სწრაფად აიარეს და მწვერვალს დასავლეთიდან მოექცნენ. გაიარეს ცოტაოდენი და მზირებს თავზე წაადგნენ. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ თურქებმა ვერა გაიგეს რა, თითქოს ხმალზეც გაიკრეს ხელი, მაგრამ, როდესაც დაინახეს კარგად შეიარაღებული რაზმი და ვახუშტის დამშვიდებული სახე, დაწყნარდნენ და წასვლა დააპირეს.
ვახუშტი თავაზიანად გამოელაპარაკა და უფროსები მიიწვია ბანაკში.
ათი, შედარებით კარგად ჩაცმული, იანიჩარი გამოარჩია იმათ მინბაშმა, დანარჩენების წაყვანა ვერ იკისრა: მეტად ღარიბულად იყვნენ ჩაცმულნი. ორივე ვახუშტიმ თურქული კარგად იცოდა და ლაღად ესაუბრებოდნენ.
სანადიროდ ვიყავით წამოსულები და გზას ავცდითო, – ამბობდა მინბაში. თან თვალდაფეთებული უცქერდა რაზმის აღჭურვილობას, ჩაცმა-დახურვას. ქართველები არ იმჩნევდნენ, რომ თურქები მათ ატყუებდნენ, ვერც მათ განცვიფრებას ხედავდნენ თითქოს.

მეცხვარის საფლავის ქვის დეტალები

როდესაც ბანაკში ჩავიდნენ, ნადირობა მთავრდებოდა. მიშკარბაშმა, მონადირეთა უხუცესმა რომ მოახსენა, 160 ირემია მოკლულიო, მეფემ ბრძანა:
- გახსენით კარი მაშავერისა, მონადირე მაშავერის გაღმა ნუღარ გადავა, რაც გადარჩა, ალალი იყოს...
სწორედ ამ დროს ეახლა ვახუშტი მამას და მოახსენა ნანახი. „კარგად გაუმასპინძლდნენ და ცოტა ხნის შემდეგ გააცილონ, არაფერი ავნონო“, – დაავალა.
ამ დღის ამბავი თავის გეოგრაფიაში ვახუშტიმ მოკლედ შეიტანა:
„მოინადირა მეფემან ვახტანგ და მოკლეს დღესა ერთსა 160“.

ნადირობამ კარგად ჩაიარა, რაზმები კარგად მოძრაობდნენ, კარგად ხმარობდნენ იარაღს და დღეს თუ ხვალ ყველაფერი ეს ეცოდინება ახალციხის ფაშას, მათმა სანაპირო ჯარებმა ხომ თავისი თვალით ნახესო, – ამბობდნენ მეფის ბანაკში.

* * *

მეორე დღეს მეფემ ხალხი დაასვენა: დრო გაატარეთ, ხვალ თუ ზეგ უფრო ძნელი ამბები წინ გვიდევსო. ორბელიანებმა, გოსტაშაბაშვილებმა, ბარათაშვილებმა რუმბებით ღვინო მოართვეს, გომარელებმა და ახელებმა – ებერნიკის და დოლის კარგი პური თუ ხმიადი. ხუთი სოფელი აცხობდა პურს და ვერ აუდიოდა.
მესამე დღეს, საღამოს, ვახტანგმა შეყარა სარდლები და მისცა დავალება: „ქართლის სადროშო ღამიანად გავა მაშავერის გაღმა და აჰყვება ფერდოს, ნადირს გამოღმა გამორეკავს, შამბიანისა და გულთოვლის მთებისკენ, მეწინავე სადროშო საფიქლის ხევიდან შამბიანისკენ გამორეკავს, გულთოვლის მთების ფერდობებს კი შეეფინება ბაქარის სპა. დანარჩენები ქვევიდან აჰყვებით და შევკრავთ“.
გამთენიისას მეფის ბანაკიც აიშალა და მწყობრად გაეწყო შავწყაროს მიდგმა მინდორზე. მზე ორი-სამი შუბის ტარზე იყო წამოსული, როდესაც მაღალ ბალახში პირველი რქები გამოჩნდა და ჩრდილოეთისაკენ გაქუსლეს. გავიდა დრო, უკვე მრავალმა დაფეთებულმა ირემმა გადაირბინა. ირემი რაა, მგელი და ტურა თითქოს მათ თანა სდევენო, ულევი მოდიოდა. ვახტანგმა გასცა განკარგულება, მეფის ჯარმა მგელი და ტურა და სხვა მტაცებელი ჟუჟოსო, სადროშოებს კაცი გაუგზავნა, ფურირემსა და ფურშველს ხელი არ ახლოთ, ხარირემიც შერჩევით ხოცეთ: მოკალით ის ირემი, რომელსაც რქაზე ხუთ ტოტზე მეტი აქვსო. ჯავახეთისკენ არ გადაუშვათ, ფხიზლად იყავით; საჩვენოსკენ გზა გაუხსენით – ზოგი ქედისკენ წავიდეს, ზოგიც ჭოჭიანისკენო.
შუადღე იყო მოღწეული, როდესაც ახალგაზრდა ორბელიანმა ვახტანგის წინ დაიჩოქა და მოახსენა.
- დიდო მეფეო, ხუთ თურქს ჭოჭიანის ხევში გზა დაჰკარგვოდა და აქ მოგგვარეთო.
ვახტანგმა ხუთ ცხენოსანს თვალი შეავლო და ჩაიღიმა. მალე დაწმუნდა, რომ ესენი არც უბრალო თურქები იყვნენ და არც უბრალოდ ჰქონდათ „გზა დაკარგული“.
- რომლის შვილი ხარ, ყმაწვილო...
- ასათ ორბელიანისა გახლავართ დიდო ბატონო.
- შაბაშ შენს საქმეს, მამას ჰგვანებიხარ. გაუმასპინძლდით, კარგი პურმარილი გაუშალეთ, საზღვრამდე შენ თვითონ მიაცილე; მარტო არ გაჰყვე, ორმოცამდე კაცი იახლე, შვილო!
ორბელიანმა თავი დაუკრა და თურქები გაიყოლია. ამ დღემაც კარგად ჩაიარა. ახალი სუფრისათვის ორმოცამდე ირემი, ხუთი მთის ცხვარი[49], მგელი, ტურა და მელა იყო მთავარი ნანადირევი. ასამდე მგელი და ტურა, ექვსი ფოცხვერი, ათი აფთარი – (მგელ-კაცა), სამოცამდე მელა, ოცამდე კატუნი იყო იმ დღის დავლა და ხუთი ნიამორი[50], ათი არჩვი და შველი.
მეორე დღეს დაისვენეს და შემდეგ გაუდგნენ გზას თრიალეთის ახალქალაქისკენ.
- შვილო, ვახუშტი, დაგვხვდები ამ ჯარსა და ჯარამათს?
- ამრავლოს, მამავ ბატონო და თქვენის წყალობით, არ მოვამშევთ; სხვა რომ არა იყვეს რა, მარტო კალმახით დავაპურებთ.
- აბა, შენ იცი, ეძანთან კარგად უნდა ვითევზაოთ, ორაგული იქნება ეხლა წამოსული.
ვახუშტიმ ორი დღის წინ აფრინა ბიჭები ახალქალაქისაკენ და უბრძანა თადარიგი დაეჭირათ. ჯერ გათენებული არ იყო, ვახუშტი ბატონიშვილი და მისი სტუმრები დასვენებული ცხენებით ეძანისაკენ გაეშურნენ. დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი რიგზე დახვდებოდა, მაგრამ მასპინძლის გული სხვაა: თუ ყველაფერი წესზე არ იქნებოდა, ბანაკის ამოსვლამდე მოასწრებდა ხარვეზის შესწორებას.
მზის ამოსვლისას დაიძრა მთელი ბანაკი. წინ მეწინავე სადროშო, ორბელიანები და ბარათაშვილები წავიდნენ, მათ მიჰყვა როქის სპა ბაქარის სარდლობით, თვით ვახტანგი, ბოლოს ქართლის ჯარი, ამილახვრები და ქსნისა და არაგვის ჯარი. გომარეთის ღვთისმშობლის ტაძარში პარაკლისი გადაიხადეს.
პარაკლისის შემდეგ ბაქარი ეახლა მამას და მოახსენა.
- მეწინავე სადროშოს ნახევარსა, საამილახვროს და ქსნის ერისთავის ჯარს ძველი გზით გადავატარებ, საფიქლისა და ჭოჭიანის ხევებით და საპიტიახშოს ბოლოდან ჩამოვალ ეძანს. ერთ გზაზე დიდი ჯარი დაგვიანდება. ლიპარიტის უბნისკენ ძნელი ჭირკვალია და ორი ცხენი ვერც კი გაიმართება.
ასეც გადაწყვიტეს.
მართლაც, გომარეთიდან ჭირკვალზე გზა გაძნელდა, მაგრამ გომარელნი, ახელი, ერგიშაანთ სოფლელნი და სხვა სოფლის მოკლეჩოხიანი ბიჭები დაუხვდნენ გზაზე, აღვირებში ხელი ჩასჭიდეს და ფრთხილად ჩაჰყავდათ დაკიდებულ ბილიკზე. ვახტანგმა იამა შვილის ასეთი თადარიგი.

მზე გადახრილი იყო, როდესაც ორივე ნაწილი ჯარისა თრიალეთის ვრცელ მინდორზე გაიშალა. ახალქალაქსა და ეძანს შორის ვახუშტის თადარიგი ჰქონდა დაჭერილი – ყველა ჯარის ნაწილისათვის ადგილი მონიშნული იყო, ცეცხლი ენთო და სადილი იხარშებოდა. თივა და ქერი ბევრი ეხვავა, ბალახი ხომ ბიბინებდა. მეორე დღეს საპიტიახშოს გზით თავკაცებმა თავკვეთილისკენ გაისეირნეს, როქის ჯარის ნაწილი ორი ისრის სასროლზე უკან მოსდევდა. ქცია, თრიალეთის ზეგანზე, სანამდე დახრამდება, წყნარად მოედინება ათასნაირი ყვავილით დამშვენებულ მდელოთა შორის. ზოგან უცნაურ ხვეულებსა ქმნის. უცბად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიდის, შემობრუნდება და ისევ ძველ ადგილას ჩაივლის ხოლმე. აქაური კალმახი ქვევით არ მიდის და აქა ტრიალებს. ეძანის ჩანჩქერიდან კი აქ თევზი ვერ ამოვა.

მესამე დღეს მდინარე ქციის ხრამის პირს გამწკრივდა ჯარი.

„ეძანს ქვევით და ახალქალაქს ზევით გარდმოდის ქცია მაღალი კლდიდან, ვითარცა ღარიდამ[51]. ძირს აქვს ტბა დიდი, ამის ზევით ვერა აღვალს ორაგული და დიდნი თევზნი, არამედ არს მის ზემოთ კალმახი დიდნი და მცირენი, მრავალნი და გემოიანნი.

მეფემან ვახტანგ VI მოინადირა ტბა ესე კირსაგალითა[52] და იპყრეს ორაგული. თვინიერ კალმახისა და სხვა თევზთა, მას ერთ დღესა ცხრაასი“.

გომარეთელი აფაქიძე მეცხვარის საფლავთან

ასე გადმოსცემს ვახუშტი ამ თევზაობას.

თვით ხრამის პირს, ქციაზე მხოლოდ 1000 კაცი ჩავიდა, სახელდახელოდ ფიცრები ჩააგეს. მაშინვე დაეტყო, რომ ორაგული ბევრი იყო. ფიცრის დაგებისას ატყდა ჟივილ-ხივილი, რადგან ქვევიდან ისარივით წამოსულმა ორაგულმა ბევრი მეთევზე ამოაყირავა.

ხანშიშესულნი, რომელთაც ფეხი არ დაისველეს, ნაპირზე იდგნენ და გულიანად იცინოდნენ.

ეძნელებოდა ვახტანგს, მაგრამ ბოლოს მაინც გასცა განკარგულება.

– ჩაუშვით წყალში კირსაგალი.

რამდენიმე ტომარა ჩაყარეს მჩქეფარე ტალღებში და მალე დაჩნდა ამობრუნებული ორაგულების მკრთალი ვარდისფერი მკერდ-მუცელი. აღფრთოვანებულ მეთევზეებს ნაპირზე გამოჰქონდათ. რის დაჭერასაც ვერ ასწრებდნენ, ფაცერში გადადიოდა. ზოგი ორაგული ჯერ ცოცხალი იყო, გაიბრძოლებდა, ბოლოს მოიქნევდა და თუ მოთევზავეს მოხვდებოდა, ყირამალა ამოტრიალდებოდა ხოლმე. აი, გენახათ მაშინ ჟივილ-ხივილი და სიცილი!

- რაო, რა კოპები შეიკარით? – შეწყვიტა მოთხრობის კითხვა უცბად ვახტანგმა – ეს ამბავი 250 წლის წინ ხდებოდა და ბუნების დაცვაზე თანამედროვე წარმოდგენა არ ჰქონდათ.

- კარგი, ვიცით... და ვახტანგმა განაგრძო თავისი მოთხრობა.

შუადღე გადასული იყო და ხრამის ძირში მზე ვეღარ ჩადიოდა, აგრილდა. აგრილდა და მეთევზეებს შესცივდათ. თევზიც გამოილია. კიდევ აპირებდნენ კირსაგალის ჩაყრას, მაგრამ ვახტანგმა ნება აღარ მისცა. თვალი რომ გადაავლო ორაგულთა ზვინებს, შვილს ჩუმად უთხრა: ეს იყოს კირსაგალით უკანასკნელი ნადირობაო.

ამოვიდნენ ზევით, ყველა სადროშომ სამყოფი თევზი წაიღო: ორაგული, ხრამული, ლურჯა, კალმახი, წვერა, ციმორი და სხვ.

ვახტანგი ნასიამოვნები იყო შვილის თადარიგით და საზრიანობით.

* * *

გათენდა დილა და ახმაურდა ბანაკი. ნაწილი ჯარისა ლიპარიტის უბნისკენ დაეშვა, ნაწილი კლდეკარისკენ წავიდა, რომ თეძამის ხეობით შიდა ქართლში ჩასულიყო, როქის სპა და არაგველები მეფეს უცდიდნენ, რომ მანგლისისაკენ წასულიყვნენ და სკვირეთის ხეობით და დიდგორით თბილისს დაბრუნებულიყვნენ.
ჯერ ბაქარი დაიძრა თავის როქის სპით. შემდეგ ვახტანგი თავის ამალით და უკან მიჰყვა ქსან-არაგვის საერისთაოების ჯარი.
- აბა, შვილო, ეხლა ცოტა ხანი მშვიდად იქნები, შეაჯერე ერთმანეთს ყველა წიგნი... შენ კი, შვილო, – მიმართა ვახუშტი აბაშიძეს – მამას მოახსენე, კარგი შვილის მამამ ნახვა რად დამიძვირე-თქო.
აბაშიძე გაწითლდა, მუხლზე დაეშვა, მეფის კაბის კალთას ემთხვია.
მამა ვახუშტიმ მანგლისამდე ჩამოაცილა.
აქედან კი პირი ისევ ეძანისკენ იბრუნა.
ვახუშტი აბაშიძე კი თავისი ათასი კაცით მანგლისიდან კავთურას ხეობით ქვათახევისკენ დაეშვა. იქ შეევედრა ყველა წმინდას, რათა გულის ნადები ასრულებოდა და გაუდგა გრძელ გზას ზემო იმერეთისკენ.
მალე, სულ მალე ვახუშტის მამა, გიორგი აბაშიძე ეახლა მეფეს. მეფემ შვილი შეუქო. კარგია, მაგრამ ბერბიჭად მრჩებაო, – უპასუხა აბაშიძემ.
ბევრი ჟეჟა, მაგრამ ბოლოს მაინც მუხლებზე დაეცა და ანუკა სთხოვა რძლად. მეფეს გაეღიმა. მაგას ველოდიო, გაიფიქრა, მალე დაინიშნა ქორწილის დღეც.

კლდეკარის ციხე



კლდეკარის ციხე

1712 წელს ვახტანგ მეექვსემ ასული თავისი ანუკა მიათხოვა ვახუშტი აბაშიძეს. გაატანა უმდიდრესი მზითევი: ანუკას მზითვის წიგნი შენახულია.
საინტერესოა ის ეპითეტები და ფორმულები, რომლითაც მოხსენიებულია სიძე-პატარძალი მზითვის წიგნში. აი, ესენიც:
„...ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ, წყალობა ვყავით და მიუბოძეთ დიდგვარ თავადსა, დიდებულსა და წარჩინებულსა, ერთგულსა და მისანდოსა, ხვაშიადთა ჩვენთა შემნახავსა, თანაშეზრდილსა და გაზრდილსა, მრავალ ფერად და უცხო სახედ თავდადებით ნამსახურსა, მეუნებლეთა ჩვენთა მბრძოლად თავდადებულსა, განძლიერებისა და დიდებისა ჩვენისათვის მომჭირნესა, ძალ-მწესა აბაშიძეს ბატონს ვახუშტის მივათხოვეთ მეუღლედ და თანა-მეცხედრედ ასული ჩვენი სასურველი, ქრისტეს სარწმუნოებაზედ აღზრდილი, მზის ციმციმთაებრ თვალ-შეუდგამი, მისთა სხივთა მიმზგავსებით ნათელ მომფინალე, თვარის მოდავედ მქნელი,

თხუთმეტ დღისა მისსავე სახით გავსილი, უებროდ სახედ სინჯ-დაუდებელი, თვით სახეობით მაგალითი, ნათელი თვალთა ჩვენთა და სიხარული გონებათა ჩვენთანი, ბატონისშვილი ანუკა“...
უკეთეს სიმამრსა და მოყვრებს კაცი ვერ ინატრებდა. მოყვრები, ბაქარი და ვახუშტი, ხომ არ შორდებოდნენ დის ცხენებს, ანუკას მარაქაში არა ერთი და ორი თვალჟუჟუნა ბანოვანი იყო, – ორბელიანებისა, ამილახვრებისა თუ ქსნისა და არაგვის ერისთავებისა; ყურძნის სიყვარულით ღობეს ჰკოცნიდნენ: ხან ერთი ცხენის აღვირს ასწორებდნენ და ხან მეორისას.
მზითვის წიგნში, გარდა ტანსაცმლისა, თვალმარგალიტიც იყო, წიგნებიც და სათამაშოებიც. აი, მოკლე სია წიგნებისა და სათამაშოებისა (მოკლე, რადგან წერია: „წარგვიტანებია მზითევი თანა, რომელსა მრავალთაგან მცირედსა მოგითხრობთ“): „სახარება ერთი; კიდემე სახარება სტამბისა ერთი; სამოციქულო სტამბისა ერთი. ჟამნი სტამბისა ერთი; დავითნი სტამბისა ერთი; ხელით დაწერილი პატარა დავითნი ერთი; სტამბის მხედრული დავითნი ერთი; სარწმუნოების სტამბის წიგნი ერთი, თავისის ოქრო ქსოვილით ბოხჩებითა...
საეროს წიგნთაგან: ვეფხისტყაოსანი ერთი; ჯაზულით დახატული ერთი; ლეილ-მეჯნუნი ერთი; უსუფ-ზილიხანიანი ერთი, საამიანი ერთი; სათამაშო ჭადრაკი ერთი; ნარდი ხათაბანდისა ერთი; განჯაფა ერთი; კურდღელი და ავაზა ერთი, თაგვ-ფიშიგი ერთი: კიდემ სხვა წურილი სათამაშოები“.
თვალმარგალიტს ნუღარ იტყვით, მარტო ერთ ქუდზე ხუთი ათასი მარგალიტი იყო, მეორეზე ათას ხუთასი.
თვალმარგალიტისათვის ორი კარგად გაწყობილი ურემი მიჭრიალებდა[53].

მცხეთას რომ გასცდნენ, სიძე ფიქრმა წაიღო:
- რაო, სიძე ბატონო, რა თავი ჩაგიკიდია?
- გახსოვთ, ბატონიშვილო, ირემი, ჩემზე რომ იერიში მოიტანა. სწორედ იმ ირემმაც გარგუნა ჩვენი პირნათელი ანუკა.
- როგორ?
- მეფე ბატონს ხომ მოსწონდი და მოსწონდი, უფრო მოეწონე, სწრაფია, არ დაიბნა და ერთი დაკვრით ძირს დასცა თორმეტი წლის ხარირემიო.
- ის ირემი ყოველთვის თვალწინ მედგა. მე ხომ ჯერ მისი ფური შემომაკვდა და მერე თვითონ ხარი, ცხენიდან რომ ჩამოვხტი, თვალიდან ცრემლი სდიოდა. ერთ კურცხალში ანუკა ჩანდა.
- და რაღა გინდა, ვაჟო, ხომ მიგყავს ანუკა.
- ჰო, მართლაც აღარაფერი...
ჩაათავა ვახტანგმა და თავი ასწია.
- მართლაც, რაღაც მართალსა ჰგავს, – თქვა შალვამ.
- მართალი როგორ არ არის, ვახუშტი აბაშიძე ისტორიული პიროვნებაა. მზითვის წიგნში იგი წერია. გარდა ამისა, ანუკა ბატონიშვილი სწორედ ზემო ქართლის სააბაშიძეოში ჩანს.
ვახტანგ VI, რასაკვირველია, სწადდა, რომ შვილი გაბედნიერებულიყო და ღირსეული მეუღლე ჰყოლოდა, მაგრამ ვახტანგი იმასაც ფიქრობდა, ტაშისკარი შეეკრა, სადამდეც ოსმალთა მარბიელი მოდიოდა და სურამ-ტაშისკარის მხარეში დაესახლებინა თავისი ნათესავი, რომელსაც ენდობოდა. აკი ამიტომაც გამოიყვანა „სურამულადან არხი, დაატრიალა წისქვილი და დაასახლა დაბანი“.
ვახუშტი აბაშიძე პირაქეთელ აბაშიძედ ჩანს; არის ერთი დოკუმენტი 1728 წლის 17/VIII დაწერილი, ესაა ნასყიდობის წიგნი ანუკა ბატონიშვილისა. სარმანიშვილებისაგან (ლევან, მოსე, ზურაბ, იაგადარ, საამ, როსტომ, უთრუთ, ლომი, გიორგი, იორამ) ანუკას ტაშისკარში უყიდია ვენახი. მოწმეთა შორის არიან ზაქარია ურია ყოფილი, ივანა ურია ყოფილი, აბრამ ურია ფიჩხაძე, სულ ახალდაბელნი ქართველნი და ურიანი.
ამ დოკუმენტით მტკიცდება, რომ ვახუშტი სწორედ სურამელი აბაშიძეა, ეს რომ სურამია, მოწმეთა შორის ურიანი და ურია ყოფილნიც არიან და, რაც მთავარია, ტაშისკარს უყიდიათ.
ვახუშტი ბატონიშვილი რომ მამის მარჯვენა ხელი იყო, პატარა საქმეებითაც მტკიცდება. ბევრი საშინაო საქმეს გარიგებას და თვალყურის დევნებას მას ანდობდა. ერთ-ერთ წერილში ვახუშტი ფარეშთუხუცეს ზაალს სწერს:
„ბატონიშვილის ვახუშტის დიდო იმედო, დიდათ იმედათ მისაჩნელო, ჩვენს არაოდეს არ დასავიწყარო, ფარეშთ-უხუცესო ზაალ! მრავალი მოკითხვა მოგვიხსენებია! მერმე ამ ჯავახიშვილს ფარემუზს და ნიკოლოზს ბატონმა სულ ახალი განაჩენი უბოძა, რომ რაც დღეს ჭვიროს მამული და მიწა უჭირავსო, მის მეტთან გოშპარს ხელი არა აქვსო, ნურცა რა ხელი ყარაღაჯში აქვსო და ნურცა რა ხანდაგშიო[54]. ახლა ბატონმაც რომ ასე უბოძა განაჩენი და ჩვენც ასე შემოგვითვლია, რომ როგორც ამ ფარემუზსა და ნიკოლოზს განაჩენში ეწეროს, შენც ისე გაარიგე... და ხანდაგთან გოშპარს ხელი არა აქვს, და რაც დღეს ჭვიროს მამული და მიწა ქონდეს იმათი, ის გოშპარს დაანებე. სხვასთან ხელი ნუ გაქვს, თვარემ ბატონიც მწვე გიწყენს და ჩვენც დიაღ დაგემდურებით იცოდეთ. ვახუშტი“.

ერთიც კიდევ, რაც თვითონ მოთხრობის ფარგლებს სცილდება, – თქვა ვახტანგმა, – მართლა ამოდენა ქონება კი არ ტრიალებდა ქვეყანაში, ეს მხოლოდ რჩეულთა ოჯახებში იყო. აბა ყური უგდეთ ამ ნასყიდობის წიგნს, – და თავის ქაღალდებიდან ამოიღო ერთი ფურცელი:



კ. ჯავრიშვილი გომარეთში

1715 წელსა ნებითა ღვთისათა ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე, ბურჯანაძე ქრისტესიაშვილმა კაციამ თქვენ, ორბელიშვილს მროველს, ბატონს ნიკოლოზს, ასე რომე ვალისაგან შეწუხებული ვიყავ და არას ღონით იმისი გარდახდა არ შემეძლო, მოველ და შემოგეხვეწენით, თქვენ წყალობა მიყავით და იმ ჩემ ვალებისაგან დამიხსენით, მე ეს წიგნი მოგართვით თქვენ, მე და ჩემი შვილი ადამ და დავით ეს სამნი მამა-შვილნი თქვენი ნასყიდნი ვართ. თუ ვინმე ჩვენს თავს წამოგედაოს, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. ღმერთმან ჩვენი თავი სამსახურით მოგახმაროსთ, როგორც სხვას მონასყიდეს არას კაცს ჩვენთან ხელი არა აქვს ღვთის გარდა. ჩვენსა თავს ვერცა ვინ წამოგედაოსთ. არის ამის მოწმე, ბეგთაბეგისშვილი მდივანი ავთანდილ, მელიქ ახშარბეგა, მამასახლისი ფარსადანა, მამათ-მთავარი ზაალ, მხატვარი გიორგი. მე მგალობელს ლევანს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა წიგნი ესე ივნისის 15 ქორონიკონს (ქორ. 403-1716 წ.) სამი ჯვარი. ამის მოწმე მე სახლთ-უხუცესი თეიმურაზ. (მისი ბეჭედი).

ქრისტესაშვილი თარხანი თავისუფალი ყოფილა და იმდენად ჩაფლულა ვალში, რომ თავი გაუყიდია.

უყიდია მროველ ეპისკოპოსს.

- როგორც ჩანს, ვახტანგის დროს მძიმე დრო იყო. მართალია, ვახტანგი ბევრს შრომობდა, მაგრამ მისი ხელი ყველაფერს ვერ სწვდებოდა.

- იქნებ ის ენერგია, რაც სახარების ბეჭდვას მოანდომა, სხვა უფრო დიდი საქმისთვის მოენდომებინა, აჯობებდა.

- ჯერ ერთი, „ქილილა და დამანა“ ტყვეობაში თარგმნა. მეორეც, ადვილია 260 წლის შემდეგ მათ საქმიანობაზე სჯა-ბაასი.

- ეგეც მართალია, ჯობია ჩვენს საქმეს შევუდგეთ.

თავფარავნელი ჭაბუკი

„სიკვდილი როდი მაშინებს
მამულს თუ რამე ერგება“.

ვაჟა

ცრემლის წყარო

გულთოვლის მთის ჩრდილო ფერდობზე მოდიოდნენ და მათ წინ იყო გადაშლილი ჯავახეთის დიდი ვაკე, რომელიც სანახევროდ გადაეკვეთა აბულსამსარის კლდოვან ქედს. ეს ქედი, ახლოს რომ ნახო, ქვაყრილი

გეგონება, მაგრამ აქედან შესანიშნავ ქედად ჩანდა. აბულსამსარის ჩრდილო-აღმოსავლეთით თავკვეთილი და გოდორები აღმართულიყო.
თავფარავანი კეჩუთის ქედისა და აბულსამსარის მიერ შექმნილ ქვაბულში მდებარეობს, 2080 მ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ირგვლივ მთებითაა შემოზღუდული, ხოლო სოფელ ფოკასთან, სადაც ტბა ფარავანიდან მდინარე ფარავანი გამოდის, კარიბჭესავითაა გახსნილი. ტბის სიგრძე 9.6 კმ-ია, უდიდესი სიგანე 6კმ., ფართობი 37კმ^2-ია, სიღრმე – 1.5-2.5 მ, ფსკერი ლამიანია და მდიდარია ორგანული ნივთიერებებით; ტბა ხშირად მღვრიეა, ჩრდილოეთის ქარი ხშირად აღელვებს და რადგან ღრმა არ არის, ტალღა ლამსა სწვდება და ზევით ამოაქვს.
ნაპირები, განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთით, მაღალი და დამრეცია, დადაბლებული და დაჭაობებულია როდიონოვკასა და ტამბოვკას შორის, აგრეთვე ასპარას აღმოსავლეთით და აღმოსავლეთის ნაპირზე, იქ, სადაც ტბას ხევხმელი მაღარადერე უერთდება. ეს ჭაობები, ჩვეულებრივ, ისლითაა დაფარული, რომელსაც ზაფხულის ბოლოს დუხობორები თიბავენ, ან გაჭირვების მარაგად, ან საქონლის საგებად. ნაპირებიდან მრავალი ნაკადული შეერთვის, უმთავრესად ხევხმელები, რომლებიც გაზაფხულის დასაწყისშივე ახმაურდება ხოლმე. ამ დროს ეს ნაკადულები წყალუხვია, მაგრამ ზაფხულის მეორე ნახევრიდან შრება და კვლავ ცოცხლდება წვიმების დროს. სამაგიეროდ, ბევრია ფსკერის წყაროები, რომლებიც უფრო უხვია ასპარას მახლობლად.
ეს ტბა ერთი იმ ტბათაგანია, რომელიც ფართოდ უნდა გამოვიყენოთ. ტბა ფარავანი ზამთარში, ჩვეულებრივ, დეკემბრის მეორე ნახევრიდან იყინება და მაისში ყინული უკვე ლხვება. ყინულის სისქე მეტრამდე აღწევს. მკაცრ ზამთარში მეტსაც კი, სწორედ ეს აძნელებს თევზის მეურნეობის წარმოებას; თევზს ჟანგბადი არ ჰყოფნის, მაგრამ სამხრეთით, სადაც ფსკერის წყაროები ბევრია, ვერ იყინება და ტბის წყალი აქედან მდიდრდება ჟანგბადით. ზაფხულის თვეებში ზედაპირი ჟანგბადით უფრო მდიდარია, ვიდრე ფსკერის შრეები, ზამთარში კი იმდენად კლებულობს, რომ ზოგჯერ თევზს ძალიან უჭირს.
ტბაში, როგორც აღვნიშნეთ, დიდი რაოდენობითაა ორგანული ნივთიერება, ზოგიერთი მეცნიერის გამოკვლევით, ორგანული ნივთიერების რაოდენობა 700 ტონაზე მეტია.
ტბაში უმაღლესი მცენარეები ცოტაა. სხვა ტბებში ლელი, ლაქაში, ისლი, ლისი და მისთანაები ტბას, ჩვეულებრივ, ქობასავით აქვს შემოვლებული, ხოლო აქ მხოლოდ ქარისაგან დაფარულ სამხრეთ-დასავლეთის ნაპირზე შეიმჩნევა ლელის, მატიტელას, ლისის და მისთანათა შალდამები; რაც შეეხება წყალმცენარეებს, ისინი აქ საკმაოდ ბევრია; ჩვეულებრივ, ერთუჯრედიანი ან ძაფნაირი წყალმცენარეები ჭარბობს.
რაკი ტბა შედარებით თავთხელია და მზის სხივი ფსკერამდე აღწევს, წყალმცენარეებიც და ზოობენთოსი კარგად ვითარდება. ბევრია წურბელაც.
თავფარავნის ტბაში თევზებიდან გვხვდება ტბის კალმახი, ფარავნის კობრი, ხრამული, მტკვრის წვერა, აღმოსავლური ფრიტა, ლადოგის რიპუსი (ხელოვნურად მომრავლებული). ტბის ირგვლივ ქანები ერთნაირი არ არის. ჩრდილოეთით, იქ, სადაც როდიონოვკაა, ალუვიური ტბის ნალექებია, ხშირად დაჭაობებული ან ნესტიანი მდელო; ასევეა აღმოსავლეთი ნაპირი, სოფელ თავფარავნის სამხრეთით. დასავლეთით მას მოსდგომია ანდეზიტების სქელი შრე, სამხრეთით ანდეზიტები და ანდეზიტ-დაციტები; აღმოსავლეთით ნაპირის ალუვიური ფენების შემდეგ ჩანს დოდერიტები და ბაზალტები; როგორც ხედავთ, სანაპირო მდიდარია ქანთა სხვაობით, მაგრამ რადგან მაინც ძირითადად ერთი ტიპისაა, ამის გამო ფარავნის წყლის მინერალიზაცია სუსტია. წყალში მთავარია ნატრიუმი, საკმაოდაა კაჟი და მცირედი – მაგნიუმი.
- კარგი, ეგ ყველაფერი ჯერჯერობით გვეყოფა, ეს დუხობორები საიდან სადაო?!
- ეჰ, მაგათი ბედიც, ჩემო გივი, ცხრაჯერ სატირალია. ეგენი ქრისტიანული ეკლესიიდან არიან განდგომილები. სექტანტები არიან, არც მართლმადიდებელი ეკლესია სწამთ და არც მღვდელი და რუსეთის მეფემ სტავროპოლისა და კრასნოდარის ოლქებიდან გადმოასახლა სამხრეთ საქართველოსა და სომხეთის ჩრდილოეთ მთებში. ჩვენში მაგათი სოფლები: როდიონოვკა, ტამბოვკა, გორელოვკა, სპასკაია, ორლოვკა, ეფრემოვკა, ბოგდანოვკა და ახლანდელი დმანისი, რაიონის ცენტრი, წინათ ბაშკიჩეთად წოდებული (ისიც 1921 წლამდე), მარტო დუხობორებით[55] იყო დასახლებული.
XX საუკუნის დასაწყისში კანადაშიც დაიწყეს გადასახლება. თავისი ფორნებით მიდიოდნენ, ზოგი ბათუმისაკენ, ზოგი ფოთისაკენ; გზაზე დიდი გაჭირვება ნახეს. დიდი მწერალი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი გამოექომაგა მათ. დღეს ეს პრობლემა უკვე აღარ დგას.
მას შემდეგ, რაც ბაშკიჩეთი რაიონის ცენტრად გადაკეთდა, მოსახლეობაც გამრავლდა, შეიცვალა. აქ ცხოვრობენ ქართველებიც, სომხებიც, რუსებიც, მუსულმანებიც.
- ცხოვრება არ გაუძნელდათ?
- შედარებით კარგად მოეწყვნენ, მესაქონლეობას მოჰკიდეს ხელი; ჰყავდათ ძროხები და, რაც მთავარია, ცხენი. აქ მათ გამოიყვანეს თავისებური, დუხობურული ცხენი, რომელიც ამიერკავკასიაში ეტლში შესაბმელად

საუკეთესოდ ითვლებოდა, ყიდდნენ თბილისში, ბაქოში, ლენინაკანში, განჯაში, ერევანში. მოჰყავდათ კარტოფილი, ქერი, აკეთებდნენ ყველსა და ერბოს და კარგად მოაღწიეს ახალ დრომდე.

ერთი კი უნდა ითქვას, ჯიუტობდნენ, მაგრამ დღეს სხვა ქარი ქრის მაგათ სოფლებშიც.

საქართველოში სხვა სექტანტებიც ცხოვრობდნენ, მოლოკნები. ფარავნის დასავლეთ ნაპირზე რომ ვლადიმიროვკაა, ის მოლოკნებისაა. მოლოკნების უმრავლესობა კი ლორი-ბამბაკის მხარეში დასახლდა. ბევრნი იყვნენ თბილისში, განსაკუთრებით დიდუბეში. ესენიც რუსეთის იმპერიის სამხრეთის მხარეებიდან არიან გადმოსახლებული[56].

გრანდიოზული იყო მათ წინაშე გადაშლილი ჯავახეთის ზეგანი, რომლის სიგრძეც 40 კმ-ა და სიგანე 18-20კმ, მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაპირი კეჩუთის გვერდის ძირიდან იწყება და მთავრდება მესხეთის მტკვრის ხრამის პირას. ლამაზად მოჩანს სოფლებიც; ჩვენი მგზავრების ყურადღება, პირველ რიგში, ტბების სიმრავლემ მიიპყრო. მთელი ზეგანი მოვარაყებულია ტბებით, მაგრამ აბულ-სამსარი საკვირვლად ჩანდა, გეგონებოდათ, ვერცხლის განიერ ქამარში აუარებელი ფირუზის ქვები ჩაუსხამთო. მათ პოეტურ აღმაფრენას შალვამ ფრთები შეაკვეცა, როდესაც მოუყვა, თუ რას წარმოადგენდა ეს „ფირუზები“.

საქართველოში ჯავახეთი ტბების საბუდარია, – აქ 56 დიდსა და პატარა ტბას ითვლიან; ბევრი მათგანი ტბადაც არ ითქმის, რადგან იმდენად მორევია ჭაობის ბალახი, რომ წყლის სარკე აღარა ჩანს. ასეთი ტბა ნატბევარი უფროა. ზოგი ტბისთვის ნაპირიდან ისე შეუტევია ლელსა და ლაქაშს, რომ წყლის სარკე ოდნავღა ეტყობა. ეს უკვე მომაკვდავი ტბაა; ზოგი უკვე შებერებულია, მათ ნაპირზე, მართალია, ჭაობები გაჩენილა (ლაქაში, წყლის მრავალძარღვა და სხვ.), მაგრამ წყლის სარკე მაინც საკმაოდ დიდია. ჭარმაგს უწოდებენ ისეთ ტბებს, რომელთაც წყლისა და ჭაობის მცენარეები ჯერ არ შერევია.

ჯავახეთში პატარა ტბები ან მომკვდარა (დაჭაობებულა), ან მომაკვდავია.

რასაკვირველია, მარტო მცენარე ვერას დააკლებდა ტბას, სხვა ფაქტორებიც რომ არ უწყობდეს ხელს. ჯავახეთის ზეგანი, მართალია, აგებულია ბაზალტებით, ანდეზიტებითა და სხვა მაგარი ქანებით, მაგრამ მის აგებულებაში მონაწილეობას იღებს ვულკანური ფერფლი, ტუფები და ქვიშები. შემდინარე მდინარეებს შეაქვთ ეროზიის პროდუქტი, რაც თანდათანობით ავსებს მის ფსკერს, აქ წყლის მცენარეებიც სწრაფად ჩნდება და ბოლოს უღებს ტბის სიცოცხლეს.

აქაურ ტბათა უმრავლესობა ვულკანური წარმოშობისაა, უფრო სწორად, ვულკანური მოქმედების შედეგად შექმნილი რელიეფის ჩაღრმავებულ ადგილასაა გაჩენილი; ზოგჯერ ლავას მდინარისათვის გზა გადაუღობავს და გაჩენილა ტბა, წყალს კი ეს ლავა დღემდე ვერ გამოურღვევია. ზოგი ტბა კრატერში შექმნილა. თავკვეთილის მწვერვალზე 1969 წელს კიდევ იყო ტბა, თუმცა მას უკვე მომაკვდავი შეიძლებოდა შერქმეოდა.

ჯავახეთის მნიშვნელოვანი ტბაა თავფარავნის ტბა (ფარავანი[57]). ჯავახეთის ტბების ატმოსფერული ნალექები (თოვლი, წვიმა), მიწისქვეშა წყლები და მდინარეები ასაზრდოებს ზოგ ტბას, მაგალითად, საღამოს ტბას კვებავს მდინარე ფარავანი, რომელიც ფარავნის ტბიდან სოფ. ფოკასთან გამოდის და საღამოს ნასოფლართან უერთდება საღამოს ტბას; მდინარე ფარავანი გზას საღამოს ტბიდანაც აგრძელებს; გაივლის სოფლებს დიდსა და პატარა არაქალას და სოფელ სათხეს ქვევით იერთებს მდინარე ბუღდაშენს. საღამოს ტბა ფარავნის ტბაზე ზღვის დონიდან ასი მეტრით უფრო მაღლა მდებარეობს. ფარავნის სიმაღლე 2117 მეტრია შავი ზღვის დონიდან, საღამოსი კი – 1960. საღამოს ტბა ირგვლივ მაღალი მთებითაა მოზღუდული. აღმოსავლეთით ილხის მთაა, საკმაოდ მაღალი (2767 მ.), მანძილიანი; ის ტბისკენ თანდათან ეშვება და ზედ მესაქონლეთა მრავალი ბინაა; ჩრდილოეთიდანაც მწვერვალი დასცქერის, რომლის სიმაღლე 2327 მეტრია, ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთით ვულკანური პლატო გრძელდება, რომლის საშუალო სიმაღლე შავი ზღვის დონიდან 1950—2050 მეტრია. ადგილ-ადგილ ნატბევარი და ჭაობიც მოჩანს. დიდი ტბაა აგრეთვე ტბა ხანჯალი (ხანჩალი). ზევიდან რომ დახედო, მართლა ხანჯალივითაა წაგრძეელებული. ეს ტბაც ვულკანურ ქვაბურში მდებარეობს, 1930 მ. სიმაღლეზე შავი ზღვის დონიდან, სიგრძე 7 კილომეტრამდეა, უდიდესი სიგანე ორკილომეტრნახევარია. ტბა საკმარისად თავთხელია, სიღრმე ერთ მეტრსაც ვერ აღწევს; ზოგან წყალი კაცს მუხლამდე სწვდება. ნაპირები აგებულია ვულკანური ქანებით, ტუფებით, ანდეზიტებითა და ტრაქი-ანდეზიტებით. ტბა ატმოსფერული ნალექით იკვებება; თოვლის დნობის დროს მას უერთდება პატარა-პატარა ნაკადულები, მაგრამ ივლის-აგვისტოში შრება. საკმაო რაოდენობითაა ფსკერის წყაროებიც, ის მალე ამოივსება ქვიშა-ღორღით და ჩაირიცხება მომაკვდავ ტბათა სიაში: ტბის ნაპირი მთლიანად დაჭაობებულია, მიუხედავად თავისი სიდიდისა (დაახლოებით 14-15 კვ. კილომეტრი, ე. ი . 1500 ჰექტარი), მაინც მომაკვდავ ტბათა ჯგუფს მიეკუთვნება, მისი ნაპირი დაფარულია ტბის სიკვდილის სხვადასხვა სტადიის ჭაობით. მთის მდელოებს ისლიანი ჭაობის ფართო ზოლი ესაზღვრება. რომელშიც იმერული ისლის ჯგუფებიც გვხვდება. წყლისკენ მას ენაცვლება ჭილისა, ისლურას და მის მაგვართა დაჯგუფებანი: ლისი, ლაქაში, ლელი, წყლის მრავალძარღვა, ჩრდილოეთის წყლის სამყურა და მისთანები. ლელი, ლისი და ლაქაში წყალშიც ღრმად შეჭრილა და, როგორც ჩანს, მალე

შეავიწროვებს ტბას. გარდა მრავალნაირი წყალმცენარისა, გვხვდება წყალში ჩაყურყუმელავებული წყლის მცენარეებიც (წყლის ვაზი, წყლის თეთრი ბაია და სხვ.).

სარვანი, წალკა

სარვანის ტაძრის კედელთან

ბაყაყი, წურბელა, ტბის გველი და სხვა ამგვარი ხომ აუარებელია. ხოზაპინის ტბა გაყოფილია ჩვენსა და თურქეთს შორის, საზღვარი ტბაზე გადის. ტბის სიმაღლე ზღვის დონიდან 140 მეტრით დაბალია ხანჩალის ტბაზე. ტბას უერთდება მდინარე კარწახი. შემჩნეულია, რომ უკანასკნელ ხანს ტბა მატულობს, მისი ნაპირის ჭაობიანი ზოლი უკვე წყლითაა დაფარული.

- დღესაც ეგრეა?

- დღეს არ ვიცი, 15 წელია, იქ არ ვყოფილვარ.

- აგერ, აი, იმ გიჟი მთისა და გოდორების გადაღმა უკვე ტაბისყურია.

- ეგ ხომ ვიცით, არც მთლიანად ჯავახეთს ეკუთვნის.

მართალია, ცოტა დაიღალნენ ამ საუბრით, მაგრამ საოცნებო მაინც დარჩათ.

მათ წინ კი, ხელის გაწვდენაზე, ტბა ფარავანი ელვარებდა, ჩვენი ყველაზე დიდი ტბა; ტბა ძველთაგანვე ცნობილი და სახელმოხვეჭილი, ლეგენდებითა და თქმულებებით სავსე. ვახუშტი მოკლედ ახასიათებს, მაგრამ ეს „მოკლე“ იმდენად სრულია, რომ მაშინდელი ჩვენი ხალხის ეკონომიკური მდგომარეობა, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ჩანს.

„ხოლო ტბა ფარავნისა არს დიდი და თევზით სავსე, არამედ არა გემოიანი, რამეთუ ზაფხულს დგების გარემოს მისსა მრავალნი არვენი[58]“, ჯოგნი მროწლენი[59], ხვასტაგნი[60], რემანი[61] ქართლისა და კახეთისანი და ნეხვი მისი გამდინარისაგან თოვლისა შესდის ტბას მას, და იტყვიან მის უგემურობასა. აქა არს წყარო, რომლისა სმით უკეთუ იყოს ვინმე მაძღარ ფრიად ანუ დაცოვნილ, მოადნობს სმითა, ვითარცა ქონსა ცეცხლი. კვალად ამ ტბას ერთვის წყალი შაორისა, მდინარედ გამომდინარე კლდიდამ და სავსე არს კალმახით“...

ხედავთ! იმდენი მდგარა ცხვარი და სხვა საქონელი, რომ წყალს ნეხვი შეჰქონდა ტბაში და ამის გამო თევზის „უგემურობას იტყვიანო“.

- შარშან ვიყავი მანდ, – ჩაერთო შალვა, – ეხლა მეთევზეობა კარგდაა განვითარებული, სევანის იშხანია გაშვებული და აგრეთვე კობრი, რიპუსი და სხვა კარგი თევზი, მაგრამ ტბა რაკი იყინება, ზამთარში ზოგან ყინულს ამტვრევენ, რომ ჰაერმა ჩააღწიოს.

- მაგრამ ამბებს მე თავფარავნელი ჭაბუკი მირჩევნია, – თქვა ლელამ და უცებ გაწითლდა, ვაითუ სწორად არ გამიგონო, – ლექსი, რასაკვირველია.

- ხომ დიდი პოემაა?! – სწრაფად ჩაერთო ერეკლე, რაკი შენიშნა დის დამორცხვება.

- ჩვენში ბევრი დაინტერესდა ამ ჭაბუკით. ჯერ კიდევ ია კარგარეთელმა გრძელი პოემა დაწერა; ხალხურიაო, ამტკიცებდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ხალხური არ იყო და არც მიიღეს, როგორც ხალხური. აი, ხალხურიც... და ვახტანგმა აბგის ჯიბიდან ამოაძვრინა წიგნი.

თავფარავნელი ჭაბუკი ასპანას ქალსა ჰყვარობდა,
ზღვა ჰქონდა წინად სავალი, გასვლას შიგ არა ზარობდა.
ქალი ანთებდა სანთელსა, სანთელი კელაპტარობდა,
ერთი ავსული ბებერი ვაჟისთვის ავსა ლამობდა.
სარკმელზე ანთებულ სანთელს აქრობდა, აბეზარობდა.
თან იმას ეუბნებოდა, წინადაც ეგა გყვარობდა.
ვაჟი მიანგრევს ტალღებსა, გულმკერდი არა ჩქამობდა.
ცალ ხელით დოლაბი მიაქვს, ცალ ხელით ნიავქარობდა,
ზღვის გაღმა ერთი სანთელი გამოღმა კელაპტარობდა,
ღამე ჩამოდგა უკუნი, უკუნს რამესა ჰგვანობდა.
ტალღა ტალღაზე ნაცემი, ვაჟის ჩანთქმასა ლამობდა,
დაჰკარგა ფონი, შეშჭირდა, მორევი ბობოქარობდა,
გათენდა დილა ლამაზი, კეკლუცის თვალებს ჰგვანობდა,
წყალსა დაეხრჩო ჭაბუკი, ჭოროხზე ეგდო, ქანობდა,
წითელი მოვის პერანგი, ზევიდან დაჰფარფარობდა,
ლეშს დასჯდომოდა ზედ ორბი, გულს უგლეჯავდა,ხარობდა.
აი, მეორე, უფრო მოკლე, სადაც ხალხურობა მეტად ჩანს:
თავფარავნელი ჭაბუკი აშკარეთს ქალსა ჰყვარობდა,
სავლელათ ედო შავი ზღვა, გასვლას აღარა ზარობდა,
ქალი ანთებდა სანთელსა, სანთელი კელაპტარობდა,
ერთი სულმაღლი ბებერი უქრობდა, ბობოქარობდა.
ზღვასა ვაჟკაცი დაეხრჩო, ზღვა იქით-აქეთ ქანობდა,
იმის თეთრ ძუძუ-მკერდზედა ზედ იჯდა ორბი, ხარობდა.

- ეს ვარიანტი პეტრე უმიკაშვილის კრებულშია, მხოლოდ ასპარა აქ აშკარეთად ქცეულა.
- საერთოდ, ქალის სამყოფელი ადგილის სახელწოდება ცვალებადობს. პირველი ვარიანტი უნდა ყოფილიყო და არის ჩაწერილიც:
„თავფარავნელი ჭაბუკი წ ყ ა ლ გ ა ღ მ ა ქალსა ჰყვარობდა“,
მელექსემ ეს შედარებით აბსტრაქტული „წყალგაღმა“ კონკრეტულით შეცვალა:
„თავფარავნელი ჭაბუკი ა ს პ ა რ ა ს ქალსა ჰყვარობდა“
მართლაც, დასავლეთის ნაპირზე სოფელი ასპარაა.
ბევრმა ასპარამაც არ იცოდა, ასპინძა უფრო პოპულარულია და ასპარა ასპინძით შეცვალა:
„თავფარავნელი ჭაბუკი ა ს პ ი ნ ძ ა ს ქალსა ჰყვარობდა“.
ზოგმა ეს სულაც აშკარეთად გადააკეთა, ზოგმა კი ასპარელ ქალს მამაც გამოუნახა.
„თავფარავნელი ჭაბუკი გ ა ს პ ა რ ა ს ქალსა ჰყვარობდა“.
- კიდეც ამიტომ, მიკვირდა, სად ფარავანი და სად ასპინძა-მეთქი.
- პირველს თითქოს ცოტაოდენი ხალხურობა აკლია და ზოგი სტრიქონი ჩამატებულია: ყოველ შემთხვევაში, ორივე ხალხურია და პოეზიის ბრწყინვალე ნიმუში.
- ერთი ლეგენდა მეც ვიცი...
- გაღმა ნაპირას, სწორედ ასპარისაკენ, ბევრია წყალქვეშა წყაროები და, როცა „გათენდა დილა ლამაზი“, როცა სატრფომ დაინახა „ჭაბუკი ჭოროხზე ეგდო, ქანობდა“ და მისი ხელით შეკერილი „წითელი მოვის პერანგი, ზევიდან დაჰფარფარობდა“, გაქანდა მისკენ, ააფრინა ორბი, რომელიც „გულს უგლეჯავდა, ხარობდა“, დასტაცა ხელი, ჩაიხუტა მკერდში და გადაეშვა ტბის ტალღებში. მას აქეთ უდევს წინ და დასტირის ცხარე ცრემლით და ის წყარონი, რომლებიც ზემოთ ამოჩუხჩუხებეს, თურმე ასპარელი ქალის ცრემლია. ვერც ვერავინ ჩადის, რომ ხმა მაინც შეაწიოს. ის ადგილი აღკვეთილია; ვინც ჩაყვინთა, უკან აღარ ამობრუნებულა.
აი, ასეთია მარადიული სიყვარული, ჩაუქრობელი ლამპარია.
არც ერთს ხმა აღარ ამოუღია. სამივე ფიქრმა წაიღო და მათ თვალწინ თავფარავნელი ჭაბუკისა და ასპარელი გოგოს სახე გამოიკვეთა.

დიდი სომეხი მწერალი ოვანეს თუმანიანიც გაიტაცა თავფარავნელის ლეგენდამ. დაწერა პოემა „ფარვანა“, მაგრამ ხალხურს, მიუხედავად თუმანიანის დიდი პოეტობისა, ჩამოუვარდება.
- საიდან – სადაო?
- თუმანიანი ხომ თითქმის აქაურია, ლორეშია დაბადებული, სოფ. ბეხში; ახლა ამ სოფელს თუმანიანი ჰქვია და, შესაძლებელია, ტბა ფარავანის ლეგენდებმა იქამდეც ჩააღწია. შემდეგში, თუმანიანი თბილისში სწავლობდა და ცხოვრობდა გარდაცვალებამდე. ქართველ ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. იგი დიდი მომღერალი იყო ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობისა. გახსოვთ, მისი შესანიშნავი ლექსი „ქართველ პოეტებს“, რომელიც იოსებ გრიშაშვილმა თარგმნა?
საუბრით გული რომ იჯერეს, საძილე ტომრები გაშალეს. ნაშუაღამევს იგრძნეს, როდიონოვკაში რომ ჩასულიყვნენ, ემჯობინებოდა. ადრე ამოძვრნენ ტომრებიდან, გაირბინ-გამოირბინეს, აქ ლოდები საძებარი არ იყო, დასტაცეს ხელი და ბურთივით დაუწყეს სროლა.
- შენა, ჩემო ყარანგოზიაანთ ქორო, ხომ არ შეგცივდა? – მიუალერსა ვახტანგმა ლელას, მაგრამ მან არც კი შეიმჩნია, ვითომ მე რატომ უნდა გამომარჩიოთ სხვებისაგანო.
გივის თერმოსით ყავაც ჰქონდა შემონახული, სითბო ცოტა კიდევ შემორჩენოდა და ზიარებასავით მოუხდათ. კარგად ისაუზმეს და კვლავ ავიდნენ ქედზე. შამბიანის ქედის ჩრდილოეთით ორი ხევი აირჩიეს და ის მოჩხრიკეს; აქაც ნახეს ნაზვავი თოვლი, ხევებში ჩამოწოლილი. მზე რომ გადაიხარა, მხოლოდ მაშინ დაეშვნენ თავფარავნისკენ.
შალვამ ნაცნობ დუბოხორთან მიიყვანა თანამგზავრები. მოხუცი გულღიად დახვდა, მინდია და გიორგი გულითადად მოიკითხა. ძველი „ყონაღები“[62] ვართო. ნურაფერი მოგერიდებათ, ყველაფერში საფასურს გადაიხდით, ასე ვარ დაჩვეული მინდიასგანაც და გიორგისგანაცო. დიასახლისი დატრიალდა და პირველ რიგში სამოვარი დადგა.
გაკვირვებულები უცქერდნენ სახლის ბანებს – ბანზეც მდელო ყვაოდა, ნამდვილი მდელოსთვის ორი კვირით გაესწრო, ზოგან გაეთიბათ და პატარა ბულულები იდგა ბანზევე.
ბანს მიწას, თიხას აყრიან და ტკეპნიან, შემდეგ მდელოს ბელტებს ჭრიან და ზევიდან აგებენ. რაკი სახლში თბილა, ამიტომ ბანზე თოვლი ადრე დნება, გადათოვლიან კიდეც ხოლმე, მცენარეულობა მალე იღვიძებს. ზაფხულის განმავლობაში ბანი სამჯერ მაინც ითიბება.
თავფარავნის ირგვლივ რამდენიმე სოფელია, როდიონოვკა, ახალი ხულუგმო, ტამბოვკა, ასპარა, ვლადიმიროვკა და ფოკა. რუსი დუხობორები ცხოვრობენ როდიონოვკასა და ტამბოვკაში, რუსი მოლოკნები კი ვლადიმიროვკაში.

* * *

- რაკი აქა ვართ, მოდი, საღამოს ტბაც ვნახოთ, თავფარავნის ძეგლების ნახვას კი ხვალაც მოვესწრებით.
აბა, ის დღე რაღა იქნებოდა და მეორე დღეს, მზის ამოსვლამდე აიკიდეს თავისი გუდები და ჩანაფიქრის ასრულებას შეუდგნენ. ტბისთვის უნდა შემოევლოთ. რუკით იანგარიშეს და 28-30 კილომეტრი იქნებოდა ირგვლივ.
გეზი ჩრდილოეთით აიღეს, – ახალი ხულუგმოსკენ, შარაგზა ტბას თითქმის გარშემო უვლის; ძალიან მალე გზა გაიყო. მთავარი შარაგზა თრიალეთისკენ (წალკისკენ) მიდიოდა, მისი ჩრდილო-დასავლეთის ტოტი კი ახალ ხულუგმოსა და ტამბოვკისკენ, ამ ადგილას ისლიანი და ნესტიანი მდელოებია. როგორც ჩანს, ეს ნაკვეთი ნატბევარია ხულუგმოსა და ტამბოვკას შორის, შაორის დაჭაობებული კალაპოტი ყოფს. შაორზე შეჩერდნენ.
- აქ დიდი ციხე უნდა იყოს, – თქვა ვახტანგმა და მოათვალიერა ირგვლივ მთის წვერები.
- აგერ ნანგრევები მოჩანს, – გაიშვირა ხელი ჩრდილოეთისაკენ.
- ჰგავს ნანგრევებს, მაგრამ შაორის ციხეა თუ არა, არ ვიცით. ისე კი „ღეოღრაფიულ აღწერაში“ შაორის ციხე არის, მაგრამ იქ დიდი ქვაყრილებიცაა.
- ეხლა მე იმ ციხისკენ ავირბენ, დავათვალიერებ და დაგეწევით, თუმცა შევგვიანდებით. შეიძლება ხვალ ვნახოთ, – დაასკვნა ისევ ერეკლემ.
- ეს როგორ მოგვდის, ტამბოვკის თავზე ქვა-კაცა ჯვარი არ ვნახეთ, ქარვასლაც კარგად არ დავათვალიერეთ; აქ ძველი ერთნავიანი ბაზილიკაცაა, ბევრი ხომ არ მოგვდის ნახნავში ხარვეზი? – თქვა ვახტანგმა საყვედურით.
- რას იზამ, ჩემო ვახტანგ, საქართველოში აშენებდნენ, კვლავ აშენებდნენ, ყველაფრის ნახვას ერთი სიცოცხლე არ ეყოფა, – უთხრა გივიმ.
ტამბოვკას სიგრძეზე ერთი ქუჩა გასდევს, გაიარეს და გავიდნენ ჯავახეთის ზეგნისათვის დამახასიათებელ მთამაღალის (2100 მ) მდელოებზე.

ფერდოები დაღარულია ხევმშრალებითა და ხევებით. ხშირია ფხეკოები. ხშირმა ძოვებამ (როდიონოვკა, ფოკა; გარდა ამისა, მორეკილი ხვასტაგი და ცხვარი) თავისი გააკეთა.
გზადაგზა ხშირად უხდებოდათ ხევხმელების გადალახვა, ერთს ხმელხევს აჰყვნენ კიდეც, იქნებ წყალი ანდეზიტების ნამსხვრევებში იაკრგებაო, მაგრამ ამის მაგვარი ვერსად ვერაფერი ნახეს. თოვლი დნება და ხევებშიც წყალი შრება.
სოფელ ასპარას შემდეგ წავარნა[63] ტბის პირას მიდის.
ასპარაში დღეს სომხები ცხოვრობენ, 1828-30 წლებში ოსმალეთის შიდა ვილაიეთებიდან გადმოსახლებულები. ის ამბავი მათ არც კი ახსოვთ, სამაგიეროდ, ამ მხარეს შეთვისებიან და თქმულებები და ლეგენდებიც კი შეუქმნიათ:
„ფარავანის თავადს ჰყოლია მზეთუნახავი ქალი. გამოაცხადა: აბა, ვაჟკაცებო, მოდით, აჩვენეთ თქვენი სიჩაუქე ჩემს მზეთუნახავს და, ვისაც მოიწონებს, ის იქნება მისი მეუღლე და ამ ქვეყნის ბატონ-პატრონიცო.
მივიდა მრავალი ვაჟკაცი, მაგრამ მზეთუნახავმა ყველა დაიწუნა. ბოლოს მამამ გამოუცხადა თავის ასულს, აღარავინ დარჩა გასასინჯიო. დაიწყო ამ ქალმა ტირილი, ეს რა დამემართა, შინაბერად დავრჩი, სახლშივე გადამიბრუნდა ფეხიო.
აი, იმ ცრემლებისგან შეიქმნა ეს „ფარავანის“ ტბა.
- ეგ ოვანეს თუმანიანის პოემაა.
- ეგ კი ვიცი, მაგრამ ის არ ვიცი, ფაბულა ოვანესმა ხალხისგან გაიგონა თუ თვითონ შეთხზა და მერე ხალხი მას დაესესხა.
- შექმნილ ლეგენდას წააგავს, მაგრამ კაცი მოკვდება და სიტყვა არა.
გაიარეს ასპარასა და ვლადიმიროვკას შორის მდებარე ნახევარკუნძულივით გამოშვერილი ქიმი, წყაროზე შუბლი გაიგრილეს და შევიდნენ ვლადიმიროვკაში, მოლოკნების სოფელში, მაგრამ, როგორც ერთმა მოხუცმა უთხრა, ბევრი უკვე წასულა ქვემო სოფლებში და ქალაქებში.
სოფ. ფოკადან აპირებდნენ შემობრუნებას, მაგრამ ვახტანგმა არ აცალათ.
- მოდი, განძამდე ჩავიდეთ, ვნახავთ ახალ ადგილებს და შემოვბრუნდებით უკან.
- მოიცათ, მოიცათ, – სახაზავი მოემარჯვებინა შალვას და რუკაზე მანძილებს ზომავდა, – იცოდეთ, 25 კილომეტრამდე უკვე გამოვიარეთ, თუ განაგრძეთ კიდევ 10, 35 კმ-ა. უკან, თავფარავნამდე, კიდევ 20. შევძლებთ?
- მაგას რა ლაპარაკი უნდა!
- კი, მაგრამ, ლელა?
- ლელას დარდი ნუ გაქვთ. სადაც თქვენ – მეც იქ, ტოლს არ დაგიდებთ.
გზა მდინარე ფარავნის მარცხენა ნაპირს მისდევდა. ადგილ-ადგილ მდორედ მიდიოდა და ნესტიან მდელოებს და ისლიანებს აჩენდა. ნესტიან მდელოზე კი მახრჩობელა (დეშამპსია) და მდელოს წივანა ჭარბობდა; გულთოვლის მთების გვერდის ძირას ჯერ საკმაოდ რბილ რელიეფს ქმნიდა, სოფელთან, მხოლოდ შუა გზაზე აიმართა თავშანთაფას ლამაზი კონუსი. მალე შევიდნენ კიდეც განძაში.



ფიტარეთი

განძის ქვევით მდინარე ფარავანი რამდენიმე ტოტად იშლება და სოფ. საღამოსთან უერთდება საღამოს ტბას, საიდანაც სამხრეთ-დასავლეთითაა გაჭრილი, ვიწრო ხეობას გაივლის, დიდსა და პატარა არაქალს, ყაურმას, ჯიგარშენს და მიემართება მტკვრისაკენ.
განძასა და მურჯახეთში ნახეს „ვეშაპები“. განძის მახლობლად მათ წინ უცებ „ვეშაპის“ უზარმაზარი ქანდაკება აიმართა. ვეშაპის საკითხი თბილისიდანვე ერეკლეს ჰქონდა ნაკისრი. კარგად რომ დაათვალიერეს, სურათებიც გადაიღეს და მის ძირში ჩამომსხდრებმა, აი, რა გაიგეს: ჯავახეთის მურჯახეთში ვეშაპზე გამოსახულია ორი წერო, ძაღლი და გველი. ლევან მელქისეთ-ბეგის აზრით, წერო ცას უნდა ნიშნავდეს, ძაღლი – მიწას და გველი – ქვესკნელს.
თვით განძის მახლობლად კი ასევე ქვაყრილებში აღმართულია სამმეტრნახევრიანი და მეტრნახევარზე მეტი სისქის ლოდი, რომელსაც რძის ქვას უწოდებენ; ის ნამდვილ ვეშაპს მოგვაგონებს, რომელსაც გაღებული პირი ცისკენ აქვს მიმართული, თუმცა, თევზსაც წააგავს, რადგან ლაყუჩებიც აქვს მოკაწრული.
ქვა-კაცა ვეშაპი უფრო მეტი რაოდენობითაა ნანახი თრიალეთზე (წალკაში); მაგ. სოფელ შიპიაკსა და სანომერს შორის იყო რამდენიმე, მაგრამ ისინი ხრამჰესის წყალსაცავმა დაფარა. ერთის სიმაღლე სამი მეტრია, სისქე კი მეტრზე მეტი. ის ჩვეულებრივი ვეშაპისაგან განსხვავდება, უფრო თევზის ქანდაკებას ჰგავს.
დღევანდელი წალკის რაიონში კიდევ რამდენიმე „ვეშაპია“. (სოფ. გუმბათში, წითელ საყდართან და სხვაგან).
ლიტერატურული წყაროებით დასტურდება, რომ „ვეშაპები“ ბევრია ჭოროხის ხეობაშიც.
„ვეშაპები“ უფრო ხშირად გვხვდება იმ მხარეებში, სადაც წყალი ცოტაა, ან ხშირად იცოდა გვალვები. ვეშაპები პირველად ი. სმირნოვმა და ნ. მარმა ნახეს სომხეთში, გეჰამის მთებში. ამის მერე მალე იპოვეს არაგაცის კალთებზე, სევანის ტბის მიდამოებში და სხვაგან, სულ 23 ადგილას. სხვებმა ნახეს მონღოლეთში, ირანში, ჩრდ. კავკასიაში და საქართველოშიც. ამ სვეტებს ვეშაპები უწოდეს, რადგან თავი ვეშაპივით ან თევზივით აქვს მოკაწრული ან უფრო მკაფიოდ გამოყვანილი.
რადგან ეს ვეშაპები ტბების, წყაროებისა და ნაკდულების მახლობლად არის აღმართული, ფიქრობენ, რომ ის წყლის ღვთაება უნდა იყოს.
რატომღაც მალე დაკარგეს ინტერესი და გამობრუნდნენ. გაიარეს ფოკა და წყაროს პირას ჩაიმუხლეს, ტბის პირას მცირე პლაჟი ჩანდა.
- განა არ სჯობს შავი ზღვის პლაჟს?
- კიდევაც, რომ! ნავთი მაინც არა აქვს გადასხმული.
- წყალი რომ გადავივლოთ, ურიგო არ იქნება. არც ცივი ჩანს.
- მე რომ არა წამოვიღე რა! – თქვა დანანებით ლელამ.
- შენ როდიონოვკაში გადაივლე წყალი.
- შორს ნუ შევალთ, უცნობია.
- უჰ, რა ცივია! – წამოიძახა ერეკლემ.
- ერიდე მაგ ადგილს, ფსკერის წყაროების არეში მოხვედრილხარ.
გალურჯებული ერეკლე ნაპირზე მოვარდა.
- ე, მაგაზეა ნათქვამი: ნაცარქექია ცხენიდან ჩამოვარდა და – მაინც უნდა ჩამოვმხტარიყავიო.
ერეკლემ ხმა არ გასცა.
ისევ ვახტანგი გამოეხმაურა:
- შენ გინდა თქვა, ყბედი ვინ მოღალა და მუნჯმაო?
სწრაფად ჩაიცვეს და გამობრუნდნენ შინისკენ. თითქმის ერთი კილომეტრის სიგანის ნესტიანი მდელო გადაიარეს; ისლი, მახრჩობელა, იმერული ისლის ჯგუფები ერთმანეთს ენაცვლებოდა.
როდიონოვკას რომ უახლოვდებონენ, ვახტანგი შედგა და ხელი ასწია.
- ეხლაღა მომაგონდა, – ოფლში გაწურული ვახტანგი ყველას მიმართავდა, – მარტო ვახუშტი კი არ ლაპარაკობს ფარავნის ტბის მიდამოზე, როგორც მეცხვარეობის ბაზაზე. აი, ყური უგდეთ:

„გაუწყრა მაღალი ღმერთი ფარსადან ბოდბისხეველსა,
ნათლი-მამად მოეკიდა, მაგრამ ის უღალატებსა,
როცა შირაქში დაცხება, თრიალეთს აასხამს ცხვრებსა,
თავფარავანის ტბაზედა წინ არსენას დაუხვდესა“.



ფიტარეთის სარკმელი

გომარეთი

- მართალია, ეგ როგორღა დაგვავიწყდა, – თქვა ერეკლემ და გახედა თავფარავნის ტბას, რომლის ზედაპირზე მცენარეულობა არ ჩანდა, სამაგიეროდ , ორი ნავი ქანაობდა მებადურებისა.
- სასინჯი ჭერაა, ალბათ.
- მადლობა ღმერთს, მშვიდობით დაბრუნდით, – მიესალმა მასპინძელი მოსულებს.
- მინოდა მეკითხა, – მიმართა შალვამ, – გზაში კარგი საფუტკრე დაგვხვდა, ვისია?
- ვისია და კოლმეურნეობისა. კარგი თაფლი იცის, ღალასაც[64] კარგს იღებს, ხედავ, რამდენი ყვავილია? ფუტკარი ასი ძირი გყავდეს – ერთი თქვი, ერთი გყავდეს – ასი თქვი. თუ კაი გაზაფხულია, ხომ კარგი და, თუ გვალვიანია, ვაი ფუტკრის ბრალი, საზამთროდ ვერას იღებს. თუმცა ეს ძველი ანდაზაა, ახლა ხელოვნურად ვკვებავთ, შაქრით, მაგრამ ფუტკარს მაინც თავისი კაცი უნდა, ყველას კი არ მიიღებს, მხოლოდ ზოგსა და ზოგსა, ვისაც გული აქვს ფუტკარისა და ყვავილისა.
- უჰ, ეგ ძნელია.
- ადვილი რა არის?

მეორე დღე მიდამოების დათვალიერებას მოანდომეს. ერეკლე და გივი შაორის ციხის სანახავად წავიდნენ. ვახტანგმა აქაც სიტყვა გაატანა: „საიქიოდან მოვიდნენ ამ ციხის სანახავადო“; ლელამ და ვახტანგმა ქარვასლის ნანგრევები ნახეს, ჯვარი; მეორე დღეს ჩასცქეროდნენ რუკას და გეგმას ადგენდნენ. კეჩუთის ქედი, ახლა რომ ჯავახეთის ქედს უწოდებენ, კვლავ უნდა გადმოელახათ შამბიანის ჩრდილოეთით, ალბათ მთების ფერდობებით და ერეკლემ მტკიცე ხელით რუკაზე გაავლო ხაზი თავფარავნიდან საფიქლის ხევამდე.

გამოეთხოვნენ თავის მასპინძელს და შეუყვნენ ხევის ბილიკს. რასაკვირველია, შეეძლოთ შარაგზას გაჰყოლოდნენ, მაგრამ მათ ეს გზა არ ადარდებდათ! მოგზაურები თუ გზა-გზა ივლიდნენ, რასა ნახავდნენ? გარდა ამისა, გზა ზურტაკეტს ასცდებოდა და თრიალეთში გადავიდოდა, გაივლიდა საპიტიახშოს და იქიდან ჩავიდოდა წალკის რაიონის ცენტრში, დაბა წალკაში, აქედან კი მანგლისის გამოვლით თბილისში. მასალა აღებული ჰქონდათ და მთის შესაფერისი ნაბიჯით გასწიეს აღმართ-აღმართ. მალე მზემ ამოასწრო ქედს და თავზე დაადგა. ჩრდილი ხანმოკლე ენძელასავით ეყოთ, მალე სანატრელი გაუხდათ.

ერთ მზეს მოფარებულ ადგილას შეისვენეს და კიდევ გადაავლეს თვალი კეჩუთის ქედს, დასავლეთისკენ მიქცეულ ფერდობებს, შორს ემლიკლი და ქაჩალგორი მოჩანდა.
- ქაჩალგორი, ვგონებ, მწყემსებმა შეარქვეს, არა?
- ხრიოკებია ბევრი, ზოგან უბალახო და იმიტომ.
- რა ვიცი, მწყემსს რომ ჰკითხო, ცხვარი სად გყავსო, უეჭველად გეტყვის, ქაჩალგორაზეო.
- ეგ იმიტომ, რომ ქაჩალგორი შედარებით შორი იყო, ცხვარი ადვილად ვერ ხვდებოდა და ბალახი, მიუხედავად „ქაჩლობისა“, კარგი იყო. ბოლოს ამ მთის საძოვრებს ძალიან ეტანებოდნენ. ქაჩალგორი ემლიკლის დასავლეთის ფერდო უნდა იყოს.
კეჩუთის ქედი, თითქოს არაფერიაო, მაგრამ მანძილიანია და არც ისე ადვილად დასაძლევი.
- რა ამბავი იქნება, რომ ქარვასლაში მინდია დაგვხვდეს, ნესვ-საზამთროთი! – ინატრა ვახტანგმა.
- ჯერ ერთი, არ ეცლება და მეორე, განა იცის, რომ დღეს ჩავალთ, ან როდის ჩავალთ?
- ეჰ, ბიჭო, მთელი სიცოცხლე გზას ადგას და ეგეც თუ არ იცის, ვინ როგორ დადის და როდის სად მივა, მაშ რა უკეთებია?
- შენ ძაან მოგნატრებია, როგორც ჩანს, ნესვ-საზამთრო.
- თორემ შენ უარს იტყოდი!
- ესეც ზურტაკეტი, – გადმოსძახა ზევიდან შალვამ.
- არა მჯერა, – ამოსძახა ქვევიდან ვახტანგმა.
- თუ გინდა, ნუ დაიჯერებ! აგერ, შავი წყარო, მარცხნივ გომარეთი, წინ სალამალეიქი.
- რა ვიცი, კაცო, ამოვალ ქედს, მე მგონია, ამოვათავე მთა-მეთქი და მეორე ჩნდება, იმასაც ამოვათავებ და მესამე ჩნდებდა და ასე, დაუსრულებლივ.
- არა, ეხლა მართლა ამოვათავეთ.
მართლაც, მათ წინ გადაშლილიყო ზურტაკეტის დიდი ვაკე.
წყაროსთან ჩაიმუხლეს. წყარო ბევრი იყო, ანდეზიტებიდან ხან იქ გადმოჩქეფდა და ხან აქ. ისინი სათავეს აძლევდნენ საფიქლის და ახას ხევისკენ მიმდინარე პატარ-პატარა ნაკადულებს. ჩაჰყვნენ მთის ფერდს. ერეკლემ ლელას აღარც ჰკითხა, ისე მოხსნა ზურგჩანთა და თავისას მიუმატა. ლელამ მადლობის ნიშნად გაუღიმა.
- მართალი გითხრა, ვოცნებობდი, აბა, რომელი ჩამომართმევს-მეთქი, დაღმართზე უფრო ძნელია, ფეხები მეკეცება...
- ყველა დააშინე და ვინ შემოგბედავდა?
- არც ისე მშიშრები ხართ!
ერთი საათის სიარულ-ჩარბენის შემდეგ მიაღწიეს ფუნდუკს, ძველ ქარვასლას. მოხერხებულ ადგილასაა ნაშენი, ფერდო გავაკებულია, სამხრეთით წყლიანი ხევი ჩაუდის, ახლომახლო კი რამდენიმე წყაროა.
ეს უზარმაზარი შენობა ყოფილა, ნათელი ქვით ნაშენი. ქვა გაუზიდავთ. აქვე, ქარვასლის გვერდით, წყაროც ყოფილა, ქვით ნაშენი. ვინ იცის, ეს არის ის წყარო: „არყნალ-შამბიანის ხევის შუა არს წყარო შვენიერი, რომელი მარმარილოთი აღაშენა VI მეფემან ვახტანგ“. ბევრია ქვით შემოზღუდული ბაკები არვესათვის თუ სხვა ნახირისათვის. როგორც ჩანს, აქეთ გადიოდა დიდი სახელმწიფო გზა, რომელიც აკავშირებდა ქვემო ქართლს (სომხითს) მესხეთ-ჯავახეთთან და შემდეგ, ალბათ, აჭარა-გონიოსთან.
ბიჭები თლილი ქვების ტრიალში იყვენენ, ეძებდნენ, იქნებ წარწეიანი ქვა ვიპოვოთო, რომ ანაზდად ნაცნობი ხმა შემოესმათ.
- რაო, ვერ გაძეხით ქვების ჭვრეტით?
- მინდია, შენი ჭირიმე! – ფეთიანივით გაქანდა ვახტანგი და გადაეხვია, გეგონებოდა, მთელი წელი არ უნახავსო, – საიდან სადაო?
ვახტანგს გაეცინა.
- მე და გიორგი საფიქლის ხევში გიცდით. აქედან ორიოდე კილომეტრია იქამდე, კაი წყაროცაა.
- კიდევ? – ჩაეკითხა ვახტანგი.
- კიდევ?
- კიდევ არაფერი.
- აბა, მაშ, წავიდეთ, არაფერიო, ისე თქვი, თორემ იქ ალბათ საკმაოდ ბევრია, ის, რაც ახლა ასე მოგვიხდება.
ოციოდე წუთში გადაადგნენ საფიქლის ხევს, თხელი მუხნარით იყო დაფარული.
- ბიჭოს! მუხა! რომელია?
- აღმოსავლეთისა. აქ 1500 მეტრია ზღვის დონიდან. „ხევთა არყნარიო“, – ვახუშტი რომ წერს, იმის ნაშთია; არყი ვერ გადარჩენილა, მაგრამ მუხა კი კარგადაა; ეს მუხა სიმშრალეს კარგად უძლებს. ვახუშტის შემდეგ ხომ აქ ჰავაც შეიცვალა. აბა რას გვეტყვით, ნახეთ მარადიული თოვლი და მყინვარი?

- რა დაგიკარგავს, რას ეძებ! – არსად, ხევებში კი მიწაყრილი ნაზვავი თოვლია.
- მეც ასე ვნახე ამ 40 წლის წინ.
ერთი მუხის ჩრდილში თემური ფუსფუსებდა. ცეცხლზე მწვადები იწვებოდა, საფიქლის ხევის წყალში კიტრი, პომიდორი, საზამთრო და სხვა ხილი იყო ჩაციებული.
- თქვენ აგაშენათ ღმერთმა, – თქვა ვახტანგმა და ნებიერად წამოწვა ნაბადზე.
- მართალი რომ გითხრათ, კინაღამ კვერნასავით მომივიდა, – უთხრა მამას.
-??
- აი, ისე, კვერნა საშოვარზე წავიდა და კინაღამ ტყავიც იქ დატოვაო. განძაში ცუდად გავხდი, არა ვთქვი, სულთქმა[65] მეხუთებოდა, მაგრამ, რომ შემოვბრუნდი, გამოვკეთდი.
- ეგ სისულელე მეორედ აღარ ქნა.
- რომელი? კარგად გახდომა?
მამამ თავში წაუთათუნა.
მალე ლელამ სუფრასთან მიიწვია ყველა.
საღამო ხანი იყო, როდესაც საფიქლის ხევიდან (ეხლა ზოგი ახას ხევსაც უწოდებს) სოფელ სალამალეიქში გამოიარეს და ახას ხიდთან დიდ გზას შეუერთდნენ.
აქ საფიქლის ხევი თითქმის სალამალეიქის პირდაპირ ხრამდება; ახას ქვემოთ საფიქლის ხევი უერთდება შავწყალს, მანამდე კი საფიქლის წყალს უერთდება ფუნდუკის წყალი, ისიც საკმაოდ დახრამული; ამის ქვევით ერგიშაანთ ჭაობიდან გამოყვანილი არხის წყალი შეერთვის. აქედან შავი წყლის ხრამი ტყიანია, სანამდე ქციას არ შეერთვის იქ, სადაც გომარეთის ვაკის ბოლოზე ღრმა ხევში გავიდოდეს.

პირველყოფილი სამჭედლო

„პირველყოფილი სამჭედლო – გრდემლი და ურო ძლიერი,
ქართულ იარაღს აწრთობენ მამაცი იბერიელნი“.
ლ. ასათიანი

- გულთოვლის მთებს რო გადმოვდექით, ჩვენ წინ ხელისგულივით გადაიშალა ზურტაკეტი და თრიალეთი, შორს კი – მთელი ქვემო ქართლი.
- წალკა დიდი ზეგანია, სოფლებიც ბევრი ჩანს, – ჩაერთო გივი.
- დღეს სალაპარაკო ენაშიც და, სამწუხაროდ, ლიტერატურაშიც „წალკად“ მოიხსენიებენ მთელ ზეგანს, – შეაჩერა გიორგიმ. – წალკა ერთი სოფელი ყოფილა. აკი ვახუშტიც წერს... „მდინარე მოერთვის ჩრდილოდამ, საბატეს, ქციას. მას ზეით ქციის კიდეზე არს ეკლესია გუნბათიანი წალკას და წალკას ზის ეპისკოპოსი თრიალეთისაო“. მაშასადამე, წალკა სოფელი ჩანს, თვითონ ზეგანი თრიალეთია. ჩრდილოეთით გასდევს თრიალეთის ქედი, დასავლეთით კი კეჩუთის ქედი.
წარსულში თრიალეთის ზეგანი ქართველებით იყო დასახლებული. ლეკიანობამ და თურქთა მარბიელმა ჯარმა თავისი ქნა.
- აქ ყველა ბერძნული, სომხური ან თურქული სოფელია, გარდა ერთისა, რეხასი. იქ კი ქართველები სახლობენ, – შეაშველა სიტყვა მინდიამ.
- რა ძალამ გააჩერა ეგენი აქ?
- მართლაც, როცა გადმოხვეწილი ბერძნები დასახლდნენ, ეს სოფელი ძლივს ღონღილობდა. ესენიც წასვლაზე იყვნენ, მაგრამ რაკი მათ გვერდით ცეცხლი დაინთო, დარჩნენ. წალკის რაიონის სოფლებში უმეტესობა ბერძნები არიან.
- ერეკლე II მადნების დასამუშავებლად ჩამოიყვანა და დაასახლა ბერძნები ფინეზაურის ხეობაში. ამ ბერძნებმა მშობლიური ბერძნულიც იციან, წალკელები კი ოსმალეთში დაბეჩავებულები ყოფილან, მშობლიური ენა დაუკარგავთ და ოსმალეთის ანატოლიის ერთ-ერთი დიალექტის ნარევით ლაპარაკობენ.
- ჰოდა, ამ თრიალეთის, დღეს რომ წალკას ვუწოდებთ, დათვალიერება და მოვლა თქვენ გევალებათ, შალვას მეთაურობით. დღევანდელ სოფლებში და ნასოფლარებში უამრავი ტაძარი და ნანგრევი დაგხვდებათ, ისინიც ნახეთ, მაგრამ, ნუ კი გადაჰყვებით. თქვენ ეს მდელოს გვირილა კარგად უნდა მოჩხრიკოთ, დაწვრილებით ჩაიწეროთ, სად იზრდება, რა სიხშირით, რამდენ ფართობზე, ყველაფერს რუკაზე გადაიტანთ, მაგრამ ეს ხომ შალვამაც კარგად იცის.
- თქვენ მუხლზეა, პირველ დღეს შეიძლება ჭოჭიანის წყლამდე იაროთ. თუ ივაჟკაცებთ, ჯავახეთის შარაგზასაც მიაღწევთ.
- ერთი გაკრული ოცდახუთი კილომეტრი იქნება, – თქვა მინდიამ.
ბიჭებს გაეცინათ.

- გაკრულიცა და გაუკრავიც ხომ კილომეტრი კილომეტრია.
- შენ ეგრე გგონია? – ისე შეეკითხა მინდია, რომ ვახტანგი შეაფიქრიანა.
- მოდი, ერთხელ კიდევ გადავიკითხოთ ვახუშტი, – თქვა ვახტანგმა და თანხმობას აღარ დაუცადა, დაიწყო:
„ხოლო ზურტაკეტის ჩრდილოთ კერძოთ არს თრიალეთი. და განჰყოფს თრიალეთს აღმოსავლით კლდე-კრიდამ გამოკიდებული მცირე მთა ლაკვისა და მიდგმით ბენდერის მთისა: სამხრით მთა ბენდერი და გამოკიდებული მის მთისა, რომელი მოადგების ქციის მდინარეს კლდისის დასავლით, გამომართებით კვირიკეთი(ს) მთისა, ვიდრე ქარვასლის – ხევის მთამდე; ჩრდილოთ მთა კლდე-კარისა და ერჯევნისა, ვიდრე თორის მთამდე და ბაკულიანამდე; დასავლით მთა შავრაშეთი და ტბის-ყურის გამჭრელი ხაზი, მთა ბარძიმისა და ფარავნის გამჭრელი ხაზი ბოლოლის მთამდე.
ხოლო ამ თრიალეთის საშუალსა დის მდინარე ქცია, წოდებული ანუ დაბის გამო, ანუ ვინათგან აქცევს ხიდთა, რავდენცა მტკიცე ქვიტკირისა იყოს, მის გამო იწოდა. ესე გამოდის შავრაშეთის მთასა, გამოვლის ნარიანს, თრიალეთს, ქციის ხრამსა და მიერთვის ხუნანს მტკვარსა, და მარადის დის აღმოსავლეთად და თრიალეთს მოდის მდორედ, ხოლო ეძანს დახრამდების. და არს იმიერ და ამიერ კლდე ქარაფი და მაღალი, მხარი 100 მეტი, სიგანით 180 მხარი და მეტიცა. ეძანს ქვევით და ახალქალაქს ზეით გარდმოდის ქცია მაღლის კლდიდან, ვითარცა ღარიდამ. ძირს აქუს ტბა დიდი. ამას ზომიერ ვერ აღვალს ორაგული და დიდნი თევზნი, არამედ არს მას ზემორ კალმახი დიდნი და მცირენი, მრავალნი და გემოიანნი“.
აი, კიდევ: „ხოლო ესე თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შვენიერი, ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი, სანადირონი მრავალნი დიდთა ნადირთა, ფრინველთა და თევზთა. არა არს აქა ტყე, არამედ ზიდვენ ერჯევნიდამ და ხმარობენ უმეტეს წივასა; მოსავლით, ვითარცა ტაშირი, გარნა ესე უმჯობესი მისა. თვინიერ აქლემისა, პირუტყვნი მრავალნი. ვენახი,ხილნი და მტილოვანნი არარაი არს აქა, და მთის ხილნი მრავალნი. ტკბილს მოიტანენ ბარიდან, ჩაასხმენ აქა, და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი. ეძანს ზეით ერთვის ქციას ბეშკენაშენის – ხევი ჩრდილოდამ, გამოდის ერჯევნისა და კლდე-კარის მთასა. აღმოსავლეთ ბეშკენაშენისა არს ტბა ბარეთისა. მცირე, უთევზო. გარემო მისა დაბნები ლაკვის მთამდე. მას ზეით ერთვის ქციას ხევი ერან-თურანისა, გამოდის ერჯევნის მთას, მოერთვის ჩრდილოდამ, საბატეს, ქციას. მას ზეით ქციის კიდეზე არს ეკლესია გუნბათიანი, წალკას, დიდი, კეთილნაშენი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი თრიალეთისა. მას ზეით კოხტა-ცრიცის-ხევი, სდისვე ერჯევანსა და თორის მთასა, მიერთვის ქციას არწივანს. თეზის ხრამსა შინა, არს მონასტერი კლდესა შინა წმიდის აბიბოს ნეკრესელის ქმნული, და აწ არს ცარიელი. მის ზემორ საპონაურისა და ცხვრისის-ხევი, გამოსდის თორის მთას, მოერთვის ქციას თეზის ხრამსა შინა, პირისპირ კოხაჯის-ხევის. ქვემორ სამხრიდან ერთვის ქციას ავლადის-ხევი, გამოდის ხევ-ღრმის ხრამსა. ესე არს ცივი ანუ მყინვარი. მას ქვემორ ერთვის ქციას ხევ-ღრმისა და ანდრაპოლთისის-ხევი. ხოლო ახალ ქალაქს ქვეით ერთვის ქციის ხევი აბანოსი ჩრდილოდამ. მას ქვეით ერთვის ქციას ხევი კარწახისა, გამოსდის უზნარიანს, მოდის აღმოსავლეთად. კარწახის-ხევის შესართავს ქვეით არს ციხე მოდამნახისა, კვირიკეთის მთის ძირში, ჩრდილოეთ კერძ, ქციის მდინარის პირს. ამას ზეითი არს თრიალეთი მოსავლით, ვითარცა ტაშირი და დაბანის-ხევი დავსწერეთ თაფლითურთ. ხდიან ესენიცა სელისაგან ზეთსა“.
- ამის შემდეგ აღწერილია შავნაბადა, თავკვეთილი და ფარავანი, – ესენი ხომ ვიცით.
მეორე დღეს დაისვენეს, კარგად იბანავეს, საღამოთი მოამზადეს საგზალი და დილით ადრიან თრიალეთისაკენ გასწიეს.
სოფელ ახას ზევით, სანამ ხრამი დაიწყებოდა, გადაჭრეს ახას წყალი, გადაიარეს ქედი და აჰყვნენ ჭოჭიანის მარჯვენა ნაპირს. მართლაც ნამდვილი ჭოჭი იყო დაყენებული; მარცხენა ნაპირი, საკმაოდ დაცემული, დიდ ველობს ქმნის და ნესტიანი მდელოთია დაფარული.
წკრიალა დილა იყო და მიუხედავად მძიმე ჩანთებისა, მართლა გაკრული ნაბიჯით მიდიოდნენ. დრო იყო, რომ მარჯვენა ნაპირიდან მარცხენაზე გადასულიყვნენ. მალე შეუყვნენ ერთ დამრეც ფერდოს. ის-ის იყო გაუხვიეს სამხრეთით, რომ მათ წინ კურდღელი ახტა და ზურგზე ყურებგადაგდებული შეუყვა ფერდოს.
- აგერ-აგერ... – კიოდა ერეკლე.
თითქოს და კურდღლის მხარდამხარო, საკმაოდ დიდი მელა მირბოდა.
- მგონი კურდღელი გადავარჩინეთ. მელა ჩასაფრებული ყოფილა და ორივე დავაფრთხეთ, – განმარტა შალვამ.
ნადირი მალე გადეფარა სერებს და ჩვენს მოგზაურებსაც გული საგულეში ჩაუდგათ.
- ეს რაღა უნდა იყოს? – ხელი გაიშვირა სერის ზურგისაკენ ერეკლემ.
- ეს კი ტურაა. ხედავთ, ერთ კურდღელს რამდენი უცდიდა?
გამოშტერებული იდგა ტურა, თითქოს ვერავის ხედავსო, მაგრამ გივიმ რომ დაჰკივლა, მაშინ კი შეხტა და ქვევით დაეშვა; საცოდავი იყო, განგური ჯერ მთლიანად არ გასცვენოდა და ბარკლებზე კონკიძველასავით აქა-იქ ეკიდა.

- ტურა მაინც ტურაა, არც სიარული უვარგა, არც შეხედულება.
- რა გინდა მისგან? კონსულად ხომ არ გამოგეცხადება!
ამ საუბარში გადაიარეს ჭოჭიანის მარცხენა ფერდო და დაადგნენ მისი მარჯვენა შენაკადის თვალით უჩინარ ბილიკს. ვახტანგმა რუკა მოჩხრიკა, მაგრამ ამ შენაკადის სახელი ვერ ნახა, არც სადმე მწყემსი ჩანდა, რომ მისთვის ეკითხათ. ეს შენაკადი ჯერ ჭოჭიანის ხეობებში იკარგება, შემდეგ ისევ ჩნდება და იქ, სადაც გომარეთის საურმე გზა ჭოჭიანს გადაჰკვეთს, უერთდება ამ უკანასკნელს. აქედან ის დახრამდება და გომარეთის პირდაპირ უერთდება ქციას. კვირიკეს მთის ბრტყელ მწვერვალზე რამდენიმე პატარა ტბა ჩანდა, მზიან დღეში სარკესავით ელვარებდნენ.
ხრამი აქ ღრმა არ იყო, ჩაირბინეს მის ნაპირთან და გაიგრილეს სახე. თავის აბგებს თანაბრად მოაკლეს – ერთმა ხაჭაპური, მეორემ კიტრი, პური, ყველი და სხვა სანოვაგე.
საუზმის შემდეგ კანიონზე აღარ ავიდნენ და პირდაპირ მდინარის კალაპოტს აჰყვნენ. ინანეს კი, რადგან მაღლა რომ აიხედეს, კანიონი საკმაოდ დამრეცი და ციცაბო ჩანდა, მაგრამ აისვლებოდა კი. უკან აღარ დაბრუნდნენ და ახალგაზრდებს მეკლდეურობა გამოადგათ; შალვაც ნაცადი იყო და ახლებს არ ჩამორჩა. ავიდნენ და მათ წინ სამხრეთის ზეგნების მდელო ჭრელ ხალიჩასავით გაიშალა. მართალია, ხვითქი ჩამოსდიოდათ, მაგრამ ამ სილამაზემ თვალი მოსჭრათ და სახეზე ღიმილი აუთამაშდათ. მათ წინ აიმართა მწვერვალი, რომელიც ზეგანს 200-300 მეტრითმაინც ასცილებოდა. ეს ეს წყაროს თავი იყო. ოდნავ შესამჩნევ ბილიკს გაჰყვნენ, წყაროს თავის ჩრდილოეთის ფერდობზე გავიდნენ და გაოცებული დარჩნენ. კლდეებიდან უამრავი წყარო გადმოჩუხჩუხებდა, ზოგი მათგანი დიდი წისქვილის ქვას დაატრიალებდა. მოიხსნეს აბგები და წყაროს ჩქერებით ხარობდნენ.
შალვამ მიიხედ-მოიხედა:
- გივი სადაა?
- მართლა, გივი?!
ვახტანგი შეტრიალდა და ხრამისკენ გაიქცა. სიჩქარეში კლდეს ფეხი წამოჰკრა.
- ფრთხილად!
- გიი -ვიიი!
თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მობრუნდა:
- არ ჩანს!
- იმის ხმა ჭოჭიანიდან აღარ გამიგონია! – თქვა შალვამ, – ჭოჭიანისკენ, იქ ხომ არ დაგვცდა?
- იქნებ გადავარდა!
- ეგ როგორ დაგვემართებოდა, ამხანაგი გადაგვივარდა და ვერ გავიგეთ?
გულამოვარდნილები დაადგნენ ხრამზე გამავალ ბილიკს.
- გივი– იი!
- ეეეი...
- წიკლაურო...
- ო, ოოო...
- ფრთხილად!
- აბგები მოვიხსნათ.
- არა.
აბგებიანად ჩაჰყვნენ კანიონს.
- გივი-ეი!
- აჰაუუ! – გამოსძახა მხარმარჯვნივ სასულე გვირაბიდან გადმომდგარმა გივიმ.
- ვაი შენ ჩემო თავო, შეგაწუხეთ არა?!
- რახან გნახეთ, შეწუხება ჭირსაც წაუღია!
- აბა, მოდით, რა გაჩვენოთ... კვლავ უკან შებრუნდა წინ შეგებებული გივი.
ფრთხილად გაიარეს ხრამის საკმაოდ სახიფათო, მაგრამ სავალი ბილიკი და მიადგნენ ერთ დიდ გამოქვაბულს.
გამოქვაბულის უკანა კედელი მთლიანად ობსიდიანისა ჩანდა. ჭერის ნაწილიც, უკანა კედელთან, ობსიდიანისა იყო. ძირს, „იატაკზე“ აუარებელი ნამსხვრევი ეყარა. გამოქვაბულის შუაში, სინათლისაკენ, ბაზალტის დიდი ლოდი იყო, მის გვერდით რამდენიმე ბაზალტისავე მომცრო ქვა ეგდო. ასეთივე ქვები კიდევ მონახეს. რაც მთავარია, დიდი ლოდის გვერდით ადამიანის ორი ჩონჩხი იყო. ერთი მუხლებში მოხრილი, მეორე გაშლილი, ორივეს თავის ქალის კინკრიხო ჩატეხილი ჰქონდა.
დასცქეროდნენ შორეული წინაპარების ჩონჩხებს და ფიქრობდნენ:

„ესენი რომ ხელოსნები იყვნენ, ჩანს, მაშ რატომ გდია პატარა გრანიტის ქვა-ჩაქუჩი, იქ, სადაც ხელის მტევანია, სწორედ ასეთივე გრანიტი უჭერია მეორესაც. მოსულან, თავები ჩაუმტვრევიათ, დაუხოციათ და წასულან? მათი ნახელავი კი არ წაუღიათ“.
მცირე ფიქრის შემდეგ დაიწყეს მთელი გამოქვაბულის ყოველი კუთხის მოსინჯვა. განსაკუთრებით ერეკლე ათვალიერებდა ყოველივეს, დიდხანს არაფერი უთქვამს, სხვები ჯერ მის სიტყვას ელოდნენ.
- იცით, თვითონ ლავაში ობსიდიანი არ უნდა იყოს; ის, ჩვეულებრივ, ვულკანის ყელში წარმოიქმნება ხოლმე; წყაროს თავი ვულკანია, მის ყელში ეს ობსიდიანიც გაციებულა, შემდეგ ახალ წამოსულ ლავას კრატერის ყელი წამოუღია და აქ გამოუტანია, ან მიწისძვრის, ან დედამიწის ქერქის გადანაცვლებისას, რაც იშვიათი არ იყო მაშინ, როდესაც ეს ვულკანები ქშინავდნენ; შემდეგ წყაროს თავმა კვლავ წარმოშვა კონუსი. ჯერ მეტს ვერაფერს ვიტყვით, – თავისთვის ბუტბუტებდა ერეკლე.
- ჯერ გვეყოფა, – ეს ვახტანგი იყო.
- რა არის ეს? ობსიდიანის იარაღის სახელოსნო?!
- ასე ჩანს.
- აი, უყურეთ, რამდენი ისრის პირია! – მიუთითა შედარებით გრძელ და ვიწრო „დანებზე“.
- ისე ჩანს, რომ სახელოსნო უცბად დაულაშქრავთ, დაულაშქრავთ, მაგრამ ვეღარ ან არ წაუღიათ რამე.
- ვინ იცის, მიწისძვრამ ჩაქოლა კარი; როცა ეროზიამ თავისი საქმე გააკეთა, ამ სახელოსნოს პატრონი, მისი მოდგმა ამ მხარეში აღარც იყო.
- არა, ლავაში ობსიდიანი იშვიათია. ერეკლეს წეღანდელი ახსნა სწორია. აბა, ერეკლე, ცოტა რამ ამ მხარის გეოლოგიაზე არ გვაწყენს, – მიმართა ერეკლეს შალვამ.
ერეკლემ თავი დაუქნია.
- ჯერ ერთი, ბოლნისის რაიონში, ქვემო ქართლში, ბევრია ზედაცარცული ასაკის ვულკანოგენური დანალექი ფორმაციის ქანები: ტუფო-ლავები, ტუფო-ბრექჩიები, ტუფო– ქვიშაქვები და ტუფები. ამ მხარეში აღმოჩენილია სხვადასხვანაირი სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქანი, მათ შორის სახელმოხვეჭილია ბოლნისის ქვა. ეს ქვა მკვეთრად განსხვავდება ყველა ქვისაგან თავისი ფაქტურით; თბილისში რამდენიმე ახალი შენობაა მოპირკეთებული ამ ქვით: მთავრობის სასახლე, მარქსიზმ-ლენინიზმის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალის შენობა, საქართველოს ნახშირის კომბინატის სახლი, კავშირგაბმულობის ახალი სახლი, ძველი შენობებიდან უნდა აღინიშნოს სიონის ტაძარი. ეს ტუფი გასცილდა საქართველოს და ღირშესანიშნავ შენობებს მოსკოვში და სხვაგან მის პერანგს აცმევენ, ასეთია მოსკოვის ყრილობათა სასახლე.
ეს ქვა კვარცპორფირული ლავაა. ის სხვადასხვანაირად დაკლაკნილი ხაზები, რომელიც ყვითელ ფონზე ჩანს და რომელიც ხის ფიცრის იერს აძლევს, ჰიდროჟანგის გაჩენილია.მისი საბადო, როგორც იცით, ბოლნისის რაიონშია; ის გვხვდება სოფელ ქვეშთან, ხატის სოფელთან, სარჩალოსა, ფარხალოსა და სხვათა მიდამოებში.
მისი მარაგი დაახლოებით მილიონნახევარი კუბომეტრია. შესანიშნავია ფარხალოს საბადო, იქ მისი სისქე თითქმის სამოცი მეტრია.
ბოლნისის ტუფის მშვენიერება ისაა, რომ ის თავისი ფაქტურით, ზედაპირის მოხატულობით ძალიან წააგავს ხეს და თავისებურ სილამაზესა და სითბოს ანიჭებს კედელს. ალბათ, ამ თვისების გამო, ძველი ხუროთმოძღვრები ცდილობდნენ, ტაძრები აეგოთ ბოლნისური ქვით. ამიტომაა, რომ ქვემო ქართლში თითქმის ყველა ტაძარი ამ ქვითაა ნაგები.
ალაგ-ალაგ ჩანს ცისფერი ტუფის გამოსავლებიც, მაგრამ მას ქვემო ქართლში ჯერ არ ამუშავებენ, თბილისში სასტუმრო „ივერია“ მოპირკეთებულია თეძმის ცისფერი ტუფით.
- თუ გახსოვთ, ნახიდურთან (ახლა არახლოს უწოდებენ) გაჩვენეთ, ვულკანური ლავა ეფარა გვიანდელ ნალექებს, თიხებს და სხვებს. ზოგან ლავის ქვეშ მიწა გაწითლებულია. გავარვარებულმა ლავამ მიწა დაწვა და გააწითლა, ისე, როგორც თუნში[66] თიხის ჭურჭელი იწვის და წითლდება.
კეჩუთის ქედი ვულკანური კონუსების სისტემაა; მის ჩრდილოეთით თავკვეთილი, შავნაბადა, გოდორები, გიჟი მთა, არყიანი, შამბიანი, გულთოვლის მთები, ემლიკლი ჩამქრალი ვულკანებია.
ბევრგან კირქვების ქედებიცაა, გომარეთის მიდამოებში და სხვაგან.
ამ მწვერვალებიდან წამოსულმა ძლიერმა ლავის ნაკადმა დაფარა ძველი ნალექი ფენები.
თვით ლავას თავისებური აღნაგობა აქვს. ხომ ხედავთ, წყაროები ლავის შუაგულში გადმოჩქეფს, ერთ ხაზად, აქ ძველ ლავას ახალი დაედო ზემოდან, მათ შორის კი დარჩენილია სივრცეები, საიდანაც წვიმის ჩაჟონილი წყალი დღის სინათლეზე გადმოდის. მეორე შრე წყაროებისა ხევის ძირშია, იქ, სადაც ლავა ძველ ნალექებს ეფარება, ზოგან კი თიხა არ უშვებს წყალს და წყაროების სახით გადმოჩქეფს დღის სინათლეზე. ეს ხრამები, განსაკუთრებით შავი წყლის (ყარაბულახის) ხრამი, ძალიან მდიდარია წყაროებით, რომლებსაც თბილისი ან

ახალი ქალაქი – მარნეული – უეჭველად გამოიყენებს თავის დროზე. ლავები ძირითადად ანდეზიტებია, მაგრამ გვხვდება ბაზალტები, დოლომიტები და სხვ.
- ამ ზეგნების ლავასავით დამაწვა ამდენი ახალი, ბიჭო! – ჩაერთო ვახტანგი.
- ხუმრობა ხომ არ არის გიჟი მთიდან წამოსული ლავის ნიაღვარი!
- მაშ, მილიონნახევარი წლის წინათ შეიქმნა ეს ლანდშაფტი?
- არა მარტო მაშინ, ლანდშაფტი დღესაც იქმნება.
- მილიონი წლის მანძილზე ეროზიული მოქმედება აყალიბებდა რელიეფს...
- შენ, გეტყობა, დაიღალე, მაგრამ ერთი რამ უნდა გითხრათ კიდევ.
- კიდევ რა?
- ჩვენი ხუროთმოძღვრები ფართოდ იყენებდნენ ერთ ქანს, რომელიც ამ ვულკანურ მხარეშია გავრცელებული, სახელდობრ, ცეოლიტიან ტუფს. მეტეხის ტაძარში, სიონში, ბოლნისის სიონში და სხვაგან ეს ქანი ფართოდ არის გამოყენებული შიგნითა სათავსოების, კედლებისა თუ იატაკის მოსაპირკეთებლად. ის ნთქავს ცუდ სუნს. მოგეხსენებათ, ტაძარში, სადაც ძველად ღვთისმსახურების დროს, აუარებელი ხალხი იყრიდა თავს, იწვოდა სანთელი, საკმეველი, ზეთი და სხვა, ცუდი სუნი იშვიათი არ იყო. ამჟამად, უცხოეთში, მაგალითად, ბულგარეთში, ამ ცეოლიტიან ტუფს, (ან გაცეოლიტებულ ტუფს) ხშირად იყენებენ ბოსლების, საღორეებისა და საქათმეების მშენებლობაში. ეს ცეოლიტიანი ტუფი შეფერილობით სხვადასხვანაირია, ვარდისფერიდან – ნაცრისფერამდე.
ერეკლემ დაასრულა. ვახტანგმა ამოსუნთქვა არავის აცალა, გივის შეუტია, უფრო იმიტომ, რომ საუბარი შეეცვალა.
- ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ შენ როგორ მოხვედი აქ?
- შავიწყლის ხეობიდან ხომ თან გვდევდა ობსიდიანის ისრის პირები, საფხეკელები, დანები. ამ ხეობაში რომ შემოვედით, გახსოვთ, მე უკან მოგდევდით, ჩვენს ბილიკს ცხვრის ბილიკი გამოეყო, თავლი წამიცდა, რამდენიმე ობსიდიანის ნატეხი ეგდო და მეც გავყევი. დანაც იყო. ისრის წვერიც, დაგიძახეთ კიდეც, მეგონა გაიგონეთ, გამოვყევი აქეთ, შემოვედი ამ შავი ბროლის გამოქვაბულში და, როგორც ჩანს, გავერთე, დროის ანგარიში დავკარგე. თქვენ კი ვერ გაგიგონიათ.
ობსიდიანი, ანუ ვულკანური შუშა, ვულკანური ქანია, როდესაც ამსხვრევენ, ბასრი პირებით იმტვრევა და დანასავით მჭრელია. ქვის ხანასა და ბრინჯაოს ხანებში ის ფართოდ იყო გამოყენებული ისრის პირებად, დანებად, ტყავის საფხეკად და სხვ. ჯავახეთიდან და თრიალეთის ამ მხარიდან ბარის მცხოვრებთ ჩაჰქონდათ ობსიდიანის ლოდები და იარაღს ბარში აკეთებდნენ. რამდენიმე ასეთი სახელოსნოა აღმოჩენილი.
როდის-როდის წამოდგნენ. დიდი განცდის შემდეგ როგორღაც თითქოს მოეშვნენ, მაგრამ ისევ გივიმ გაამხნევა:
- გადავიდეთ მდელოზე, თორემ აქ ხომ არ ვათევთ?
როდესაც ზევით ავიდნენ, რაღაც უცნაური სიჩუმე იდგა. მაღლა ამართული ვულკანური კონუსები, წინ დაცემული უზარმაზარი უკაცრიელი ზეგანი თითქოს ზურგზე დააწვათ. „ნეტავ გამოჩნდეს ვინმე“, ინატრეს ერთად. მართლაც, გადადგეს რამდენიმე ნაბიჯი და ნატვრაც აუხდათ, სერის გადაღმიდან ნახირი ამოვიდა; მაღლა, მთის ფერდზე, ცხვრის ფარაც დაჩნდა, მას მწყემსებიც მოჰყვნენ.
გულზე მოეშვათ და ჩქარი ნაბიჯით დაეშვნენ ქვევით. ალაგ-ალაგ მდელოზე ლეუკანთემუმიც ხვდებოდათ, მაგრამ არა მრავლად, რუკაზე მაინც გადაჰქონდათ.
- მოდით, იცი რა? მე და გივი, აი იმ სოფელში შევალთ, აიაზმა და ნარდევანი უნდა იყოს, თქვენ ამ ლეუკანთემუმს ორნიც ეყოფით, – შედგა ვახტანგი.
- მზე უკვე გადახრილია, დღეს კაი წყარო ვნახოთ, ბანაკი დავცეთ, მიდამოები კარგად მოვჩხრიკოთ და ხვალ კი, როგორც გენებოს, —— უთხრა ერეკლემ. შალვამ კვერი დაუკრა, – თანაც ეს მიწის გროვა არ გავსინჯოთ? – შედგა შალვა ერთ პაწაწინა მიწის გროვასთან.
- ეს თხუნელა[67] უნდა იყოს, ბოსტანას დიდი მტერი. ის ბოსტანას ბუდეების გარდა, სხვა მატლებსაც ანადგურებს, ხვატარს.
- იჭერენ ბეწვისათვის, საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად ერთ მილიონ თხუნელას მაინც იჭერენ.
- ჩვენში?
- ჩვენში ამას სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს.
- მოდი, ნუ შევაწუხებთ, გაიყვანოს თავისი გვირაბები და იცხოვროს ტკბილად...
ეს ვახტანგი იყო.
აღარ უკამათიათ და შეუდგნენ ღმის სათევი ადგილის შერჩევას.

ნაოხარზე დარჩენილი ხელნაწერი

„მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები
ვლეწე ტაძრები, კელაპტრიანი“.
გ. ლეონიძე

ერთ პატარა ხევის თავზე, რომელშიც ნაკადული მიჩხრიალებდა, მალე აიმართა ორი მწვანე კარავი.
- კარავი რად გინდა! – ბუზღუნებდა ვახტანგი, – კარგი ამინდი ჩანს...
- აგერ, აი, იმ მთას, გიჟი მთა ტყუილად კი არ ჰქვიან. უცბად იცის ღრუბლების შეკრება და წვიმად დაღვრა, – უთხრა შალვამ, – პირველი დუხობორები რომ დასახლდნენ ტამბოვკასა და გორელოვკაში, ამ ქედს „სველი მთები“ უწოდეს, ხშირად იცოდა ნისლიცა და წვიმაც...
- კარგით, კარგით, თქვენ იმდენს იზამთ, რომ მესამე კარავსაც დამადგმევინებთ – და მოიხსნა თავისი ზურგჩანთა.
გივიმ კაჭაჭი მაგროვა, შალვამ რომ დახედა, დინჯად თქვა:
- ამით წყალს ვერ ავადუღებთ, ხმელი ნაკელიც მიუმატეთ; აგერ, გაღმა, კაჭაჭია ისიც. მე და ერეკლე კი მიდამოს მოვათვალიერებთ, – დააგდო სიტყვა და ვულკანურ ქვაყრილებს მიეფარა.
ვახტანგმა და გივიმ შამბ-კაჭაჭისა და ხმელი ნაკელის მთელი გროვა დააყენეს.
საღამო ხანს გიჟი მთის წვერი ნისლით დაიფარა და, ის იყო მოათავეს ვახშამი, რომ მსხვილმა წვიმამ წამოშინა.
აი, როდის იყო კარავი მისწრება!
შალვამ მესამე კარავი ამოიღო და კაჭაჭსა და გამხმარ ნაკელს გადააფარა – დილით წყლის ასადუღებლად გამოგვადგებაო.
კარვებიდან გასცქეროდნენ წვიმის სვეტებს, რომლებიც ქვევით, ხრამჰესის წყალსაცავის თავზე, იყო ჩამოშვებული.
წვიმამ მალე გადაიღო და ცა მოკრიალდა; მალე ვარსკვლავები აენთნენ.
ღამით აცივდა, მაგრამ სიცივეს მგზავრები არ შეუწუხებია.
დილით მიწა თითქმის მშრალი იყო, ხოლო ადგილ-ადგილ, მზის ამოსვლის შემდეგ, ორთქლი ასდიოდა.
დილით მზეს აასწრეს. აადუღეს წყალი, ისაუზმეს და შეუდგნენ საქმეს. შალვა და ერეკლე ფერდს აჰყვნენ, რათა მდელო კარგად მოეჩხრიკათ, გივი და ვახტანგი კი სოფლისკენ წავიდნენ.
სოფელი აიაზმა[68] მთის ფერდზეა. საყდრის ბალავარის ძირიდან გადმოჩქეფს ანკარა, ფრიად გემრიელი წყარო და სწორედ ამ წმინდა წყარომ მისცა სოფელს სახელია აიაზმა, ასე ამბობს ექვთიმე თაყაიშვილი.
ეკლესიის კარის თავზე ქვაა, რომელზეც ექვთიმე თაყაიშვილმა წაიკითხა: ‘ ქ. სახელითა ღმრთისათა მეოხებითა წმინდისა ღმრთის მშობლისათა, მე ზაქარია ავაშენე შტო ესე ქათალიკოსობასა ოქროპირს ქორონიკონის ს ე“.
ტაძრის ირგვლივ აუარებელი საფლავის ქვაა. განსაკუთრებით ერთმა მიიქცია ყურადღება: ქვაზე ვაჟკაცის ბარელიეფია, ხელში ჯვარი უჭირავს, მაგრამ შეიარაღებულია თოფ-ხანჯლითა და ხმლით, მხარზე ორი მტრედი უზის. აგერ, კიდევ უზარმაზარი ქვა, მის გვერდებზე ქართულ ჩუქურთმათა შორის ცხენიანი კაცია; მეორე მხარეს ცადაპყრობილი ხელებით დგანან და სხვა...
ტაძრები, თითქმის ყველგან, თლილი ქვითაა ნაგები, მაგრამ ქვები, ჩვეულებრივ, დიდია, ხშირად კვადრატული მეტრი და მეტიც. წარწერებში ხშირად იხსენიება ლიპარიტ პირველი, ლიპარიტ მეორე, რატი, იოანე – ესენი ბაღუაშები არიან. მათ, როგორც წინათ ფიქრობდნენ, ორბელიანებთან კავშირი არა აქვთ, აქ ზემო იმერეთიდან მოხვდნენ. ზოგი ბაღუაში კაცხის ტაძარში რომ მარხია, შემთხვევითი არ არის. შემდეგში ბაღუაშების სამკვიდრო ბარათაშვილებმა და ორბელიანებმა რომ დაიკავეს, ეს შეცდომა წარმოიშვა; ეგონათ, ბაღუაშები მათი წინაპრები არიანო.
ბაღუაშები არაგვეთის მფლობელები იყვნენ. IX საუკუნის 70-იან წლებში ლიპარიტ I ბაღუაში ეყმო დავით I კურაპალატს. კურაპალატისაგან მიიღო თრიალეთის მიწა-წყალი, სადაც შექმნა კლდეკარის ძლიერი საერისთავო. X საუკუნეში უკვე ერისთავთ-ერისთავებად იწოდებოდნენ. მოძლიერდნენ და მთელი თრიალეთის დამკვიდრებას ცდილობდნენ. ამ საგვარეულოს მთელი ისტორია შფოთიანი და მოუსვენარია, სამეფოს ოპოზიციაში ედგნენ და ხშირად არ ემორჩილებოდნენ. დავით აღმაშენებელმა, ბოლოს და ბოლოს, მოტეხა მათი თავგასულობა და უკანასკნელი ბაღუაშის, რატის, გარდაცვალების შემდეგ კლდეკარის საერისთავო გააუქმა.



წალკის მუხა შორიდან

ქვაყრილი მუხის გარშემო

არც ბაღუაშების მეორე შტო, რაჭის ბაღუაშები, კახაბერიძენი, იყვნენ უკეთესი. ამ გვარის უკანასკნელი ერისთავი კახაბერ კახაბერისძე მონღოლებთან მოღალატური კავშირის გამო დასაჯა დავით VI.

როგორც ჩანს, თრიალეთში ბაღუაშებს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი ჰქონდათ. პირველ რიგში – ლიპარიტის უბანი, ეხლანდელი კაკლიანი, ს. გომარეთსა და მდინარე ქციას შორის. სასახლეები უნდა ჰქონოდათ გომარეთში – ამ მხარეში ის საცხოვრებლად ყველაზე სასურველი ჩანს, სახნავ-სათესით, სათიბით, საძოვრით, ქციის ჭალების სიახლოვით. აქ ხომ სამი ტაძარი, თუ მეტი არა, მათ მიერაა აგებული. მაგალითად, დიდი ტაძრის კედელზე ამოკვეთილია: „ქრისტე ადიდე ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი და შვილნი მისნი“.

მათივე საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო სოფელი, რომელსაც ადგილობრივები დღეს გელდიკიარს (დამახინჯებული კლდეკარი) უწოდებენ.

გომარეთის მეორე ტაძარზე ვკითხულობთ: „ქრისტე, ადიდე სული დიდისა და ლიპარიტისა ერისთავთ-ერისთავისა“. სამი წარწერაა და სამივეში ლიპარიტია ნახსენები. ეს ის ლიპარიტები არიან (I და II), რომლებიც XI საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდნენ, გიორგი I და ბაგრატ IV დროს. ნანგრევთა შორის გდია ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია „მზისთვალა“ თანამეცხედრე ლიპარიტისა. (ექ. თაყაიშვილი).

ამ საუბრით მოიარეს გუნია-ყალა, წინწყარო.

- კარავში დავტოვე ექვთიმეს წიგნი. აქ, წინწყაროში, ყოფილა თამარ დედოფლის დროინდელი სახარება. იქ ვნახოთ. თუმც არა, აქ უნდა იყოს, – მოიხსნა აბგა და ამოიღო საქაღალდე. აი, რას წერს ექვთიმე:

„სოფ. წინწყაროში, წალკაში, ბორჩალოს მაზრაში, ბერძენი ძმების გურჯანოვების ოჯახში, ინახება ორი ძველი სახარება. გურჯანოვები, როგორც მათი გვარიც ადასტურებს (გურჯი ქართულად ქართველს ნიშნავს) ქართველთა შთამომავლებად თვლიან თავის თავს, თუმცა ისინი სხვა წალკელ ბერძნებთან ერთად მცირე აზიის თურქეთიდან მოვიდნენ.

გურჯანოვის სიტყვით, ეს სახარება მათმა წინაპრებმა „ერზერუმიდან ჩამოიტანეს“.

მე კი მგონია, რომ გურჯანოვის წინაპრებმა ის წინწყაროს ოთხ ტაძართა შორის ერთ-ერთში იპოვეს. ეს უნდა მომხდარიყო 1812-1835 წლებში, როდესაც აქ დასახლდნენ ეს ბერძნები.

ექვთიმე თაყაიშვილის თქმით, ეს სახარება წმინდა ნივთად ითვლებოდა მთელ თრიალეთში, ღვთისმოსავები ძღვენით მოიდოდნენ და ავედრებდნენ ამ სახარებას თავის ახლობლებს. ერთ-ერთ ჩანაწერში ჩანს თამარ მეფე, დავით სოსლანი, ბექა ოპიზარი და სხვა ისტორიული პირები (იოანე რკიანაელი, ანჩის ეპისკოპოსი). სწორედ ამიტომ ექვთიმე თაყაიშვილი ფიქრობს, რომ ერთ-ერთი სახარება XII საუკუნის დასასრულისა და და XIII დასაწყისისაო (1193-1208 წწ.). მეორე უფრო ახალია, 1534 წელს კალმახის ციხეშია გადაწერილი, არქიმანდრიტ რომანოზ ხაჩიძის მიერ.

ცოტა ხანი ისხდნენ ქვაზე. მოიგონეს, რომ ამ 75 წლის წინ ზოგ საყდარში კიდევ იყო პერგამენტზე ნაწერი სახარება, ლოცვანი და, ვინ იცის, კიდევ რამდენი სხვა წიგნი...

- ეს იმას ნიშნავს, ამ მხარეს მტერი რომ შემოესია, ხალხი აიყარა და თავის წმინდა რელიქვიების წაღებაც ვერ მოასწრო; დატოვეს ოხრად ტაძრებში და რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, უცხო ხალხი რომ მოვიდა, ამ მიტოვებულ ტაძრებში დახვდათ (ზოგიერთი მაინც) მთელი რიტუალის შესასრულებელი ნივთი და ჭურჭელი, წიგნები.
ცოტა ხანს ყველა დუმდა, მერე ვახტანგი წამოდგა და სთხოვა გივის:
- წავიდეთ. დავიღალე ამდენი ნაოხარის გახსენებით და ნახვით.
- სწორი ხარ. მაგრამ ნეტავ სად არის ეს ხელნაწერები?
- ექვთიმე არ იყო ისეთი კაცი, რომ უყურადღებოდ დაეტოვებინა, უეჭველად დასცინცლავდა. თბილისში შევამოწმოთ, ხალნაწერთა ინსტიტუტში.
და გამოსწიეს დათქმულ ბინისკენ.
ვახტანგმა არც ისაუზმა, შეძვრა კარავში და ფიქრს მისცა თავი. „რამდენი ასეთი წიგნია ჯერ საპოვნელი“, – ამოიოხრა და დახუჭა თვალები, – „რამდენია დაკარგული, გადახიზნული, მომკვდარა ან მოუკლავთ მცველი და საიდუმლოც სამარეში, თუ ღირსებია, ჩაუტანია“.

„დაკარგული განძი“

„უძველესმა ტომმა დღემდის მოიმღერა,
მწიფე პურის ყანა ქარში როგორ ღელავს,
სარკინეთში გრდემლზე როგორ სცემენ უროს
და ვარსკვლავი ზღვაზე როგორ მოგზაურობს“.
ლ. ასათიანი

ვახტანგს ეჭირა ხელში სახარება და ფიქრობდა: რასაკვირველია, ეს ანატოლიიდან მოტანილი არ არის, ამ ოჯახის წინაპარმა აქაურ საყდარში იპოვა. საყდარში კი დარჩა მაშინ, როდესაც ოსმალთა მარბიელი ჯარი დაეცა სოფელს. ხალხი გაიხიზნა. ვის ეცალა ეკლესიისთვის, ეკლესიის წიგნებისათვის. რამდენი, რამდენი დაიკარგა ასე, გაიფანტა, გაიტაცეს, გაყიდეს; არა, შეიძლება არც გაყიდეს, დალპა და დაიმარხა. ამ მდინარეთა ხრამები ხომ მდიდარია სამალავებით, გამოქვაბულებით. ნუთუ არავინ შეინახა. არა, შეუძლებელია, შეუძლებელია, რომ ძველი წიგნების საცავები არ იყოს სადმე შემონახული. იქნებ თვითონ შოთას ნაწერიც, ვაფხისტყაოსანიც, აქ, ამ გამოქვაბულშია, რა გასაკვირია? – ჰკითხა თავის თავს და გადაიხედა ქარაფიდან ღრმა ხრამში. სადღაც ძირს, აბრეშუმის ძაფივით ჩანდა მდინარე, ქცია იყო თუ შავი წყარო? არა, ქცია ჩანდა. კიდევ დააკვირდა ხრამის კედლებს. აგერ, გაღმა ქარაფი ტყითაა დაფარული, ჯაგრცხილა, რცხილა, მუხა, ცაცხვი და იფანია, თუმცა ჯაგრცხილა და მუხა უნდა იყოს მთავარი. აი, იმ კლდეებშიც ბევრია, ალბათ, გამოქვაბული, მაგრამ არ ჩანს, ხეებითაა დაფარული. ხალხი კი განძეულს, პირველ რიგში, იქ ეძებს, სადაც ხედავს, რასაც ხედავს. რატომ იქ არ ვეძებთ, სადაც არ უძებნიათ? მიიხედ-მოიხედა, ახლომახლოს არავინ ჩანდა. წერაყინი ასწია, ტარი გაუსინჯა და ჩადგა ქარაფზე ფეხი. უცბად ქვა ფეხიდან გამოეცალა გრიალით ქვევით ჩაქანდა. კიდევ კარგი, წერაყინით დაყრდნობილი იყო და მეორე ფეხიც მიწისთვის ჯერ არ აეცილებინა. გადაქანდა, მაგრამ თავი ძლივს შეიკავა. „ეს როგორ მომივიდა?! ჯერ უნდა მომესინჯა, კარგად შემერყია“. ქვა კი მიგორავდა, ეხეთქებოდა კლდეებს და ამ უძირო ხრამში ისეთი ჭექა-ქუხილი ატყდა, გეგონებოდათ, წარღვნას აპირებსო. ხრამის კედელზე მდებარე მეორე ლოდს რომ ეჯახებოდა, ისიც წყდებოდა და სანამდე ძირს, ფსკერზე, ჭალაში, დაეცემოდა, ერთი ლოდი, ზევით, ქარაფზე მოწყვეტილი, ოცზე მეტი ლოდის მეგზური აღმოჩნდა. ვახტანგი სულგანაბული ჩასქეროდა და მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როდესაც უკანასკნელი ლოდი დგაფანით ჩავარდა მდინარის მორევში. თითქოს მიწყნარდა ქუხილიც და ჭექაც, ამის შემდეგ ვახტანგმა ფრთხილად ჩადგა ნაბიჯი. დააკვირდა, ლოდებს შორის ცხვრის ნავალიც ნახა. ბილიკი არ იყო, ცხვარს თუ თხას გაევლო წვრილი ძაფივით ჭირკვალი. ვახტანგიც ამ ჭირკვალს მიჰყვა, მაგრამ სიფრთხილეს არ კარგავდა. რამდენიმე ობსიდიანის დანა და ისრის წვეტიც ნახა. ჯერ არ აიღო, მაგის მეტი რა გვაქვსო, მაგრამ მერე გადაწყვიტა; ეს ახალი ადგილია, ვინ იცის, მეორე როდის გამოჩნდება აქ და შეაგროვებსო, ერთი ხუთი დანა და ათი ისრის წვერი ჩადო ზურგჩანთაში. ძირს ჩადიოდა, მაგრამ ცოტა ჯაფა არ ადგა. ზოგჯერ მუხლი უკანკალებდა და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. „ყველა ყველა, მაგრამ ცხვარს აქ რა უნდა? საძოვარი ზევითაა, აქ კი ნეკერის მეტს ვერას ნახავს. თუმცა, ვინ რას გაიგებს ცხვრის ამბავს“! შეიძლება შვლის გზაც იყოს. ფიქრობდა უფრო იმიტომ, უნდოდა სულ მარტო არ ყოფილიყო. ფიქრი თანამგზავრივით გვერდით ედგა, ესაუბრებოდა.
„ეს მაინც რა უცნაური ხეობაა. ჩქამი არ ისმის, არსად არავინ ჩანს,– ფიქრობდა, – თუმცა აგერ, ფასკუნჯი წრეს უვლის ცაში. რა დროს ფასკუნჯია და ცაში ყურება, კინაღამ ფეხი ამიცდა და წავიდოდი თავდაყირა, „მშვიდობით, საყვარელო დედ-მამავ“, – ალექსისა არ იყოს. და გაეცინა, „დედაენის“ მოთხრობა რომ მოიგონა.

ჩადგა ერთი ნაბიჯი კიდევ და რუკრუკით აფრინდა ორი კაკაბი. დაუშვეს წითელი ფეხები და პირდაპირ ხრამის გაღმა კედლისკენ აიღეს გეზი.
„რა კარგი იქნებოდა, რომ მეც მქონდეს ფრთები, ერთ-ორ დღეში მოვივლიდი ქციის გამოქვაბულებს. ჰო, რატომ მოვივლიდი? როგორ თუ რატომ? აქ უეჭველად უნდა იყოს შემონახული ბიბლიოთეკა, წიგნსაცავი. ვინ იცის, თამარ დედოფალსაც კი, ან რუსთაველისა. მონღოლების დროს გამოხიზნავდნენ, შეინახავდნენ. რომ ვნახავ, რა ამბავი ატყდება! შეიძვრება ქვეყანა, განა მარტო ჩვენში, მსოფლიოში. ათასი პერგამენტზე ნაწერი წიგნი ერთად ნახო, ხუმრობაა“?!
და ამ დროს ჩახტა კანიონის კედლის უკანასკნელი ქვიდან. მის წინ ანკარა ქციის ტალღები ცეკვავდნენ და ისმოდა წყნარი, უშფოთველი ჩქერა. დაიხარა, მუჭში დააგროვა წყალი და ჩაიხედა, წმინდა და ანკარა იყო.
ჩამოჯდა ნაპირზე და გაიხადა ნალებით დაჭედილი ფეხსაცმელი, ყაითნით გადააბა და კისერზე ჩამოიკიდა, შარვალი ჯერ მუხლებამდე აიკარწახა. „არა, სიფრთხილეს თავი არ ასტკივა“, თქვა და გაიხადა. ისიც კისერზე ჩამოიკიდა და შეტოპა, წყალი მუხლზევით მოადგა. საკმაოდ ცივი იყო.
„კი, მაგრამ, ჯერ გაღმა რატომ გავდივარ? იქნებ ჯობდა ხრამის მარცხენა კედელი მომეჩხრიკა? ეჰ, რაც არის, არის, ეგეც ჩემი გასაკეთებელია“. ჩამოიწურა ხელებით წყალი, ჩაიცვა ტანისამოსი და ახედა ტყით შემოსილ ხრამის კედელს. არაფერი ჩანდა მწვანე ფოთლების გარდა.
„მეტი ჯანი არ არის, ავალ და ჩამოვალ რამდენჯერმე, სიგრძივ დავსერავ“, და გადაიარა ვიწრო ჭალა. პირველად არც ძნელი ეჩვენებოდა, ხან ჯაგრცხილის, ხან მუხისა და რცხილის ტოტებს სწვდებოდა და იმის დახმარებით ნელ-ნელა მიიწევდა მაღლა. ხეების უმრავლესობა ტანბრეცილი იყო. ძირთან მარხილის ყელივით მოხრილი, როგორც ჩანს, მზისკენ მოიწევდნენ და მერე, რომ შეიმართნენ, ზროს ქვედა ნაწილი მოხრილი დარჩა.
- „რა სამარხილე ხეებია“! – გაიფიქრა, მაგრამ თვითონვე გაეცინა: „ახლა მარხილებს ვიღა აკეთებს ჩვენშიო“. ერთი მუხიდან ღუღუნი ჩამოდიოდა. აიხედა და ფოთლებში ძლივს შეამჩნია ორი ქედანი. ისხდნენ გვერდი-გვერდ და ნისკარტებით ერთმანეთს ეალერსებობდნენ. ვახტანგმა მუხის ტოტი მოიწია და რამდენჯერმე შეანძრია, ქედნებმა ერთი კი ჩამოიხედეს ძირს, ეს რა უცხო ვინმე მოსულაო და აფრინდნენ. „რას ვერჩოდი, შემშურდა თუ რაა? მეც მომინდა, ვინმე ყოფილიყო ჩემს გვერდით“. მოხვია მუხის ზროს ხელი და აიწია ზევით, აიწია და პირი დააღო, მის წინ გამოქვაბული ჩანდა, „ბიჭოს, იქნებ ეს არის, რასაც ვეძებ“. შევიდა, არ გასჭირვებია, ამოიღო ნათურა და გაანათა. ბაზალტის შავი, სველი კედლები ჩანდა, ჭერიდანაც წვეთავდა, სრულიად არაფერი ჩანდა. მაინც გულდასმით მიათვალ-მოათვალიერა, რომელიმე მხარეს ხვრელი ხომ არ არისო, მაგრამ ვერა ნახა რა და ჩამოფოფხდა მუხის ძირში.
- გამოქვაბულები ხშირად ერთ ხაზზეა, გაყვები გარდი-გარდმო, იქნებ სხვაც იყოს“... და ხან მუხის, ხან იფნისა და ხან რცხილა-თამელის დახმარებით ნელ-ნელა მიიწევდა წინ. „სწორედ ჩემთვისაა ეს ხეები, მათ შიგნით მოვექცევი, ისე ვივლი და ფეხი აღარ ამიცდება“. ზევიდან ფრთხიალი შემოესმა. ცა გახსნილიყო, ხუთი-ექვსი მეტრის სიმაღლეზე გამოქვაბულის პირი ჩანდა, მაგრამ პირდაპირ არ აისვლებოდა. კედელს უარყოფითი დაქანება ჰქონდა, გადმოხრილი იყო. ერთი ცაცხვი კელაპტარივით წასულიყო ცისკენ. „მის წვერზე რომ ავიდე და გადავიხარო გამოქვაბულისაკენ? აგერ, ბაქანიც ჩანს. იმ ბაქნიდან შევაღწევ“, – თქვა და მოემზადა. ზურგჩანთა ხეზე დაკიდა. ამოიღო თოკი („კაია, რომ ეს პატარა საბელი მაინც წამოვიღე“, – გაიფიქრა) , გადაიგდო მხარმარცხნივ, ჯიბეში ჩაიწყო სანთელი, ნათურა და აცოცდა ხეზე. გაუსწორდა გამოქვაბულს და გახედა, ბნელი ჩანდა. წვერზე ასვლა ვერას უშველიდა, ვერ მოხრიდა. აიწია ზევით და ერთ ტოტზე დადგა. მაგარი ჩანდა. „თუ მიშველის, ეს მიშველის“, – ფიქრობდა. ჩააბა თოკი ხეს, თვითონაც წელზე შემოიკრა და ფრთხილად გაჰყვა გამოქვაბულისკენ გაშვერილ ტოტს. ზევითა ტოტი დაიწია და მარცხენა ხელი ჩასჭიდა, მარჯვენით კი წონასწორობას ინარჩუნებდა. ტოტის ნახევრამდე რომ მიაღწია, ის დაიზნიქა, უკვე საშიში იყო წინ წასვლა. არც აცია, არც აცხელა, აიღო ფეხი და ისკუპა. კიდევ კარგი, ბაქანზე უცვეთელას ბუჩქი იყო, ჩასჭიდა ხელები და ფეხი მოიმაგრა. მძიმედ სუნთქავდა. მოითქვა სული, მოიხსნა თოკი და გამოაბა უცვეთელას. ფრთხილად წავიდა გამოქვაბულისკენ და მალე შეაღწია; ისე გაუხარდა, რომ ორი-სამი წუთი გაღიმებული იდგა. გამოქვაბულში ოთხი-ხუთი მეტრის შემდეგ უკუნეთი იყო. მოიმარჯვა ნათურა და წავიდა. დიდი გამოქვაბული ჩანდა. ეს არ იყო უბრალო სასუნთქი, შეიძლება ოდესღაც ბუნებრივი გამოქვაბული ხელოვნურად გაეფართოვებინათ. კედელს ეტყობოდა წერაქვის ნაკვალევი. ამან მთლად გაახალისა, „ აქ დიდხანს უცხოვრიათ, სახელდახელო ცხოვრებისათვის კედელს არავინ ჩამოასუფთავებდა“. აღმოსავლეთის კედლის გასწვრივ მერხივით იყო გამოთლილი კლდე. „ ბიჭოს! ეს მძიმე კლდე თუ თალეს, ხუმრობა არაა. ალბათ დიდი ხნით დაბანაკებულა აქ ვიღაც“. გამოქვაბულის კართან, კედელთან, ქვების გროვა იდგა; თითო ლოდი ისეთი იყო, რომ ადამიანი მოერეოდა და ქვევით ჩააგდებდა. ქვების გროვასთან ობსიდიანის ისრის წვერები ეყარა, რამდენიმე ათეული იქნებოდა. ისრებიც ეწყო. უნდოდა, ერთი ისარი აეღო, მაგრამ მოჰკიდა თუ არა ხელი, მტვრად იქცა. ვახტანგი შეკრთა და ნაბიჯი უკან გადადგა. იქვე, კედელთან, რამდენიმე მშვილდიც იდო. ვეღარ გაბედა ხელის

ხლება, ვაითუ ისინიც დაიფერფლონო. შუა დარბაზში კერა იყო. ნაცრითა და ნახშირით ეტყობოდა. კერიის ირგვლივ რამდენიმე ვულკანური „ყუმბარა“ იყო, სკამებად. „ რაღა ვულკაური ყუმბარა“? , „ჰო, უფრო მსუბუქია, ადვილია გადატან-გადმოტანა. საოცარია, თითქოს გუშინ წასულანო, ისე მეჩვენება, მაგრამ ალბათ რამდენიმე საუკუნეა გასული, ჯერ კიდევ მშვილდ-ისარია ხმარებაში, დაფუტუროვებულია, მტვრად ქცეულა“, – ბუტბუტებდა. ნელი და ფრთხილი ნაბიჯით, თითქოს ეშნია, არ შეაშფოთოს ისინი, ვინც აქ ცხოვრობდნენო, დადიოდა და სინჯავდა კედლებს, მათ ძირსა და კუთხეებს. ვახტანგი დარწმუნებული იყო, აი, ახლა გაიღება კარი და მასპინძელი შემომეგებებაო. უცებ ფეხი წამოკრა რაღაცას, ამ უცნაურ სიჩუმეში ლითონმა დაიჟღრიალა. შეკრთა, უკან დაიხია, ნათურა მიანათა. ხმალს ჰგავდა, დაიხარა, ხელში აიღო, მოიქნია, თითქოს მტერს შეეფეთაო. გაიცინა და მერხზე დადო.



წალკის მუხა ახლო

გამოქვაბულის სიღრმეში კედელი ხელუხლებელი იყო, ლოდებით ჩახერგილიყო, ისევე როგორც გარეთ, ქარაფზე. ერთ ლოდს ხელი დაადო; იგრძნო, თითქოს შეინძრა. უცბად აუშვა ხელი, ცოტა ხნის შემდეგ უფრო გაბედულად დაადო ხელი და შეარხია. სიხარულით გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო. მთელი ძალით დააწვა და ჰოი, საკვირველებავ! ლოდი უკან გადავარდა და სადღაც იქვე, ლოდებს უკან, ბრაგვანი გაადინა.

უკუნი სიბნელე იდგა. ფრთხილად მიუახლოვდა და ნათურა შეანათა. დარბაზს ჰგავდა. იდგა გაშეშებული და წინ ვერ მიდიოდა. ბოლოს გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და გადაყო თავი. აამუშავა ნათურა და კინაღამ გული წაუვიდა: ერთი კედლის ქვის თახჩები წიგნებით იყო სავსე.

ჭირის ოფლმა დაასხა. „ნუთუ ასრულდა“?! იქვე სარკმელთან ჩამოჯდა და თავის გულის ბაგა-ბუგს ყური მიუგდო. ცოტა რომ დამშვიდდა, ფრთხილად გადავიდა ამ დარბაზში და მიადგა თახჩებს. ხრიალებდა ნათურა და ვახტანგი ითვლიდა:

„ოცი... ორმოცი ... ასი ...ღმერთო ჩემო, რამდენია“! ამოიღო ჯიბიდან სანთლები და აანთო. „ეს რამდენია ოქროს ყდიანი წიგნი? ნუთუ ბეშქენისაა, უეჭველად მისი ნაჭედია; აი, რა ლამაზი და ნაზი ხვეულია, აგერ მეორე, მესამე... აქამდე ხომ მხოლოდ ერთი ჭედური გვქონდა მისი ნაკეთები, აი, ეხლა უკვე მეთერთმეტეს ვითვლი ... შენი გულისა“!...

შესძახა და შეტრიალდა. ცეკვავდა, არა, არ ცეკვავდა, როკავდა, როგორც ქვის ხანის მონადირე, რომელმაც უზარმაზარ ნადირს სძლია... მისი ჩრდილი დევკაცების ჩრდილივით ელავდა ოდნავ განათებულ დარბაზში. ამ ტრიალის დროს შეამჩნია, რომ მეორე კედელზე თახჩები გამოტენილი იყო ოქრო-ვერცხლის ჭურჭლით, რომელთაც ძვირფასი თვლები ამშვენებდა. დაწყნარდა, მივიდა. აქ იყო სურები, საღვინეები, სასმისები, აზარფეშები, ბადიები, ხონჩები, ტაბაკები.

ფრთხილად გადაფურცლა რამდენიმე ფურცელი. პერგამენტმა თავისთავად დაიტკაცუნა. ჩააკვირდა: პირველი ასოები ჩათვლით დაიწყო, მეორე კი გაუადვილდა, ალბათ თვალი შეაჩვია მკრთალ სინათლეს:

„და ვითარცა იხილა იესო ერთი იგი, აღვიდა
მთასა და დაჯდა იგი მუნ, და მოუხდეს მოწაფენი მისნი.
„და აღიღო პირი თვისი, ასწავებდა და ეტყოდა:
„ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“.
„ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულით, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქნენ“.

„ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანაი“...
ეს ხომ „წმინდა ოთხთავია“, სახარება მათესი.
- ეჰ, ჩემო მათე, ნეტარება ეხლა არას გვარგებს... და ფრთხილად დადო თავის ალაგას, – მაგრამ ხომ გამოგვადგება ენის სიმდიდრისათვის, კიდევ...
ამ დროს აიღო მეორე და საგალობლები იყო. აიღო კიდევ ერთი და კვლავ გაოცდა.
ყდა ამას უკვე ბექა ოპიზარის ნახელავი ჰქონდა, ასომთავრული იყო.
„ ამ ასოცი წლის წინათ ჯაღამ დაწერა ცხოვრება ფარნაოზისა“...
თვითონ წიგნი რა დროინდელია? ჩაათვალიერა ანდერძი. იანგარიშა ქორონიკონი და ამ წიგნის დაწერის დროს 435 წელი იყო. მაშასადამე, ჯაღა უნდა ყოფილიყო 315 წელს.
ჩვენ კი ყველაზე უძველესი შუშანიკის ცხოვრება გვაქვს. რასაკვირველია, შუშანიკის ცხოვრება შეეძლო დაეწერა მას, ვისაც წინაპარი ჰყავდა. ალბათ აქ ვნახავ ჯაღას წიგნსაც, რომელიც თითქოს მარტო თარგმნიდა, ასე ვარაუდობენ.
თვალებანთებული ჩაჰყვა პირველ თაროს. ოქროსყდიანი წიგნი გადმოიღო, სქელი იყო, გადაშალა და თვალები გაუბრწყინდა:
„დილარგეთიანი“ აღმოჩნდა.
„ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ხონელსა.
აბდულ-მესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ სარგვის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა.
ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ შეუშრობელსა“.
დაკარგულიაო, პეტრე ლარაძემ ხელახლა დაწერაო. აი, სადა ყოფილა თავშეფარებული. ფრთხილად გადაუსვა ხელი და დადო თავის ადგილას.
ეს რაღა უნდა იყოს, ვერცხლის კოლოფია. აიღო, გახსნა, შიგ პაწაწინა წიგნი იყო. ხელისგულზე დაეტია. ნუსხა-ხუცურით იყო ნაწერი, ბევრი ეცადა, მაგრამ ვერ წაიკითხა, დღის სინათლე იყო საჭირო.
მართლაც, თაროს ბოლოზე ნახა წიგნი, რომელიც ანდერძში ჯაღის იხსენებდა. ჯაღი და ჯაღა ბ-ნ კორნელის ხომ ერთი ჰგონია. „ვეფხისტყაოსნის“ სამი თუ ოთხი წიგნი ნახა, ერთის ფურცლები ვარაყით იყო მორთული, ცალ გვერდზე ტექსტი ეწერა, მეორე მთლიანად მოხატული და მორთული იყო, უეჭველად საკუთარი ხელნაწერიც იქნება. როგორ ჩავიტანოთ თბილისში? აქ უნდა ამოვიყვანოთ მინდიაც, გიორგიც, ლელაც და თბილისის მუზეუმში ჩავზიდოთ. პირველი გზის შემდეგ, ამ დარგის ყველა ჩვენი მეცნიერი აქეთ გამოსწევს. კარში რომ გავალ, კარგად უნდა მოვინიშნო, რომ ადგილი საძებარი არ გახდეს. ოჰ, რა უთავბოლო ვარ, რად დავტოვე ჩანთა, ეხლა ერთი-ორი წიგნი მაინც არ წავიღო“?. გაიხადა სვიტრი, მოუკრა თავი და სამი წიგნი ჩადო; ერთი ვეფხისტყაოსანი, ვერცხლის კოლოფი და სახარება.
ეძნელებოდა წამოსვლა, მაგრამ აქ როდემდე უნდა ყოფილიყო?!
ფრთხილად გადმოვიდა პირველ დარბაზში, სარკმელი იქვე მიყრილი მოგრძო ლოდებით ამოაშენა და გამოვიდა ბაქანზე. უცვეთელას თოკი ახსნა, შეიბა წელზე და ისკუპა იმ ტოტისაკენ, რომლითაც აქ გადმოვიდა. ისკუპა და წამოედო ქვას, ფეხი აუცდა ტოტს. ორივე ხელით უნდოდა წასჭიდებოდა ცაცხვის ტოტს და წიგნებით სავსე სვიტრი გაუვარდა. გაუვარდა და თვითონაც უფსკრულისაკენ ჩაქანდა. მიფრინავდა და ამ ფრენას ბოლო არ უჩანდა... ბოლოს ერთ ხის ტოტს გამოედო და დაინახა, რომ წიგნები აქაფებული მდინარის ტალღებში ჩაინთქა.
- ვაიმე, წიგნები!... იღრიალა.
- რა წიგნები, ვახტანგ, რა იყო? რა დაგემართა!
- ჰა, არაფერი ... და გაახილა თვალი.
და როდის-როდის უამბო ის, რაც თავს გადახდა.
- მაინც მწამს, რომ ეგეთი წიგნსაცავი იქნება ... და ვიპოვით.
- რაღა შენ ხედავ ეგეთ სიზმრებს?
და ოთხივემ გულიანად გაიცინა.

ძველი თრიალეთის დარაჯი

მუხავ, მიყვარხარ ტიალო,
განმარტოებით მდგომარევ.
ბაჩანა

დილაადრიან აშალეს კარვები, აიკიდეს თავიანთი გუდა-ნაბადი, დაადგნენ შარას და შვიდ საყდარში ჩამოვიდნენ. აქ მართლა ყოფილა შვიდი საყდარი, მაგრამ ძველი წარწერა ერთმა შემოინახა. დღევანდელი

თრიალეთის 50 სოფელში და მრავალ ნასოფლარში არის საყდარი თუ საყდრის ნანგრევები და თითქმის ყველგან არის წარწერა, თუმცა დღეს, როდესაც ძეგლთა დაცვა სახელმწიფო საქმედ გადაიქცა, მათი სათანადო მოვლისთვის ჯერჯერობით თავი ვერ მოგვიბამს.
სოფ. კუშჩთან ქციას ორი-სამი მდინარე უერთდება, ესენიც იმ მრავალი წყაროდან იქმნება, რომლებითაც ეს მხარე ასე მდიდარია.
სოფ. წითელ საყდართან ორი მდინარე იქმნება, ერთი, წითელი საყდრის სახელწოდებით, ქციას სოფ. კუშჩთან უერთდება, მეორე, მდინარე ოზნის სახელით (სოფ. ოზნის ქვემოთ), ქციასვე უერთდება, კუშჩის შერთულთან. აქ ქცია დაბალ ნაპირებს შორის მოიტბორება, ჭაობებსაც ქმნის; კუშჩისა და შვიდწყაროს შუა საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს ნესტიან მდელოებს. მდინარე გუმბათი კი გამოივლის სოფელ გუმბათს, შვიდ საყდართან უერთდება ქციას. აქედან ქცია მრავალ მიანდრებსა[69] ქმნის იმ სამკუთხედში, რომელიც შექმნილია წინწყაროს, დარაქოისა და ცალ-ეკლესიისგან, მერე უერთდება წალკის წყალსაცავს. ეს წყალსაცავი საკმაოდ დიდია. ის წინწყაროდან გადაჭიმულია ბეშთაშენამდე, ე. ი. 12 კმ. სიგრძისაა, უდიდესი სიგანე დაბა წალკასთან აქვს, 3-4 კმ. კარგ ამინდში, როდესაც ქცია წმინდაა, წყალსაცავის ძირზე წყლით დაფარული სოფლები და ეკლესიები მოჩანს კიდევ.
წალკასთან, გზის პირას, იდგა მათი მრავალი ჭირის მნახველი მანქანა.
- მინდია და გიორგი წყალსაცავის ნაპირზე არიან და იქ გიცდიან, – უთხრა თემურმა. მოიხსნეს გუდები და შემსუბუქებულებმა გასწიეს უფროსებისკენ.
გულიანად მოიკითხეს ერთმანეთი, უამბეს დაწვრილებით ნანახი და, რასაკვირველია, ობსიდიანის სამჭედლოს ამბავიც.
- ეგ ხუმრობა საქმე არ არის, მით უმეტეს, თუ ჩონჩხებიცაა; ჩვენს არქეოლოგებს ბევრს ეტყვის, – დაასკვნა მინდიამ.
როდესაც საქმიანი საუბრით გული იჯერეს, ერეკლემ გადახედა ვახტანგს და მინდიას ეუბნება:
- მინდიავ ბატონო, ყველას მაინც ვახტანგმა გვაჯობა, – გიორგიმ ყურადღებით შეხედა ერეკლეს.
- ეს როგორ? – იკითხა მინდიამ.
- ქციის ხრამის გამოქვაბულში თამარ მეფის ბიბლიოთეკა იპოვა.
-?!
- დიახ, ბიბლიოთეკა, უფრო სწორად, საცავი, – ვახტანგმა არ შეიმჩნია ძმის კილო, მაგრამ სარმა კი გამოჰკრა და კინაღამ ამოაყირავა.
- სიზმარში, არა? – დაასწრო ყველას ლელამ.
ვახტანგმა თავი დაუქნია.
- შეიძლება ეგ სიზმარი ოდესმე ახდეს.
დაბა წალკაში ზეთის სახდელი დოლაბი ნახეს. ვახტანგს ახლა მოაგონდა, რომ ასეთი ქვები ზოგ გამოვლილ სოფელშიც ნახა. ესეც კიანეთიდან არის, ალბათ, ამოტანილი.
თრიალეთში სელი დიდი რაოდენობით ითესებოდა. მეოცე საუკუნის დასაწყისშიც ყოველ ოჯახს ეთესა. სელი ხომ სამარხვო ცხიმს იძლეოდა.
მარხვაში აქ დიდ პატივში იყო ასლები; ასლი (ცალმარცვალა, ორმარცვალა თეთრი, ორმარცვალა წითელი) ითესებოდა, როგორც მინდვრის ერთ-ერთი ძირითადი მცენარე. გარდა ასლისა, მინდორში ძირითადი იყო ოთხრიგიანი ქერი, ჭვავი, დოლის პური (შედარებით მცირე), თეთრი დიკა და წითელი დიკა, შავი ნარევად გვხვდებოდა. ბევრი ირგვებოდა კარტოფილი. ბოსტნეული მცირე რაოდენობით მოჰყავდათ. სოფლის მეურნეობის დარგებიდან ძირითადად მაინც მესაქონლეობას მისდევდნენ, ჰყავდათ ჩვენებური მთის ძროხა, ცოტაოდენი ცხვარი. ძველად წალკა ერთ-ერთი ღარიბი და ჩამორჩენილი მხარე იყო. დღეს ყოველ სოფელშია სკოლა, რაიონში კი რამდენიმე საავადმყოფოა.



ჯუმბერი ქვაყრილზე

თავკვეთილის ქვაყრილი

ქვათავას ჩაუარეს, წალკის ახალქალაქის ნანგრევებს. აქ, ამ ქალაქში, იყო სამხრეთ საქართველოს მმართველების რეზიდენცია. აქ დიდხანს მუშაობდა და მოღვაწეობდა, როგორც იცით, ვახუშტი ბატონიშვილიც. ამ ძველი ქალაქიდან დარჩენილია ერთი პატარა, კოპწია, ბოლნისური ქვით ნაგები გუმბათჩამონგრეული ტაძარი.
წარწერა მრავალია. დიდ ქვაზე ლამაზი ასომთავრულით წერია:
„მადლითა ღმრთისაითა ქრისტე ადიდე რატ ერისთავთ-ერისთავი“.
ალბათ ესეც ერთ-ერთი ბაღუაშთაგანია, რომელიმე ლიპარიტისძე.
- ყური მიგდეთ, ბიჭებო:
„ თითქმის ხრამის პირიდანვე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გაწოლილია პატარა გრძელი მთა, რომლის მდინარისაკენ მიქცეული ფერდო და მწვერვალი ვულკანური ქვების დოლებითაა დაფარული. ალბათ სოფელსაც, რომელიც ამ მთის ძირშია ნასოფლარზე გაშენებული, ტაშ-ბაში (ქვის თავი) იმიტომ უწოდეს, თორემ ეს ხომ ნაქალაქარია. თრიალეთის ახალქალაქი აქ იყო. მთის წვერზე, ლოდებში ერთადერთი მუხა დგას, „ნაშთი ძველი დიდებისა“.
გაშლილ ველზე, სადაც გაზაფხულობით, მრავალნაირი იოტა ყვავილი ბიბინებს, სადაც ზაფხულში დედამიწას ალმური ასდის, გადახრუკულა ბალახი და ქარის წამობერვაზე, იმის მაგივრად, რომ ველს მზეკაბანმა გადაურბინოს, მტვრის კორიანტელი დგება, იშვიათად, მაგრამ მაინც შეგხვდებათ ეულად მდგარი, ტოტებგაშლილი ხე, მუხა ან თელა, ან თუნდაც ბერყენა.
ბევრი ასეთი ეულად მდგარი მუხა მინახავს, ბევრის ჩრდილში დაღლილს დამისვენია და თითქმის ყველგან ერთი და იგივე ჩურჩული მესმოდა, მაგრამ ყველა მუხათა შორის მაინც თრიალეთის მუხა მიდგას თვალწინ, იქნებ იმიტომ, რომ მის ახლომახლო, მთელი დღის სავალზე, სხვას ვერას ხედავს თვალი. ის მართლაც ეულად დგას. აი, სწორედ ის, ქვათავას წვერზე რომ დგას, ტოტებგაშლილი და ბარაქიანი, ძველი თრიალეთის ერთადერთი მუხა. აქედან თრიალეთის უზარმაზარ ზეგანს რომ გადახედავთ, ხეს ხომ ვერსად დაინახავთ, აქ კი უზარმაზარი, მრავალ ასეულ წელთა მომსწრე, 400-500 წლის მუხა, ეულად და ობლად, მაგრამ ამაყად დგას და გასცქერის ძველი ახალქალაქის, ეძანის სოფლის ნანგრევებსა და ნაოხარს. მას ახოსვს ის დრო, როცა ამ ნაქალაქარსა და ნასოფლარებში სიცოცხლე დუღდა და გადმოდუღდა, შენდებოდა ახალი სოფლები, ტაძრები, იწერებოდა წიგნები, ითესებოდა მინდვრები, შენდებოდა ბაღები, ხალხი მომავალს შეხაროდა. ხალხმრავალი იყო მაშინდელი თრიალეთის ეს ნაწილი და არც მუხა იყო მარტო, მის ირგვლივ ტყე იყო აქოჩრილი.

შემოდგომის ერთ ცრიატ დღეს ამ მუხის ძირთან მოვხვდი. ანაზდეულად დაუბერა სუსხიანმა ჩრდილოეთის ქარმა. ახმაურდა მუხა, ტოტი ტოტს დაეჯახა, დაიჭახუნა, დაიკვნესა და რაღაც საომარი სიმღერა წამოიწყო... მის ძირში მინაბულს, ქარს მორიდებულს, ნაბადწამოსხმულს მესმოდა მისი სიმღერა:

„ მრავალი საუკუნე მიცხოვრია, ბევრი ჭირი და ვარამი გადამხდენია, ბევრი თანამგზავრი გამომცლია მხრიდან, ქარსა და ქარიშხალს, გრიგალსა და ქარაშოტს ბევრჯერ გადაუვლია ჩემს თავზე, იქნებ ტოტი შეუტეხია, მაგრამ ფესვი კი ვერ შეურყევია, ვდგავარ ფესვმაგარი, ტოტღონიერი; ომში შესულ კაი ყმასავით, უკან არ ვიხევ; ვდგავარ და ასე ვიდგები. აი, მოვესწარ იმ დროსაც, როდესაც ნატყევარ მთებსა და გორაკებს ახალი სიცოცხლის მახარობლები, წითელყელსახვევიანი ბავშვები შეესივნენ და რგავენ ხეებს, ბუჩქებს. აშრიალდება კვლავ ტყის ტევრი ... ამ ყურადღებამ მეც მიშველა და ამ ლოდებს შორის აღმოცენდა ჩემი ნაშიერი. ისიც მალე გაიზრდება, მხარში ამომიდგება. იგრიალე, დაუბერე ქარიშხალო“ ... ისმის ტოტების ჭახაჭუხი, გრგვინვა და მუხა ჰყვება თავის თავგადასავალს... აი, ასეთია ეს მუხა.

- სამხრეთ საქართველოს ზეგნებს ვტოვებთ და ერთხელ კიდევ მოიგონეთ მისი ბუნებრივი პირობები, წარსული.

- ამ უტყეო მხარეთა წარსულში ტყიანობის ბევრი საბუთი არსებობს. აკი ეს თრიალეთის მუხაც თავის სიმღერაში, ქარიშხალს რომ შეაგება, ამაზე გვიამბობდა.

- ყოველივე ამის ცოდნას შეუძლია თუ არა რაიმე სარგებლობის მოტანა? რასაკვირველია, შუძლია. რაკი ვიცით, სად რანაირი მცენარე ხარობდა, რანაირი ტყე იყო, ამჟამადაც შეგვიძლია შევუდგეთ ამ მხარის გატყიანებას. იქ, სადაც საჭირო, სასარგებლო და აუცილებელია, მაგრამ სად არ არის საჭირო? ტყე ხომ ბუნების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. ყოველ მხარეში ტყე იმ რაოდენობით უნდა შევინარჩუნოთ, რამდენადაც საჭიროა ბუნების ჰარმონიულობის დასაცავად.

ბევრჯერ ამივლია თრიალთ-ჯავახეთის გზაზე და შორიდან დამინახავს წერტილივით მთის წვერზე რაღაც ხე, მაგრამ საქმე ისე მიდიოდა, რომ იმ ხესთან ახლოს მისი პირველი დანახვიდან მხოლოდ მეოცე წელს მივედი. მივედი და გული სინანულითაც აივსო და სიხარულითაც. ძველი, დიდი ხნის უნახავი მეგობარივით დავუკარი თავი, ქუდი მოვუხადე და გამარჯვება ვუსურვე. დიდი გზა აქვს გამოვლილი და დღესაც კიდევ ცოცხალია.

უმოწყალო ხელით დაინთქა ამ მუხის ირგვლივ მოშრიალე ტყე; წარსულში მტერთა ხშირი შემოსევა ცოტა ზიანს როდი აყენებდა ამ ტყეებსაც.

ზაფხულში დამპყრობთა ურდოები ჯავახეთ-თრიალეთის გზით მოდიოდნენ (რემათა და ხვასტაგთა საკვები, საძვარი, აქ უხვად იყო). გზადაგზა მტერი ანადგურებდა ყოველივეს, რაც სამშობლოს დამცველებს თავშესაფარად გამოადგებოდათ. ერთხელ ხომ არ წამოსულა საქართველოზე მტერი და „ გასტეხს ქვასაცა მაგარსა წყალი წვეთ-წვეთად მდინარი“! – გატყდა ტყეც, მით უმეტეს, ბუნების პირობების ცვალებადობა, სინესტის შემცირებაც, ამას ხელს უწყობდა; ხალხიც, ხშირად ომებით წელში გაწყვეტილი, სათანადოდ ვეღარ უვლიდა, უთავბოლოდ ჩეხდა, აახოვებდა, საქონელს აძოვებდა... და ტყეც შეცვალა ველმა.

დღეს ჩვენს თრიალეთის მუხას უხარია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა მთა-ბარს შეესია და რგავს ხეებს: მუხასა და წიფელს, ფიჭვს და ნაძვს, აკაკის და საკმლის ხეებს, თელასა და ნეკერჩხალს და მრავალ სხვას. სწორედ წარსულის ამ იშვიათი მოწმეების წაქეზებითაცაა, რომ ირგვება ხეები, შენდება ტყეები, მაგრამ, სამწუუხაროდ, ჯერ იმ ტემპით არა, როგორც გვჭირდება.

ქარი ჩამდგარა, მუხა ოდნავღა შრიალებს, ქარტეხილმა ვერს ახლა დააკლო რა და დროა, მეც გავუდგე ჩემს გზას. და როცა გავუდგები, თან თრიალეთის მუხის უტეხი გული გამყვება, ოთხასი წელი ხომა არის, რაც ის თრიალეს გასცქერის, იცის მისი დალხინებაც და ავბედობაც, ალბათ მოესწრება ახალ დალხინებასაც.

- რატომ არ მოესწრება, ჩვენ ხომ იმიტომ ვმუშაობთ, რომ ეს დალხინება, რაც შეიძლება, მოვიახლოვოთ.

- „ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა“, – თქვა გივიმ და გადახედა ამხანაგებს.

- ეს მუხა აღმოსავლური მუხაა, მთის მუხა. ზღვის დონიდან აქ 1750 მეტრია, ე. ი. სწორედ ამ მუხის ადგილსამყოფელი. სხვა ნიშნების მიხედვით, ისე, როგორც ზურტაკეტში და ჯავახეთში, აქაც მთის ტყე იყო, მაგრამ ჟამთა სიავემ მოსპო და ტაშ-ბაშის მუხა თუ შემორჩა, ისიც იმიტომ, რომ აქაურების მიერ იგი წმინდა ხედაა აღიარებული და მის ძირში ხატი დღესაც ასვენია, —დაასრულა გიორგიმ სათქმელი.

- აქ ერთადერთი ტბაა და მას უნახავად ხომ არ წავალთ, – გამოაცხადა ვახტანგმა და ხელი მარცხნივ გაიშვირა. როდესაც მთავარ გზას დაადგნენ, მანქანამაც გადაუხვია მარცხნივ.

მალე მათ წინ გამოჩნდა მომცრო ტბა და მის დასავლეთ ნაპირზე გაშენებული სოფელი ბარეთი, რომელსაც ახლანდელი მცხოვრებნი, ბერძნები, ბაშკევის ან ბაშქოის ტბას ეძახიან და რუკებზეც ასეა აღნიშნული. ტბაც ბაშკევის ტბად იწოდება, მისი ნამდვილი სახელი კი ბარეთის ტბაა.

ბარეთის ტბა ზღვის დონიდან 1600 მ. სიმაღლეზეა. ტბა პატარაა, ფართობი კვადრატული კილომეტრნახევარი იქნება, ე. ი. 150 ჰექტარი. იკვებება თოვლისა და წვიმის წყლით. მდინარე არ ერთვის. სიღრმე, საშუალოდ, ერთი-ერთნახევარი მეტრი იქნება.

ტბა საინტერესოა მცენარეულობით. ირგვლივ, განსაკუთრებით დასავლეთი მხარე, ის, რაც სოფელს აკრავს, ტორფიანი ჭაობია. აქაურ ბერძნებსაც ეს კარგად აქვთ გამოყენებული: ჭრიან ბელტებს და ეზოს ღობე-ყორეზე ერთმანეთზე ალაგებენ, ისე, როგორც წივას სხვა სოფლებში, გამოსაშრობად. ძირითადად, საწვავადაც ამას იყენებენ, ესაა ბარეთის ტბის დიდი სიკეთე აქაურებისათვის.

ნაპირის მცენარეულობაში ბევრია ლაქაში, ლისი, ჭილი, წყალში ჩაყურყუმელავებული რქაფოთოლა, წყლის ბაია, წყლის მატიტელა. წყლის ზედაპირზე კი ამოტივტივებულია დუმფარის ფოთლები და დიდი ლამაზი თეთრი ყვავილები.

შორეული ჩრდილოეთის მცენარეც ცოტა არ იყო, მწერიჭამია წყლის სანთელა, აგრეთვე წყლის სამყურა და სხვები.

განსაკუთრებით შალვა არ მოეშვა, ისლის ყოველი კორდის წინ ჩაცუცქდებოდა და სათიათაოდ არჩევდა: „ამ კორდებში ბევრი საინტერესო მცენარე იცისო“.

ერეკლემ შარვალი გაიხადა და ფრთხილი ნაბიჯით გასწია დუმფარების ჯგუფისაკენ. ის-ის იყო მიუახლოვდა, რომ გველნაკბენივით გამობრუნდა და ნაპირისკენ მოცოცხა.

- რა იყო, ბიჭო, რა მოგივიდა? – მივარდა ვახტანგი.

- გველი მოიკლაკნებოდა ჩემსკენ!

- მერედა, წყლის გველი ხომ შხამიანი არაა, – ჩაერია მინდია.

- გველი არაფერი, მაგრამ ეს წურბელები რომ აგიკრეფია უკვე სხვაა! – დაიხარა გიორგი და ბარძაყიდან ორი წურბელა ააგლიჯა.

- როდისღა მოასწრეს? – გაიკვირვა ვახტანგმა და მანქანიდან სპირტი და იოდი მოარბენინა, სპირტიანი ბამბით ჩამობანეს ბარძაყები და ნაწურბელევზე იოდიც წაუსვეს.

- ბატები და იხვი მაინც მოამრავლონ, ისინი გაწმენდნენ ტბას.

სოფელში სამი ძველი ტაძარია. ერთი ბარეთელებს გადაუკეთებიათ. ორისა კი ნანგრევებიღაა. ერთი საყდრის პერანგი დატაცებულია. მხოლოდ ერთი დიდი ლოდი დარჩენილა, რომელზედაც ექვთიმე თაყაიშვილმა ამოიკითხა:

„ სახლითა ღმრთისათა მე ანტონი მანგლელმა აღვაშენე ეკლესია ესე“.

ეს ის ანტონი უნდა იყოს, რომელიც დიმიტრი თავდადებულის დროს ცხოვრობდა და „დიმიტრის თან გაჰყვა ურდოშიო“, – დაასკვნის იგი.

ტაძრები, როგორც ვთქვით, ყველა თლილი ქვითაა ნაგები. ამავე დროს, თლილი ქვის უმრავლესობა დიდია, სიმაღლე-განი ბევრჯერ ერთ მეტრზე მეტია. დიდი ფილებით შენება სწორედ თრიალეთისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ამის სათავეებზე შემდეგ ვისაუბროთ.

ჩრდილოეთისაკენ სოფელი არჯევან-სარვანია, აქაც სამი ტაძარია, დღეს თათრები ცხოვრობენ და მის ზევით სოფელი „გედა კლარია“.

- აბა რომელი ქართული სიტყვების გადაკეთებაა, გივი? – ჰკითხა ერეკლემ. თვითონ იცოდნენ, ჯერ ხომ კიდევ ბავშვობის დროს იყვნენ აქ და მაშინ გიორგიმ ყველაფერი აუხსნა.

კარგა ხანი რომ ატრიალა ეს სიტყვები, ისევ თვითონ მიეშველნენ: „კლდეკარიო“.

მართლაც, მის მოშორებით თეძმის და ალგეთის სათავეებშია კლდეკარის ნანგრევები. აქ მართლაც ტინ კლდეშია გაჭრილი კარი.

ეს კარი კეტავდა შიდა ქართლის გზას (კლდეკარი – რკონი – ხოვლე – კასპი).

სოფ. არჯევანი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი საზაფხულო რეზიდენცია ბაღუაშებისა.

გზაზე რომ გამოვიდნენ, ვახტანგმა მანქანა დააყენებინა, გადმოვიდა და გაიხედა თრიალეთის ზეგნისკენ, ხელი დაუქნია.

- რაო?

- თრიალეთის მუხას სიტყვა დავუგდე.

- რა სიტყვა?!

- კარგად იყოს, ვაჟკაცურად:

ჯერ მზე არ ჩასულა,
დღე კიდევ დიდია,
თეთრი გვირილები
ჯერ კიდევ მზისკენ მიდიან ...

როგორც თამარ ერისთავი იტყოდა.

უკვდავი სული

ნეტავი ძმათა მრავალთა, შინ ვერვინ შეუხდებაო,
ვერვინ აგინებს ცოლ-დედას, ვერც ვინ ცხენ შეუჯდებაო.

ხალხური

ამირანმა ფეხი წაჰკრა

მანგლისში ჯერ არ ჩამოსულიყვნენ, როდესაც მზემ ამოუსწრო და ბრწყინვალე სხვებით გული გაუხალისა. გოხნარის ტაძრის ნანგრევთან შეაჩერებინა გიორგიმ მანქანა. როდესაც ყველა გადმოვიდა, მინდიას მიმართა:

- შენ და თემური ალგეთის მდინარეს ჩაჰყევით და იქ, სადაც ბზის წყალი უერთდება ალგეთს, ჩვენც ჩამოვალთ. მზე რომ გადაიხრება, სადილის თადარიგს მაშინ შეუდექით. შეიძლება მანგლისშიც მოასწროთ ასვლა და სამწვადეებიც იშოვოთ!

ამის შემდეგ მიუბრუნდა დანარჩენებს, ისინი ეკლესიას ათვალიერებდნენ, თუმცა რაღა ეკლესიას, კედლებიღა იდგა. თაღებჩამონგრეული, თლილი ქვით ყოფილა მოპირკეთებული, ორი ფილაღა არის დარჩენილი, კარებთან და დასავლეთის კედელში. დანარჩენი ჩამოუხსნიათ და გაუზიდავთ მანგლისში, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში, პოლკის ტაძრის ასაშენებლად. ამ ნატაძრალის სიგრძე 8 მ და 60 სმ-ა, სიგანე 6 მ. და 40 სმ.

სამხრეთ კედელში, კარის თავზე, ჩატანებულია უზარმზარი ქვა-ლოდი; სიგრძე მეტრნახევარია, სისქე 70 სმ, სიმაღლე მეტრზე მეტი; რასაკვირველია, გადარჩენილია დიდი ზომის წყალობით, ის ხომ თითქმის ორი ტონაა. ასომთავრული ასოებით ამოჭრილია თექვსმეტსტრიქონიანი წარწერა.

წარწერიდან, რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში წაიკითხა ექვთიმე თაყაიშვილმა, ირკვევა, რომ ტაძარი აგებულია ერისთავთ-ერისთავის ლიპარიტ მესამისა და მის შვილთა, რატი მესამისა და იოანე მესამის დროს, მაშინ, როდესაც მეფობდნენ ბაგრატ IV (1027 – 1072 წწ.) და გიორგი II (1072 – 1089 წწ.), ამ უკანასკნელის დროს დაუმთავრებიათ. ექვთიმეს დროს (1895 წ.) წარწერა თუ კიდევ იკითხებოდა, დღეს უკვე საგრძნობლადაა დაზიანებული და წარწერის შუაწელი ძნელად გასარჩევია.

ტაძრის ირგვლივ სასაფლაოა, საფლავის ქვებზე გადაუვლია კორდსა და ბალახს, მაგრამ ზოგზე მაინც ჩანს გუთანი და მშვილდ-ისარი, მწყემსის ჯოხი და ბარი, გადაყირავებული ცხენის ქანდაკებაც გდია ბუჩქებში. როდესაც გიორგი და ერეკლე წარწერის ნაშთების ამოკითხვასა და სურათის გადაღებას ლამობდნენ, ვახტანგი ტყის პირისაკენ ჩარბოდა. ცოტა ხნის შემდეგ მისი ძახილი მოესმათ:

- ჩამოდით, ჩამოდით, რასაც ვეძებდი, ვნახე ...

- აი, ესეც თქვენი ციკლოპური ნაგებობა, ლეონ მელიქსეთბეგმა რომ აღწერა.

უკიროდ, დიდი ლოდებით ნაშენ ციკლოპურ ნაგებობებს მეგალითურსაც და ციკლოპურსაც უწოდებს.

- რა, შენ გინდა, გვიამბო რამე?

- ეს ხომ მინდიამ თბილისში დამავალა. აი, ბ-ნ ლეონიძის წიგნებიც წამოვიღე. ზოგი აქ, ზოგი სხვა წიგნებში ამოვიკითხე, ეს ხომ აქა ვნახე და მინდა ვალი მოვიხადო. თორემ ჩავალთ ალგეთზე და პირველად ამას მკითხავს, მოიხადე ვალი თუ არაო.

ეხლაღა იაზრეს, რომ ვახტანგს ორი ჩანთა ჰქონდა, ერთი მანქანის კუთხეში იყო, დროდადრო სანიადაგო ჩანთიდან ამოიღებდა ერთი-ორ წიგნს, ჩადებდა „უძრავ“ ჩანთაში და იქიდან ამოიღებდა ახლებს. აქამდე კი ეგონათ, რომ ვახტანგის ზურგჩანთა „უძირო“ იყო.

- საერთოდ, ირკვევა, რომ მეგალითურ-ციკლოპური ნაგებობები საქართველოში, და საერთოდ, კავკასიაში, ბევრია, განსაკუთრებით კი ქვემო ქართლის მთიანეთში.

- ეს არცაა გასაკვირი, – ჩაერია გიორგი, – ქვემო ქართლის ეს მხარე, განსაკუთრებით, სამხრეთ– დასავლეთ ნაწილი, ვულკანური ქანებითაა დაფარული. ლავა როდესაც გაცივდა, ბევრგან დასკდა, დანაწილდა ლოდებად, დაიმსხვრა. ამ მხარეში ბევრი ტოპონიმია „ლოდნარი“, „ლოდოვანი“, „ლოდნარა“, თუნდაც „გოხნარი“; აი, ამ ლოდნარებში შენდებოდა ეს ციკლოპური შენობები, ქვას ქვაზე შეაგორებდნენ და პირველად ამით კმაყოფილდებოდნენ, მერე კედლებიც ამოჰყავდათ, შემდეგ ციხეც შენდებოდა. ჩვენი ჩამქრალი ვულკანების ფერდო ხომ ნახეთ? მისი გვერდის ძირი მოფენილია უზარმაზარი თუ პატარა ლოდებით. ესენია ანდეზიტები, ბაზალტები, ზოგჯერ ვულკანის ყუმბარები დ სხვა ქანები. ზოგი ლოდი ათი და მეტი ტონა გამოვა.

- დიახ, ეგენი ხომ ჯავახეთშიც ვნახეთ, შამბიანის გვერდის ძირზე, აქაც ასე ჩანს. ალგეთისა და ქციის წყალგამყოფი ქედი, ვახუშტის მიხედვით, ლაკვის ქედია, აქაურები საკრისის ქედს უწოდებენ, ადგილობრივი მთიულები კი საკრივისსაც ეძახიან. „საკრივისი“ უდრის „საკრისის“, ამ უკანასკნელში დაკარგულია „ვი“, მსგავსი შემთხვევა ქართულ ენაში ხშირია. იქნება სხვანაირადაც აიხსნას, მაგრამ ეს უკვე ენათმეცნიერთა საქმეა. აქაურთა თქმით, „საკრივისი“ ის ადგილია, სადაც ამირანსა და დევს ბრძოლა ჰქონდათ.

ამირან დევი შეიბნენ,
მიწას გაჰქონდა გრიალი,
ამირანმა დევი დასცა,
მხარი მოსტეხა ფრთიანი.
გახსოვთ? რაკი ბრძოლა, „კრივი“, აქ მომხდარა, საკრივისი დავარქვითო, ამბობენ აქაურები.
საერთოდ, ქვემო ქართლში და, კერძოდ, ალგეთის ხეობაში, ხშირად გვხვდება ამირანი და დევი.
რას მიცინი დევის ქალო,
რას მიჩვენებ თეთრსა კბილსა
სომეხი ვარ, ტანტრე მქვიან.
დავკარგე და ვეძებ ვირსა.
დღეს დავკარგავ, ხვალ ვიპოვი,
ჩვენი ბედი ასე სჭრისა[70].
ამირანიანის ეპოსის ბევრი ტოპონიმი აქეთ ტრიალებს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ როდესაც ამირანი და მისი ძმები სანადიროდ წამოვიდნენ, მათ ისეთი ციხე დახვდათ, რომელსაც კარი ვერ უპოვეს:
სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი,
ათი მთა გადაიარეს, მეთერთმეტე ალგეთისი,
მეთორმეტეს კოშკი დახვდათ ანაგები სალის კლდისი,
ცხრა დღე და ღამე უარეს, ვერა ნახეს კარი მისი,
ამირანმა ფეხი წაჰკრა, იქ გაიღო კარი მისი.
ერთ-ერთ მნიშვნელოვან ციკლოპურ ციხე-ქალაქად ითვლება კოხნარის ნაგებობა. ის, როგორც ხედავთ, საკრისის მთის ძირში მდებარეობს, პატარა ბორცვზე; კვადრატული კილომეტრის მეოთხედი უჭირავს. შუაში ამართულია სვეტისებრი მონოლითი. კედელი ორი– სამი მეტრის სისქის მაინც არის, მისი სიგრძე– სიგანე 40X17 მეტრი იქნება.
გარდა ამისა, ამ მხარეში აღწერილია ასეთი ნაგებობები ბედენზე (ლოდოვანი), ჩხიკვთაში, სამშვილდეში, თრიალეთის ახალქალაქში, ნარდევანსა, ბეშთაშენში და სხვაგან.
ბევრია ჯავახეთში, განსაკუთრებით აბულ– სამსარზე, ლეგენდაც არსებობს, რომ შაორის ციხის პატრონს, ციკლოპს, რომელსაც ჩვენში თურქული „ქორ ოღლი[71]“ შერჩა სახელად, რაში ჰყავდა, ზედ რომ ჯდებოდა, რაში იმ წუთს აბულის ლოდიანში ჩააფრენდა ხოლმე.
ხშირად, ბუნებაში, ეს ლოდები მიწისძვრისაგან თუ ზვავებისგან ისე მილაგდება ხოლმე, რომ ზოგს ხელოვნურად ნაგები კედელი ჰგონია.
ასეთ ნაგებობებს ქართველობამ მრავალნაირი სახელი შეარქვა:
„დევის ციხე“ , „გმირთ – ნაკვეთი“, „ქაჯის ციხე“, „დევის ნამუხლი“ და სხვ.
- ესეც ასე! – დაამთავრა ვახტანგმა.
- ძირითადს ცოტა კი ააცურე! – შენიშნეს.
- თვალით ნანახს რა ჯობია. აი, ნახე, დანარჩენი წაიკითხე. ბევრს ბევრი დრო უნდა, ჩვენ კი დღეს დიდი გზა გვაქვს.
- მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ვთქვათ: ბევრი მკვლევარი გმირთა ნაკვეთს და, საერთოდ, „გმირს“ დიდ ყურადღებას აქცევს. აკადემიკოსი ნიკო მარი ფიქრობს, რომ ქართული „გმირი“ და ოსური „გუმირ“ ტოტემური[72] სახელწოდებაა. მარი ამბობს, რომ გადმოცემების მიხედვით, ოსეთში ნართებზე ადრე ცხოვრობდნენ უაიგითა და გუმირითა. სავარაუდოა, რომ უკანასკნელ სახელწოდებაში იმალება ძველი ხალხის, კიმერიელთა სახელწოდება. ამ დებულებას შენი ავტორი, მელქისეთბეგი, უკრიტიკოდ იღებს, – მიმართა გიორგიმ და განაგრძო:
- ამ ბოლო დროს გამოჩნდა წერილები (ჟ. გვეტაძე) , რომლებშიც გარჩეულია, სად უნდა ყოფილიყვნენ გიმირები. ძვ. წ. VIII საუკუნის ოციან წლებში გიმირებისა და ურარტუელების ბრძოლა გურიანთის მიწა-წყალზე მომხდარა, ეს ადგილი ურარტუსა და გიმირთა ქვეყანას შორის მდებარეობდა; ურარტული წყაროების ანალიზის შედეგად კი გიმირთა ქვეყანა უნდა ყოფილიყო ვანის ტბის ჩრდილოეთით (ვანის ტბის ირგვლივ ხომ ურარტუელები მოსახლეობდნენ), ჩირდილის ტბის ჩრდილოეთით. აიგივებენ რა გიმირებს და კიმერებს, ფიქრობენ, რომ მათ უნდა ეცხოვრათ თანამედროვე ჯავახეთსა, მესხეთსა და ქართლის ნაწილში (ტაშისკარის დასავლეთით). ამ აზრს ამყარებენ იმით, რომ ტაშისკარის დასავლეთით მტკვარს უერთდება ქიმერეთის ხევი (კიმირი– ხშირად გამოითქმის როგორც ქიმერი). ავტორი იხსენებს აგრეთვე ამ მხარეში მცხოვრებ ქიმერიძეებსაც.

გარდა ამისა, თორის ხეობაში, ცხრაწყაროს დასავლეთით, არის „იმერეთის“ ქედი, რომელიც „ქ– იმერეთის“ ქედი უნდა იყოს.
ამგვარად, გმირთა ნაკვეთს უშუალო კავშირი ჰქონია გიმირთან, გიმირი კი იგივე გმირია, ანუ კიმერი – ქიმერი.
- ძალიან რთულია! – თქვა ვახტანგმა.
- მართალია, რთულია. სიტყვის ეტიმოლოგიური ძიება ჯერ ახალი მეცნიერებაა, თუმცა ამ მხარეს ძველადაც აქცევდნენ ყურადღებას, მაგრამ ჯერჯერობით ახალია, დასაწყისია. მეცნიერების ეს დარგი ბევრს, ძალიან ბევრს გვამცნობს ხალხთა გადაჯგუფების გზებზე, ისტორიაზე. ჩვენში, საქართველოში, ამ მხრივ დაუშრეტელი წყარო გვაქვს. გურია– იმერეთი სავსეა ზანური სახელწოდებებით, აფხაზეთ-სამეგრელო – სვანურით, სვანური და ზანური სახელწოდებები ქართლშიც ხშირია.
- ციკლოპურიო, ვამბობთ და ვგულისხმობთ თითქმის წინაისტორიულ პერიოდს. თრიალეთში, გახსოვთ, ეკლესიათა უმრავლესობა ნაგებია უზარმაზარი თლილი ქვებით. ეს არჯევანშიც აღვნიშნეთ, დანარჩენ საქართველოში ეკლესიის ქვა ნორმალურია, ნახევარი ან მეოთხედი კვადრატული მეტრი. თრიალეთში კი ზოგი ქვა მატრნახევარია, ზოგიც მეტი. სავალდებულოდ არ თვლიან, ყველა ქვა ერთნაირი იყოს. ზოგს ძირს დადებული აქვს პატარაც.
- შეიძლება ეს ძველი ტრადიციის ბრალიც იყოს.
- მას შემდეგ, რაც ეს ციკლოპური ციხე-ქალაქები აიგო, ბევრი რამ შეიცვალა. ერთნი წავიდნენ, მეორენი მოვიდნენ, XIX საუკუნეშიც კი, ეს ლამაზი ხეობა – ბზის წყლის ხეობა, – მიუთითა მათ წინ გადაშლილ ხეობაზე, – უკაცრიელი იყო. დაახლოებით 100 წლის წინ, გასული საუკუნის 80-იან წლებში, აქ მოვიდნენ ჩვენი მთიელები: ქსნელები, მთიულები, გუდამაყრელები, არაგველები; დასახლდნენ, ძველ ნასოფლარებზე ააგეს სახლები და კერა გააცოცხლეს. აი, ხედავთ? სახლებიდან ბოლი ამოდის, ცეცხლი ანთია!
ამბობდა გიორგი და სიამოვნების ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.
- ერთი კიდევ, რაკი აქ ვართ, აგერ, ხედავთ? – საკრისის ქედზე, ქციისა და ალგეთის წყალგამყოფი რომაა, თრიალეთის ზეგნისკენ, თითო-ოროლა ხეღა დგას, ქვათავას მუხის თანამოძმენია, რცხილაც ერევა. გაღმა ქედის, ჩრდილოეთის ნაწილი, ორი ათეული წლის წინ ტყით იყო დაფარული და დღეს ზეგანისაკენ შეთხელებულია, მათ შორის კი მდელოა, მთის ველი იქმნება და, თუ არ ჩავერიეთ, ამ ნატყევარზე ტყე თუ არ გავაშენეთ, გვიანღა იქნება თითზე კბენანი.
სახელდახელოდ წაისაუზმეს, გამართეს ჩანთები და ჩაჰყვნენ ხეობას.

პავლეს სიხარული

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ.
გალაკტიონი

შესანიშნავი ხეობაა ბზის წყლის ხეობა, გაშლილი, ყოველმხრივ მთებით შემოფარგლული, მდელოიან– ტყიანი, ბაღ-ბაღჩიანი. სამხრეთიდან ბედენის მთის კალთების შტოები ფარგლავს, ქციის ხეობიდან. ჩრდილოეთით – მანგლისის მთისა და პლატოს ფერდები. შუა ხეობაზე ბზის წყალი მოჩუხჩუხებს, ალგეთის მარჯვენა შენაკადი.
ამ ხეობაზე რამდენიმე სოფელია, ერთმანეთის მჯობი. ახალსოფელი, გოხნარი, ზირბითი, საფუძრები. მთავარია ახალსოფელი, რომელშიც სოფლის საბჭოცაა, ამ საბჭოში შედის ზემოხსენებული სოფლები. ხეობის სათავეში გოხნარია, (მისი ძველი სახელწოდება აძიკვია), შუა წელში დიდი ახალსოფელია (ძველად ბზის სოფელი). საქმე ისაა, რომ ამ ხეობაში, როგორც ვთქვით, ხალხი ახალი ამოსულია, სოფლებს მათ ახალი სახელები დაარქვეს. ძველ ნასოფლარზე სოფელი აშენდა და უკვე „ახალი სოფელია“. ვინ ეტყოდა, რომ მას ბზის სოფელი ერქვა, აქ კაცი ხომ აღარ ჭაჭანებდა! აძიკვის ადგილას გაშენებულა სოფელი და გოხნარი უწოდებიათ, ახლოს არსებულ ლოდნართა გამო და სხვ. ეს მოსული მთიულები თავის ფუძის ანგელოზს არ ივიწყებენ; ახსოვთ, რომ ლომისი „ყმები“ არიან, რამოდენიმე წელიწადში ერთხელ მაინც მიდიან და ძველ ადგილს მოილოცავენ ხოლმე.
მალე ტყის ბილიკს შეუყვნენ და გიორგი შეჩერდა; აი, ხედავთ, ნასოფლარია, აგერ ბაზილიკის ნანგრევიც. ერთი კილომეტრი არ ჰქონდათ გავლილი, რომ კვლავ ნასოფლარი დახვდათ. პატარა ბორცვაკზე კი კარგად შენახული ბაზილიკა იდგა. მშვენიერი ჩუქურთმებით იყო შემკული და ზოგიერთ ლოდზე, კარისა და სარკმლის თავზე რომ იდო, გამოკვეთილი იყო ფრინველებისა და ცხოველების რელიეფები.
- როგორც ჩანს, XIII-XIV საუკუნეში ნაშენი უნდა იყოს.
ბიჭებმა სურათები გადაიღეს და ტაძარს შემოუარეს.
- აი, მშვილდ– ისარი საფლავის ქვაზე.

- მეომარი ყოფილა.
- კიდევ მშვილდ-ისარი.
- აქაც, – ახლა ლელას ხმა მოისმა.
- აი, ურმის უბე, ეგენი თუ ომში ყოფილან სახელიანი, ეს სახლში, გუთნისდედა ყოფილა, პურის მომყვანი.
- აი, გაშლილი გუთნეული.
ისმოდა აქეთ-იქიდან.
- აბა, წავიდეთ პეტრე-პავლესთან და გუთნები იქა ნახეთ, – ჩაერთო შალვა.
- შენ რა იცი?
- აქ ნავალი ვარ!
ბზის წყალის მარცხენა ნაპირს მისდევდნენ, მუხნარ-რცხილნარს მდელო სცვლიდა, მდელოს კი – პურის ყანები. ფხიანი წითელი დოლი ეთესა, ერთი-ორგან გიორგიმ დიკაც ნახა და ესიამოვნა.
- კარგი რამ არ დავიწყებიათ, თქვა ხმამაღლა.
ოლეს შეერივნენ და აქაც ნასოფლარი აღმოჩნდა. გაღმა გავიდნენ თუ არა, თვალში ეცათ კოპწია ტაძარი, სწორედ ახალსოფლის პირდაპირ მდგარი.
სოფლისაკენ მიქცეული მხრიდან რაღაც ღიღინი ისმოდა.
- ალბათ, ხატის მოსალოცად მოსულან, – თქვა გიორგიმ და აღმოსავლეთით წავიდა. რაკი სამხრეთიდან ისმოდა ხმა, არ უნდოდა, ხელი შეეშალა, მაგრამ სწორედ აქეთ, ერთი მუხის ძირას სუფრა იყო გაშლილი.
სუფრას ოციოდე კაცი უჯდა, ყველა ხანში შესული, ყველა ჭაღარა, მხარბეჭიანი და ჯავარიანი. ფეხზე მდგომნი კი ახალგაზრდები იყვნენ.
- ღმერთო, რამ შეყარა ყველა ასეთი ლამაზი და ვაჟკაცი, – გაიფიქრა გიორგიმ. უცბად ყველა შედგა. როცა მოსუფრეებმა მათკენ მოიხედეს, გიორგიმ არ დააყოვნა:
- თქვენს სუფრას გაუმარჯოს!
- აი, იცოცხლე, ჩემო გიორგი! – და წამოიმართა ერთი ჭაღაროსანი, რომელსაც პირზე ნათელი გადასდიოდა.
- ძია პავლე! – წამოიძახეს ბიჭებმა და გაემართნენ მისკენ, გადაეხვივნენ ხელებგაშლილ პავლეს.
- კაცო, საიდან?
- მე კი სახლიკაცებთან ვარ, მაგრამ შენ? თქვენი ჭირიმეთ, არწივებო, როგორ დაზრდილხართ, ბიჭებო!
- ეჰა, განა არა, „ბიჭებო, ჩვენებურებო, თქვენი ხმა ჩამოდიოდა“, – და კიდევ მოხვია ხელი. ეს თამარ დედოფალი ვიღაა, კაცო? პაწაწა ლელა? რას არ მოიგონებს დალოცვილი უფალი. გივი, შენც აქა? – ვეღარ ისვენებდა სახეგაბადრული ძია პავლე და ხან ერთისაკენ იწევდა, ხან მეორისკენ.
- კაცო, შენ მაინც შენსას არ იშლი?! – შეღიმოდა გახარებული გიორგი.
- აი, შენი ნაჩუქარი წიგნიდან ვაჟამ რა მითხრა:
სანამ ვცოცხლობ, გულში მაქვს, –
კეთილსა ვყვანდე ზიარად,
ვერ მივცემ მტერსა მამულსა
საჯიჯგნად, დასაზიანად.
ნუ გეგონებათ, დავლაჩრდი,
ჯერ ისევა ვარ ფხიანად.
- აი, იცოცხლე და იდღეგრძელე!
მთელი სუფრა წამოიშალა, პავლეს სიხარული მათაც გადაედო, ყველა იღიმებოდა. ახალგაზრდებს სკამებად ლოდები მოჰქონდათ, სტუმრები რომ დაესხათ.
- ნუ წუხდებით, თქვენი ჭირიმე, დაბრძანდით! – შეწუხდა გიორგი...
- კაცო, ეგ რა შეწუხებაა, ხვალაც კი არ განახავენ. მაგათ იციან, ვინცა ხარ, ესაა გიორგი, ესენი კი მაგის გოგო-ბიჭებია. მინდია სადღაა?
- მინდია ბზის წყლის შესაყარზე გველოდება!
- მობრძანდით, აბა, დაბრძანდით! მომეცით, ბიჭებო, ჯამი. აი, ჩემო გიორგი, ჩემო ბიჭებო, ჩემო ლელა, ამათი მამა– პაპა ამ ასიოდე წლის წინათ წამოსულან ჩვენი მხრიდან, აქ დასახლებულან, კერა გაუცოცხლებიათ. მამა-პაპათა ანდერძით ყოველ წელს ვინმე ჩვენებური უნდა წამოვიდეს, წამოიღოს ლომისის[73] ზედაშე და დალოცოს ფუძის ანგელოზი. წელს მე და აი, ჩვენს გიგას გვერგო აქეთ წამოსვლა, მერმის სხვები წამოვლენ.
- შემოდგომაზე, კალოებს რომ გავლეწავთ, ჩვენც ჩავალთ! – ჩაერთო ერთი მეინახეთაგანი.
- მაშ იმ ფუძის ანგელოზს[74] გაუმარჯოს, რომელიც თვითონაც ცოცხლობს და ჩვენც გვაცოცხლებს! – და ჯამი გემრიელად გამოსცალა. ულვაშებზე ხელი გადაისვა და ჯამი ისევ აავსებინა. თან ბიჭებს მიმართავდა:

- თქვენ კი გენაცვალეთ, ბიჭებო, ეს რამოდენები გამხდარხართ, ჰა? ერეკლევ, ხიზამბარელი რო გაცოცხლდეს, მგონი დაეჭიდო კიდეც!
ამ დროს წამოიმართა ერთი ჭარმაგი მოხუცი, წყლისფერი ჩოხა ეცვა, კალთები ქამარში ჩაეკეცა, პავლეს ჯამი ჩამოართვა.
- ასე აიკეცავდნენ ხოლმე ჩოხას, ომში რომ შევიდოდნენ, არა? – უჩურჩულა ვახტანგმა გივის. პასუხი ვეღარ მიიღო, რადგან მჭექარე ხმამ დაფარა ყველაფერი.
- სმენა იყოს და გაგონება. ძმებო, იმ ძალას გაუმარჯოს, რა ძალამაც დღეს აქ შეგვყარა. ასი წლის წამოსულები არაგვიდან ისევ ძმები ვართ ერთმანეთისა, აი, უცბად მოხვედით. უცხონი მეგონეთ. თქვენც ჩვენი სისხლი ყოფილხართ, სხვა არა იყოს რა, პავლეს ძმა და ძმისწულები ყოფილხართ. აი, ამ პეტრე-პავლეს, ბზის წმინდა გიორგის, აძიკვის წმინდა გიორგის, საქართველოს დანარჩენ სამასსამოცდასამ წმინდა გიორგის, ღვთაებისა და ღვთისმშობლის ტაძრებსა და მათ ძალას ვთხოვ, რომ ეს ჩვენი ძმობისა და ერთიანობის წყარო არ დაშრიტოს ჩვენში არა ძალამ. ახალგაზრდებმა არ დამძრახონ, რომ წმინდანები დავასახელე, ეს ჩვენი ძველი წესია და ჩვეულებაა. ახალი კი განათლებაა, რომელიც დღეს ჩირაღდანივით ანთია, ესეც ვიცი, ეს ახალი და უფრო ძლიერიაო და, სანამ ეს ენთება, ეს ძალაც იარსებებს. იცოცხლეთ.

კრამზე ყანაში

და ჯამი გიორგის გადააწოდა.
პავლემ საღვინე აიღო.
- გიორგი, იცოდე, დევის ნამუხლის ღვინოა!
- ნუ გამოლევს ამ მადლს თქვენში ნურავითარი ძალა. ეს ის ძალაა, რომელმაც ჩვენი ქვეყანა დღემდე მოიყვანა. მე გამახალისა თქვენმა ნახვამ, თქვენმა თავყრილობამ. ნება მიბოძეთ, თქვენც პირადპირ გითხრათ ის, რასაც სხვას გადაკვრით ვეუბნებოდი ამასწინათ:
მომავალ ახალ წელს მუხის დედაბოძივით უნდა შეუდგათ ჩვენს ქვეყანას ჩვენი შრომის ნაყოფი, ხორბალი იმდენი უნდა დახვავდეს კალოზე, რომ ბეღელმა ვერ დაიტიოს, მარცვალი შვინდის კურკას უნდა ჰგავდეს და გაცხრილვის შემდეგ ნაკმაზი არ უნდა რჩებოდეს; ზვარმა კი ისეთი მტევნები უნდა დაისხას, „ვერ ჩავიდეს გოდრის პირსა“, ტკბილი ქვევრებისაკენ ისე მიჩქეფდეს, როგორც დიდი სოფლის წისქვილის ღარში მიგდებული წყალი; ჩაის ფოთოლი უნდა იკრიფებოდეს და ვერ თავდებოდეს. ნაირფერი ხილი შემოდგომის მზის სხივებზე ათასფრად ელავდეს, „ზოგან ყვითელ, ზოგან ალისფერიაო“ , იძახდეს დიდი და პატარა; მთიდან ჩამოდიოდეს გალაღებული ხარ-ძროხის ყვირილი, ჰაერში იდგეს სურნელება ვარდისა და ხილისა, ტკბილისა, ბზუოდეს ფუტკარი და ახარებდეს ყოველივეს, ჩვენი ხალხის სულსა და გულს; ერთმანეთს არ უნდა ჩამორჩნენ ქალაქი და სოფელი, ხან ერთი უნდა სჯობდეს და ხან მეორე, მაგრამ ორივე იმაზე მეტს ვაკეთებდეთ, ვიდრე დათქმული გვქონდა.
აი, მაშინ ერთმანეთს თვალს თამამად გავუსწორებთ, წელში გავიმართებით, არავისგან დასამადლებელი არა გვექნება რა.
ბევრი მომდის?
არა, ქართველი კაცი სხვის ხელში შემყურე არასდროს ყოფილა.
როცა აღმოსავლეთ საქართველოს ავბედობა დაატყდებოდა თავს, ქართლის მოსახლეობის უმრავლესობა მესხეთ-ჯავახეთს მიაწყდებოდა ხოლმე, იქ რჩებოდა ხშირად რამდენიმე წელსაც კი. და დღეს რომ გვიკვირს, მესხეთ-ჯავახეთის ოროკოების (ტერასების) სიმრავლე, იმდროინდელი ნაშთია, რაც, უპირველესად, სოფლის მეურნეობის დიდ კულტურაზე მეტყველებს. ამ დიდ კულტურას ისიც ადასტურებს, რომ სოფლის მეურნეობის სავარგულები სასოფლო– სამეურნეო თვალსაზრისით დახარისხებული იყო (სახნავ– სათესი, საბოსტნე,

სავენახე, საიონჯე და სხვ.), ესეც კულტურის მაღალ დონეს მოწმობს. მთიან და ხრიოკიან მესხეთს, რამდენიმე საუკუნის წინათ, შეეძლო მიეღო იმდენი მოსავალი, რომ თვითონაც ჰყოფნოდა და სხვისთვისაც გაენაწილებინა, ავბედობაში ჩავარდნილი მოძმე წლობით შეენახა; ხშირად ერთ ოჯახში ორი ოჯახიც იყო შეხიზნული და დღეს, ჩვენს დროში, რად უნდა ვლაპარაკობდეთ მცირე მოსავალზე?!

ბოლო დროს გულგრილობა დაგვჩემდა, ავსა და კარგს ვერ ვარჩევდით. ვეღარ ვხედავდით და ვეღარ ვგრძნობდით, როგორ გვეუფლებოდა უდარდელობა, არხეინობა, გულდამშვიდებულობა და ხელიდან გვეცლებოდა არა მარტო დოვლათი, არამედ ჩვენი კარგი თვისება: ვაჟკაცობა.

ყანას მოერეოდა თუ ბოსტანს სარეველა, არად ვაგდებდით, „დაე,იცოცხლოს, ეგეც ღვთის შვილიაო“. მიწა ზერელედ იხვნებოდა და მხვნელს ჭკუას არ ვარიგებდით, დიდ უბედურებად არ მიგვაჩნდა; გამეჩხერდა ვენახი და, რა ვუყოთო, იხოცებოდა საქონელი და გულს არა ხვდებოდა.

თუმცა, ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ გვერდში მდგომი ქურდობდა, სხვის ნაღვაწს ითვისებდა და თვალს ვხუჭავდით. გამრავლდა „დამპატიჟე“ ხალხი, რომელიც სხვის ნაოფლარზე პარპაშობდა, ზოგჯერ ასეთის გვერდით ვიდექით და ხმას ვერ ვიღებდით, ან არ ვიღებდით.

„დამპატიჟეზე“ რამდენიმემ გაიცინა, ენიშნათ.

- ყველაზე დიდი უბედურება ერს მაშინ ატყდება, როცა თავის ღირსებას და თავმოყვარეობას კარგავს. ქართველები კი ყოველთვის თავისი კაცობისა და ღირსების ვაჟკაცური დამცველები იყვნენ და ეს თვისება ყველაზე საუკეთესო თვისებად იყო მიჩნეული. დაჩაგრულს არასდროს არ აწყენინებდა, მოეფერებოდა, ფეხზე დააყენებდა. უკუღმართობას შეამჩნევდა – ხმას აიმაღლებდა, დაარიგებდა. თუ დარიგება არ გასჭრიდა, სასოფლოდ გახდიდა და სოფელი განსჯიდა; თუ ესეც არ უშველიდა, სოფლიდან მოიკვეთდნენ, ბოროტსა და ავის მქნელს ჩაქოლავდნენ კიდეც.

სოფელს, ქვეყანას, პატიოსნება ყველაფერს ერჩივნა.

ამას წინათ ხუთწლიანი გეგმის წარმატებით დამთავრების გამო ჩვენი კოლმეურნეები ერთმანეთს შეხვდნენ. ბევრი კარგი სიტყვა ითქვა, მაგრამ განსაკუთრებით გულში ჩამრჩა თიანელი გოგონას სიტყვა, უბრალოდ თქვა დიდი გარდატეხის ამბავი.

„ მე წლეულს ოქროს მედლით დამთავრე საშუალო სასწავლებელი, მაგრამ დამთავრების დღესვე ფერმაში წავედი სამუშაოდ და დღესაც იქ ვმუშაობ“. მოუწოდა თანატოლებს, მომბაძეთო, კარგად დაუსაბუთა მათ მიწასთან დაბრუნების ხიბლი...

თუ ვისმეს სჭირდება ალერსი და სიყვარული, მიწას სჭირდება, არ არის არაფერი მიწაზე სათუთი და საყვარელი. მიწაა საფუძველი ყოველივესი. თუ მიწა გამოგვეცალა ხელიდან, შეწყდება განვითარება და წინსვლა და ეს იქნება დასასრული ჩვენი დედამიწისა. მარტო იმისათვის კი არა, რომ იგი მამა-პაპათა სისხლით არის მორწყული, არამედ იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ცოტა გვაქვს, მეორე, იმიტომ, რომ ჩვენს მოვლასა და სიყვარულს დიდად აფასებს, სიუხვით გვიბრუნებს; მესამეც, იმიტომ, რომ მთიანი ქვეყანა ვართ და თუ არ მოვუარეთ, ნიაღვარი და ღვარცოფი წაიღებს და, ბოლოს, იმიტომაც, რომ „ სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“?

სწორედ ამიტომ უნდა მოვიგონოთ ჩვენი შესანიშნავი თვისება, ღირსების გრძნობა, რომელიც კვლავ დაგვანახებს ჩვენს თავს, გარემოს, ქვეყანას და ყველას თავისას მივუზღავთ. სწორედ ამის შედეგად იმატებს ბარაქა.

როდესაც ეს თვისება კვლავ აღდგება, მაშინ ოდნავი გახედვაც სხვისი ხელისკენ, თავმოყვარეობის შელახვა იქნება და ვიგრძნობთ, რომ ყველამ უნდა ვიმუშაოთ ამისათვის, რომ კვლავ თამამად შევძახოთ ძველი სიმღერა:

არც არავის ყმად ვყოფილვარ,
არც არავინ ყმად მყოლია,
ძველი პური, ძველი ღვინო,
წლით წლობამდე გაყოლია.

აქ „პურსა და ღვინოში“ ნაგულისხმევია დოვლათი, ბარაქა, ის, რაც ადამიანის მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს, ე. ი. ადამიანი ისე იცხოვრებს, რომ ვალი არავისი ჰქონდეს.

აი, ამ დროს შეძლებს კაცი თვალი გაუსწოროს თანატოლს, უფროსს და უმცროსს. მე მიხარია, რომ დღეს თქვენ შეგხვდით. ერთხელ კიდევ ვნახე, რომ ჩვენი ძირი კვლავ ღონიერია, თქვენ რომ გიმზერთ, ვრწმუნდები, რომ არავის ექნება ოდნავი უფლება, უსაყვედუროს ჩვენს ხალხს, შენ სხვაზე ნაკლები მოგაქვს კულტურის საერთო საგანძურშიო.

ქართველი კაცი ყოველთვის გამოირჩეოდა ჭკუამახვილობით, სიდარბაისლით, თავისი მოვალეობის შეგნებით. ჩვენ ვალდებული ვართ, ისე ვიმუშაოთ, რომ მომავალი წლისთვის არ გვქონდეს საზრუნავი ჩვენი ადამიანური

ღირსების დაბრუნებისათვის. არ იყოს ჩვენ შორის ისეთი, ვისაც არ შეეძლოს თვალი გაუსწოროს ვაჟკაცს, პატიოსანს, შრომისმოყვარეს, ქვეყნის მოჭირნახულეს.
როდესაც ადამიანი კვლავ იქნება „ამაყი და თავმომწონე“ , მაშინ კვლავ გაივსება მარანიც და ბეღელიც ალალი შრომით მოპოვებული დოვლათით, რომელიც ჩვენს ხალხს მოხმარდება.
აი, რა მომინდა ერთხელ კიდევ მეთქვა თქვენთვის, ჩემო ძვირფასებო, თქვენმა კაიკაცობამ მათქმევინა. იცოცხლეთ, იხარეთ!
- იცოცხლე, იცოცხლე ჩვენო გიორგი! – გაისმა აქეთ-იქიდან.
- შენი ტკბილი სიტყვა არ მოგვაკლოს ღმერთმა.
- აბა, ბიჭებო, – შესძახა პავლემ – ერთი არაგვული ვთქვათ:
„ მამათქვენს კარგად ვიცნობდი,
თავთხელს უგებდა ბადესა... “
წამოიწყო პავლემ და მალე შესანიშნავი ძველი სიმღერა ცაში აიჭრა. იქნებ ფასკუნჯსაც იმიტომ შეეშალა წრე, განზე გაუხვია, რომ ამ ხმამ გააპო ჰაერი და გზა გადაუღობა.
მინდიას როგორ ეღალატებოდა, თორემ ამათთან დარჩენას რა სჯობდა.
გიორგი წამოდგა, ბიჭებიც მხარში ამოუდგნენ, პავლეს რჩევით, ბზისხეველებმა ძალა აღარ დაატანეს, „დარჩითო“.
- ეს ისეთი კაცია, რომ შეეძლოს დარჩენა, დარჩებოდა, – დაამატა, გულითადად გამოემშვიდობნენ. პავლე დაჰპირდა, ქალაქში გნახავთო.
ერთმა, ულვაშაკოკრებულმა ახალგაზრდამ ერეკლეს უთხრა:
- შარშან თქვენი სადიპლომო შრომის დაცვას მეც ვესწრებოდი.
- შენ?
- დიახ, მეორე კურსელი ვარ. აი, ავთანდილი კი, წელს მიდის.
ამაზე კარგს ამჟამად ერეკლე ვერას გაიგონებდა. როცა მარტო დარჩნენ, ვახტანგმა ვერ მოითმინა და მამას უთხრა:
- კაცო, რას ერჩოდი იმ ხალხს, ეს ამოდენა სიტყვა რა იყო?
- ყველაზე კარგად ეგენი გამიგებდნენ და იმან მათქმევინა.
უცბად ვახტანგი შედგა და წამოიძახა:
- ცაო, დამსეტყვე, დამსეტყვე! ჩასაქოლი ვარ, ბიჭებო!
- რა იყო, რა დაგემართა?
- სურათი ვერ გადავიღეთ.
-?!! – დაინანა ყველამ.
- ეგ იმის ბრალია, რომ გაგვიტაცა მათმა ჯავარმა.
- მივბრუნდეთ, არც ეგ ივარგებს; ერთი-ორი ბაზილიკაც ვნახოთ და მოვათაოთ, – ამითღა დაამშვიდა ახალგაზრდები.
პეტრე-პავლეს ტაძარი ერთნავიანი, დარბაზული ბაზილიკაა. კოპწიაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩანგრეულია, გარე მორთულობა შემოძარცულია, მაგრამ ბერგან შემორჩენილია სამხრეთის კედელზე, კედლის თაღის თავზე ლომის ბარელიეფია. ლომი გამოსახულია ინტერიერის ჩრდილოეთის კედელზეც. მოჩუქურთმებული კარნიზი თავისი სილამაზით და სინატიფით საუცხოოა.
როგორც პირველადვე შენიშნეს, საფლავის ქვებზე გამოსახულია გარდაცვლილის პროფესიის მთავარი ნიშანი. თუ მეომარია, ამოკვეთილია მშვილდ-ისარი. ასეთი საფლავის ქვა მრავლადაა; ისეთ მხარეში ცხოვრობდნენ, რომ მოისარნი ბევრი უნდა ჰყოლოდათ. რენე შმერლინგს თავის ერთ-ერთ შრომაში მოჰყავს ბ. ს. უვაროვის მოსაზრება საფლავის ქვის სიმბოლიკაზე. არა მარტო ძველ რომსა საბერძნეთში იყო საფლავის ქვაზე პროფესიის მაჩვენებელი იარაღის გამოსახულების ამოტვიფვრის წესი, არამედ აზიის ყველა ხალხში.
გარდა მშვილდ-ისრისა, ხმლისა და ჩაჩქანისა, საფლავის ქვებზე ნაქანდაკევია ურემი, გუთანი, მაგრამ ამ მეგუთნეს ცალ ხელში გუთანი სჭერია და მეორეში მშვილდ-ისარი; აგერ საფლავის ქვა, მეცხვარის კომბლით. ეს სასაფლაოც ამ სახით ძალიან წააგავს გომარეთის სასაფლაოს, მაგრამ ეს უფრო ძველი ჩანს; გომარეთში თუ თოფი და დამბაჩა იყო ხშირად, აქ მშვილდ-ისარი და ხმალია მთავარი. შეიძლება ამ სოფელში სიცოცხლე მონღოლობის შემოსევის დროს შეწყდა.
ახალსოფლის მეორე ტაძარი წმინდა გიორგის სახელობისაა; გარეთა მოპირკეთება შერჩენილია და მუქი ქვის ფილებია ნახმარი. ჩუქურთმა აქ უფრო მცირეა, ვიდრე პეტრე-პავლეს ტაძარზე, მაგრამ ყურადღებას იქცევს სარკმლების სიუჟეტიანი მორთულობები, ლომები, ხარები და სხვა ცხოველები. ირგვლივ ყრია ტაძრის

მორთულობის მრავალი ქვა, სვეტის თავი, იშვიათჩუქურთმიანი სარკმელი, ესეც X-XI საუკუნისა უნდა იყოს; მიაქციეთ ყურადღება, XIII საუკუნეში წყდება მშენებლობა, შემდეგშიც არის კიდევ, მაგრამ ასე უხვად არა.
- დიდმონღოლობა ისე ჩაივლიდა?!
- ჩვენ მაინც ჩვენი გავიტანეთ!
ბზის წყალი გამოტოპეს, წინადღის ნაწვიმარი იყო, წყალი მუხლზე მოადგათ. აღმა წამოვიდნენ. გზა ახალი ნაკეთები იყო და თავისუფლად მოდიოდნენ.
- ქართველებს უცხოელები გეორგიანელებს გვიწოდებდნენ; „გეო“ ხომ ბერძნულად მიწაა, მხვნელ-მთესველებად ვიყავით დასახული, აკი მართლაც მიწათმოქმედნი ვიყავით: ამიტომ იყო ძველ საქართველოში ყველაზე პოპულარული წმინდა გიორგი, საქართველოში იმდენი ტაძარია გიორგის სახელზე, რამდენიც დღეა წელიწადში. დალოცვა რომ უნდოდათ, იტყოდნენ, შეგეწიოთ სამას სამოცდახუთი წმინდა გიორგიო. გიორგი სწამდათ, რადგან იგი თავისი მოღვაწეობით ნამდვილი რაინდი იყო.
- ძია პავლემ რადა თქვა სამას სამოცდასამიო.
- შენ ძია პავლეს ვერ ასწავლი, როგორ თქვას. ორი წმინდა გიორგი იმ ხეობისა თქვა, მერე დაატანა: „დანარჩენი სამას სამოცდა სამიო“.
- საოცარია, ამ პატარა ხეობაში სამი ტაძარია მისი სახელობისა.
- ქართველი პატივს სცემს რაინდს, დაჩაგრულის დამხმარეს, მან ხომ გველეშაპი მოკლა, რომელსაც წყალი ეჭირა და ამით სოფელს სასმელი და სარწყავი წყალი მისცა.
- ეწამა იმისათვის, რომ აეხსნა წყალი, მოერწყო ყანა და მინდორი, ბოსტანი და ბაღი, ხილნარი და ვენახი, ნიგვზნარი და თურნარი. აყვავდა კვლავ მიწა, გაცოცხლდა, სული ჩაიდგა. ცოცხალი მიწა ყველას ახალისებს. ეს სიყვარული ჩვენს ხალხს დღემდე გამოჰყვა.
- დღესაც გაჰყავთ სარწყავი არხები, ზოგი ძველი არხი რომ კაცმა ნახოს, გაოცდება, შვეულ კლდეზეა გაჭრილი (ჭივჭივა) ან 2500 მეტრის სიმაღლეზეა (სვანეთში).
შარშან რომ დიდი გვალვა იყო, წყალი ყანასაც დააკლდა, ვენახსაც, მაგრამ ჩვენი მეზვრე იმდენს ეცადა, რომ ვაზს მტევანი მაინც შეარჩინა და მარცვალი დაამსხვილებინა. ქართველ კაცს რომ ცალ ხელში ხმალი ეჭირა, მეორეში გუთანი, ცნობილია; საფლავის ქვებზეც არაერთხელ გინახავთ, თითქოს დაძველდა ეს თქმა, მაგრამ მარად ახალია. ამ გაუთავებელ ბრძოლებში თავის ღირსებას არ კარგავდა. მე ხალხზე გელაპარაკებით და არა ერთეულებზე. ამბობენ, გაფრინდაულმა ომში თორმეტი ყიზილბაში რომ მოკლა, ხმალი ჩააგო, ომიდან გამოვიდა, მეტის მოკვლა არ შეიძლება, მკვდარი ყირაზე დადგებაო. მოკლული მტერიც ებრალებოდა. ამის მაგალითი ბევრი გვაქვს. მოვიგონოთ მოყმისა და ვეფხვის ბალადის ფინალი: მოკლული მონადირის დედა ამბობს:
იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა,
წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა,
ისიც მიამბობს ამბებსა, მეც ვუთხრა ჩემი შვილისა,
იმასაც ბრალი ექნების უწყალოდ ხმლით დაჭრილისა.
ვაჟა– ფშაველას უკვდავი პოემა „ალუდა ქეთელაური“ ჰიმნია ქართველი ვაჟკაცის რაინდული სულისა, რაინდული ქცევისა. ვერავითარმა შეგონებამ და მუქარამ ვერ გატეხა ალუდა, რადგან მტერშიც ვაჟკაცი დაინახა: „ ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო, ღმერთმა გაცხნოს მკვდარიო... კარგი გყოლია გამდელი, ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო“! ...
1962 წელს ანა კალანდაძემ დაწერა ლექსი, რომელიც ნამდვილ შემთხვევაზეა აგებული:
– რისათვის აქებ ქისტებს, ბერდედავ,
მათ ვაჟკაცობას, ძალას და სიმხნეს?
მიწა უვსიათ მათ ხევსურთ ძვლებით...
– რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს!
ამღას გაწყვიტეს ბრგე ვაჟკაცები,
ახიელაშიც უზომო ხოცეს.
– რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს!
– რა ვიცი... ღმერთმა მშვიდობა მოგცეს.
ეს მოხუცი წარსულ დროთა ილუზიებით მცხოვრები ქალია, მაგრამ მტერში მაინც ვაჟკაცობას აფასებს. ეს კი შეუძლია მას, ვისაც კარგად ესმის ღირსების ფასი, ამაყად ატარებს თავის ღირსებას, უბრალოდ არ დაახურდავებს, არ გაცვლის, მაგრამ აბა მივანათოთ სანთელი ზოგა და ზოგან, არის ჩვენში ეს ღირსება კიდევ? სად დაიკარგა?
შეიძლება მინელებულიც იყოს, მაგრამ მაშინ ასეთი შემახილი იქნება საჭირო:

თუ მოყვარე ხარ, მიმოყვრე,
კალთა გავაგათ კალთასა,
მტერი ხარ? – შემატყობინე
ან გარს დაგხვდები, ან მთასა.
ან კიდევ:
სწორს, სწორის მოღალატესა,
ხიდნიმც წყლად ჩაუცვივიან,
მშვილდიმც გაუგლეჯს საგბურსა,
ისარნიმც ჩაუცვივიან!
ამაზე დიდი წყევლა წარმოუდგენელია.
„ხიდნიმც წყლად ჩაუცვივიანო“, მეტი ავბედობა რაღა იქნება?
- მხოლოდ რამდენიმე ლექსი ვთქვით, არა? მერე რა კარგადაა ქართველი კაცის ხასიათი გამოთქმული. რატომ დაივიწყეთ „სოფლად ტირიან ქალებიო“ , – აქამდე გატვრენილმა ლელამაც ხმა ამოიღო.
- მაღალი მთისა ვაჟკაცი? სამოცი რომ მოკლა მტერი და უვაჟკაცობას ჩიოდა?
- აბა, ნაბიჯი გაშალეთ... შეეხმაურა ბოლოს გიორგი.
- ეჰე, „ მუხლი შეიბა მგლისა“, უეჭველად – წამოიძახა ვახტანგმა, წინ გახტა.
ალმოდებული ისარი
ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქნელია ავისა.
.....
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყვავისა.
ვაჟა
ველების პირას
ბზის წყლის შესართავთან, გაღმა ჭალაში, თემურს და მინდიას რომ ცეცხლი ენთოთ, ეს იქიდან დაინახეს, სადაც საფუძრების ხევი ბზის წყალს უერთდება.
- აბა, გაშალეთ ნაბიჯი! – გაუმეორა გიორგიმ.
- გაშალე, არ გაშალე, ფხეკოა და ხრიოკი.
- იქნებ ჯობდეს, მარცხენა ნაპირის ფერდი ავირბინოთ, იქ უეჭველად საურმე გზა იქნება.
- იყოს ეგრე.
მართლაც, ქედ-ქედ კარგი გაკვერილი გზა გასდევდა. ნახევარ საათში ალგეთის ნაპირას ჩავიდნენ, თავთხელით[75] მარცხენა ნაპირზე გადავიდნენ და თავის მებინავეებს უცბად გამოეცხადნენ.
ტოტებგაშლილი პანტა იდგა, ზრო ისე ჰქონდა დაკოჟრებული, მიღრეცილ-მოღრეცილი, რომ ორი საუკუნე მაინც ეკიდა ზურგზე, ტოტებზე კი ფითრის ბუჩქებს მოეკალათებინა.
შორიახლო ცეცხლი გიზგიზებდა.
- მაშ მწვადი იქნება! – თქვა ვახტნგმა და გადახედა დანარჩენებს.
- ნახეთ ხომ ნაომარზე და ნანგრევებზე აშენებული სოფლები?
- მინდიავ ბატონო, ძია პავლემ მოკითხვა შემოგითვალათ, – მოახსენა ერეკლემ.
- ჩემი არ იყოს, არც შენ იშლი მზიანეთში სიარულსაო, შემოგითვალათ, – დაამატა ვახტანგმა.
- ჩამობრუნებაზე გნახავთო...
- აქ საიდანღა მოხეტებულა, აქ რა ესაქმება?
- ჩვენებურებთან ამოვედი, სანახავადო.
სუფრა იშლებოდა და თან ძია პავლეს ამბებს დაწვრილებით ჰყვებოდნენ.
- მართლაც რომ დვრიტაა ეგ და მაგისთანები ჩვენი მიწისა, – ესღა თქვა მინდიამ და მიიწვია სუფრასთან.
- უკვე შვიდი საათია. ჩავიდეთ ფიჭვნარში, ავარჩოთ ადგილი და ღამე იქ გავათიოთ.
- ცუდი საქმე არ იქნება. ადგილს მე შევარჩევ, თუმცა, რა შერჩევა უნდა, ჩემს ნაბინავარზე მიგიყვანთ, – თქვა მინდიამ.
მარცხნივ პატარა თონეთის ფერდო ეშვება. ეტყობოდა, სოფელს თავისი დაღი დაესვა, პირველადი მცენარეულობა მოესპო (ალბათ ნაძვნარი შეცვალა ფიჭვნარ-მუხნარმა) და ეხლა თითო-ოროლა მუხა და დაჯაგებული ჯაგრცხილაა, აქა-იქ შავი კუნელი, ასკილი, კოწახური, ტყემალი და პანტა მოჩანდა. ფერდო

ჩამორეცხილია, ნამდვილი ფხეკოა. ადგილ-ადგილ მოჩანს გვლერძა, ურცი, ბეგქონდარა, მუზარადა, ურო და სხვა ქსეროფიტული მცენარე. ზოგჯერ ენაგადმოგდებული ხვლიკი და ჯოჯო თუ გადაირბენდა, ერთგან გველხოკერაც მიიზლაზნებოდა, გაღმიდან ორი ჩხიკვი გამოენთო ერთი აურზაურით. ჰაერში კვირიონების რუკრუკი ისმოდა და მათი ზურმუხტისა და ფირუზის ფრთები ელავდა მზის სხივებში.
- აქ, სადღაც, ფუტკარი უნდა იყოს, – თქვა გივიმ.
- შენ რა იცი? – შეეკითხა ლელა.
- როდესაც კვირიონი ეგრე ტრიალებს, იქ, სადღაც, ფუტკარია. ეგ ხომ ფუტკრისმაგვართა გარდა არაფერს ჭამს.
-?? – ლელამ მინდიას შეხედა.
- ეგრეა, ჩემო ლელა ქალო, ბუნებაში ბევრი უცნაური რამ ხდება, ზოგი მარტო ფუტკრით იკვებება, ზოგი პეპელა ერთ ყვავილიდან იღებს ნექტარს, ზოგი მეორიდან.
- ჰო, ეგ კი ვიცი, ვისწავლეთ, მაგრამ არ მენახა.
- აგერ, ძერა წრეს უვლის, – აიხედა მაღლა მინდიამ, – სადღაც ან თაგვი შენიშნა, ან თრითინა და იმას უთვალთვალებს.
- კი, კი, მინდია ბატონო, მუხლუხო თაგვმა შეჭამა, თაგვი თრითინამ, თრითინა მელამ, მელა მგელმა, მგელი?
- მგელი კაცმა!
მინდიას გაეცინა და სიყვარულით ხელი მხრებზე მოხვია.
მალე გზა გახალისდა, გამოჩნდა მუხნარი, ფიჭვნარი, აგერ ნაძვიც...
- თითქოს ქართული მუხა და ნაძვი ერთად არ უნდა იყოს, – შეეჭვდა გივი.
- არც გვლერძა, კოწახური, მუხა და მათთან ნაძვი, ერთად არსად გამიგონია, – ჩაერთო ერეკლე.
- აი, ამ ადგილას გზა ალგეთს სცილდება. აგერ, იმ ფიჭვნარში დავიდოთ ბინა, – გაიშვირა ხელი პატარა ქედისაკენ მინდიამ.
მანქანა უნაგირივით ჩაზნექილ გორაკზე აიყვანეს, აღმოსავლეთისკენ მიქცეული ფერდობი კარგი ფიჭვნარით იყო დაფარული, ჩრდილოეთისკენ მიქცეულ ფერდობზე ნაძვები აშოლტილიყვნენ, მაგრამ არცთუ მთლიანად წმინდა, ალაგ-ალაგ ფიჭვებიც ჩანდა. ბარგის დალაგებას არ დაუცადა მინდიამ და ნაძვნარისკენ გასწია. სანამ ერთ კარავს დადგამდნენ და წყლის ასადუღებლად ცეცხლს დაანთებდნენ, მინდია დაბრუნდა. ხელში მწვანე, წითელთესლებიანი ტოტი ეჭირა.
- აი, ესეც უთხოვარი, ეს წითელი კი მისი...
- თესლია, – არ დააცადა ლელამ.
- თესლი თუ ნაყოფი?
- უთხოვარიც ხომ შიშველთესლიანია. ნაყოფი არა აქვს. უფრო სწორად ნასკვი არა აქვს.
- კარგია! – მოუწონა მინდიამ...
- კი, მაგრამ, ეს როგორღა მოგწონს? – გაუშვირა შეფოთლილი ტოტი გიორგიმ მინდიას.
- მართლაც, საოცარია, ტყის კოწახური და მოცვი თითქმის ერთმანეთის გვერდით.
- ეგ ხომ ბევრი ვნახეთ, მაიაკოვსკიდან ყანობილში რომ გადავედით, მაშინ.
- იქ უნდა გენახათ კიდეც. ეს მოცვი კოლხეთის შედარებით ნესტიანი ტყეებისთვისაა დამახასიათებელი. როგორც ჩანს, ალგეთის ხეობა ის ადგილია, სადაც კოლხეთისა და აღმოსავლეთის მცენარეები ერთმანეთს კიდევ ებრძვიან...
- ალგეთის ხეობა ამ მხრივ უნიკალურია!
- რა მხრივ?
- კონტრასტების მხრივ, აქ ერთმანეთს ხვდება ველის მცენარეთა ჯგუფები (ფორმაციებს რომ ვუწოდებთ) ქსეროფიტები; მთის ტყეები: წიფლნარები, ნაძვნარები, ფიჭვნარები. ალგეთის ხეობა ძველთაგანვე ადამიანის ზეგავლენის ქვეშ იყო მოქცეული. მოტიტვლებულ, ჩამოხრიოკებულ ფერდობებზე სახლდებოდა სომხეთისა და ირანის მშრალი ადგილების მცენარეულობა და ახლაც სახლდება. მაგალითად, აქ ნახულია რქიანი საბეგველას საკმაოდ დიდი ფართობები. გარდა ამისა, ზოგი სამხრეთის ცხოველიც იშვიათი არაა. გველებიდან, გარდა რქიანი გველისა და გველგესლასი, გვხვდება გიურზაც, ჩვენში ყველაზე შხამიანი გველი. ის, მართალია ველისა და ნახევარუდაბნოს წარმომადგენელია, მაგრამ ალგეთის ხეობაში ველიც შემოიჭრა.
ღამე ვარსკვლავიანი იყო, ვარსკვლავები ძალიან მაღლა, მაღლა იყო წასული, მოგზაურთა ფიქრი კი ამ ვარსკვლავებსაც სცილდებოდა.
...და ვახტანგი როგორ მოითმენდა, რომ არ მოეგონებინა:
დაღამდა... წვრილნი ვარსკვლავნი
აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა...

მეორე დღეს მათი ყურადღება გზამ მიიპყრო, თეთრი ხრეში ეყარა. სწორედ აქ, ალგეთის ნაპირას, არის ლითოგრაფიული ქვის საბადო, იგივე სამშენებლო ქვისა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძველად აქაური ტაძრების მოსაპირკეთებლად ეს ქვა ფართოდ იყო გამოყენებული, ხოლო 1910-1912 წლებში ის აღმოაჩინეს, როგორც ლითოგრაფიული ქვა. ამ საქმისათვის ლითოგრაფიულ ქვებს ჭრიდნენ კიდეც, მაგრამ ცინკოგრაფიამ და სხვა უფრო თანამედროვე ხერხებმა, ლითოგრაფიული ქვა გამოდევნა საბეჭდი საამქროებიდან. ტანაყრილი ნაძვნარ-ფიჭვნარი მოსდგომოდა გზას. მინდიამ გზიდან გადაახვევინა. ასიოდე მეტრი გაიარეს და მშვენიერ ფიჭვნარის ქვეშ მოექცნენ.

შორს მოჩანდა ქვემო ქართლის ვაკე, აქვე კი ტბისი, ფარცხისი. მცხუნვარე მზის გამჭვირვალე ნისლში, შორეთში, ისახებოდა ველები და გორაკები, საიდანაც ჩვენი ისტორია იმზირებდა. კოჯრის მთის მწვერვალი გამოსცქერის ძველსა და ახალ მარაბდას და თითქოს ახლა იხდის ბოდიშს, რომ მარაბდის ომში კვირაცხოვლის წყაროს ხევში მდგარი მარქაფი ჯარი დროზე ვერ ჩამოაშველა.

მინდია ჩაუყვა ჩრდილო-აღმოსავლეთის ფერდს და გაიყოლია სხვებიც. აქ კარგი უთხოვრიანი კორომი იყო და ნაირხნოვანი ნორჩნარიც კარგად იყო წამოსული. მასასადამე, თუ ხელოვნურად ხელი არ შეეშალა, ის კარგად გაიზრდება და თითქმის ველის პირში გვექნება უთხოვრიანი.

სწორედ იმიტომ, რომ ამ ხეობაში გვხვდება სოჭი, ნაძვი, ურთხელი, მოცვი და სხვა კოლხური ელემენტები, აგრეთვე ფიჭვნარი, მუხნარი, და წიფლნარი და, კიდევ იმიტომ, რომ ხეობის მცენარეულობის საფარი ნადგურდებოდა, 1965 წ. აქ, ამ ხეობაში, გამოიყო 6400 ჰა ფართობი და დაარსდა ალგეთის ნაკრძალი. მდინარე ალგეთის წყლის დინება წვიმის წყალზეა დამოკიდებულია 40 – 50%–ით, 20-30%-ით თოვლის ლანქერზე და 30-35%-ით წყაროებზე. მაშასადამე, სწორედ მცენარეულ საფარზე ყოფილა დამოკიდებული მდ. ალგეთის მუდმივი დინება, უამისოდ ის წელიწადის ზოგ დროს ხევხმელად გადაიქცეოდა. წვიმის წყალი უცბად ჩამოირბენდა ხეობას და შემდეგ დარჩებოდა კალაპოტის მშრალი ფსკერი. ე. ი., ნაკრძალს მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმისათვის, რომ ძვირფასი მცენარეები შეინახოს, არამედ იმიტომაც, რომ ნაკრძალის დაარსებას უშუალო კავშირი აქვს სოფლის მეურნეობასთანაც, მას უზოგავს წყალს. გარდა ამისა, აქ დაცული იქნება ფრინველები და ცხოველები, რომლებიც ჩვენში სწრაფად იშვიათდებიან: როჭო – ალგეთის სათავეებისაკენ, კაკაბი, გნოლი, შველი, თეთრყელა კვერნა, გარეული ღორი, დათვი, მელა. მდ. ზამასა (შიდა ქართლი) და ჩარხის წყლის სათავეებიდან (ბორჯომის მხარე) აქ ირემიც გადმოვა. ალგეთი, თეძამი, ძამა, ჩარხის წყალი ხომ ერთმანეთის მეზობლად იღებენ სათავეს. თუ ალგეთი თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდოდან იწყება, ძამა, თეძამი, ჩარხის წყალი – ჩრდილოეთისაზე. მათი სათავეები ახლო-ახლოსაა. მთელი ხეობა, ტბისიდან კლდეკარამდე, ხეობის ორივე ფერდო, ნაკრძალად უნდა გამოცხადდეს. ნაწილობრივი გამოცხადება საკმარისი არაა.

ალგეთის ხეობა ბევრი რამით არის შესანიშნავი, ჯერ ერთი, თქვენი თვალით ნახეთ, რომ აქ მეგალითურ შენობათა უამრავი ნაშთია. ბრინჯაოს, ძველი და ახალი, სამარხი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი, სოფ. წინწყაროში, მარნეულის თავზე რომა არის, თეთრი წყაროს რაიონში, ნანახია სამაროვანი, ქვა-ყუთი, ძვირფასი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს განძეულით. ეს სამაროვანი მიეკუთვნება ძვ. წ პირველი ათასწლეულის შუა ხანებს.

მას შემდეგ, რაც არაბებმა აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრეს და თბილისის საამირო დაარსეს, ალგეთის ხეობა ამ საამიროს გამგებლობის ქვეშ მოექცა. IX საუკუნეში ალგეთის ხეობაში ჩნდებიან ბაღუაშები და აგებენ კლდეკარის ციხე-სიმაგრეს; ბაღუაშები ებრძვიან საამიროს ალგეთზე საბატონოდ და სწორედ ამიტომ, პირველ ხანებში, ადვილად გამონახეს ენა დავით აღმაშენებელთან, მაგრამ ლიპარიტ ბაღუაში მალე მიხვდა, რომ თვით დავით აღმაშენებელიც დაიმორჩილებდა მას.

- ბაღუაში თუ ორბელიანი?

- ორბელიანები სხვა შტოა, ბაღუაშები არ არიან, დავით აღმაშენებელმა გააუქმა ბაღუაშების საერისთავო და ლიპარიტი გააძევა. თრიალეთი სახელმწიფოს შეუერთა.

თრიალეთი თავიდანვე ლეგენდარულ ხეობად ჩანს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ აქ იკვეთებოდა საამიროსა და კლდეკარის ინტერესები, იყო ბრძოლა. შემდეგ ბაღუაშები ებრძოდნენ დავით აღმაშენებელს. ამ ხეობაშივე გადიოდა ცხვრის გზა. მწყესი ყოველთვის რომანტიკული ამბებით იყო შემკული. XIX საუკუნეში ამ ხეობიდან გაჩნდა არსენა ოძელაშვილი, XX საუკუნეში კი, როგორც ვნახეთ, არსენა ჯორჯიაშვილი. მგონი, კმარა იმისათვის, რომ დაემღერათ:

კიდევაც დაიზრდებიან,
ალგეთს ლეკვები მგლისანი...

- მართლა, კინაღამ დამავიწყდა. ალგეთის სიგრძე კლდეკარიდან ბაიდარამდე 108 კილომეტრია, მარნეულამდე მთიან მხარეში მიდის, მარნეულში კი გაივაკებს და წითელი ხიდის ჩრდილოეთით უერთდება მტკვარს.

თრიალეთს ამჟამად წალკა ვუწოდეთ, მაგრამ „თრიალეთსა“ და „ალგეთს“ ვერ ველევით: სამ სოფელს შეერქვა ალგეთი, ორს თეთრი წყაროს რაიონში, ერთს მარნეულის რაიონში.
თრიალეთი კი დაერქვა სოფელს, რომელიც თრიალეთის ზეგნიდან გადმოსცქერის ხრამჰესის სადგურს.
- დაგღალეთ?
- მართალია, შენი „რქანიც ხვნენ“, მაგრამ ჩვენც ხომ „ ალგეთის მგლის“ შვილიშვილები ვართ, – შესცინა ვახტანგმა.
მინდიამ კი ქოჩორი აუწეწა.
მალე მანქანით ისევ ქვევით დაეშვნენ, ძველ გზას მარცხნივ აუხვიეს და ახლად გაკეთებულ გზას დაადგნენ. კარგ გადასახედზე რომ ავიდნენ, კვლავ ეკლესიის ნანგრევებთან გაჩერდნენ და გადახედეს ალგეთის ხევს.
ხევში, ტბორს ზევით, ხალხი ირეოდა, ავტომანქანები, ბულდოზერები, ტრქტორები ერთმანეთს გზას ვერ უქცევდნენ.
- აი, აქ კი, დიდი წყალსაცავი კეთდება, ტბასთან აშენდება კაშხალი და ზამთარში დამარაგებული წყალი ზაფხულში მორწყავს აგერ, ამ ველებს.
- არ ამოსილავს?
- შეიძლება, მაგრამ 20-30 წელი იმსახურებს და გაამართლებს დანახარჯს.
- მერე?
- მერე მერემ იფიქროს, – სიტყვა ბანზე აუგდო მინდიამ.
- ეგ კარგია, მაგრამ ფიქრი ახლაცაა საჭირო, მთელი ალგეთის ხეობა კვლავ უნდა დაიფაროს კარგი ტყით, უამისობა არ იქნება, – ეს უკვე შალვა იყო.
- ეგ სწორია! – დაეთანხმა მინდია.
- მაგრამ ჯერ ხომ არ ჩანს ასეთი მელიორაციული მუშაობა?
- სატყეო კომიტეტის ბრალია, ცხოვრებას კვალდაკვალ ვერ მისდევს. ის უფრო დღევანდელი დღითაა გატაცებული.
მალე მანქანამ ტბისი უკან მოიტოვა და ფარცხისში აღმოჩნდა.
- ხვნა-თესვის მხარეა ეს ხეობა: ფარცხისი, მანგლისი[76]... სასხვათაშორისოდ თქვა ვახტანგმა, – კაცი რომ ჩაუკირკიტდეს, სხვა სახელებსაც ნახავს ასეთებს.
ჩხიკვთა ახლა ერთი სოფელია, მაგრამ მის ირგვლივ შვიდი საყდარია გადარჩენილი, უეჭველია, ეს საყდრები 2-3 სხვა სოფელს ემსახურებოდა. მნიშვნელოვანია თლილი ქვით ნაშენი „უგუნბათო“ ბაზილიკა, რომლის ერთი წარწერათაგანი ამ ტაძარზე ადასტურებს, რომ ის აგებულია რუსთაველი მთავარეპისკოპოსის ქრისტეფორე საგინაშვილის მიერ. საგინაშვილები აქაური მებატონენი იყვნენ. ჩხიკვთას სამების მთაზე დგას სამების ტაძარი.
ექვთიმე თაყაიშვილი ამ ტაძართა შორის მნიშვნელოვან ძეგლად თვლის აბელიის ტაძარს, რომლის კედლებზე ასომთავრულით ამოკვეთილია დიდი წარწერა. მასში მოხსენიებულია თამარის შვილები და შვილიშვილები დავით V, ლაშა გიორგის შვილი (1243-1269), დავით VI ნარინი, რუსუდან დედოფლის შვილი (1243-1293), თამარ-ხათუნი, რუსუდანის ქალიშვილი, დავით ნარინის და.
„ მას ჟამსა ხელვყავ შენებად, ოდეს თათართა დაეპყრა ესე სამეფო და ყოველი ქვეყანაი“.
აი, მართლა რწმენაც ესაა, რომ დიდი თათრობის დროს (მონღოლების) დაიწყო ასეთი ტაძრების მშენებლობა.
- აქ, საითაც გაიხედავ, ნასოფლარია.
- ან საყდარია, ან ნასაყდრალი.
- იყო ხალხი და ცხოვრობდა, აშენებდა, მაშინაც კი, როდესაც ცეცხლითა და მახვილით ანგრევდნენ და აჩანაგებდნენ.
- მოდი, გუდარეხიც ვნახოთ. აქ ვიყოთ და არ ვნახოთ, სირცხვილია... თეთრი წყაროდან 9-10 კილომეტრი იქნება.
- აქ იყავი, არა მნახე, შორიდან გამარჯობაო? ისე მოგვივა, – შეამაგრა ანდაზით სურვილი გივიმ.
მანქანამ, მინდიას მითითებით, ჩრდილოეთით გადაუხვია.
გზა ტყეში მიიკლაკნება. მეოთხე– მეხუთე კილომეტრზე გააჩერეს და ფეხით გაუყვნენ.
ვახტანგს ცოტა გუნება შეეცვალა, როდესაც გუდარეხის გალავანს შიგნით აღმოჩნდნენ. მთავარი ტაძრის ირგვლივ უამრავი შენობისა და მცირე ტაძრის ნანგრევია. ძველი მკვლევარები (ექ. თაყაიშვილი) აღნიშნავენ, რომ „ძველ მონასტრებთან იმდენი ნანგრევი, რამდენიც გუდარეხის მონასტერთანაა, არსად მინახავსო.“ გალავნის კედელი ორივე მხრიდან თლილი ქვითაა მოპირკეთებული. სიმაღლე ორმეტრნახევარი აქვს, მაშასადამე თავდაცვითი მნიშვნელობაც ჰქონია.
მონასტრის კომპლექსი აშენებულია ერთ ვიწრო ამზიდულ კლდოვან ნაკვეთზე, რომლის ფართობი 4-5 ჰექტარია. გარემოდან ის ამაღლებულია 8-10 მეტრით; ამ ნაკვეთის სიგრძე 100 მ. იქნება, ჩრდილო-დასავლეთით

20 მ. სიგანისაა, სამხრეთ-აღმოსავლეთით – 15 მ. ჩრდილო დასავლეთითაა აშენებული მთავარი ტაძარი, სამხრეთ ნაწილში კი „შალვას ეკლესიაა“. ამათ გარდა ჩანს მრავალი შენობის ნანგრევი, განსაკუთრებით გალავნის გასწვრივ, ესენი ალბათ სასტუმროები, საკნები და სხვა დამხმარე შენობები იყო.
პირველი ტაძარი რუსუდანის მეფობის დროსაა აგებული, მეორე კი დემეტრე მეორის დროს.
დიდი ტაძარი „უგუნბათოა“, სიგრძე 16 მეტრია, სიგანენ 9.5. კედლები მოპირკეთებულია კარგი კირქვით, შემკულია მდიდრული ჩუქურთმებით. სამხრეთის კედელზე ასომთავრულით დიდი წარწერაა: „სახელითა ღმრთისათა და მეოხებითა წმინდისა გიორგი მთავარ მოწამისა, ააშენა წმინდა ესე ეკლესია ხელითა ფრიად ცოდვილისა ჭიჭაფორისძისათა, სალოცველად და სადიდებლად დედოფალთ დედოფალისათვის, რუსუდან დედოფლისა, და შვილთა მისთა დღეგრძელობისა და ჩემისა ხელისათვის. ესე წმინდა ეკლესია მე გლახაკმან ანტონი მანგლელმან ვაკურთხე უფასოდ სალოცველად სულისა ჩემისა.“
ჩვენი მეცნიერები შეთანხმდნენ, რომ აქ მოხსენიებული რუსუდანი არის რუსუდან დედოფალი, შვილი თამარ დედოფლისა.
მათ ყურადღება ცალკე აშენებულმა სამრეკლომაც მიიქცია. ისიც ალგეთური ქვითაა ნაგები, წარწერაში მოხსენიებულია დიმიტრი თავდადებული.
ირგვლივ ეყარა ნანგრევების ქვები, ზოგი წარწერიანი, ზოგი უწარწერო, მაგრამ ყველა წარსულ დიდებაზე მეტყველი.
- რას ჩაჰკიდე, ბიჭო, თავი, განა დღეს ცოტა შენდება?
ვახტანგმა ერეკლეს ქვევიდან ახედა.
- რა? ენგურჰესი, ზემო-ალაზნის არხი, მეტროპოლიტენი ცოტაა?...
- რასაკვირველია, არაა ცოტა, მაგრამ ესენიც ცოცხალი ყოფილიყო, ხომ ჯობდა?
მათი ყურადღება მიიპყრო იმანაც, რომ ზღუდის პერანგის ზოგი ქვა უზარმაზარია. სიგრძე მეტრნახევარი მაინცაა და სიმაღლე 60 სანტიმეტრი.
- რა გიკვირთ, მეგალითური ეპოქის სული ამ ხეობასაც დიდხანს გამოჰყოლია.
- აქაურობას თხრიდა და სწვლობდა ლევან მუსხელიშვილი და მისი ჯგუფი. ყოველი შენობა, ყოველი საძირკველი მათ გულდასმით შეისწავლეს და გამოირკვა, რომ, გარდა ტაძრებისა, აქაა სასახლეები, საჯინიბოები, მარნები უზარმაზარი ქვევრებით, რომელთა სიღრმე მეტრნახევარზე მეტია. ერთ მარანში 16 ასეთი ქვევრი იყო. ამ მარნის პატრონს კარგა დიდი ზვარი უნდა ჰქონოდა.
- როდის-როდის ამოაღწიეს გუდარეხის ხევიდან და ტყის პირას დაიბანაკეს.

სამშვილდეში გაზრდილი ხე და სისხლი

მონგოლური ანგელოზი
დაადგება თბილისს...
ქალაქის გულს დაბეჭდავს,
გულში სიკვდილს დათესს,
და ქართლი განკვართული
ნაპრალებში, მღვიმეებში
ჩააყენებს ნათელს.
გ. ლეონიძე.

დღევანდელი სოფ. სამშვილდეს პირდაპირ, მდ. ჭივჭივას ხევგაღმა, ძველი სამშვილდეა. ქალაქი სამშვილდე იყო საქართველოს ერთგული დარაჯი სამხრეთიდან. სამშვილდე, დმანისის ციხე-ქალაქივით, ორი მდინარის შესაყარზეა აგებული, მდინარე ქციას მარცხნიდან უერთდება ჭივჭივას წყალი. ორივე მდინარე აქ ღრმა ხრამიანია; ლავების კანიონები თითქმის შვეულადაა ჩაკიდული მდინარეთა ფსკერისაკენ. აქ შექმნილია პლატოს სამკუთხედი. სწორედ ამ სამკუთხედის ქვედა ნაწილია გამოყენებული ციხე-ქალაქის ასაგებად. ჭივჭივას ხრამიდან ქციის ხრამამდე გადავლებულია სქელი კედელი ჩრდილოეთით, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით კედლის მაგივრობას ეწევა ქციისა და ჭივჭივას ხრამის კედელი —კანიონები; შესაძლებელია, ციხე-ქალაქის მშენებელმა ხრამების კანიონზე ზოგი კორექტივი შეიტანა, ჩამოანგრია კლდე და ლოდი, რომელიც, მისი აზრით, გააადვილებდა მეკლდეური მტრის საქმეს, კედელთა ამოშენება ქვითკირით ამ მხარეს საჭიროდ არ მიუჩნევიათ.
აქ ორი ზღუდეა, ერთი ზღუდე განიერი, სქელი კედელია, მეორე უკვე მარტო კედელი კი არ არის, არამედ ციხეა, რომელიც გადამკვეთიცაა ამავე დროს. დასავლეთისკენ მიქცეული კედელი 5-6 მეტრის სისქეა. კედლებს მიღმა კი მრავალი ნანგრევია ამ ქალაქის წარსული დიდებისა.

მანქანა ჭივჭავას ნაპირამდე ჩავიდა, შეიძლებოდა ხრამის კედელზე ნაკეთებ გზაზე ასვლაც, სამშვილდის ვაკემდე, მაგრამ გზა ღორღიანი იყო და ამიტომ მანქანა დაინდეს, ფეხით გასწიეს. კედლებში ფეხი გაედგა მუხას, ჯაგრცხილას, აკაკის. განსაკუთრებით აკაკი იყო საინტერესო, მისი მძლავრი ფესვი კლდეში ჩაზრდილიყო, ორი-სამი მეტრის შემდეგ კი ისევ მზის სინათლეზე გამოდიოდა და კვლავ კლდეებში ბრუნდებოდა.

აღმართი აათავეს თუ არა, ერთი უზარმზარ აკაკის ჩრდილში, ამ მხარისათვის დამახასიათებელი საფლავის ქვა დახვდათ: შეკაზმული მერანი იყო გამოქანდაკებული, მის გვერდებზე კი ამოკვეთილი იყო ვაჟკაცის აღკაზმულობა – თოხი, ხმალი, ხანჯალი, მწყემსის ჯოხი და სხვა. ასეთი საფლავის ქვა სხვაგანაც ენახათ, მაგრამ ეს ყველას სჯობდა. არ დააყოვნეს და ბიჭებმა მისი ფოტოსურათი გადაიღეს.

გალავნის კედელს რომ მიუახლოვდნენ, სამშვილდელი კოლმეურნე ბოსტანში ფუსფუსებდა, გამარჯობაზე გამარჯობით უპასუხა. საუბარში სიტყვამ მოიტანა და თქვა: ამ ადგილს „კრწანისი“ ეწოდებაო. ერთმანეთს გადახედეს. გიორგი მიუხვდა გაკვირვებას და ეს უთხრა:

- კრწანისი აქაც კრწანისი უნდა იყოს. თბილისშიც ხომ კრწანისი განჯის კარის წინაა, აქაც ციხის წინა მინდორს ეწოდება.

- ყოველ შემთხვევაში, ვკითხოთ ენათმეცნიერებს, – თქვა ვახტანგმა და თავის წიგნაკში შეიტანა.

გალავნის შიგნით ნანგრევი ნანგრევს მისდევდა, მათ შორის ქუჩებიც კარგად ისახებოდა.

მსხვილი ქვით ნაშენი სახლების ბალავარი კარგად ჩანდა. თანამედროვე სამშვილდელებს ისღა მოეხერხებინათ, რომ სახლების გული, ყოფილი იატაკი, მოესუფთავებინათ, ქვები ან იქვე დაეხროვებინათ, ან ქუჩის გასწვრივ ყორეებზე დაეწყოთ, გამონთავისუფლებული ადგილი კი ბოსტნად ექციათ. ყორეებზე აქაც აკაკი ამოზრდილიყო და მათ მძლავრ ფესვებს ძველ ნამოსახლართა ქვები ჩაებღუჯა. ეს უცნაური მკლავები მათ ისე შემორტყმოდნენ, თითქოს გაშვებას არასდროს აპირებდნენ. ზოგან კი ერთ ან ორ-სამ ლოდს რამდენიმე ფესვი შემოხვეოდა ზღვის უზარმაზარ რვაფეხასავით. ქვები დაფარული იყო მრავალნაირი ქარაგოზით[77], თეთრი, ცისფერი, ყვითელი, წითელი ერთმანეთს ეჯიბრებოდა და ეს კიდევ უფრო აძლიერებდა ამ ნანგრევთა სიძველის ეფექტს.

- აგერ, იმ ქვაზე, წითელი რომაა, სისხლია იმ ბავშვებისა, რომლებიც ამ სახლში ცხოვრობდნენ, – ჩურჩულით ეუბნებოდა ვახტანგი ლელას, რომელიც გატრუნული ისე უსმენდა, თითქოს მართალ ამბავს ისმენსო.

- ბიჭო, ვახტანგ, მათი სისხლი დიდი ხნის წინათ აორთქლდა ან მიწად იქცა.

- თუ მიწად იქცა, მათი სისხლი აი, ამ მიწაში კიდევ არის, ყოველ აქ ამოზრდილ მცენარეშია. მცენარე ხომ არ ქრება, ხმება და მიწასვე უბრუნდება, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც...

- ეგრე რომ ვიანგარიშოთ, მთელი ჩვენი მიწა-წყლის მცენარეული საფარი ჩვენ წინაპართა სისხლს შეიცავს.

- კიდევაც, რომ...

- რას ჩურჩულებთ მანდ, – გამოსძახა ერეკლემ, – მოდით აქ, აი, ძველი არხის ნაშთები...

- დიახ, ეს ძველი არხია, თამარ დედოფლის გამოყვანილიო, – თავი დაუქნია სამშვილდელმა და მიუთითა ნარუალზე, რომელიც უკვე კარგად დაყამირებულიყო.

ნაქალაქარის დასავლეთით რამდენიმე აბანოს ნანგრევი ჩანდა. შუაში კი ტაძრის ერთი კედელიღა დარჩენილიყო. ეს ერთი კედელიც კი საკმარისი იყო იმისათვის, რომ კაცს წარმოედგინა, რა შესანიშნავი და გრანდიოზული უნდა ყოფილიყო ეს კათედრალი.

თუ თვითონ ქალაქი ერთ-ერთი უძველესია, მისი საწყისი იკარგება სადღაც ძვ. წ პირველი ათასწლედის შუა საუკუნეებში და გაძლო XVIII საუკუნემდე, მისი ტაძარიც ქრისტიანობის ერთი უძველესი ძეგლთაგანია, ის VIII საუკუნეშია აგებული. მართალია, ტაძარი დანგრეულია, მაგრამ გადარჩენილ კედელზე წარწერის ფრაგმენტია და ამ წარწერაში მოხსენიებულ პირთა მიხედვით დადგინდა, რომ ტაძარი აშენებულია 759—777 წლებში, ტაძრის დამფუძნებლები კი ყოფილან ვარაზ ბაკური და იოვანე, ქართლის პიტიახშთა შთამომავალნი.

მართალია, ჭივჭივის ხრამის ჩრდილოეთისკენ მიქცეულ ხრამის კედელზე დღესაც სარწყავი არხის ნაშთები ჩანს (თამარ დედოფლის არხს ეძახიან და ეს გადმოცემა ადგილობრივ მოსახლეობაში დღესაც ცოცხლობს), მაგრამ ახალი არხი პლატოს მოსარწყავად ახლად გამოუყვანიათ სოფ. ზემო ახალშენის მოპირდაპირე ბრმა ხრამიდან. საკმაოდ დიდ მანძილზე არხი კანიონის კედელზეა გაჭრილი, აქედან გამოყვანილია პლატოზე, სწორედ კრწანისზე, სადაც სიმაღლე ზღვის დონიდან 1000 მეტრია; არხის სათავე კი დაახლოებით 1100 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

- მაინც ვნახოთ ვახუშტი.

„ მის (პირღებულის) ქვემორ არს ციხე ორბეთი, აწ წოდებული სამშვილდე. აღაშენა ქართლოს, და პირველმან მეფემან ფარნაოზ ჰყო საერისთოთ ქალაქი, არამედ იყო მეფის სვიმონისამდე ქალაქი. არს ფრიად მაგარი, სამხრით უდის ქცია, ჩრდილოთ უდის ჭივჭივა; საშორისსა[78] ზედა არს გადავლებული ხრამით-ხრამამდე ზღუდე განიერი და მაღალი. კვლად გარე მის ქალაქისა ზღუდე გარდავლებული, ეგრეთვე დიდროვანითა

ლოდითა. ციხესა შინა აღაშენა ეკლესია გუნბათიანი მეფემან მირდატ, შემუსრა ლანგ-თემურ, მერმე ოსმალთა. ზაფხულ არს ცხელი, ზამთარს ცივი, არამედ მშვენი და კეთილ ჰაოვანი. ამის ძირს, ქციის პირს, არს მონასტერი მცირე, აწ ხუცის სამარ, ხოლო ქციის ხრამი აქა არს სიმაღლით 200 მხარი და მეტიცა და განით 560 მხარი და ჭივჭივის ხრამი 200 მხარი, აქ ჭივჭივასა ზედა არს კლდე სპეტაკი, და მისგან სცვივა ბროლი გათლილი კუთხედ, მწვეტი ორკერძოვე. ჭივჭივის წყალი სდის ბენდერის მთასა და მოდის სამხრით; არს ვენახოვანი, არამედ მთისაკენ არა. ამის სადინს არს ნადარბაზევი, თამარ მეფის ნასახლევი. აქა არს ტბა მცირე, ლულუფრისაგან კიდე მას შინა არარაი“.

- თქვენ რატომ უკანასკნელ სტრიქონს არ მიაქციეთ ყურადღება? – შეეკითხა გიორგი, უფრო იმიტომ, რომ იცოდა, ახლა ჩამოჰყვებოდნენ აღა მაჰმად-ხანამდე, როგორც არაერთხელ მომხდარა.

-??

- „ აქა არს ტბა მცირე, ლულუფრისაგან კიდე მას შინა არარაი“. წალკისაკენ მიმავალი გზიდან, თეთრწყაროდან მეოთხე-მეხუთე კილომეტრზე, მხარმარცხნივ საურმე გზა გადის. მეშვიდე-მერვე კილომეტრზე, გზის მარცხნივ. მართლაც არის პატარა ტბა, რომელიც დაფარულია ლულუფრით, ანუ წყლის შროშანით. თუ ბარეთის ტბაზე ერთი-ორი ნახეთ, აქ უამრავია, ლამაზია, როცა ყვავის.

- ეხლა უნდა ყვაოდეს კიდეც.

- იქნებ ვნახოთ! – წამოიძახა ვახტანგმა.

- დღეს თუ არა, ხვალ ვნახოთ. დღეს საქმე აქაც ბევრი გვაქვს.

ეს საუბარი უკვე ქციის ხრამის პირას ჰქონდათ. ამ დროს ზურგს უკან სახედრის ფლოქვების ბაკუნი მოესმათ. მიიხედეს და დატვირთული სახედარი მოადგათ, რომელსაც სამშვილდელი მამაკაცი და დედაკაცი მოსდევდნენ.

- მართალია, მე და ჩემმა ღმერთმა, ვირმა რომ თქვა, ფეხის გადამტვრევისა რომ არ მეშინოდეს, ქალაქს ავიკიდებდიო, – აღნიშნა გივიმ.

- თქვენში, სამუხრანოზე, სახედარი არა ჰყავთ, არა?

- ახლა, ამ ბოლო დროს, ალაგ-ალაგ გამოჩნდა, საკარმიდამო ნაკვეთში ამის სამუშაოც მოიპოვებ, რადგან, მოგეხსენებათ, ხარ-ურემი უკვე იშვიათია, პატარა ტვირთისთვის კი ავტომანქანას ვერც გარჯი და ვერც ხელად იშოვი.

- თქვენ საით, მეგობრებო? – შეეკითხა მინდია.

- ძირს, ჭალაში, მცირე ბოსტანი გვაქვს.

- მერე ამოდენა ბარგი რაა?

- მეზობელმა გვთხოვა, ჩემიც წაიღეო და...

- ცოტა ცოტას მიემატა და ბევრი გახდა, არა?

და სახედარმა ჩადგა ფეხი დაკიდულ ბილიკზე. შედგა, თითქოს ფიქრობდა, მეორეც ჩავდგა თუ არაო. ამ დროს ქალმა ერთ პატარა ტომარას სტაცა ხელი, ააცილა ვირს კურტნიდან და ზურგზე დაადო თავის ქმარს, რომელსაც უამისოდაც არცთუ ცოტა ბარგი ჰქონდა უკვე.

- ეს რატომ? – შეეკითხა ერეკლე.

- იცი რა, შვილის სწორო? დაღმართი დიდია ძალიან, დაკიდულია და ცოდოა.

- მაშ მე რა? – თითქოს გაჯავრებით შეეკითხა სამშვილდელი...

- სარქის-ჯან, შენ არა გიშვს რა, ჩაჰყე!... – თითქოს უბრძანა კიდეც. ბიჭებმა კი ამაზე ხარხარი ატეხეს, პირველად ნახეს, რომ საქონელი დაინდეს და ადამიანი კი არა.

დედაკაცის აზრით, ადამიანი აიტანდა, თუ ვერ აიტანდა, მოიხსნიდა, ძირს დადებდა, სახედარი კი ვერა. ქალმა ამათ სიცილზე თავი გადააქნ-გადმოაქნია და თქვა:

- თქვენ რა იცით, შვილო, მიწასთან არა გქონიათ საქმე.

სახედარი მართლა ფრთხილად ადგამდა ფეხს და მიდიოდა ქვემოთ.

- იცით, რა, მოდი ჩვენც ჩავყვეთ. მინდია კი ჩავიდეს თემურთან და ამოვიდნენ იქ, სადაც ცხენის ძეგლია, ვახშამიც მოამზადონ. ჩვენ ამ ხნის განმავლობაში სამშვილდის ხრამს მოვათვალიერებთ, – ყველას აზრი გამოთქვა ერეკლემ.

ასეც მოიქცნენ.

ბილიკი ბაზალტის, ანდეზიტისა და სხვა ქანის ლოდებს შორის მიიკლაკნებოდა.

- ეს რაღა ხეა? – იკითხა გივიმ, – მე ამისთანა არსად შემხვედრია!

- ეს კი ნამდვილად საკმლის ხეა. აქ შეიძლება ლეღვი და ბროწეულიც ვნახოთ. აი ხედავთ? ხრამის ეს კედელი სამხრეთს უცქერის, მზისაგან ხურდება, მზვარეა. აგერ მეორე, გაღმა კედელი, ჩრდილოეთს უცქერის, ის მთლიანად ტყითაა დაფარული, რცხილა, ქართული მუხა, ნეკერჩხალი, იფანი... ჩრდილის კედელია და ამიტომ

უფრო ნესტიანია. ჩრდილოეთისკენ მიქცეულ კანიონზე იზრდება ამ მხარის შუა სარტყელის ტყის ჩვეულებრივი წარმომადგენლები. გამოღმა კედელი კი მშრალია, უწყლო, ამიტომ აქ უკვე იზრდება მშრალი ადგილების მცენარეები, როგორც ხე, ისე ბალახი, საკმლის ხე, თუთუბო, აკაკი, ლეღვი, ქართული ნეკერჩხალი, ბეგქონდარა და სხვ. აბა, თუ გახსოვთ, სად ნახეთ ასეთი?
- შირაქსა და ელდარში, ვაშლოვანში, პანტი-შარაზე...
მაშ, ვახუშტი რომ წერს, აქ ნახიდურამდე ზეთისხილი, ლეღვი და ბროწეული მოდისო, ეს უეჭველად ქციის მარცხენა ნაპირზეა, არა? – შეეკითხა ახლა ვახტანგი. – სწორედ ეგრეა, მარჯვენა ნაპირი ჩრდილიანია და მშრალი, სუბტროპიკული მცენარე კი მზის მოყვარულია, სადაც ხეობა გაშლილია და მიწას ზის სხივი, სითბო თანაბრად მოხვდება, იქ კარგად გაიზრდება. ქვევით გაშლილი ადგილები ცოტა არაა, აქ ნავენახარიც ბევრი გვხვდება, ამ ნავენახარში ვაზის გარდა იქნებოდა ატამი, გარგარი, ჭერამი, ნუში, ბროწეული, ლეღვი, ფსტა, კაკალი, ვაშლი, მსხალი, ხომანდული, ქლიავი. აი, რას ამბობს ვახუშტი:
„ხოლო სამშვილდეს ქვეით ქციის ხრამი ნახიდურამდე უმეტეს განიერი. აქ ნაყოფიერებს სხვათა ადგილთაგან მეტად ბროწეული, ლეღვი, ზეთისხილი და სხვანი ხილნი. განაღამცა ზამთარი არს თბილი და ზაფხული ფრიად ცხელი, რამეთუ ზამთარს შეშა არ უხმს“.
- აბა, ჩავყვეთ და კიდევ რას იცნობთ შირაქულს?
- მაგას რაღა ლაპარაკი უნდა. აი, ჯერ ერთი, წითელწვერა, აბზინდა.
- აგერ ხურხუმოც, აქ მარილებიც ყოფილა.
- ასე ღრმად, მთებისკენ როგორ შემოიჭრნენ?
- თავისებური, მიკროკლიმატური და ნიადაგობრივი პირობები რას არ იზამს.
ამის შემდეგ დიდხანს ხმა აღარ ამოუღიათ, სანამ წინ მიმავალი ვახტანგი არ შეჩერდა.
- ჩამაწყდა, ბიჭებო, მუხლები. დაღმართში უფრო ძნელია სიარული.
- შენ ეგ მაშინა თქვი, ზევით რომ წამოვალთ, – გაუცინა მამამ და იმისათვის, რომ მუხლში ქარი ამოეღოთ, მარჯვენა მხარეზე მიუთითა და საუბარი წამოიწყო.
იქ, გაღმა, დიდი ზეგანია, ტაფანი ჰქვია, მშვენიერი ვენახებია ბოლნისის მეურნეობისა. ახალი ბოლნისიც ტაფანის გადაღმაა.
- აი, ეს გადაიღე, ვახტანგ! მე ფირი გამითავდა, – ერეკლე ერთ საკმაოდ დიდ საკმლის ხესთან იდგა, რომელიც კლდის ნაპირიდან ამოზრდილიყო და ერთ ლოდს მისი ზრო სანახევროდ შემოხვეოდა.
ეს საკმლის ხე მარტო ვახტანგმა კი არა, გიორგიმ და შალვამაც გადაიღეს.
როგორც იყო, ჩააღწიეს მდინარის ჭალაში და პირდაპირ მდინარეს მიაშურეს. წყალი ანკარა და წმინდა იყო, გაიძრეს შარვლები და ერთ მორევში დგაფანი მოადინეს, ფეხებისა და ხელების ქნევით მდინარე ააქაფეს.
- ბიჭებო! კალმახს ნუ მიფრთხობთ, რა! მანდ ჩემი ქარავანია, – გამოვიდა ერთი მათი ტოლი ტირიფნარიდან სიცილით, – გამარჯობათ, ბ-ნო გიორგი!
- გაგიმარჯოს, – დაუბრუნა გამარჯობა გიორგიმ და, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა შეხედა. ჩანდა, ვერ იცნო.
- ოჰ, სანდრო, საიდან? – გამოსძახა ერეკლემ.
- ერე, შენ აქ? აგერ ტაფანზე ვმუშაობ, გეოლოგიურ საძიებო ჯგუფში.
- იპოვეთ რამე?
- ჯერ ცოტაოდენი...
- თუ მუშაობთ, შენ რატომ თევზაობ?
- მე და თამაზი დღეს მორიგეები ვართ, ის ზევით დარჩა, ქვაბებს ურევს, მე ჩამომგზავნა, თევზი ამოიტანე, შენ უფრო იცი ეგ საქმეო.
- მერე?
- ეხლავე! – და შებრუნდა ტირიფიანში, საიდანაც კალმახით სავსე პარკები გამოიტანა, – ბატონო გიორგი! ჩვენი წესის მიხედვით, მონადირეს თუ უცხო შეესწრებოდა, ნახევარ ნანადირევს უნაწილებდა...
- ჩვენ არა ვართ მოწყობილი ისე, რომ თევზში შეგეცილოთ, – უპასუხა ღიმილით გიორგიმ და მადლობა უთხრა.
- მამი, მამი! ხომ გვაქვს ქვაბი, სხვა არა იყოს რა, შამფურზე მწვადივით შევწვავთ, – ეს ვახტანგი იყო.
გიორგის გულიანად გაეცინა, ბიჭები უკვე იყოფდნენ სანდროს ნანადირევს.
- აგერ, რამდენი სასულეებია, – მიუთითა სამხრეთის კედელზე სანდრომ.
- კარგი კი იყო ასვლა ერთ-ერთში. ეგენი ხომ სამალავებიც იყო, იქნებ ვნახოთ რამე.
- წერაყინი გაქვთ?
- ფრთხილად, ბიჭებო, – შესძახა გიორგიმ, როდესაც კანიონის ძირში ბიჭებმა მიწაყრილი აირბინეს და, გამოცდილ მეკლდეურებივით დაიწყეს ზევით ასვლა, სადაც სამი ერთმანეთთან დაკავშირებული სასულე-გამოქვაბული ჩანდა.

მალე ჩამობრუნდნენ.
- ობსიდიანის ისრის პირების მეტი ვერა ვნახეთ რა.
- იქნებ ეს ისრის პირი იმ ისარს ჰქონდა, რომელიც ძონძდახვეული და ანთებული გამოსტყორცნა მონღოლმა ამ სამალავში მყოფებისაკენ.
- ცეცხლის გამჩენი ყუმბარა?
- სწორედ.
- ასე ადვილად ასასვლელ გამოქვაბულში ვინ რას დატოვებდა? – თქვა ლელამ.
გამოეთხოვნენ სანდროს და შეუდგნენ აღმართს. გიორგიმ სანდროს კიდევ უთხრა მადლობა, გადამეხადოსო.
- როგორია, ერეკლე? – შეეკითხა შვილს.
- კარგი ბიჭია, ჭკვიანი...
აღმართზე მოაგონდა ვახტანგს და წაიღიღინა კიდეც:
ჯარჯო ნუ ჩახვალ ხოშორსა,
ხოშორი ეკლიანია,
ჩახვალ და ვეღარ ამოხვალ,
ამოსვლა მეტად ძნელია!
- განა? – გამოსძახა ერეკლემ.
მზე გადახრილი იყო, როდესაც დათქმულ ადგილას მივიდნენ და კალმახებით მინდია გაახარეს.

გამომზეურებული დარბაზი

გზაზე, სადაც ცაცხვებია და მუხნარი უმეტესი,
არსად ქვეყნად არ მინახავს ადგილები უკეთესი.
გალაკტიონი

მეორე დღეს, დილით, თეთრიწყაროს ბაზარზე შეიძინეს სანოვაგე, ხილი, მწვანილეული და დაადგენენ ტბის გზას. გზა თანდათან მაღლა მიიწევდა და ანეროიდმა მალე 1400 მ. აჩვენა. მანქანა გზის პირას დააყენეს, მინდია მანქანაში დარჩა, ხოლო თემური სხვებთან ერთად აჰყვა დამრეც ფერდობს. მალე აიარეს რცხილნარ-მუხიანი და მათ წინ გამოჩნდა პატარა ტბა. ვახუშტის შემდეგ ტბას ფერი უცვლია, „ ლულუფრისაგან კიდე მას შინა არარაი“, – ასე აღარაა, ტბა დაბერებულა, ნაპირები დაჭაობებულა. ლისი, ჭილი, ლელი და სხვა წყალჭარბი ჭაობის ჩვეულებრივი მცენარეები მძლავრობენ. ტბის გულზე კი ჩანდა წყლის შროშანა, მაგრამ მასთან მისვლა ჭაობის გადაულახავად შეუძლებელი იყო. გზისკენ, უკან დაბრუნებისას, მუხნარ-რცხილნარში წააწყდნენ ნასოფლარს. როგორც ჩანს, ძველისძველი იყო, რადგან ძლივს შესამჩნევ ბალავრებზე და ყორეებზე უზარმაზარი წიფელი, რცხილა და მუხა ამოსულიყო. მუხის ხნოვანება 300 წელი მაინც იქნებოდა. მინდიას რჩევით გადაწყვიტეს ამ დღეს ტყე კარად მოეჩხრიკათ, ვახტანგს და ერეკლეს აღერიცხათ ნასოფლარები, ნასახლარები, დანარჩენებს კი – მცენარეული საფარი. ღამე ჭივჭივას შენაკადის ნაპირზე უნდა გაეთიათ.
გზაზე მანქანა ნელა მიირყეოდა. დაახლოებით 1500 მეტრის სიმაღლეზე გააჩერეს და ტყის პატარა მდელოზე დაიდეს ბინა.
ისადილეს და შეერივნენ ტყეს. ვახტნგმა და ერეკლემ მართლაც ბევრგან ნახეს ნასოფლარი, ტაძრის ნანგრევი, ბევრაგან მაჟალო და პანტა ისე იყო არიგებულ-ჩარიგებული, რომ ბაღს ჰგავდა. როდესაც შეგროვდნენ, ყველა კმაყოფილი იყო, ბევრი რამ ნახეს.
- მაინც მეტისმეტია ამდენი ნასოფლარი! – დაასკვნა ვახტანგმა, როდესაც ძილისთვის ემზადებოდა.
დილით რომ აჰყვნენ ბედენის[79] ფერდოს, დარწმუნდნენ, რომ ბედენის საძოვრები ძირითადად ნატყევარია. ტყე აქ წიფლნარით მთავრდება, რომელსაც აღმოსავლეთის მუხაც ურევია. ტყე წყდება 1700-1800 მ სიმაღლეზე.
რასაკვირველია, აქაც ნახეს ლეუკანთემუმი, რომელიც საძოვარს აქა-იქ მოსდებოდა. პირველ რიგში, მისკენ დაიხარნენ, დაწვრილებით აღწერეს, აიღეს ნიმუშებიც.
ბენდერი წყალგამყოფია ქციასა და ალგეთს შორის, რომლის კალთებზე მრავალი პატარა მდინარე თუ ნაკადული იბადება, ალგეთსა და ქციას სიცოცხლეს რომ უხანგრძლივებს. ბენდერის სიმაღლე 1876 მეტრია, თხემი ამ მთისა გრძელია და ზეგანისებრი და გარდა ბენდერის მწვერვალისა, ამართულია რამდენიმე უსახელო მწვერვალი; ზოგი მათგანი ბენდერზეც კი მაღალია (1879 მ, 1886 მ, 1939 მ.). გარდა ამ მწვერვალებისა, პლატოზე მრავალი მცირე და დიდი ბორცვია, როგორც შემდეგში გამოირკვა, ზოგი ხელოვნურია, სამარხის ყორღანს წარმოადგენს.
ბენდერის კალთები კარგი ტყითაა დაფარული; ტყე ძირითადად წიფლნარია, მაგრამ სამხრეთ საქართველოში ეს კანონზომიერება ზოგჯერ დარღვეულია: რცხილა და მუხა აქ უფრო ხშირია, ვიდრე მთავარ კავკასიონზე; წიფლის სარტყელიც შევიწროებულია. ქართული მუხის კორომები ხშირად 1500 მეტრის სიმაღლემდე ადის და

აქ, განსაკუთრებით სამხრეთ ფერდობებზე, ხვდება აღმოსავლეთის მუხას, რომელიც ხშირად სუბალპურ ზოლში ტყეს ამთავრებს და ქვევითაც ჩაიჭრება ხოლმე. ადგილ-ადგილ ქართული მუხის სარტყელში ჩაწინწკლულია კავკასიის ფიჭვი, რომელიც, როგორც ჩანს, თავისი გავრცელების არეალს აფართოვებს. რცხილა ზოგ ადგილას წმინდა კორომებს ქმნის, წიფლის სარტყელს წმინდა ცენოზის სახით უახლოვდება, სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფერდობებზე და მიკროეკოლოგიურ გარემოცვაში მუხასთან ერთად ენაცვლება. ესეც ამ მხარის თავისებურებაა, კავკასიონის მთავარ ქედზე რცხილა ასე მაღლა არ ადის.

ამ ძირითადი ჯიშების შემდეგ წიფელი იწყება და ამთავრებს კიდეც ტყის ზოლს, სწორედ ესეცაა ერთ-ერთი ნიშანი იმისა, რომ ბენდერის პლატოს სუბალპების მცენარეულობა, ძირითადად, მეორადი წარმოშობისაა. მაღალი მთის ტყეებისა და, ნაწილობრივ, წიფლნარის ზემო ზოლის ხარჯზე, ეს მით უმეტეს დასაჯერებელია, რადგან ბენდერის პლატოზე გადის ის გზა, რომლითაც თრიალეთისა და ჯავახეთის საძოვრებისაკენ მიემართება „ხვასტაგი, არვე და რემა ქართლისა, კახეთისა და ქიზიყისა“... რასაკვირველია, ადრე გაზაფხულზე, როდესაც მცენარე ახლადამოსულია, ეს უამრავი საქონელი ხეირს არ დააყრის არც ტყეს, არც მის ნორჩნარს და არც ბალახს.

ამჟამადაც საძოვარი ფრიად გადატვირთულია და, ცხადია, რომ ბენდერის მდელო და სათიბი უკვე დეგრადირებულია.

მიდიოდნენ ნელი ნაბიჯით, აუჩქარებლად და აქაური მცენარეულობის ისტორია მათ თვალწინ იშლებოდა. მართალია, მცენარეულობის ერთი ჯგუფით მეორეს შენაცვლება სხვა ადგილებშიც ჰქონდათ ნანახი, მაგრამ ეს პროცესი აქ საკმაოდ მკაფიოდ ჩანდა.

გიორგი ამ მხარეში ადრეც იყო ნამყოფი და ამიტომ გეზი ერთი საკმაოდ მაღალი გორაკისკენ აიღო; აქ კი ასეთი გორაკები მრავალია.

მალე მიადგნენ გორაკს, სადაც გიორგის აკლდამა ეგულებოდა. გორაკი გაეთხარათ, მიწა გადაყრილ-გადმოყრილი იყო, მაგრამ აკლდამაზე მიწა ისევ წაეყარათ.

დიდი ყორღანის შორიახლოს მომცრო ყორღანი ჩანდა, ისიც გათხრილი. ეს ყორღანიც „დაკონსერვებული“ იყო.

- აბა, ვახტანგ, შენ რას გვეტყვი, ბენდერიც შენი წილია, – მიმართა მინდიამ ვახტანგს.

- ჯერჯერობით ბევრი არაფერია გამოქვეყნებული, გერმანე გობეჯიშვილის წერილია. იგი ამ წერილში პირველ ცნობებს გვაწვდის, მეტრეველი კი შენობა-დარბაზს აღწერს; ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ სამარხთა შესახებ.

ეს საარხები გერმანე გობეჯიშვილმა გათხარა და პირველი მასალაც მან გამოაქვეყნა. პატარა გორაკი თერთმეტია; სიმაღლე 1-2 მეტრი აქვთ, დიამეტრი კი 20-30 მეტრი. მთავარი ყორღანის, ე. წ. „გადაჭრილი გორის“, სიმაღლე 6 მეტრია, დიამეტრი – 100. როდესაც გადაჭრილი გორა გათხარეს, ნახეს, რომ გორის ქვეშ „ამოთხრილია ვეებერთელა ორმო, რომლის სიღრმე 4,5 მეტრს აღწევს. ფსკერი 40 კვ. მეტრი იქნება, ორმოს პირი კი 120 კვ. მეტრია. ორმოს გვერდები საკმაოდ დამრეცია. ფსკერზე აგებული დახვდათ მუხის აკლდამა, 30 კვ. მეტრი ფართობის. კედლების სიმაღლე (ბოძების) 4 მეტრს მაინც უდრის. ამ სამარხის ყველა ნიშნებით ჩანდა, რომ ტომის ბელადი უნდა ყოფილიყო დასაფლავებული. სამწუხაროდ, სამარხი გაძარცვული აღმოჩნდა – როგორც არქეოლოგები ვარაუდობენ, 700-800 წლის წინათ გაუძარცვავთ. ოქროს ნივთებიდან დარჩენიათ, ან თხრის დროს მიწაში გადაჰყოლია, ორი დიდი ოქროს ქინძისთავი.

აკლდამაში აღმოჩნდა ხორბლისა და ფეტვის მარცვლები, წაბლი, თხილი და სხვადასხვა ხილის (ტყემლის, კვრინჩხის, ბლის) კურკები.

ჭურჭლეულიდან ბევრი იყო შავპრიალა თიხის ნამტვრევი, ჯამი, ტაბაკი, ხონჩა და სხვა ამგვარი.

ნამარხში აღმოჩნდა იშვიათი ხელოვნებით ნაკეთები ისრის წვერი. აღმოჩენილია ტილოს, შალის და ერთი ფრიად ნაზი ქსოვილის ნაშთები.

რაც მთავარია, სამარხში აღმოჩნდა ოთხთვლიანი ურემი, ურემი ნახმარია, რადგან ღერძიც გაცვეთილია, მორგვის ნასვრეტიც და თვლებიც. ეს კი იმის დამადასტურებელია, – დაასკვნის გ. გობეჯიშვილი, – რომ იმ დროისათვის, ე. ი., ძვ. წ. მესამე ათასწლეულის დასასრულისათვის, გზები შედარებით კარგი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ოთხთვალა ურემს შეეძლო სიარული“.

საინტერესოა, რომ ჯერ პატარა გორაკი გაუთხრიათ, მაგრამ შიგ არც ჩონჩხი, არც სხვა ნივთი აღმოჩენილა. ფიქრობენ, გარდაცვლილი აქ დროებით დაუმარხავთ და შემდეგ, როდესაც დიდი აკლდამა და სამარხი მოუმთავრებიათ, ამ სამარხიდან იქ გადაუსვენებიათ. დიდი აკლდამის მომზადებას დრო სჭირდებოდა, 11000 კუბური მეტრი მიწის ამოღება და გადატანა-გადმოტანა ხუმრობა საქმე არ იყო.

ამ ორმოში აშენებულია დიდი დარბაზი-აკლდამა. სამშენებლო მასალად გამოყენებული მუხა, შესაძლებელია, აღმოსავლური მუხაა, რომელიც ამ გორაკის ახლოს უნდა ყოფილიყო და ქართული მუხაც; არც ისაა აქედან შორს. ცაცხვისა და თელამუშის ლაფნისაგან მოქსოვილი და დაწნულია ჭოლოფები. საფენებად ისინია

გამოყენებული. იატაკად მუხის მორების ზღვეა დაგებული, კედლები მესრისებრ ერთმანეთზე მიჯრილი მორებითაა გამართული. დედაბოძზე და თავ-ბოლო ბოძებზე გადებულია თავხე, მასზე კი კოჭები ალაგია და შემდეგ ჭერი. ჭერს ზედ კეწეწი და ფიჩხი აყრია, შემდეგ უკვე ქვა და მიწა და ასე – თანდათანობით შეუქმნიათ 6 მეტრის სიმაღლის გორაკი.

წინასწარმა შესწავლამ ჩვენი მკვლევარები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს სამარხები უნდა ეკუთვნოდეს უცხო მხრიდან შემოჭრილ მომთაბარე მესაქონლე ხალხს, სავარაუდოა, წინა აზიიდან.

მეორე მხრივ, ეჭვს ბადებს კერამიკის ბრწყინვალე ნაკეთობები და იმ ქსოვილების ნაშთები, რომლებიც სამარხებში აღმოჩნდა. ასეთი ბრწყინვალე ხელნაკეთები საეჭვოა, მომთაბარე ხალხს ჰქონოდა.

ასეთი ნასახლარები აღმოჩნდა აზერბაიჯანში, დაღესტანში და სხვაგან. ეს სამარხები გამოიყო ცალკე ჯგუფად, რომელსაც „ბედენური კულტურა“ ეწოდა. ის ე. წ. მტკვარ-არაქსის სამარხებისაგან იმით განსხვავდება, რომ აქაური ჭურჭელი უფრო ნატიფია. როგორც ჩანს, ის მიეკუთვნება ადრე ბრინჯაოს ეპოქის დასასრულსა და შუა ბრინჯაოს ეპოქის დასაწყისს და სწორედ ამით ერთგვარად უახლოვდება თრიალეთის კულტურას.

ვახტანგმა დაამთავრა საუბარი და გადახედა თავის მსმენელებს, ხომ არ მოიწყინესო, მაგრამ კმაყოფილი დარჩა, რადგან მოწყენილობა არც ერთს არ ეტყობოდა.

ხუმრობა ხომ არ არის, შენს თვალწინ გაიაროს 4-5 ათასი წლის წინანდელი ხალხის ცხოვრებამ.

ხნავდნენ, თესავდნენ, ჰყავდათ ჯოგები, ჰქონდათ მთხოვნილება სილამაზისა, ისრის წვერებსაც კი რთავდნენ და ალამაზებდნენ.

ოცნება ხრამის პირზე

ხელში აგიღებ... გაკოცებ,
კიდევ გაკოცებ... ჩაგცქერი,
წიგნი კი არა, ჟრჟოლა ხარ,
ჩამოქაფული ჩანჩქერის.
გ. ლეონიძე.

ქციის ხრამი ანდამატივით იზიდავდა ბიჭებს. საქმე ისაა, რომ ვახტანგს (მიუხედავად იმისა, რომ თრიალეთის სიზმარი ბიჭებს ხუმრობის უფლებას აძლევდა) თავისი ჰიპოთეზა ჰქონდა:

„ ქციის ხრამზე მრავალი ქვაბია, ხელოვნური თუ ბუნებრივი. ამას თავის დროზე ვახუშტიმაც მიაქცია ყურადღება.

„არამედ ხრამთა ამათა შინა არიან მრავალნი ქვაბნი, კლდეთა მაღალთა შინა გამოკვეთილნი სახიზრად; ვიეთნი აწ კაცთაგან მიუსვლელნი არიან, და მას შინა ფუტკარნი მრავალნი, რომლისაგან მოედინებიან თაფლნი“...

გაციებულ ლავაში დარჩენილი გამოქვაბულები გამოიყენეს ადამიანებმა, ზოგი ხელუხლებლად დატოვეს და ზოგი შეაკეთეს, გააღრმავეს, დაამშვენეს. ეს ხდებოდა თანდათანობით, რამდენადაც ადამიანი განვითარების მაღალ საფეხურზე ადიოდა, იმდენად ამ გამოქვაბულებს მეტად ემჩნეოდა ადამიანის ხელი.

ქციის ხრამი ძნელად მისადგომი იყო და ამიტომ ზედგამოჭრილი იყო სახიზნად. რასაკვირველია, ეს ქვაბები მარტო სახიზრად არ იყო გამოყენებული, რადგან მონასტრებსაც აშენებდნენ და გამოქვაბულებს კი ბერების საცხოვრებელ საკნებად იყენებდნენ. „ამ ხევზედ, სამღერეთს ზეით, გვიანას, არს მონასტერი მცირე აწ ხუცის ამარ, მას ქვემორ მონასტერი ქციის ხრამსა შინა პირღებულს, კლდე გამოკვეთილი, დიდითა შენობითა და ყოვლითა შემკული. ზის არქიმანდრიტი. იტყვიან თამარ მეფის ქმნულსა“.

შეთანხმდნენ, რომ მინდიასა და თემურის გარდა პირღებულისკენ ყველანი წავიდოდნენ. მანქანის გზა არ ეგულებოდათ.

- ხვალ კი ფიტარეთში ჩამოდით. ან იქ დაგხვდებით, ან დაგველოდეთ, – დაასკვნა გიორგიმ.
- ყმაწვილო, დროა, შენც დაელოდო ხოლმე; „ ვინც ერდო მოხნა, ისიც მოკვდაო“.
- თუ „ვინც ღამე ხნა, ისიც მოკვდაო“? – ჩაერია ვახტანგი.
- ეგეც მიესადაგება. ყველა საქმეს თავის თადარიგი აქვს. საქმე ჭკუით უნდა. „ერე არა ჰქმნა ხუცესო, საქმე არ მოხდეს უწესოო“.
- მაინც წასვლა სჯობს წამავალისა, – ჩაერია გიორგი, რადგან მიხვდა, ვახტანგი და მინდია ერთმანეთს გაეჯიბრნენ.
- იცოდეთ, ბიჭებო, პირღებულის პოვნა ექვთიმესაც გაუჭირდა, მეგზურით ჩავიდა, ბართლომემ ხომ ვერა და ვერ იპოვა.
- მერე, ბერო მინდიავ, ჩვენ არ წავიდეთ? მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?
- არა, წადით, აი, შალვაც ნავალია, გიორგიც, მაგრამ საძილე ტომრები იქონიეთ. ჯერ კოპები შეიკრეს, მაგრამ მაინც წაიღეს.

სოფ. სამღერეთს გვერდით ჩაუარეს და შეერივნენ ნახნავებს, რომელიც უფრო მეჩხერ ბაღს ჰგავდა.
- ამ მხარეს სამღერეთი ჰქვია, ვახუშტი ასე უწოდებს, ეხლა კი – სამღრეთიო, საიდან გაჩნდა ეს დამახინჯებული სახელი?
- ეგეც ავბედობის ხარჯზე ვიანგარიშოთ... – ჩაერია შალვა.
მალე გაებნენ მუხიანში, ბილიკებიც დაკარგეს. ერთ ბექობზე დადგნენ. მათ წინ, ხევგაღმა, ამართულიყო შესანიშნავი ტაძარი.
- ეს, ბიჭებო, ფიტარეთია. ესეც, ბეთანიის მსგავსად, ორბელიანთა საძვალეა.
- პიღებულს კარგა დავცილებულვართ.
- მართალია, ის სამხრეთისკენაა.
- კიდევ კარგი, შეგვცდა, უამისოდ ხომ ვერ ვნახავდით, – თქვა ერეკლემ.
ნახევარი საათი მაინც ტკბებოდნენ მისი მშვენიერებით.
ნუღარ ვიგვიანებთო და გაჰყვნენ სამხრეთით ხრამის ნაპირს. კარგა ხანი ეძებეს, სანამ ისევ გიორგიმ არ იაზრა, გივი აგზავნა ერთ მაღალ მუხაზე და დაავალა, სამხრეთით კაკლები უნდა იდგეს და მონახეო.
- აქვე ყოფილა, – ჩამოსძახა ზევიდან.
ბედად მეღორე ბიჭიც შეხვდათ, რომელმაც ბილიკზე დააყენა. ასე იარეთ და მალე ჩახვალთო, – გაატანა იმედიანი სიტყვა. მართლაც, ოციოდე წუთის შემდეგ კაკლიანში იყვნენ. ჩანდა, რომ ნავენახარი იყო, რცხილაზე რამდენიმე ბაბილოც ასულიყო, აქა-იქ ტყემალიც ჩანდა, ორიოდე გოხა მსხალიც.
გაიარეს ცოტაც და დაადგნენ ქციის ხრამს.
პირღებულის ფასადი აგებულია მოლურჯო ალგეთური ქვით (უკანა მხრით კი ხრამის კარნიზზეა მიდგმული), ტაძარი ქვითვეა დახურული, ზედ ნეკერჩხალი და მუხა გზარდილა, ჩრდილოეთის კედელი დაფარულია სუროთი. იატაკი ქვისაა.
მონასტერი ღვთისმშობლის სახელობისაა. პირღებულიც საბარათიანოს კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს. ამას ადასტურებს ის მრავალი წარწერა, რომელიც კედლებზე დღემდეა შემორჩენილი. კერძოდ, ხშირად იხსენიებიან ბარათაანთ ერთი შტო – აბაშიშვილები.
აქაა ორსართულიანი სასახლის ნანგრევი, ცოტა ზევით კი პატარა საყდარია.
ჩრდილოეთით წყარო გადმოჩუხჩუხებს და აქედან იწყება მრავალი გამოქვაბული, ზოგის წინა მხარე ქვითკირითაა ამოშენებული.
მამა აფრთხილებდა ბიჭებს, მაგრამ ისინი თავისას არ იშლიდნენ და დაფოფხავდნენ კლდეებში. ერეკლესთვის რომ გეკითხა, „ვახტანგი თამარ ღვთის სწორის ბიბლიოთეკას ეძებდა“ და ისიც შველოდა, მაგრამ თვითონ შენობათა ნაგებობაში იქექებოდა, რომელიც ტერასულად უნდა ყოფილიყო ნაგები.
მზე უკვე ჩაწვერილიყო, როდესაც გიორგიმ თანამგზავრები მოაგროვა. დაანთებინა ცეცხლი, გააშლევინა საძილე ტომრები და გამოაცხადა, ღამით აქ ვრჩებითო.
ტყიდან ორი უზარმაზარი წაქცეული ხის მორი ჩამოიტანეს და დადეს ცეცხლზე. დილაადრიან ვახტანგი, აი, რას უამბობდა:
- ხომ მაინც ვიპოვე...
- რა იპოვე, ბიჭო! – შეეკითხა მამა.
- აგერ, ჩრდილოეთით, ხრამის პირას რომ მუხა დგას, იმის ძირში გამოქვაბულია, ხვრელში ძლივს შევძვერი და...
- იქ ბიბლიოთეკაა, ხომ, – დაამთავრა მამამ.
- ჯობია იმას, წინათ რომ ნახე?
- სწორედაც და მერე როგორია, იცით? წიგნები ვერცხლისა და ოქროს ყდებშია აკინძული. სამი ვეფხისტყაოსანია, ერთი პირადად თამარის წიგნია. ოქროს ყდა აქვს, ბექა ოპიზარის ნაკეთები; ერთადერთი ლალი აქვს მარცხნივ ზემო კუთხეში, სხვები თვალ-მარგალიტითაა შემკული. თერთმეტი სახარებაა, ისინიც ძვირფას ყდაშია ჩასმული, ზოგი ბეშქენ ოპიზარის ნახელავია, ზოგი ბექასი, ზოგი მორკინალისა; ახლა შავთელი? ჩახრუხაძე? და კიდევ ერთი ჩანს, ხელი აღარ ვახლე.
- მერე და რატომ, ერთი მაინც არ წამოიღე?
- არა, რას დამცინით, ხომ შეიძლება იყოს ასეთი ბიბლიოთეკა?
- რასაკვირველია, შეიძლება.
- თუ შეიძლება იყოს, უნდა ვეძებოთ.
- ახლა ამ ხრამის კლდეებზე დაიმტვრიე თავ-პირი, – შეუტია მამამ, – ადე, მოიტა წყალი. შენ კი ერეკლე, ცეცხლი გააჩაღე!
- ეჰ, კარგია ოცნება, მით უმეტეს, თუ სინამდვილესთან ახლოა.

სამღერეთი

დიდო მოხუცო, სამშობლოსათვის
იბრძოდი სულის ამოხდომამდი;
გეჩვენებოდა, რომ საქართველო
იძირებოდა, თითქო ხომალდი.
გ. ლეონიძე.

ჩააქრეს ცეცხლი, მიალაგ-მოალაგეს ნაბინავარი, აკრიფეს ქაღალდის ნაგლეჯები, მოეწყვნენ და ფიტარეთისკენ გამოსწიეს.
- აბა, ბიჭებო, გზა ყივის წარმავალისა და მწოლელისა ლოგინი, – გივის გემრიელად გაეცინა.
ფიტარეთამდე, სწორი ხაზით, შორი არ იყო, მაგრამ ფერდობზე გზა დახვეული იქნებოდა და მანძილიანი. კილომეტრი არც კი ჰქონდათ გავლილი, რომ ღორის კოლტი დახვდათ ღრუტუნით. დინგებით, რიტმულად ისე ურევდნენ ტყის მიწაში, გეგონებოდათ, ღორები კი არა, რობოტებიაო. ყველა გაჩერდა და ღორების დინგებს დაუწყო მზერა. წაჰკრავდნენ დინგს, შეატრიალ-შემოატრიალებდნენ, ამოაბრუნებდნენ, დასუნავდნენ და რაღაცას შესანსლავდნენ.
- აი, მატლი შეჭამა, – აღნიშნა გივიმ.
- ამიტომ ამბობენ, რომ ღორი ტყეში სასარგებლოა, მწერებსაც სპობს და ნიადაგსაც აფხვიერებსო.
- რად უცქერით ჩემს ღორებს, – შეეხმაურა ბუჩქებიდან გამობოტებული მეღორე, რომელსაც იღლიაში ჯოხი ამოედო, ხელში დანა და დიდგულას ტოტი ეჭირა. ეტყობოდა, სტვირის გაკეთებას ლამობდა.
- სტვირს აკეთებ?
- მა, დასდურაკს[80] ხო ვერ გავაკეთებ?
- იცი მერე?
მეღორემ საყვედურით გადმოხედა. დანა დაკეცა, ქამარში დაკიდულ ქარქაშში ჩადო, დიდგულის ტოტის ნაჭერი უბეში ჩაიდო და იქიდანვე უენო სალამური ამოიღო. ყელი მოიღერა, ამ დროს იერი შეეცვალა, დამშვენდა, გალამაზდა, გაამაყდა და თავისებური სათნოების სვეტი ჩაუდგა თვალებში.
ჩაბერა სალამურს და შეყვარებული მტრედივით ააღუღუნა.
ღუღუნებდა სალამური და ეფინებოდა მუხნარ ტყეს, გეგონებათ ათასი მტრედი და გვიძინი, გვრიტი და ქედანი მოსულა და ყველა ერთად ეალერსება ერთმანეთსო. ბიჭები გაქვავებულები, სმენად გადაქცეულნი, მისჩერებოდნენ ამ ტყის მომღერალს და ნატრორბდნენ, მალე არ დაემთავრებინა.
- ვიცი?! ეეც ჩემი გაკეთებულია!
ბიჭებმა ვერა უპასუხეს რა.
- ჰო და ეგრე! – და გაიღიმა.
- მე ვიცი, ვინცა ხართ. წეღან მანქანით ბატონმა მინდიამ ჩაიარა. ეგ უფროსი კი გიორგია. ტელევიზორით მინახავს ორივე.
- საიდან, მეღორე!
- მეღორე! შე კაი კაცო, ბატონყმობის დროინდელი მეღორე კი არა ვარ; ეს ღორი კოლმეურნეობისაა, მეათე კლასში გადავედი, ამ თვეში მე მერგო წილად და მე დავდივარ...
- მაშ, გამარჯობა შენი, ჩემო...
- არჩილი მქვიან...
- ჩემო არჩილ!
ამის შემდეგ ტკბილად ისაუბრეს. არჩილისგან გაიგეს, რომ ეს ფერდო ხილიანი ფერდოა.
- აი, გახედეთ, ორი-სამი მუხის შემდეგ ან პანტაა, ან მაჟალო; გარდა ამისა, ბევრი ზღმარტლი, თხილი და ტყემალია, რკოსა და წიწიბურას გარდა. ძირნაყარი ხილი ღორისთვის კარგი საკვებია. როდესაც დამწიფდება, ზოგ ძირ პანტაზე ავდივარ და ვბერტყავ, ყველას კი არა. აი, ამას ჯვარი აქვს, ეს ტკბილია, ტკბილი ძირები სასოფლოდაა შენახული, მაგისთანა ძირებს კარგად რომ დამწიფდება, დავბერტყავთ და სახლში წავიღებთ, ან ხილად ვხმარობთ, ან ჩირად ვაკეთებთ, ან არაყსა ვხდით.
როდესაც არჩილს გამოეთხოვნენ, მისამართი გამოართვეს, წიგნებსაც გამოგიგზავნითო; გიორგი ერთ კარგა დიდ ახოზე გაჩერდა, ჰექტარზე მეტი იყო.
- აი, ხედავთ, 30 ძირი პანტა დგას, 5 მაჟალო, ყველა ესენი ალბათ ტკბილი და გემრიელია, შერჩევის შედეგად არის დატოვებული.
- თქვენ გქონდათ უკვე სადღაც ლაპარაკი ბუნებაში პირველადი ბაღის გაშენების, უფრო სწორად, დატოვების შესახებ. როცა ტყეს აახოვებდნენ, ტოვებდნენ ყველა ხილეულს, შემდეგ და შემდეგ ტოვებდნენ მხოლოდ კარგს,

ლამაზ ნაყოფიანსა და გემოიანს. საბოლოოდ ჰექტარზე რჩებოდა დაახლოებით 10-15 ძირი. ეს კი ბაღიც იყო და სახნავიც.
ერეკლემ რამდენიმე ძირ პანტაზე და მაჟალოზე მოკრიფა ნაყოფი.
მსხლების ნაყოფი იყო მრგვალი, ბრტყელი, გრძელი, მსხლისებრი, ვაშლისა კი – წითელი, გვერდწითელა, ყვითელი, მუქი მწვანე, ფორმის მიხედვით სხვადასხვანაირი.
- გეგონებათ, სანერგის ბაღში ხართო, ყველანაირი ფორმის ნაყოფია.
- ისე გამოდის, რომ ბევრი კულტურული ხილი, მსხალი თუ ვაშლი, თავის სათავეს პირდაპირ ტყიდანაც იღებს.
- ასე გამოდის, ამის საუკეთესო მაგალითი ეს ველური ბაღიცაა.
ვახტანგმა მომწვანო ყვავილი აჩვენა გიორგის.
- ეგ იშვიათია, ძიმწარაა, ან ძირწარე, ასეც იტყვიან.
„წუთისოფელმა დღე ჩემმა ძიმწარე დამალევინა,
რც მომკლა, არც დამარჩინა, არც სული დამალევინა“.
- სწორედ ეგ არის და სხვათა შორის, – მიმართა ვახტანგს, – შენს კირსაგალში ეგეც უნდა ერიოს.
- მარტო?
- რათა მარტო, შეიძლება კრაზანა და...
- აგერ ფიტარეთი, – წამოიძახა ერეკლემ. მათ წინ, შუა სოფელში ყელმოღერებული გედივით ამართულიყო ტაძარი.
ბიჭებმა სიტყვის დამთავრება აღარ აცალეს გიორგის, დაეშვნენ სოფლისაკენ. „ქვემორ მისა არს მონასტერი ფიტარეთს შვენიერ ნაშენი, გუნბათიანი, მშვენიერ ადგილს, ზის წინამძღვარი“. მაშასადამე, დაახლოებით 1730-40 წწ (როდესაც ვახუშტი წერდა თავის წიგნს), მოქმედი ტაძარი ყოფილა. ტაძარი XII-XIII საუკუნეების არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშია. კარიბჭის წარწერა გვაუწყებს, რომ ის აშენებულია გიორგი-ლაშას ამირეჯიბის[81] ქვათარის მიერ. ტაძარი შემკულია ბრწყინვალე ჩუქურთმებით. ტაძარს ვერ ექცევიან ისე, როგორც უნდა ექცეოდნენ ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლს.
ქციას გავიდეთ და გაღმა დავისვენოთ.
- მერე, გავალთ? – იკითხა თემურმა.
- თუ ყოჩაღად მოიქცევი, უნდა გავიდეთ.
ქციის მარჯვენა ნაპირს ჩაჰყვნენ; საურმე გზას ჭალის ტყის ვიწრო ზოლი გასდევდა (ვერხვი, ტირიფი) და გზა მიადგა ფონს, თემურმა მანქანა დააყენა. გაღმა კაცი გოდორსა წნავდა, წამოიმართა.
- ეგრე, გეზათ გამოდით, – გამოსძახა
მათ წინ, გამოღმა, ორასიოდე მეტრზე, ქციის მარცხენა ნაპირზე, ამართულიყო ორბელიანთა ციხე-სიმაგრე, ხულუტის ციხე. გული როგორ მოუთმენდათ, რომ არ ენახათ. ვახტანგი გაენთო იქითკენ. ხულუტის ციხე აგებულია XVII საუკუნეში. ციხე კრავს ხეობის ვიწრო ყელს, ადვილად მისადგომია, მაგრამ მაგარია, მტკიცედ ნაგები; საცხოვრებელი კოშკები უფრო საბრძოლო კოშკებს წააგავს. ეზო მცირე აქვს. ჩანს, წყალთან კარგად დაფარული გვირაბი ჩადიოდა. შეიძლება ეგეც არ იყო საჭირო. ღრმა ჭა გრუნტის წყლამდე ჩააღწევდა და გარედან წყლის მოჭრაც შეუძლებელი იქნებოდა.
მანქანასთან რომ დაბრუდნენ, თემური კოპებშეკრული თავს აქნევდა.
- რა იყო, თემურ?
- წყალმა იმატა!
- ოჰო, კაშხალი გაუხსნიათ, – დაურთო მინდიამ, – გული გადამიქანდა, ორი საათის შემდეგ იციან ასე, წყლის აშვება.
- იციან თუ არ იციან, გავიდეთ.
- ვახსენო ღმერთი? – და თემურმა ჩახსნა საქარის ღვედი.
- გეზათ, გეზათ, – იძახდა გაღმელი კაცი, მაგრამ შუა მდინარეში მანქანამ ერთი მაგრად დაახველა და გაჩერდა.
სამივე ბიჭი წამოიმართა და გაიხადეს ტანისამოსი. ერეკლემ სამარაგო ჩანთიდან ორივე ალპური თოკი ამოიღო. კარის გახსნა გაუჭირდა.
- ნუ გახსნი, ფანჯრიდან გადადით როგორმე. ბარგს სკამებზე შევაწყობთ... ურჩია გიორგიმ.
ბიჭები უკვე წყალში იდგნენ და თოკებს აბამდნენ მანქანის წინა ნაწილებს. წყალი ზურგზე გადასდიოდათ და ამიტომ თავს მალი-მალ მაღლა სწევდნენ.
აი, ჩააბეს და გავიდნენ კიდეც. ნაპირზე, გარდა ახალი მეგობრისა, ერთი კიდევ იყო, უფრო ახალგაზრდა.
- ყოჩაღ, თოკი რომ ორივე მხრივ ჩააბი.
- ჩემი ხელობა ეგ არის, – უპასუხა ერეკლემ.
- აი, ეს ერთი კეტი, მეორეს ახლავ გამოვჭრი, – და მართლაც, ერთი მეტრნახევრიანი რცხილის კეტი გამოიჭრა.

- მართალია, შენი ხელობაა, მაგრამ მეც დამიჯერე: ეგ ერთი თოკი ამას გამოვდოთ, რცხილას, მეორე ამ მუხას. კეტები კარგად ჩავაბათ, ჰო, სწორედ ეგრე. თქვენ ორმა ეგ თოკი გამოსწიეთ, ჩვენ – ამას. მზადაა? მძღოლო, მოუშვი. არა, გავწიოთ... მანქანა თითქოს ატივტივდაო, წამოვიდა ნაპირისაკენ.
დასცეს ყიჟინა და მთელი ძალით გამოსწიეს.
- აბა, ერთი კიდევ! ... და წინა თვლები დადგა ნაპირზე
- ახლა, სანამ ვისაუზმებთ, ძრავა და სანთლებიც გაშრება...
გაიშალა სუფრა და ახალი მეგობრები მიიწვიეს.
- ე, რამდენი საგზალი წამოგიღიათ, კაცო! თუმცა ჩვენში ითქმის, ერთი დღით რომ სადმე წახვიდე, სამი დღის საგზალი წაიღეო.
- სწორი ნათქვამია. ეგ კვერნა რომ გაგიტყავებია, განა შეიძლება? – შეეკითხა უცებ მინდია.
- ე, მანდ, ზეით, საქათმეა, აიკლო, ხაფანგი ფოცხვერს დავუგე, ეგ მოჰყვა; აგერ ფოცხვერიცა, – და მუხის ტოტებისაკენ მიუთითა ფოცხვერის ტყავზე, – აი, აქეთ მობრძანდი, ამ კონაზე დაბრძანდი, – შესთავაზა მინდიას კარგი ადგილი.
მართლაც, მუხის ძირას შვინდანწლას ხუთიოდე კონა წნელი იყო, თხილისა სამი, მანეულისა ორი-სამი...
- ეს რამდენი წნელია, კაცო!
- რა ვქნა, აქაოდა კარგი გოდრების წვნა იციო, ჩვენმა თავჯდომარემ აქეთ გამომისტუმრა, – ტყის პირისაკენ გაიხედა, სადაც სამი-ოთხი გოდორი იყო მიყუდებული.
ერეკლე წამოხტა და ერთი გოდორი აიღო, შეატრიალ-შემოატრიალა, გაზომ-გამოზომა.
- ბექა ოპიზარს მართლა გუკვირდებოდა, ასეთი მოსაკიდი[82] რომ ენახა.
- შენ რა იცი, რომ ეგეთ გოდორს მოსაკიდი ჰქვიან?
ერეკლემ მინდიას გახედა.
- აგერ, ჩემი მასწავლებელი!
- ჩვენი თავმჯდომარე ამბობს, ეს ამოდონა ჭალის ტყე რად გვინდა, თუ გოდორსაც არ დავწნავთო.
- სწორი უთქვამს.
- გარდა ამისა, ამოდენა ფიცარი რად ვხარჯო, როცა გოდრებითა და კალათებით შეიძლება ბოსტნეულის გამოტანაო.
- ჭკვიანი თავმჯდომარე გყოლიათ.
- ჰო, არა უშავრს რა. მაშ, იცით რა გითხრათ? ყველა იმ კაცს გაუმარჯოს, ვინც ქვეყნისათვის წაღმართობს, რომელიც ისეთ ხიდს გადებს, რომელზედაც მისი შვილიშვილები და შვილთაშვილები გაივლიან; არ ვარგა ისეთი კაცი, რომელიც იმაზე ფიქრობს, ფარა რომ მობრუნდება, კოჭლი ცხვარი წინ მოექცევაო; კარგისა კარგი მოკვდება, კარგივე წამოიზრდება. არ ვარგა კაცი, რომელიც ერთი ჯიხვივით ფიქრობს, ჩემი რქის ზევით მარტო ღმერთიაო. იცოცხლეთ, იდღეგრძელეთ; საითაც წახვიდ-წამოხვიდეთ, გამარჯვებული გატაროთ ღმერთმა, – და სიამოვნებით გადაჰკრა ღვინო – სწორედ გითხრათ, ეს კაი მეხი დამეცა; ერთი კატისა არ იყოს, თავში რომ ღვიძლი მოხვდა და ინატრა, ნეტავი ასეთი მეხი ყოველდღე დამეცესო. რას ვიფიქრებდი, რომ ორბელიანთ ჭალაში ასეთ ღვინოს დავლევდი.
ვახტანგი თვალდაჭყეტილი უცქერდა. მომარჯვებული ეჭირა უბის წიგნი, მაგრამ ვეღარას იწერდა, ვერ გაეგო, ანდაზებით ლაპარაკობდა, თუ ისე, ჩვეულებრივ ქართულს ამბობდა.
- რაო, ვის ჭალაში?
- ორბელან ჭალაში. ამას ოსები და თათრები ორბელან ჭალას ეძახიან, მაგრამ ეს ორბელიანთ ჭალაა, აი იმათი, ამ ათიოდე წლის წინ ტანძიაში მარმარილოს ძეგლი რომ დაუდგეს.
- ეს შენ გაგიმარჯოს, ჩემო სანდრო, შენს მარჯვენას გაუმარჯოს...
- განა მარტო გოდრებსა სწნამს, ისეთ ჯამ-ჭურჭელს გააკეთებს როო!.. ჩაერთო ახალგაზრდა.
- თუ გავაკეთებ, სახალისოდ, თორემ მაღაზიაში ჯამ-ჭურჭელი ბევრია, – და სანდრომ ამიოხრა.
- ეს ორბელიანთ ჭალა დიდია?
- დიდი გხლავთ; აგერ სადაა გადაჭიმული. გაივლით და ნახავთ. მეც გამოგყვებით, თუ ადგილი გაქვთ.
თემური მანქანაში ავიდა. ძრავა ჩართო და ნაპირზე ადვილად ამოვიდა. ჩახსნეს თოკები და აკეცეს.
საუზმის შემდეგ ჩალაგდნენ მანქანაში და ჭალა-ჭალა ქვევით დაეშვნენ.
დიდი ჭალა იყო. მშვენიერი ვერხვნარი. ზოგან შინდანწლა ჩანდა.
- ეს შინდანწლიანი ძალადაა დარჩენილი, სამანეულედ; აგერ, ნაპირას მდგნალია, ისიც მანეულია, მაგრამ მისგან გოდორი და კალათი ვერ დაიწვნება.
- აგერ, სქლად რომ ჩანს, ის თხილიანია, იმის ყლორტს ვთლით, შუაზე ვხლეჩთ და პწკალით კალათებს ვწნავთ, ეს უკვე პწკლის კალათია.

- კარგი იქნება, რომ ამ ჭალას გაუფრთხილდნენ.
- დანიშნეს ერთი დარაჯი, ხეირი არ დააყენა, უარესი ქნა. ზედგამოჭრილია, ალბათ გაგეგონებათ:
„თხას უთხრეს, მგელი მოკვდაო, თხამ კუნტრუში ქნა, გაიქცა; თხაო რა გაგხარებია, განა სამგლეთი დაიქცა? იმას რომ დარჩა ლეკვები, ისინიც მგლებად გადიქცა“.
- დააყენეთ, თქვენი ჭირიმე, ჩავალ. იცოცხლეთ და გაგიმარჯოთ.
სანდრო სოფლის განაპირას ჩამოვიდა.
მანქანა სოფელში აღარ გაჩერებულა, გამოვიდნენ შარაზე.

დანანება

- გადავიდეთ, მუხის ძირში დავსხდეთ. სათქმელი კიდევ დამრჩა თითქოს.
სწრაფად გაშალეს ნაბდები. სმენად გადაიქცნენ.
- რა მიგვაქვს, რომ მივდივართ? – იკითხა მინდიამ. ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. გიორგიმ გაიღიმა.
- სასწრაფოდ უნდა მივიღოთ ზომები, რომ ნახულ მხარეში, სამხრეთის ზეგნებზე გავაუმჯობესოთ სათიბ-საძოვრები. ამ მხარის ეკონომიკის საფუძველი მაღალპროდუქტიული მესაქონლეობაა. სათიბ-საძოვრებზე კი არც ერთი ღონისძიება არ ტარდება. არც სახელდახელო გაუმჯობესება ჩანს და არც ძირეული. ხომ ნახეთ, რა ამბავშია მდელოს გვირილა. თუ ასე მივუშვით, მთას ვერ გადავივლით. სასწრაფოდ უნდა დავამუშაოთ ღონისძიებები და შემდეგ დავატანოთ ძალა იმას, ვინც ამ საქმეს უნდა მოუაროს, ჯერ მაინცა და მაინც ბაიბურში არ არიან.
გარდა ამისა, ამ მხარეშიც გავრცელებული იყო ძველებური ხორბლები: ასლები, დიკა, დოლის პური, დღეს კი თითქმის აღარსად ჩანს. მთაში ნაწილი მაინც უნდა ითესებოდეს. საკორკოტედ მაინც საქართველოში თავისებური ასლები იყო, მახა, ზანდური, გვაწა, წითელი და თეთრი ასლი და სხვა მრავალი. მათ შესახებ ბევრი ვიცით, მაგრამ ზოგი რამ მაინც მოვიგონოთ.
მახა და ზანდური ის ჯიშებია, რომლებიც ყველაზე ახლოს დგანან ველურ ჯიშებთან და რომლებმაც, როგორც ჩანს, სათავე მისცეს კულტურულ ჯიშებს. მარტო 1921 წელს რაჭა-ლეჩხუმში და სხვაგან აღმოჩენილი იქნა: ზანდური, მახა, ასლი, გვაწა მახა, ჩელიტა მახა, გარდა ამისა, მეცნიერებისათვის აგრეთვე პირველად აღმოჩენილ იქნა უაღრესად კულტურული მცენარე დიკა ხორბალი, რომელიც გამოყვანილი იყო მთის ზონისათვის, მაღალმოსავლიანი და, რაც მთავარია, სოკოებისადმი გამძლე, იმუნიტეტის მქონე. აი, ასეთი ზონალური დაყოფა საქართველოსი და ყოველი ზონისათვის თავისებური ჯიშის და სახეობის შექმნა სოფლის მეურნეობის წარმართვის უდიდესი მიგნებაა. მართლაც, ველებისათვის თავთუხი, 600 მ-დან და ზევით 1200 მ-მდე, დოლის პური; 1200 მ-დან დიკა, – დიდი და ძალიან დიდი ღონისძიებაა, მაგრამ ქართველი ხალხი ამაზე არ შეჩერებულა. მან ყოველ სახეობაში შეარჩია თავისებური ქვესახეობა. თუნდაც – ბარისათვის თეთრი დოლი და შემაღლებული ადგილებისათვის, წითელი დოლი და სხვ. საქართველოს ხორბალთა შორის რეგისტრირებულია 120 ქვესახეობაზე მეტი თეთრი დოლი, ფორმა კიდევ უფრო მეტი. ასევეა დიკაში და თავთუხებში; ასეთი მრავალფეროვნებით იშვიათია რომელიმე მხარე ხასიათდებოდეს.
თვით დოლის პურში გამომუშავებულია ქვესახეობები, რომლებიც მიწათმოქმედების ზღვარზეც ითესება (სოფელ უშგულში – 2200 მ სიმაღლეზე – თეთრი დოლის ფორმები). ამ მხრივ არანაკლებ საინტერესო გამოდგა სომხეთი. ქ. ერევნის მახლობლად, სამხრეთ-აღმოსავლეთით, შორბულაღში აღმოჩენილ იქნა ველური ხორბალი. აქამდე ფიქრობდნენ, რომ ერთადერთი ცენტრი ველური ხორბლებისა იყო სირია-პალესტინა, მაგრამ ისინი, რაც სომხეთში აღმოჩნდა, ტიპური ველური ხორბლებია (პ. გენდელიანი).
რასაკვირველია, აზრი სირია-პალესტინის „ერთადერთობისა“ შეიცვალა, რადგან სომხეთში ველური ხორბლები, საქართველოში გარდამავალი ტიპები ენდემური ველურიდან კულტურულისაკენ (მახა, ზანდური) და აგრეთვე ენდემური ფრიად კულტურული ხორბლები (დიკა, დოლის პურის ქვესახეობები) ნათლად, დამაჯერებლად ადასტურებენ იმას, რომ ხორბლების წარმოშობის ერთ-ერთი ცენტრი არის კავკასია, სადაც საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უკვია.
შორბულაღის ველური ხორბლების „ხოდაბუნები“ (დიახ, ხოდაბუნები, რადგან ხორბალი რამდენიმე ათეულ ჰექტარზე ისე იდგა, გეგონებათ, დათესილიაო) დავათვალიერე 1931 წელს. მართლაც საოცრება იყო. 30 წლის შემდეგ სურათი შეცვლილი დამხვდა. მელიორაციულ ღონისძიებათა ჩატარების შემდეგ (გატყევება და სხვ.) ამ ხორბლების ადგილსამყოფელის ნირი შეცვლილია და ველური ხორბალი თანდათანობით ადგილს უთმობს სხვა მცენარეებს.
დიკა – ერთ-ერთი შესანიშნავი ქმნილება მხვნელ-მთესველისა – თითქმის გაქრა. 1971-1972 წლებში მისი თესვა-მოყვანის კლასიკურ მხარეში (ქსნის ხეობა, არაგვის ხეობა, ივრის ხეობა, რაჭა, სვანეთი) თითო-ოროლა ნაკვეთიღა იყო. მთაში დიკას აღარ თესავენ, იმიტომ, რომ მთა გადაყვანილ იქნა მთლიანად მესაქონლეობაზე და, რადგან სახნავ-სათესი ფრიად დეგრადირებულია, ახალი ახოს გატეხვა კი აკრძალულია, არც შეიძლება.

ბარად კი დოლის პური განდევნა სხვადასხვა სელექციურმა ჯიშმა.
ამგვარად ვკარგავთ მსოფლიოში უნიკალურ გენოფონდს. ამ გენოფონდით ფართოდ სარგებლობენ უცხოეთის ქვეყნები (ამერიკა, იაპონია, იტალია). ამ ხორბლების დახმარებით გამოჰყავთ მაღალმოსავლიანი ჯიშები, ჩვენ კი...
საქართველო ხომ ხორბლების ერთ-ერთი სამშობლოა. საჭიროა, ამ უმდიდრეს გენოფონდს სახელმწიფოებრივი გზით მოვუაროთ, თუმცა განა მარტო ესა გვაქვს მოსავლელი?
1940 წელს მხარეების მიხედვით დაიგეგმა სასოფლო-სამეურნეო მცენარეები და მათ შორის საქართველოშიც. საქართველოსთვის დადგენილ იქნა ვაზის 36 ჯიში, მაშინ, როდესაც ქართველი ხალხის მიერ გამოყვანილი ჯიშებიდან დღევანდელამდე შემოგვრჩა 500-მდე ჯიში. ეს ქართველი ხალხისა და, კერძოდ, მევენახის დიდი წვლილია მსოფლიოს კულტურის სალაროში შეტანილი. ვიცავთ კულტურის ძეგლებს, სასახლეებს, ხიდებს, არხების ნაშთებს, ეს ძალიან კარგია, დიდი კულტურული მნიშვნელობის ღონისძიებაა, მაგრამ არც ერთ ძეგლზე ნაკლები არაა საფერავი და რქაწითელი, ბუდეშური და გორულა, ციცქა და კრახუნა, ჩხავერი და ოჯალეში, ალექსანდროული და ტვიშური. ამჟამად გავრცელებული ჯიშებიდან მთავარია 3-5 ჯიში (რქაწითელი, საფერავი, გორული, ჩინური, ცოლიკაური და ერთი-ორი სხვა), მაგრამ ამათშიც პირველობენ რქაწითელი და ცოლიკაური. ვერც ერთ საბჭოთა მეურნეობაში, ვერც საკოლმეურნეო ვენახებში ჩვენ ვერ ვნახეთ ძველი მრავალფეროვნება. ეს მრავალფეროვნება იკარგება საკარმიდამო ნაკვეთებზეც. კახეთში ძირითადია რქაწითელი, ქართლში გორულა და ჩინური, იმერეთში ცოლიკაური, გურიაში ჩხავერი, სამეგრელოში ოჯალეში, მაშინ, როდესაც ისტორიულად აქ ძალიან დიდი მრავალფეროვნება იყო.
ივ. ჯავახიშვილის ცნობით ძველად საქართველოში, დოკუმენტების მიხედვით, 413 ჯიში იყო. ეს ისაა, რაც დოკუმენტებში მოხვდა. ალბათ ბევრი ასცდა, ბევრი დაიღუპა, კახეთში ყოფილა 66 ჯიში, ქართლში – 45, იმერეთში – 42, რაჭა-ლეჩხუმში – 94, სამეგრელოში – 53, გურიაში – 59, აჭარაში – 26, შავშეთ-კლარჯეთში – 8. ამჟამად კი თითოეული მხარე მხოლოდ 2-5 ჯიშს ამრავლებს და, საქმე თუ ასე წავიდა, მალე დადგება დრო, როცა საქართველოს ვენახებში სულ 40-ოდე ჯიშიღა გვექნება. დაიღუპება და გაქრება მრავალსაუკუნოვანი ღვაწლი ქართველი ხალხისა.
ამჟამად რამდენიმე ამპელოგრაფიული კოლექცია გვაქვს (თელავში, თბილისში, საქარაში), სადაც შეკრებილია ჩვენი ჯიშების დიდი უმეტესობა, თითოეული 10-12 ცალი, მაგრამ ეს საკმარისი არაა, საჭიროა ყოველი კოლმეურნეობის ზვარში გამოიყოს 2-3 ჰა, სადაც გაშენდება 100-100 ძირი ყოველი ჯიშისა, რაიონში იმდენი კოლექცია უნდა შეიქმნას, რამდენი საკოლმეურნეო ზვარიცაა. ბევრგან ეს ამბავი გაიგეს და საგარეჯოს რაიკომის მდივნის, მედეა მეზვრიშვილის ინიციატივით საგარეჯოს რაიონში უკვე შეიქმნა ვაზის მუზეუმი.
უარეს დღეშია ხილეული (ვაშლი, მსხალი; ქლიავი, ტყემალი, ჭანჭური, დამასხი, ოტური, არახილი და სხვა მრავალი), თუ ვაზის 3-4 კოლექცია მაინც გვაქვს, ხილეულისა ერთია (სკრაში) და ისიც ნაკლული.
კარგი იქნება, სკოლის ბიონაკვეთებზე შეიქმნას ასეთი მცენარეების კოლექცია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გენოფონდია, რომელიც მომავალში ფრიად დაფასდება.
ასევე მოსავლელია ჩვენი ძველებური შინაური საქონელი: თუშური ცხენი, თუშური ცხვარი, ხევსურული ძროხა, მთიულური ძროხა, კახური ღორი და მრავალი სხვა...
მინდია გაჩუმდა...
არც სხვები იღედნენ ხმას. ყველას დიდი ფიქრი აწუხებდა.
წამოიშალნენ...
თბილისისაკენ! მე და გიორგი დმანისში რომ ავბრუნდებით, ქვეშელ მეგობრებს მაშინ გავუვლით. ნობათსაც წამოვუღებთ რასმე.
და მანქანამ თბილისისაკენ გაჰკრა.

---

[1] იაღლუჯი – თურქულია, ერბოიანს ნიშნავს. იაღ – ერბო, ლუჯ – ლუგ – იანი;

[2] წითელი ხიდი აშენებულია მდინარე ქციაზე, თბილისიდან 57 კილომეტრზე, როსტომ მეფის მიერ XVII საუკუნის შუა წლებში; წითელი ეწოდება იმიტომ, რომ აშენებულია წითელი კვადრატული ქართული აგურით. „გატეხილი“ დაერქვა იმის გამო, რომ შუა ადგილიდან ხიდი ოდნავ გახრილია აღმოსავლეთისკენ. ეს ხიდი საქართველოს აკავშირებდა აზერბაიჯანთან, ირანთან, ხოლო აღმოსავლეთის გზა აქეთ გადიოდა. ხიდის საერთო სიგრძე 175 მ, სიგანე 4 მეტრნახევარია (4,3 მ) ბურჯები შესანიშნავია იმით, რომ შიგ მოწყობილია ქარვასლები და ღამის სათევი.

[3] ხევხმელი – ისეთი ხევია, რომელშიც წყალი მხოლოდ წვიმების შემდეგ იცის, მერე კი შრება.

[4] ჯაგი – წვრილი ჩირგვი (საბა), ჩირგვი – ცუდი წვრილი ბუჩქი (საბა).

[5] ძალუა – ყაფლან ორბელიანის მეუღლე.

[6] კოდი – მარცვლეულის საწყაო, ოთხი ფუთი 64 კილოგრამი.
[7] ბევრნაირად ხსნიან ამ სახელწოდებას. ეს კია, სვანურად „კოჯო“ ქვას ნიშნავს, „კოჯორი“— ქვიანს. აღმოსავლეთ საქართველოში არა ერთი ტოპონიმია სვანური და ზანური ძირისა.
[8] მიშკარბაში – მონადირეთუხუცესი, ბოლოს კარის მინისტრის ფუნქციების მქონეც ჩანს.
იოსებ მიშკარბაში ბებუთაშვილი იყო. მათი წინაპრები საქართველოში სომხეთიდან მოსულან XVI საუკუნეში. დიდვაჭარნი გახდნენ და თბილისის მელიქისა და მამასახლისის პოსტიც ეჭირათ. თეიმურაზ II—მ აზნაურობა უბოძა, ერეკლე II—მ თავადობა. ყოველთვის ტახტის ერთგულნი არ ყოფილან. ტახტის წინააღმდეგ შეთქმულებისათვის აღა მამასახლისს ერეკლემ ჩამოართვა სახელო და 1000 თუმნით დააჯარიმა. მერე შეირიგა. დარჩია მელიქიც ასევე ღალატისათვის ჯერ დასაჯა, მერე შეირიგა. 1795 წელს ამ გვარის ერთ—ერთი წარმომადგენელი – იოსებ ბებუთაშვილი მიშკაბარშია. სწორედ მას სწერს ალექსანდრე ბატონიშვილი წერილს.
[9] „ნახიდურს ქვევით, ქციის ამიერ და იმიერ კიდესა სახლობენ ელნი მოჰმადიანნი, მოხარკენი და მოლაშქრენი მეფისა“.
[10] ბაიდარი – ქართლის ვაკისა, ქვემო ქციისა და ალგეთის შუა ნაწილი.
[11] ამ მხარეშია ჩითახი, სადაც ორმოციან წლებში რკინის მადანს ამუშავებდნენ. 26 კომისართა პარკს რომ თუჯის ღბე ჰქონდა, ჩათახის ქარხნის პირველი ნაწარმია. ღობე მოხსნეს 1960 წ., 1975 წელს მანგლისში წაიღეს და ერთ-ერთი სკვერი შეღობეს.
[12] ალავერდა – ძლიერფესვიანი სარეველაა.
[13] ძველად გლეხის ქორწილი სამი დღე იცოდნენ. მესამე დღეს ნეფე თავის მაყრებით სოფელში გავიდოდა, ჯერ, თუ მამა მკვდარი ჰყავდა, იმის საფლავზე მივიდოდა, ახარებდა, ოჯახში კერა არ ჩაქრებაო. ყველა მეზობელი სახელდახელო საუზმით და ღვინით კარზე დახვდებოდა. დიასახლისი ნეფის წინ ქათამს ააფრენდა, ჰაერში აისროდა, მაყრები ჯოხით მოკლავდნენ ან დაიჭერდნენ და ნეფის სახლში წაიღებდნენ.
[14] დესეტინა ძველი, რუსული მიწის ზომის ერთეული, 1,0925 ჰ.
[15] კონწოხი – მწვერვალი.
[16] სანგალი – სანგარი.
[17] ამ კანონის საფუძველზე ყოფილა აგებული თეთრწყაროსთან არსებული თამარ მეფის სასახლის წყაროც.
[18] ლორი – ბამბუკი ძველად ბორჩალოს მაზრაში იყო.
[19] კვერი, თავი ყველი, უკვე ამოყვანილი.
[20] უბირი – უმეცარი და უცნობი კაცი. (საბა). აქ – მცირე განათლებული.
[21] უზანი ბუჩქია, მისგან კარგი ჯოხი კეთდება.
[22] ნოტო – ფარის ნაწილი (ფარაში 800—1000 ცხვარია).
[23] საპოვნელა ნახევარის გარდა – პოვნის ჯილდო.
[24] ქუმელი – დახალული ხორბლის ფქვილი, ხალსაც უწოდებენ. მწყემსს გუდით ზურგზე ხალი აქვს. როდესაც მოშივდება, პატარა, ბატკნის გუდაში გადაიღებს ერთ იჯრას, ცოტა წყალს დაასხამს (მარილი თავიდანვე აქვს. ზოგჯერ ხალში გადამდნარი დუმის ნარჩენიც – ხოხობიკიც ურევია) და კარგად დაზელს. შემდეგ მუჭით გააკეთებს რამდენიმე გუნდას და გეახლებათ.
[25] მაჰმადს მტრედი ჰყავდა, მუდამ მხარზე უჯდა. ყურში ფეტვს ჩაიყრიდა, მტრედი კენკავდა. მაჰმადი კი იტყოდა: მტრედმა მიჩურჩულაო.
[26] სახელმწიფოს.
[27] ბრძანება გიორგი XI-ისა (1675—1688 წწ.) „ ქ უზედესთა მოგახსენებ და უქვედესთა გიბრძანებთ, ვინგინდა-ვინ ბრძანებისა ჩვენისა მორჩილნი იყვნეთ, საბარათაშვილოს თავადნო, აზნაურნო და გლეხნო, მერმე ერთ ამხანაგად საბარათაშვილოს მებალახეობა ამხელად ორბელიშვილის ვახუშტისათვის გვიბოძებია, ყოველმა კაცმა კარგად ასაქმეთ და ჩვენი ბრძანება ათავებინეთ, სადედოფლო საბალახეს გარდაისად ეს აიღებს...
გიორგი“.
[28] გვირილას ხალხში სამ მცენარეს მაინც უწოდებენ: ნამდვილ გვირილას (მეცნ. სახელწოდება პირეტრუმ), ანაგვირილას (ანთჰემის) და მდელოს გვირილას (ლეუქანთემუმ).
[29] გუთნის გამოშვების ხანი — მაის-ივნისში საღამოს 4-5 საათი.
[30] უცნაურია, ამ ბოლო დროს ტექნიკურ ლიტერატურაში დამკვიდრდა „ნაფლეთი“, „დაფლეთილი“ ქვა. ქვის დამტვრევა ან დამსხვრევა შეიძლება, დაფლეთა კი – რბილი რამის, ქსოვილის, ხორცის და სხვა.
[31] შირიმი — ბუშტისა და თირკმლის ქვა (საბა).
[32] „აიჩემე გარსევანის წვადივით“: გარსევანს სტუმარი ეწვია, სახლში არა ჰქონდა რა და ღარიბული სუფრა გაშალა. ცოლს ხშირად მიმართავდა: შეიწვა თუ არა „წვადიო“, იწვისო — უპასუხებდა ცოლი. კიდევ და კიდევ;

ერთხელაც რომ ჰკითხა, ცოლმა უპასუხა „დაიწვაო“ და ბოდიში მოიხადა სტუმართან. მას შემდეგ დარჩა ეს თქმა.

[33] მუსულმანს ვხმარობ იმიტომ, რომ აქ არიან აზერბაიჯანელებიც და ელებიც, სპარსელებიც, შაჰ-აბასის დროს ჩამოყვანილნი. პირობითად „თათარს“ ვუწოდებ, როგორც აქ უწოდებდნენ მაშინ.

[34] სპეტაკი – თეთრი (საბა). განსპეტაკდების – გათეთრდების.

[35] სალამ ალეიქუმ – დილა მშვიდობისა (თურქ.)

[36] ჩოხ იახში – ძალიან კარგი.

[37] ბაშ დოხტურ – მთავარო ექიმო.

[38] არა, მთავარი ექიმი კარგია, ძალიან კარგია.

[39] გვიძინი – ველური მტრედი. (საბა).

[40] თურქულია: „დამრჩენი დარჩეს, წამსვლელი წავიდეს“.

[41] ოდოში – ნუშთა და ეგევითართა, ცერცვთა, სიმინდთა და სიმაგრენაკლებსა ოდოშსა უწოდებენ, ხოლო ყანათასა – ეტერსა (საბა). დღეს ხალხში ეტერის ნაცვლად ოდოში ან ოდოშღერი ითქმის.

[42] ჰერბიციდი – ქიმიური ნივთიერება, რომელიც ორლებნიან მცენარეებს კლავს.

[43] თალათინი — შაბში გამოყვანილი, მოქნილი დარბილებული ტყავი, ნატი.

[44] თრითინა – ძუძუმწოვარი პატარა ცხოველია, სიგრძე 20—25 სმ აქვს, კუდი – 5 სმ, ბეწვი ზურგზე – მუქი წაბლისფერი, გულ-მუცელი და გვერდები თეთრი აქვს. იკვებება თაგვებით, ხვლიკებით. თუ სოფელშია, მუსრს ავლებს წიწილებს, თაგვების მოსპობით დიდი სარგებლობა მოაქვს. ფრიად სწრაფი, მოქნილი ცხოველია.

[45] დუქარდი – ცხვრის საპარსი მაკრატელი.

[46] ავტორი ანა კალანდაძე.

[47] პროტოიერი – დეკანოზი.

[48] ყანდი — დაწმენდილი, თეთრი შაქარი, ტკბილეული. (რედაქ.)

[49] მთის ცხვარი – ჩვენი შინაური ცხვრის შორეული წინაპარია; საბჭოთა კავშირში ამჟამად გვხვდება სომხეთში, შუა აზიის მთებში, ალთაის მთებში, აღმოსავლეთ ციმბირში და კამჩატკაზე. იყო სამხრეთ საქართველოშიც. ის ლამაზი და საკმაოდ დიდი ცხოველია; ზოგიერთი 200 კილომდე იწონის. ცხოვრობს მთაშიც და ბარადაც. ბარში ერიდება ღია ადგილებში ცხოვრებას. მთაში თოვლის ზოლამდე ადის; ზამთარში ტყეში ეშვება, სადაც ნეკერით იკვებება. ზაფხულში მისი საკვებია ველისა და მდელოს ბალახი. მაკეობა ხუთი თვე იცის, იგებს არა უმეტეს 2 ბატკნისა, აპრილ-მაისში. ცოცხლობს 12-13 წელს.

საბჭოთა მეცნიერმა მ. ივანოვმა ასკანია-ნოვაში მთის ცხვარი შეაჯვარა მერინოსის ცხვართან და გამოიყვანა შესანიშნავი „მთის მერინოსი“. ასევე გამოყვანილია ყაზახეთში არხარ-მერინოსი. ის კარგი სანადირო ნადირია, მაგრამ, სამწუხაროდ, თანდათან ისპობა.

[50] ნიამორი — მთის გარეული თხაა. ბოტს გრძელი, თითქმის მეტრნახევრის სიგრძის რქები აქვს. ცხოვრობს მიუდგომელ მთებში (საბერძნეთის კუნძულებზე, მცირე აზიაში, ირანში, სომხეთში, საქართველოში, თურქმენეთში). ზაფხულში მაღლა, მიუდგომელ ალპურ ზონაში ძოვს, ზამთარში ტყეში ჩამოდის; ნეკერით იკვებება. მაკეობა ხუთი თვე იცის, აპრილ-მაისში იგებს ერთ ან ორ თიკანს. თიკანი მალე დასდევს დედას. ბევრგან მოისპო. ფიქრობენ, რომ საქართველოში ოციოდე კიდევ უნდა იყოს, მაშინ, როდესაც ამ 20-30 წლის წინ კიდევ გვხვდებოდა.

[51] დიდი ჩანჩქერია.

[52] კირსაგალი კომპოზიტია, კირი და საგალი, ესაა ნარევი კირისა და საგალისა.

საგალი – თევზთათვის სამსალა (ბალ) საგალი ძირნაოტი (საბა).

საგალი – მცენარის სახელია (დ. ჩუბ.).

საგალი – ძირნაოტი ბალახია, თევზის სამსალა (რაფ. ერის.).

საგალი – საგალისა – თევზების საწამლავი (ბალახი).

„სდიან ცრემლნი თვალთა ჩემთა,

სწვავს ვით თევზთა საგალია“ (გურამ.)

საგალი – ჩრჩილის ბალახი (ე. თაყ). ხოლო ჩრჩილის ბალახი კრაზანაა – ამბობს ვ. დალი. გარდა კრაზანისა, მოყვანილია ქერიფქლა და სხვ.

ჩრჩილის წინააღმდეგ ხმარობენ მკვეთრსუნიან ბალახებს აბზინდას და მისთანათა. საგალი, როგორც ჩანს, შხამიან მცენარეთა კრებითი სახელწოდებაა.

[53] აი, გაგრძელება ამ მზითვის სიისა:

„მარგალიტის ქუდი ერთი მრავლის ხოშრის მარგალიტითა, ნაკერი სიასამურით; იალქანი ერთი კარგი და პატიოსანი მრავლის ხოშრი მარგალიტითა, შიგ სხედს ბევრი კარგი ზურმუხტი და იაგუნდი მისის ოქროს თითრმებითა; პირის მარგალიტი ერთი კარგი და პატიოსანი, არის მარცვალი დიდროვანი მარგალი (ტი), სამოცდაშვიდი, შიგ სარევი ხოშორი მარგალიტი სამოცდა შვიდი თავისის ოქროსმურასას ჯაჭვებითა, ოთხის მურასას კავებითა; საყურე წყვილი ერთი, ორის ყირმიზის ბადახშანის ლალითა, ორის ობლის მარგალიტითა, ორის ნიშაბურის ფირუზითა, თავისის მურასას ჯაჭვებითა, შიგ სხდეს ყირმიზი იაგუნდი ოცდა თექვსმეტი; სირზა ერთი კარგი და პატიოსანი ცხრას ოქროს ქულიჩითა, შიგ სხედს პატიოსანი ზურმუხტი, შვიდი ყირმიზი, იაგუნდი ოცი, ხოშორ მარგალიტი ორმოცდა ცხრამეტი მისის მურასას კავებითა და თითრმებით შემკობილი; ყამჩი მურასა ერთი, კარგი და პატიოსანი, მრავლის ფეროვანის თვლითა და მარგალიტით შემკული; ჯიღა ერთი კარგი და პატიოსანი, შიგ ზის ყირმიზი იაგუნდი, ფრანგ-ფასადნი ორი, ყირმიზი ლალი ბადახშანისა შვიდი, პატიოსანი ზურმუხტი ოთხი, ყვითელი იაგუნდი ერთი, თავისის ორის ოქროს მურასას ჯინჯილითა, ორის მურასას შტოთი, თავში უსხედს ორი ობოლი მარგალიტი. თექვსმეტი პატიოსანი ზურმუხტი, თოთხმეტი ყირმიზი იაგუნდი, სხვა მრავლის თვალითა და მარგალიტითა შემკული; კიდევ მეორე ჯიღა ერთი, შიგ ზის სამი პატიოსანი ობოლი მარგალიტი, ოთხი ყირმიზი იაგუნდი, ორმოცდა ოთხი ხოშორი მარგალიტი მისის შტოებითა და ჯინჯილითა; ყელსაბამი ერთი კარგი და პატიოსანი, ხუთას-ხუთის ოქროს ქულიჩითა, შიგ სხედს ფრანგ-ფასადი, ყირმიზი იაგუნდი ცხრა, ზურმუხტი ორი, ნიშა(ბ)ური ფირუზი ცხრა, ყირმიზი ლალი სამი, ლურჯი იაგუნდი ორი, ხოშორი პატიოსანი მარგალიტი ორმოცდა ჩვიდმეტი მრავლის ოქროს ქერითა და ბირკითა, წურილის იაგუნდითა და ფირუზითა და სილსილებით და სილსილებითა შემკობილი; ყამჩი ერთი კარგი და პატიოსანი, მრავლის პატიოსნის თვალითა. მარგალიტითა, ოქროს ქულჩითა და სინსილითა შემკული; დუნბარჩა წყვილი ერთი ოქროსი, მრავლის პატიოსნის თვალით შემკული; მურასა ოქროს ყელ-ჯაჭვი ერთი, ვარდი არის ორმოცდა ერთი, სხვას მრავლის იაგუნდითა და მარგალიტითა შემკული ამბარჩა ოქროსი ერთი, კარგი და პატიოსანი, შიგ სხედს დიდროვანი ყირმიზი იაგუნდი, ოთხი დიდროვანი ზურმუხტი, ოთხი ხოშორი მარგალიტი, თორმეტი სხვის იაგუნდითა და ზურმუხტითა შემკული; კიდევე კარგი და პატიოსანი ოქროს ყელჯაჭვი; კიდევე ერთი პატიოსანი მარგალიტის ყელი(ს) ჯაჭვი, რის მარცვალი დიდროვანი მარგალიტი ასი, ოქროს ბირკი ორმოცი; თმისატანი პატიოსანი მრავლის მარგალიტითა და სამოცის ოქროს მილებით შემკობილი; ყოლბაღი წყუილი სამი, შიგ ურევია დიდროვანი მარგალიტი ას სამოცი, ოთხმოცდათექუსმეტ ოქროს ქერითა და ბირკითა; სხვას მრავლის ფეროვანის თვალით შემკული; პერანგის იახა კარგი და პატიოსანი, არის მსხვილი მარგალიტი მრავალი, შიგ სხედს პატიოსანი ზურმუხტი ოქროს ბუდეებითა; თოთხმეტი ასრევ ყირმიზი იაგუნდი; თოთხმეტი ბეჭედი, კარგი და პატიოსანი, ათი ალმასისა, ყირმიზის ფრანგულის ფასანდის იაგუნდი ორი, ლურჯის იაგუნდისა ერთი, ყირმიზის იაგუნდისა ერთი, ზურმუხტისა ორი, ნიშა(ბ)ური ფირუზისა ერთი, კარგისა და პატიოსანისა მარგალიტისა ერთი; იამანზედ მოჭედილი საბეჭდავი ერთი; კიდემ სხვა ოქროს საბეჭდავი ოქროსი ერთი, საპირის ფარეშოსი ოქროთ მოჭედილი სადაფი ერთი, თავის ოქროს მოჭედილის თავითა; მუხაბახის ფერის ოქროსი კოლოფი ერთი; სასურმე ოქროსი ერთი და სხვა მრავალი ჩამოთვლილია მზითვის წიგნში.

[54] ხანდაგი – სოფ. ხანდაკი კასპის რაიონში.

[55] დუხობორი – სექტანტია. დუხობორობა ჩაისახა XVIII საუკუნეში ტამბოვისა და ვორონეჟის გუბერნიის გლეხობაში, აგრეთვე უკრაინაში, როგორც მთავრობისადმი საპროტესტო მოძრაობა, არავითარი ღვთისმსახურება არა სწამთ, თავის თავს აბელის მიმდევრებად თვლიან, რომელმაც უნდა დაამკვიდროს ძმობა უფლის სიმართლისდაგვარად. ალექსანდრე პირველმა, იმისათვის, რომ აეთვისებინა სამხრეთი, დაასახლა ტავრიის გუბერნიის მელიტოპოლის მაზრაში, აგრეთვე ჯავახეთში და ლორე-ბამბაკში, 1898-1900 წწ. ნაწილი გადაასახლა კანადაში. დუხობორებშიც შეიქმნა ორი ჯგუფი, მდიდრებისა და ღარიბებისა. მდიდართა ჯგუფი მოითხოვდა, მეფის ყველა ბრძანება უსიტყვოდ შესრულებულიყო.

[56] მოლოკნები – რელიგიური სექტაა, რომელიც XVIII საუკუნეში ჩამოყალიბდა ტამბოვის გუბერნიაში და აქედან სხვა გუბერნიებში გავრცელდა. მოლოკნები უარყოფენ ეკლესიას, მღვდლებს, მარხვას, ხატებს და მართლმადიდებლურ მღვდელმსახურებას. აქვთ სამლოცველო სახლი, სადაც იკრიბებიან და გალობენ დაბადების ტექსტებს. მეფის მთავრობა სდევნიდა მათ, აყარა დასახლებული ადგილებიდან და გადაასახლა ძნელად საცხოვრებელ ადგილებში. თვით სექტის ფარგლებში გამდიდრებული ნაწილის უზურპაციისადმი პროტესტის ნიშნად ნაწილი ბაპტისტეპის სექტაში გადავიდა. მოლოკნობა თანდათან კარგავს მნიშვნელობას.

[57] დღევანდელ როდიონოვკას ქართველი მწყემსები ფარავანს ან თავფარავანს უწოდებენ. როდიონოვკა ხომ ნასოფლარზეა დასახლებული. აი, სწორედ ეს ნასოფლარი უნდა იყოს ძველი სოფ. თავფარავანი.

[58] არვე– ჯოგი თხათა და ცხვართა (საბა).

[59] მროწლე – ჯოგი ძროხათა (საბა).
[60] ხვასტაგი – საქონელი და საყონელი (საბა).
[61] რემა – უხედი ცხენი, ცხენის ჯოგი (საბა).
[62] ყონაღი – მეგობარი (თურქ.).
[63] წავარნა — კლდის ბილიკი (რედაქ.)
[64] ღალა – ყურძნის ბეგარა (საბა). აქ: ის, რასაც ფუტკარი მცენარიდან იღებს. ნექტარი, მტვერი.
[65] სულთქმა – ამოხვნეშა (საბა), სუნთქვა.
[66] თუნი – თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა.
[67] დედამიწის ზურგზე გავრცელებულია ოცამდე სახეობა, აქედან საბჭოთა კავშირში გვხვდება ორი, საქართველოში ერთი, ჩვეულებრივი თხუნელა; ცხოვრობს მთაშიც და ბარშიც; მთაში ალპურ ზოლშიც ხშირია, ტყეში, მდელოზე, ბოსტანში. შედარებით ერიდება ნესტჭარბ ადგილებს. თვალები ან არ უვითარდება, ან ლიბრი აქვს გადაკრული. სამაგიეროდ, ყნოსვა, სმენა და შეხების გრძნობა კარგად აქვს განვითარებული. წინა ფეხები მოკლე აქვს, გარეთ შემობრუნებული და ღონიერი. ფეხებით თხრის მიწას და ეძებს საკვებს, აკეთებს აუარებელ ხვრელს, ზოგან ბუდესაც, მრავალი სავალით. მაკეობა ორმოცი დღე იცის, ყრის სამიდან ცხრამდე უსუსურ წრუწუნას და თვეზე მეტ ხანს აწოვებს. ძალიან ბევრს ჭამს, დღეში ორმოცდაათ გრამს მაინც, მაშინ, როდესაც მისი საშუალო წონა ას გრამს არ აღემატება. საცხოვრებელ ბინას ნახევარი მეტრის სიღრმეზე იკეთებს. ხვრელებს კი 10-15 სანტიმეტრის სიღრმეზე.
[68] აიაზმა – ბერძნულია, ქართულად წმინდა წყალი (საბა).
[69] მიანდრი – მდინარის კალაპოტის ხვეული.
[70] ეს ამირანიანის ლექსია. სომეხი – სომხეთში მცხოვრები, ძველად მაშავერის, ფოლადაურის, ფინეზაურის ხეობა ლორე- ბამბაკით სომხითად იწოდებოდა. ის ისეთივე ქართული პროვინცია იყო, როგორც კახ – ეთი – კახი, ჯავახ – ეთი – ჯავახი, სომხ - ითი – სომეხი. შემდეგში ეს ადგილი თანდათან გაუკაცრიელდა და თავისუფალ ადგილს იჭერდა არმენიიდან წამოსული მოსახლეობა – არმენები. ძველი ქართული სახელწოდება დარჩათ ახალმოსულებს. ასეთი შემთხვევა საქართველოში სხვაგანაც არის.
[71] ქორ-ოღლი – ცალთვალი, ქორ-ოღლის ციხე – ცალთვალას ციხე. ე. ი. ციკლოპის ციხე. ეს სახელი შემორჩა უკანასკნელ ხანებამდე აზეულას, ანუ კოჯრის ციხესაც.
[72] ტოტემიზმი – რელიგიის ერთ-ერთი უძველესი ფორმა. ტოტემიზმის მიხედვით არსებობს ურთიერთკავშირი წარმოშობის მიხედვით ადამიანთა გვაროვნულ ჯგუფსა და ცხოველთა, მცენარეთა, ბუნების მოვლენათა და საგანთა შორის, რომელთაც ტოტემი ეწოდებათ. ამ ტოტემით იწოდება მთელი გვარი. ის ღვთაება არ არის, მაგრამ ნათესავია, ძმა და მამაა.
[73] ლომისა – მთიულების სალოცავი, არაგვისა და ქსნის წყალგამყოფ, ალევის ქედზე.
[74] ფუძის ანგელოზი – ხალხის რწმენით, ის სადაც სახლობდა, იქ იყო ფუძის ანგელოზი, რომელიც მას იცავდა, თუ სხვაგან გადასახლდებოდნენ, ფუძის ანგელოზს არ ივიწყებდნენ. ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც მიდიოდნენ ძველ საცხოვრისში მოსაკითხიდ. მთიულები ფუძის ანგელოზად თვლიდნენ ლომისას.
[75] თავთხელი – ფონი, მდინარის გაშლილი და თხელი ნაწილი.
[76] ნამგალი – მანგალი – მანგლისი; ფარცხი – ფარცხისი.
[77] ქარაგოზი – მღიერი.
[78] საშორისი – ის ადგილი, სადაც კედელია გადავლებული.
[79] ვახუშტით – ბენდერი.
[80] დასდურაკი – საკრავია. არსებობს ხალხური ლექსი-ანდაზა:
მაღლა ღმერთი ქნარს უკრავდა,
დაბლა კაცი დასდურაკსა,
მე ჩემ სურვილს ავისრულებ,
რას დავეძებ სანდურავსა.
მუსიკის მცოდნენი (პროფ. გრ. ჩხიკვაძე) ფიქრობენ, რომ დასდურაკი – სანდურაკი დამახინჯებული სანთური – სანთურაკი უნდა იყოს. სანთური კი სახელწოდებაა ერთ-ერთი საკრავისა.
[81] ამირეჯიბი – მეჯინიბეთ უფროსი.
[82] მოსაკიდი – მომცრო, წმინდა წნელით დაწნული გოდორი.